


# האנציקלופדיה

11

1978



1917-1978

პლაკატი გ. ლომიძისა

# სესი

258

გამომცემის მამულის ნაწილი

11

ნოემბერი

1978

თბილისი

საქ. კვ. ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

# შ ი ნ ა ა რ ს ი

3. ცოცხალი ისტორია

პროზა, პოეზია

- 5. გურამ ფანჯიქიძე — ატბიური გზის ფაქტობრივი რეალიზაცია. გავრცელება
- 84. მერაბ აბაშიძე — ლექსები
- 86. ოთარ შალვაძე — ლექსები
- 87. ზურაბ კუხიანიძე — მოთხრობები
- 97. მორის ფოცხვიანი — ლექსები
- 101. შალვა ფორჩხიძე — შენი ზრდემლის და უროს ძახილით... პოემა
- 108. ზაურ გოლქვაძე — ლექსები
- 109. ნანა ქრეციანი — ლექსები
- 110. ენვერ ნიშანაძე — ლექსები
- 115. ჯემალ ჩახავა — ლექსები

მეგობრობის მერიდიანები

- 117. თოფიკ ბაიბაძე — ჩვენი ქმრის საღვთობაზე; სალილ რუხ — ქართული მიწა. ლექსები. აზერბაიჯანულიდან თარგმნა ლეილა ერატემა; ალიმ ქაშოკაძე — ლექსები. თარგმნა შალვა ამილახვანი.

ინტერვიუ

- 121. ახალი აღმავლობის გზით

კრიტიკა

- 129. გორის მიტაცება — მწიგნობრის უნებური იდეალი
- 133. ემზარ კვიციანი — კეთილი, ხალხი იუმორი
- 138. თეოდორე ბერიძე — ტორონიანი კი მინც ბალონი
- 140. ამთაფლი არაბული — „გაუა-ფაშაღას თეოდორე ბერიძის დაღვინსათვის“

70 — მერიკა ბარათაშვილი — 70

- 142. ლარისა ხუბულური — შრომისა და სიყვარულის მგალობელი

წერილები

- 145. სულხან შოთაძე — სიტყვის ესთეტიკა და ესთეტიკის კანონები გაუა-ფაშაღას პოეზიაში

პირველი შთაბეჭდილება

- 153. ჯარჯი ფხოველი — „გაუა-ფაშაღას პოეზია“; ირაკლი ბაზაძე — სახეში თითქმის ფრთხილად მიტაცების; თეოდორე ბერიძე — ამთაფლიანი ხალხი; სოსო შინვაბერი — „ვერ მიღწეულს ვნებით შეპყრობილი...“; რევაზ ჩხარტიანი — ახალი ნაშრომი მისი ზეიშვილი.

- 158. კულტურული ცხოვრების ტრენიტი

მთავარი რედაქტორი  
გურამ ფანჯიქიძე

სარედაქციო კოლეგია:

- ვახუშტი აბაშიძე,
  - გურამ გვირგვინი,
  - გივი ბეგიანი,
  - რევაზ შინვაბერი,
  - გიორგი გუგუშვილი,
  - ნოდარ დუმბაძე,
  - მერაბ ფოცხვიანი,
  - ვლადიმერ გვირგვინი,
  - თეოდორე ბერიძე
- (მთ. რედაქტორის მოადგილე),
- ნუგზარ შატაბაძე,
  - ჯანსუღ ჩხარტიანი,
  - გივი ძეგლობაძე,
  - ნუგზარ შატაბაძე,
  - თამარ ფიციანი,
  - ბარბარე შინვაბერი,
  - რევაზ შინვაბერი.

# სოცხალი ისტორია

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ახალი ნაწარმოები „უამირის“ ჩვენი ხალხისა და პარტიის კიდევ ერთ ეპოპეას — დიდი პურისათვის მოწყობილ არნახულ კამპანიას, მთელი რესპუბლიკის შრომით ეპოპეას ასახავს. ეს ნაწარმოები ცალკე, დასრულებული ქმნილებაა, მაგრამ თავისი სულისკვეთებითა და მიწანდასახულობით ორგანულად უკავშირდება „მცირე მიწა“-სა და „აღორძინება“-ს. როცა „უამირის“ შესახებ ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ჩვენი ყურადღება არ მიიპყროს, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა და თავდადებული შრომის გრანდიოზულმა პანორამამ.

ლეონიდ ილიას ძის ამ ნაწარმოებებში წარმოდგენილ შთაბეჭდილებას ახდენს პარტიული მუშაკის, პარტიული ხელმძღვანელის სახე, რომელიც დროის დიდ მოწვევებში, მოქმედებაშია აღბეჭდილი და მსატრფლად გააზრებული — ამის მძიმე ვითარებაა ეს, თუ ჩვენი ქვეყნის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტასთან დაკავშირებული არანაკლებ მნიშვნელოვანი და რთული მდგომარეობა. ეს არის, რა თქმა უნდა, ავტორის სახე, თბრობის პროცესში უშუალოდ და სადად რომ წარმოსდგება, ჰუმანური და მზრუნველი. მკითხველის გაუნებებელ ინტერესს იწვევს აგრეთვე ის გულისხმობა, რითაც ავტორი გვიხატავს საქმისათვის თავდადებული ადამიანების შთაბეჭდვით პორტრეტებს.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნაწარმოებები განსაკუთრებით დიდ დასმარებას უწევენ იმ უანგარო კეთილშობილ მებრძოლებს, კოშუნის-ტურის აღმშენებლობის „უსახელო ჯარისკაცებს“, რომლებიც წყნარად, ყოველგვარი „ხმაურის“ გარეშე, თავიანთი ცხოვრების წესის თანხმად ყველა დიდ თუ პატარა საქმეში სიკეთისა და სიმართლის მარცვალს სთესვენ. ძნელია აღვვებების გარეშე წაიკითხო „უამირის“ სტრიქონები, რომელიც ეხება საბჭოთა მეურნეობის „დაღწის“ ტრაქტორიტს, საბჭოთა კავშირის გმირს, თავმდაბლსა და დიდი სულის ადამიანს — დანიელ ნესტერენკოს, ასევე, არანაკლებ საოცარ პიროვნებას, ლვოვის სამშენებლო ინსტიტუტის დაუსწრებელი სექტორის

სტუდენტს ვასილი რაგუზოვს. დაუვიწყარია მათი უანგარო შრომისა და თავანწირვის მაგალითი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ნაწარმოებების და საკუთრივ „უამირის“ დიდი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ავტორის, შეიძლება ითქვას, ამ „ლირიკული გმირის“ სულიერი სიმტკიცე და მოქალაქეობრივი პათოსი თავისთავად შეიცავს მეშინაობის, მომხვეჭელობის, კარაგირის საწინააღმდეგო ისეთ დიდ ქმედით ძალას, სრულიად რომ გამოირცხავს და უკუაგდებს ადამიანის ამ დამამცირებელ თვისებებს. ყოველგვარი დიდაქტიურ-დამრიგებლური ტონის გარეშე, ადამიანური სისადავითა და სიმართლით მისი სიტყვა მკითხველში წარმოქმნის დიდი სიამაყის გრძნობას, რომელიც ბუნებრივად ეფუძნება შეუპოვარი ბრძოლითა და გმირული შრომით აღსავსე საბჭოთა სინამდვილის ავტორისეულ ღრმა ანაღიზს; ეს სიამაყე დიდი სიმართლითა და ტრავიზით მოპოვებული სიამაყეა.

ლეონიდ ილიას ძის თბრობაში ყოველთვის დიდი გულითალობა და ეპიური სიღინჯე შეიგრძნობა. მკითხველს იპყრობს, „ითრევს“ ამ მონათბრობის მიღმა არსებული და ნაგულისხმევი სიღრმე და სიღაღე ნააზრევია, კიდევ სხვა „სულიერი მერდიანები“, რაც პირველ რიგში იმას მიგვანიშნებს, რომ ავტორს კიდევ ბევრი რამ მნიშვნელოვანი და საინტერესო დარჩა სათქმელი, რომ ამოუწურავია იმ სინამდვილის ასახვა, იმ სინამდვილის გააზრება და განზოგადება, რასაც ომი და ამ ომში ხალხისა და პარტიის ერთიანობა, საბჭოთა ერების მორალურ-ზნეობრივი და პოლიტიკური ერთიანობა წარმოადგენს. გაცეპას იწვევს ავტორის მასშტაბური ხედვა, სულისა და გულის „ხელგაშლილობა“ და მოვლენათა წედომის უნარი. რაოდენ საყურადღებოა თუნდაც ის ფაქტი, რომ ლეონიდ ილიას ძე ამ წიგნებში შეეხო ღროტულთა და მშვიდობიანი, შრომითი ცხოვრების მრავალ მხარესა და გულისს.

თავისთავად ხომ ძვირფასი თვისებაა, ადამიანს რომ ადამიანისა ესმის. მაგრამ განსაკუთრებით დასაფასებელია და, შეიძლება ითქვას, აუცილებელიც, კარგად ესმოდეს ხელმძღვა-


ბ. მინდიაძის წიგნი

ნელს ქარხნისა და მიწის მუშის გულისხმადები, შეიცნობდეს და იაზრებდეს მის სურვილებს, მოქალაქეობრივ „სუნთქვას“ და პათოსს. შემთხვევითი როდია, ჭეშმარიტების დადგენაში მარქსიზმის კლასიკოსები ასეთ დიდ მნიშვნელობას პრაქტიკას რომ ანიჭებდნენ. მუშათა კლასის ბრძოლის ყოველ ეტაპზე თვით ბოლშევიზმის სტრატეგიაც და ტაქტიკაც დიდ ანგარიშს უწევდა მშრომელთა ფსიქოლოგიისა და ინტერესების მეცნიერულ შესწავლას და მიღებული დასკვნების საკუთარ პარტიულ მოღვაწეობაში განხორციელებას. ეს წარმოადგენდა ჩვენი პარტიის, ლენინური, ახალი ტიპის პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას — არა „ცივი“ დოქტრინება, დროდადრო აუცილებლად რომ სწუდებოდნენ რეალობას, სინამდვილეს და დემოკრატიის წყაროდ იქცეოდნენ მარტოოდენ, არამედ ცხოვრებასთან უახლოესი კავშირი, მშრომელი მასების სისხლხორციული ინტერესებით განსაზღვრული და გამრწელი ცხოვრება, სინამდვილის ახსნისა და განვითარების შემოქმედებითი მარქსისტული მეთოდი. ამ მხრივ ხელმძღვანელის ბიოგრაფიაც საყურადღებოა. თუ ადამიანს თვითონ გამოუცდია ცხოვრების სიმწიდეები, თვითონ ყოფილა ქარხნისა და მიწის მუშა, სოფლისა და ქალაქის საზოგადოებრივი ცხოვრების მშენებელი და ხელმძღვანელი, რა თქმა უნდა, ასეთ პიროვნებას შეუძლია გაიგოს ხალხის ჭირ-ვარამი, ღონი და სისარული, შეუძლია გახდეს ხალხის რჩეული და ხელმძღვანელი. ეტყობა, აქედანვე წარმოსდგება ის საო-

ცარი, დიდი პატივისცემა პურისადმი ამავე დროს ხალხისადმი, ადამიანისადმი თანდაყოლილი პატივისცემის გრძობა და ყოველი კეთილშობილი პიროვნებისათვის აუცადებელი თვისებაა. ამ გრძობის აღზრდა მხოლოდ წიგნებით, მხოლოდ ქაღალდით ძნელია, თუ არ ვიტყვი, რომ შეუძლებელია. რაოდენ სწორი და მრავლისმეტყველია პარტიის ხაზი, ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის პრინციპს რომ ახორციელებს.

ლენინი ილიას ძის მთელი მოღვაწეობა და დახატურობა იმ ჭეშმარიტებისა, რომ დიდოსახალხო პიროვნებას უნდა ჰქონდეს მეთად საჭირო აქტიური ადამიანი, აქტიური, მოვლენების არსში ჩამწვდომი ხელმძღვანელი. ასეთი ხელმძღვანელი ვერასოდეს ვერ შეუძრავდება არსებულ ნაკლოვანებებს, მისთვის აუცილებელია მოქმედება. დიდია პრობლემათა მრავალმხრიობა და ერთობლიობა, „ყამირში“ რომა წამოჭრილი ლენინი ილიას ძე ბრეტენევის მიერ. ესაა კადრების შერჩევისა და მოპოების პრობლემა, ადამიანების სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ეთიკურ-ზნეობრივი თუ კულტურული მშენებლობის საკითხები და ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სხვა მომენტი. და, რაც მთავარია, გამოტანილია მეტად საყურადღებო საფულისხმო დასკვნები, რომელთა გათვალისწინება როგორც საკუთარ სამოქმედო პროგრამაში, ასევე სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩვენი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის აუცილებელი პირობაა.





რომანი

თავი მეხვითი

— ეკა, ყავა მოაღუდე და თერმოსით წამოიღე.

— კიდეც?

— მეტი არაფერი. ხილს ბაზარში ვიყიდით.

მანქანას კაპოტი აგხადე. მერე მაღალი, დაბურდულ ტოტეზიანი ცაცხვის ძირში მივედი და წამოვწეჭი. ხელები თავქვეშ ამოვიღე, ლურჯ ცას უხალი-სოდ აგხადე.

ცხელა.

პირველის ნახევარია.

ჩიტები აღარ გალობენ, აღარც ყვივებენ. მარტო არაგვის ხმაური ხვდება საამოდ ყურს.

ეკა გვერდით მიზის. თავი მოკეცილ მუხლებზე დაუდევს და რაღაცას ფიქრობს.

მარცხნივ ანაწური მოჩანს. უზარმაზარ სტატიკურ პეიზაჟში უპირველესად იგი იტაცებს თვალს — მწვანე ფერის ერთფეროვნებაში მისი თეთრი კედლები ყველაზე მახვილი აქცენტი.

გაღმიდან მთა დაგვეურებს თავზე. მწვანე ფერს ჯერ სისასხასე არ დაუკარგავს. ხეობის სიგრილე დღხანს უნარჩუნებს ფოთლებს სინორჩეს.

მანქანას ვაგხადე. გულს მომეფონა. ასე მგონია, ახილი კაპოტიდან მთელი სიმძლავრით და სიხარბით ისუნთქავს არაგვის ხეობის ჯანსაღ ჰაერს. დილით აკუმულატორს წყალი დავემატე, სამუხრუჭე სითხესაც აკლდა ცოტა, პატარა ავზი ბოლომდე შევავსე. მოტორი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 10.

საგანგებოდ გავარეცხინე, თუმცა ჭუჭყიანი მაინცდამაინც არ ყოფილა. გზაში თვალნათლივ ვგრძნობდი, რა ლაღად ეწეოდა. თითქმის ყველა აღმართი მეოთხე სიჩქარით აიარა.

ასლა ვათვითნობიერებ, მთელი გზა სმა არ ამომიღია, ხან ჩემი წითელი „ეი-გულის“ ძრავის რიტმულ გუგუნს და სიხშირეს ვაკვირდებოდი, ხან აღმართებში მესამე და მეოთხე სიჩქარეების სიძლიერეს ვამოწმებდი, ხან...

ხან და უმთავრესად ლევან გზირიშვილის თვითმკვლევლობაზე ვფიქრობდი.

დღემილი არც ეკას და ურღვევია, ალბათ ელოდა, ლაპარაკს როდის წამოვიწყებდი.

მაინც რა მოხდა, რამ დამამუხჯა, რამ ჩამიგუბა პირში წყალი?

თითქოს პეშინ იყო, მანქანაში ერთ-მანეთს ლაპარაკს არ ვაცილიდით.

— მარჯვენე ვაიხედე, რა ყაყაჩოებია!

— ოფოფს ხედავ?

— აბა სად?

— აგერ, მარცხნივ დაჯდა ბუჩქზე.

— ვერ ვხედავ.

— აგერ, აფრინდა კიდევ!

— ჰო, ვხედავ, რა ლამაზია!

— გიყვარვარ?

— ხელი გასწი, თორემ გადავიჩიხებ-ბით, ან რაღაცას შეევასკლებით.

ეკა ყურადღებას არ აქცევს ჩემს ნათქვამს, თითებს ერთხანს კიდევ ჯიუტად მისრიალებს თმაში.

მეც მსიამოვნებს მისი ნაზი თითების შესება და ხმას აღარ ვიღებ.

მკვეთრი მოსახვევი.

— ეკა, გადავიჩიხებთ!

— ნოდარ, გააჩერე, ბავშვიანი ქალი!

— რამდენჯერ გითხარი, ნუ იცი ეგეთი რამეების აჩემება. გზაში მგზავრს რა გამოლევს. მადლობა ღმერთს, ტრანსპორტი ბევრი დადის და როგორმე მოახერხებენ გამგზავრებას. მე შენთან ყოფნა მინდა, გესმის, მარტო მინდა შენთან ყოფნა!

— ბავშვის ხათრით!

მანქანას ვამუხრუჭებ და უკანა

სვლით მივდივარ ბავშვიანი ქალისაკენ. საკმაოდ გამოვცილებივარ.

ეკა მადლობის ნიშნად ხელს ხელზე მიჭერს.

შეოხსანმა ქალმა ჯერ ბავშვი შემოუშვა მანქანაში, მერე თვითონ დაჯდა.

— სად მიბრძანდები? — ეკითხება ეკა.

— მცხეთაში ჩამოვალთ, ბებრის ციხესთან.

უკან შებრუნებული ეკა სიყვარულით უტკერის ბავშვს.

— რა გქვია? — ეკითხება პატარა ბიჭუნას.

ბიჭმა დაიმორცხვა და ხმას არ იღებს.

— სოსიკო, იოსები; ამოიდე, ბიჭო, ხმა!

— რამდენი წლისაა?

— მალე ხუთის ვახდება.

— ჩემთან მარტო ყოფნა არ გსიამოვნებს, — ვეუბნები ეკას, როცა მართონი დავრჩით.

— რა მოხდა, ბავშვიანი ქალი წამოვიყვანეთ?!

— არაფერი არ მომხდარა, ქვეყანა არ დანგრეულა. ამ დაწყევლილი ინსტიტუტიდან ათასში ერთხელ დავიძვრენ ხოლმე თავს. მინდა, რომ სულ შენთან ვიყო. არავითარი სურვილი არა მაქვს, ვიღაც უცნობი მგზავრები, თუნდაც ნაცნობ-მეგობრები, ფლეთდნენ და ანაკუწებდნენ ჩემს განწყობილებას.

— მაპატიე, ბატონო ნოდარ, მეტს აღარ ვიხამ! — ისეთი ინტონაციით ამბობს ეკა, ჩემს გულში ბოღმით ნაგები პირამიდა იმავე წუთში ინგრევა და უკვალოდ ქრება.

— ნოდარ, ოფოფი!

— ჩხიკვია, რამ გააოფოფა.

— ჩხიკვი კი არა, ოფოფია!

— ეგრე დაჟინებით ნუ მომიჩერებიხარ, თორემ საჭე ამერევა.

— მერე რა, მოვკვდებით ერთად, განა ცუდი აქნება?

როცა ქალი ვიყვარს, მისი სულელური ლაპარაკიც კი გსიამოვნებს.

გზა ვრთბამოდ ასე გასწორდა, თით-



ქოს მოღუნულ და დაკვირვებულ მშვილდს მოულოდნელად თოკი გადაუჭრესო.

წინ არაფერია. მარჯვენა ხელით ეკას ჩემსკენ ვეწევი და ლოყაზე ვკოცნი.

წინააღმდეგობა არ გაუწევია, როცა ვაკოცე, მხოლოდ მერე მითხრა:

— ნოდარ, ფრთხილად!

განსაკუთრებით შემოდგომაზე გვიყვარდა ბორჯომის ხეობაში ვასეირნება. საათობით შევეცქეროდით ათასფრად აპრელებულ ფერდობებს, თრიმლის წითელი და ნეკერჩხლის გაყვითლებული, ნიავეზე მოთამაშე ფოთლები რომ იჩემებდნენ პირველობას.

— ეკა, გინდა ზღვაზე წავიდეთ? — ვლუთხარი ერთხელ, მცხეთა რომ უკან მოვიტოვეთ.

— გავიყდი?

— რატომ გავიყდი? — ვიხედები მანქანის სარკეში, — ვგავარ ვითომ ვიყს?

— შინ რას იტყვიან?!

— ბათუმიდან დეგეშა გამოვუვზავნოთ. ანდა ბათუმიდან რატომ, სულაც გორიდან გამოვუვზავნოთ ან დავუტოვოთ.

— ნამდვილად გადაირიე.

— კაცმა რომ თქვას, ბათუმში რა გვინდა, ქობულეთში ჩავიდეთ. იქ ახლა ნაცნობი არავენ შეგვევხედება, სულ მარტონი ვიქნებით. როცა შენთან ვარ, არავის ნახვა არ მინდა.

— ვტყუორდი, თუმცა ამ წუთში მართალი ვიყავი. სანერბოდ, პირიქით, ძალზე მსიამოვნებდა ხოლმე ეკას ნაცნობ-მეგობრების წრეში მიყვანა. მსიამოვნებდა, წამიერი დუმილი რომ ჩამოვარდებოდა, მისი სილამაზით მოხიბლული ბიჭები ფეხზე წამოიჭრებოდნენ და უნებურად ჰალსტუხებს შეისწორებდნენ ხოლმე.

ახლა არ ვტყუორდი, ახლა მხოლოდ ეკასთან მინდოდა ყოფნა, არც ერთი ნაცნობის შორიდან დანახვის სურვილიც კი არ მქონდა.

ეკამ არაფერი მიბასუხა, მხოლოდ გაიღიმა. ამ დუმილით და ღიმილით ბათ უნდოდა ეთქვა — გეყოფა ხუმრობათ.

— მე არ ვხუმრობ, ეკა.

— სისულელეს თავი დანებე!

— მაინც ბათუმში ჯობია, „ინტურისტისტი“ ვიცხოვრებთ. „ინტურისტს“ აქვს თავისი ეშხი.

— შენ კიდევ ხუმრობ?

— თუ ვხუმრობ, ახლავე დაინახე.

— ტყუილად მოუმატე სიჩქარეს, ვერ წამოვალ!

თვალს ვახელ. ცაზე ქორი ირაოს აკეთებს. ეკას თავი მაღლა აუწევია. ღია ყავისფერ ქორს ფრთებზე მანქეტებივით უჩანს თეთრი ბოლოები. ნელა, ამყად დასრიალებს. მხოლოდ მაშინ ეფარება თვალს, ჩვენს უკან რომ მოქცევა. ცაცხვის ტოტები მეფარება და ვეღარ ვხედავ. უკვე მეხუთე წრე დავთვალე, ჩემი თვალის გახელიდან რომ შემოავლო ცაზე. ფრთა ერთხელაც არ გაუნძრევია, ერთხელაც არ შემოუჯრავს. თითქმის შემშურდა, ისე ლაღად და ლამაზად დასრიალებდა.

უცებ ქორმა მხოლოდ ერთხელ შემოჰკრა ფრთა და მაღლა აიწია. შემდეგ შემოვლავც ზუსტად იმავე ადგილზე შემოჰკრა ფრთა და ისევ აიწია მაღლა. ასე გამეორდა რამდენჯერმე, ქორი ყოველ შემოვლავზე ერთსა და იმავე ადგილზე შემოჰკრავდა ხოლმე ფრთას და თითო ოქტავით მაღლა მიიწევდა.

თავს ისე ვიჭერ, თითქოს მძინავს, მაგრამ თვალს მაინც ეკასკენ ვაპარებ უჩუმრად.

ეკას თავი მაღლა აუწევია და ქორს თვალს არ აშორებს.

ნეტავ რას ფიქრობს ამ წუთში? განა სხვა დროს ასე ჩუმად იქნებოდა? ჩუმად კი არა, მკლავში ორთავე ხელს

მუხრამ ფანჯიკიძე

აბტიური მუის წამიწაფი



მტაცებდა და სულმოუთქმელად მომაყრიდა, ცაში ქორი ირაოს აკეთებსო.

ახლა?  
ახლა ხმაც არ ამოჟღერდა. ვინ იცის, რამდენი წუთია, რაც ქორის ლაღ ფრენას აკვირდება.

უცებ ქორმა ფრთები შემოჰკრა, ჭალას თავქვე დაუყვავა და რამდენიმე წამში გაუჩინარდა.

თვალი უმაღლვე დაგხუჭვე. ვითომ მიიწვინავს. მერე ოდნავ გავახილვე და ეკას გავხედვე. თავი ისევ მუხლებში ჩაერთა.

— შორს ნუ მიდინარ, ნოღარ!  
უკან ვბრუნდები, ეკას ვუსწორდები, ვყვინთავ და მისი სხეულის ქვეშ მივცურავ. ზურგზე მედგება ეკას ნაზი, სრიალა მუცელი. შემდეგ ისევ უკან ვბრუნდები და ეკას მხარდამხარ მივცურავ. თან ვაკვირდები ლურჯ, არა, მომწვანო წყალში როგორ მისრიალებს მისი შხვართი სხეული.

სწრაფი კროლით ისევ გავასწარი, ათი თუ თხუთმეტი მეტრით უკან მოვიტოვე. როცა ცურვის დროს ცალ ყურს სანახევროდ ამოვწვე წყლიდან, ნაწყვეტ-ნაწყვეტ მესმის ეკას შეძახილები. გარკვევით არ მესმის, რას ამბობს. თუმცა ვიცი, რასაც მიყვიროს,— უკვე საკმაოდ შორსა ვართ ნაპირიდან და შეშინებული მაფრთხილებს, უკან ვაგებრუნდეთო.

მერე ვჩერდები და ეკას ვუცდი.

— უკან ვაგებრუნდეთ, მეშინია!  
ველოდები, როდის მომიახლოვდება. მერე ბრასით დინჯად მივცურავ მისკენ. ეკამ იცის, ამ დროს რასაც ვაკეთებ ხოლმე და ნელ-ნელა მიახლოვდება. ჩვენი ტუჩები უკვე ედგება ერთმანეთს. ვკოცნი. ზღვის მლაშე წყალი პირში ჩამდის, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევ. თითქოს მსიამოვნებს კიდევ ჩვენს ტუჩებს შორის თხელ, გამჭვირვალე ღრუბლად ჩამდგარი მლაშე გემო.

— ვაგებრუნდეთ, ნოღარ!  
ეკა პლაჟისკენ შებრუნდა.

„შებრუნდა“.  
განა ეს სიტყვა გამოსახავს ეკას რობის სილამაზეს? რა ლაღად, რა ღონივრად მოიქნია თავისი მკვრივი სხეული, თითქოს ჯერ შეიკუმშა ზამბრასავით, მერე კი მოულოდნელად გაიშალა. რა ლამაზად ააღწერა წყალი მისი ჯიშინი, გრძელი ფეხების რიტმულმა დგაფუნმა, რა ლაღად მისრიალებდა წინ, ხოლო უკან ღია ფერის ზედაპირზე ბუშტუკებდაყრილ ზოლს სტოვებდა.

კროლით ისევ გავასწარი ხუთიოდე მეტრით. მერე შემოვბრუნდი. ეკამ იცის, კვლავ მისი მუცლის ქვეშ უნდა გავსრიალდე. ბრასით ვუახლოვდები. პაერს ღრმად ვისუნთქავ და წყალში ვყვინთავ. ზურგზე ისევ მედგება ეკას ნაზი, სრიალა მუცელი.

ნავი ოდნავ ირწყვია მიძინებულ ზღვაზე. მხოლოდ გლუვი, თითქმის შეუმჩნეველი ტალღები ლივლივებენ ლამაზად.

ნიჩბებს ნელა ვუსვამ და ნავი ზღვის სიღრმისკენ მისრიალებს.

სალამოა.  
ჩამავალმა მზემ თანდათან დაჰკარგა მხურვალეობა, ყვითელ სხივებს ნელ-ნელა შეეპარა მეწამული ფერი.

ეკა ნავის ბოლოში ისეა გადაწოლილი, გრძელი, წაბლისფერი თმა ზღვაში მისთრევის. ზღვის მლაშე წყალს სქელი, ჩამავალი მზის სხივებზე აელვარებული თმა ისე დაუშმძიმებია და შუბლზე ისე გადაუტკეცია, გვეგონება, ვიღაც უხილავ არსებას ქალიშვილისთვის თმაში ხელი წაუფლია და ზღვის სიღრმეში ექაჩებია.

ნიჩბებს კვლავ ნელა ვუსვამ, თითქოს არ მინდა შეუშინეველად მოტორტმანე ზღვა შევანძრიო. როცა ნიჩბები ზღვის ზედაპირს ასცდება ხოლმე, ფარფლისებური ბილოებით ამოტანილ და კვლავ ზღვაში შეხფებად ჩაბრუნებულ წყალში მზის სხივები ისე ლამაზად ტყდება, გგონია, ნიჩბიდან ზღვაში წყა-

ლი კი არა, ფერადი ბროლის ნამსხვრე-  
ვები ცვივათ.

ეკას თვალეები დაუხუქავს. ნეტარე-  
ბით შევეყურებ მის გრძელ, უნაკლო  
ფეხებს, სავსე, მკვრივ მკერდს, ნავის  
სიგანეზე გადაშლილ მოქნილ მკლავებს.  
არ ვიცი, სძინავს თუ თვალდახუჭული  
ნებივრობს. მაინც მგონია, არ სძინავს.  
შეიძლება გრძნობს, მისი სხეულის სიმ-  
შვენიერთ რომ ვტკბები. ალბათ ამი-  
ტომაც გატრუნულა და ხმას არ იღებს.  
ბუნებრივია, არც თვალს ახელს. თვა-  
ლის ერთი გახელაც კი საკმარისი იქნე-  
ბოდა, რომ ნავზე ჩიტვივით ჩამომჯდა-  
რა ნეტარება სადღაც შორს, ჰორი-  
ზონტს იქით გადაკარგულიყო.

მზე კიდევ უფრო გაწითლდა. ახლა  
უკვე თავისუფლად ვუსწორებ თვალს.  
სიმზურვალე დაჰკარგა, მაგრამ მოცუ-  
ლობით გაიზარდა. თითქოს სიჩქარესაც  
უმატა, უფრო სწრაფად ეშვება ზღვის-  
კენ.

ნიჩბებს ამჯერად უფრო ენერგიუ-  
ლად ვუსვამ და ნავიც სწრაფად მიი-  
წევს ზღვის სიღრმისაკენ. ნიჩბებიდან  
უფრო მეტი ფერადი ბროლი ცვივა  
წყალში. ეკას თმასაც ვილაცის უხილავი  
ხელი უფრო ენერგიულად ექაჩება  
ზღვის სიღრმეში.

— ნიღარ, რას ფიქრობ? — თვალი  
არ გაუხელია, ისე მკითხა ეკამ.

— ფიქრისთვის სად მცალია, მე მხო-  
ლოდ ვტკბები შენი სხეულის მშვენი-  
ერებით.

ალბათ რა პათეტიკური და ყალბი იქ-  
ნებოდა ეს ფრაზა სცენაზე ან კინოეკ-  
რანზე. მაგრამ რა ბუნებრივი და ლა-  
რიბიც კია ახლა, როცა ამ ფრაზის მო-  
ცულობა ოდნავადაც ვერ იტევს იმ გან-  
ცდას, მე რომ ვყავარ ასე დატყვევებუ-  
ლი.

ეკას სახეზე ღიმილი გამოეხატა.

ალბათ პირველად ენაზე თვალდახუ-  
ჭული ქალის ღიმილი. ყოველ შემთხ-  
ვევაში, აქამდე თუ მინახავს, ყურადღე-  
ბა არ მიმიქცევია.

სანაპირო ზოლი თითქმის აღარ მო-  
ხანს.

ნიჩბებს ხელი ვუშვი.  
მზე თითქმის უკვე დასულა  
ზონტამდე. ახლა იგი ცეცხლოვან მნა-  
თობს კი არა, ვახით გაბერილ წითელ  
ბუშტს უფრო ჰგავს.

მზისკენ ზღვას ოქროსფერი გადაჰკე-  
რია, მოპირდაპირე მხარეს კი ჰორიზონ-  
ტი აღარ მოჩანს, ჩამუქებული ზღვა შე-  
უმჩნევლად ერწყმის უღარდელად გა-  
წოლილ ნისლს.

— მზე ჩადის, ეკა!

— ვიცი, ვხედავ!

მეუბნება ეკა. გაოცებული მივჩერე-  
ბივარ, თვალეები ისევ დახუჭული აქვს.  
გავარვარებული ლითონივით წითელი  
მზე უკვე შეებო ზღვის ზედაპირს. მის-  
მა სიმზურვალემ ზღვა ჯერ თითქოს და-  
ღაღა, ააშიშხინა და მერე კი ააღულა.

— ეკა, ხედავ? ზღვა დულს.

— ვხედავ! — მიპასუხა ეკამ ისე,  
რომ თვალი კვლავ არ გაუხელია.

მზე ნელ-ნელა გაუჩინარდა.

სიგარეტი.

უკანასკნელი ნაფაზი.

ნამწვის ზღვაში მოსასროლად მე-  
ქანიკურად მოქნეული ხელი ჰაერში გა-  
მიშვდა. სიგარეტი ნიჩბის ტარზე ჩა-  
ვაჭრე. ისევ კუთხეში მიგდებულ შარ-  
ვალს დავწვდი, სიგარეტის კოლოფი  
ამოვიღე და შიგ ჩავდე.

ზღვაზე ბინდი ნელ-ნელა წვება.  
ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს  
ზღვას უზარმაზარი, ნაოქასსმული მუ-  
ქი ლურჯი ფერის ქსოვილი გადაფარე-  
სო.

გლისერის მოტორის ხმა მომესმა. გუ-  
გუნით თანდათან ახლოვდებოდა და  
ცხვირმაც იგრძნო ბენზინის სუნის, სა-  
შინელი სისწრაფით რომ ვრცელდება  
ხოლმე ზღვის ზედაპირზე.

გლისერი ჯერ კიდევ შორს იყო, მა-  
გრამ დიდი მიხვედრა არ უნდოდა,  
ჩვენსკენ მოემართებოდა. ალბათ მე-  
თვალყურენი იყენენ.

შემოვბრუნდი. არ შეემცდარვარ,  
გლისერი მთელი სისწრაფით მოარ-

---

გურამ ფანჯიკიძე  
აბტიური მზის ფილიზადი



ღვევდა ჩვენსკენ ზღვას. მერე ყალყზე შემდგარმა ნავის ირგვლივ რკალი ეფექტურად შემოხაზა და ზღვა ააზვირთა. უწესრიგო ტალღებმა ნავი ნაფოტივით აათამაშა.

ნავზე შემომჯდარი ჩიტი გაფრინდა, უკვალოდ გადაიკარგა.

ეკა მიხვდა, ვინც მოვიდნენ და რატომაც მოვიდნენ. თვალი მაინც არ გაუხელია, არც პოზა შეუცვლია. ნავთან ერთად მისი სხეულიც მაგრად ირწყვოდა, მაგრამ სახეზე ისეთი გამომეტყველება ედო, თითქოს სიამოვნებდა კიდევ რწევა.

გლისერის მძლოლის გვერდით რუპორიანი, მზეზე ერთთავად გაშავებული, დაკუნთული ჰაბუკი ბრაზიანად წამოიძარა, მაგრამ ეკას მუსიკალური აკორდივით შეკრული ტანი რომ დაინახა, ისევე ერთბაშად დამშვიდდა, როგორც ერთბაშად წამოენთო.

— ხუთ კილომეტრზე ხართ გამოსული, ძალიან გთხოვთ, ახლავე უკან დაბრუნდეთ.

ამკარად აპარბებდა. ნაპირიდან სამ კილომეტრზეც კი არ ვიქნებოდით გამოსული. თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე, ნავი შემოვადრუნე და ნიჩბები ღონივრად მოვუსვია.

გლისერმა ნახევარწრე შემოხაზა და წავიდა. ტალღებმა ისევ აათამაშა ნავი. მალე მოტორის გუგუნე ოდნავდა აღწევდა ჩვენამდე.

— როდის აქეთ გახდნენ ასეთი თავაზიანები? — მეკითხება ეკა.

— ეგ თქვენნი ლამაზი სხეულის დამსახურებაა, ქალბატონო ეკა!

გლისერისაგან წარმოქმნილი ტალღები თანდათან გაიქცნენ ჩვენგან, თანდათან დაპატარავდნენ, დაგლუვდნენ და ბოლოს ზღვის ზედაპირზე გაწვენენ.

— რა იქნება მომავალში? — მოულოდნელად წარმოსთქვა ეკამ.

— რა თქვი? — ერთბაშად ვერ გავიგე, „მომავალში“ რას გულისხმობდა.

— რა იქნება-მეთქი მომავალში?

— ჰოოო? — მივხვდი, რასაც მეკითხებოდა.

მცირეოდენი პაუზა.

— მომავალზე ფიქრიც არ მსურს, ახლა კარგად ვარ. „კარგად“ ცოტაა, ბედნიერი ვარ და მინდა ყოველი წუთი, ყოველი წამი კარგად აღვიქვა, ბოლომდე შევიგრძნო, შევიგრძნო და ჩემი ტენის უჯრედებში სამუდამოდ დავაბინავო. ღმერთმა ადამიანს ბევრი როდი გამოუყო ბედნიერი დღეები თუ საათები. ამ უმნიშვნელო ბიუჯეტიდან ბედნიერი დღე რომ გათენდება, ყოველი წამის მეათასედ, ბოდიშს ვიხდი, მემილიონედ ნაწილსაც კი თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე.

— ბოდიში, ბატონო ნოდარ, თქვენ მგონი ფიზიკოსი ბრძანდებით.

— დიას, ფიზიკოსი გახლავართ, ქალბატონო ეკა, შემთხვევით პოეტი ხომ არ გეგონეთ?

— პოეტი? არა, უფრო ფილოსოფოსს მიგიგავთ მსჯელობა.

— ვითომ? — ვამბობ ნაწყენივით.

— გთხოვთ, მაპატიოთ, თუ გაწყენინეთ, ამხანაგო ფიზიკოსო. მე ფილოსოფიაზე გაცილებით უფრო რომანტიკული წარმოდგენისა ვყოფილვარ, ვიდრე თქვენ.

თვალს მაინც არ ახელს, ისე იღიმება. არც პოზა შეუცვლია, მხოლოდ მარცხენა ფეხი მოკეცა. გლუვი, ნატიფი მუხლი ლამაზად წამოიძარა და ჯიშინი სხეულის უნაკლო პროპორციები კიდევ უფრო მეტი ვნებით წარმოაჩინა.

სტატიკური სცენა.

ეკა სავარძელში ზის.

საწერ მაგიდასთან მჯდარ გაცოფებულ მამას თავი ხელებშუა მოუშწყვდევია და ერთ წერტილზე გაშტერებული თვალებით მაგიდას ბურღავს.

დედა მოპირდაპირე მხარეს ზის სავარძელში და ცრემლიან თვალებს ცხვირსახოცით იშრალავს.

მხოლოდ ძმა დვას ფეხზე, ოღონდ კედელს ცალი მხრით მიყრდნობია გულზე ხელებგადაჭდობილი. თვალებს ბოროტად აბრიალებს. ეტყობა, დიდი

ენერჯის ფასად უჯდება სიბრაზის დაოკება. ერთი სული აქვს, დას ეცეს და იქვე მოახრჩოს.

„მინც სად ეგდო ეს სამი დღე?“ — კბილებშუა ცრის გაცოფებული...

დუმბილი.

„ალარ ამოიღებ ხმას?!“

დუმბილი.

„თქვი, თორემ ახლავე მოგახრჩობ ჩემი ხელით!“

კვლავ დუმბილი, გამომწვევი დუმბილი. ეკა ჭიუტად დასჩერებია იატაკს.

„ხმა ამოიღე და მიპასუხე, თორემ...“

დედამ შეკვივლებაც ვერ მოასწრო, ვაჟი ისე მივარდა ეკას და ყელში ხელი წაუჭირა.

„ხმა ამოიღე, გესმის, ხმა ამოიღე!“

„ჯაბა!“ — იყვირა დედამ, ვაჟიშვილს ეცა და ეკა ხელიდან გამოგლიჯა.

ქალიშვილი ისევ უხმოდ ჩაეშვა სავარძელში.

„მეტი ალარ შემიძლია, როდემდე უნდა ვეასხას თავზე ლაფი, ამხანაგებში თავი ველარ გამომიყვია!“

„ჯაბა, დაწყნარდი!“ — ისტერიულად კივის დედა.

„სულ ერთია, მინც ჩემი ხელით მოკვდება ან ეგ, ან ის ვაჟბატონი“.

„ჯაბა, დაწყნარდი!“

ეს უკვე მამის ხმაა, მტკიცე და მრისხანე.

„რას ჰქვია, დაწყნარდე! ჰკითხეთ მინც, სად ეგდო და ვისთან ეგდო!“

„ძალიან კარგად იცით, სად ვიყავი და ვისთან ვიყავი“.

ეკას მშვიდმა ხმამ ჯაბა კიდევ უფრო გააცოფა, ტუჩზე იკბინა და გარეთ გავარდა.

„ჯაბა!“ — წამოხტა დედა და გამოეკიდა.

„ჯაბა!“

ჯაბა უკვე ქუჩაში იყო. აცრემლებული დედა ისევ ოთახში შემობრუნდა და სავარძელში ოხვრით ჩაეშვა.

პაუზა.

დაძაბული, დამუხტული დუმბილი.

„რას გვერჩი, შვილო, დაგიშავებ

რამე? რატომ გვანერვიულებ, რატომ გვზოცავ დარდით. რატომ ჩვენს ოჯახს, რატომ არ გინდა, მტერსა და მოყვარეს ანგარიში გაუწიო? დღემდე ისე ვიცხოვრეთ, ჩვენს ოჯახს ბიწი არ მიჰკარებია, დღეს კი... დღეს თავი აღარ გამოგვეყოფა. მეზობელსაც და ნათესავსაც, მეგობარსაც და თანამშრომელსაც ბევრს შევნიშნე შენიღბული, ირონიული ღიმილი, შენს ამბავს რომ მეკითხებიან ხოლმე. რატომ აძლევ ხალხს საჭოროთ მასალას, რატომ სვრი ლაფში ჩვენი ოჯახის ღირსებას?“

„რატომ სვრი ლაფში ჩვენი ოჯახის ღირსებას?“

ეს ფრაზა ლოკატორივით დაიჭირა ეკამ, მერე თითქოს ფირზე ჩაწერა და დაატრიალა.

„რატომ სვრი ლაფში ჩვენი ოჯახის ღირსებას?“

„რატომ სვრი ლაფში ჩვენი ოჯახის ღირსებას?“

„რატომ სვრი ლაფში ჩვენი ოჯახის ღირსებას?“

„ისე დაგზარდეთ, ხმამაღალი სიტყვა არ გვითქვამს თქვენთვის“. — გააგრძელა მამამ.

ეკამ იცის, მამის თავშეკავებულ ლაპარაკში ქარიშხალი თვლემს, მაგრამ მინც არ უსმენს. ცალკეული ფრაზები, თითქოს ნიავს მოაქვსო, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, პაუზებით ჩაესმის: „მე და დედა-თქვენმა შვილების ბედნიერებას შევწირეთ პირადი ცხოვრება და სიამოვნება“... „ოჯახს გარდა არაფერი გვახსოვდა“... „პირზე მხოლოდ თქვენი სახელი გვეკერა“... „ოჯახს ჩირქი კი არა, უბრალო ლაქაც არ მოსცხებია...“ „შვილების კეთილდღეობა და სანიმუშო აღზრდა იყო ჩვენი ცხოვრების მიზანი“... „ოჯახს ახლაც არავის ავაგდებინებთ, სახელსა და ღირსებას არავის გავაქვლინებთ!“

ეკას ტვინი ისე ირეკლავდა ამ ფრაზებს, როგორც სარკე შხის სხივებს.

გონებაში კვლავ მონოტონურად ბრუ-

გზარამ ფანჯიკიძე

აბტიშარი მზის წაღვლიანი



ნავს უხილავ ფირზე ჩაწერილი ფრაზა:  
 „რატომ სვრი ლაფში ჩვენი ოჯახის  
 ღირსებას“.

„რატომ სვრი ლაფში ჩვენი ოჯახის“..  
 „რატომ სვრი ლაფში...“  
 „რატომ...“

ნიავექარს კი შორიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისევ მოაქვს მამის სიტყვები:  
 „აბა ერთ შემთხვევას თუ გაიხსნებ,  
 რომ შენი სურვილი უყურადღებოდ  
 დაგვეტოვებინოს...“

„აბა ერთ მაგალითს თუ გვეტყვი,  
 რომ შენთვის გული გვეტყინოს...“

„შენთვის გული გვეტყინოს...“

„შენთვის გული გვეტყინოს“... ჩაიწერა უხილავ ფირზე მეორე ფრაზა. ჩაიწერა და გულისგამწვრილებლად დატრიალდა.

„აბა ერთ მაგალითს თუ გვეტყვი,  
 რომ შენთვის გული გვეტყინოს...“

„...შენთვის გული გვეტყინოს...“

„...შენთვის გული...“

პატარა, თერთმეტ-თორმეტი წლის გოგონა ამაყად დაჰყვება მამას ოპერის ფოიეში. ნაზი თითები ჩიტვით განაბულან მამის ფართო, თბილ ხელში.

მამას შავი, ძვირფასი კოსტიუმი აცვივია, საგანგებოდ თეატრისათვის შეკერილი. თეთრ პერანგს ფართო წითელ-ზოლებიანი ჰალსტუხი უმშვენებს. მოდური ახალი ფეხსაცმელები სახეიმიოდ ბრწყინავენ ელექტრონის შუქზე.

წარმოსადეგი, ლამაზი ახალგაზრდა კაცი მსახიობს ან მხატვარს უფრო ჰგავს, ვიდრე მსხვილი სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

დედასაც შავი ხავერდის გრძელი კაბა აცვია. სადად შეკერილ კაბას იაპონური მარგალიტების მძივი მკაცრ ელეგანტურობას ანიჭებს.

გოგონა საკუთარი ღირსების გრძნობით აღსავსე შესცქერის ხან დედას და ხან მამას. ხედავს, ყველანი როგორი მოწიწებით ესალმებიან მის მშობლებს. დღეს ოპერაში კოლექტიურად ესწრება სპექტაკლს მთელი სამმართველო. ყვე-

ლა ცდილობს მამამის მიესალმოს უღიმოს, ორიოდ სიტყვით გამოელაპარაკოს.

ბევრი ახლოს მოსვლას ვერც ბედავს და შორიდან უქრავს თავს მოკრძალებით. ზოგნი კი, ალბათ უფროსობა, ჯერ ხელზე კოცნიან დედას, მერე მამას ესალმებიან, ბოლოს კი გოგონას ლოყაზე უთათუნებენ ხელს, თან გაზეპირებულივით ამბობენ — „რამოდენა გაზრდილა, როგორ დამშვენებულა“.

ერთი, დედამისზე გაცილებით ახალგაზრდა ქალის გამოხედვა არ მოეწონა გოგონას. არ მოეწონა ჯერ კიდევ ქუჩაში, საოპერო თეატრის წინ, როცა მისმა სილამაზემ და მოხდენილმა ტანმა მოსტაცა თვალი. გოგონამ უხებურად დაიჭირა მისი დამცინავი და მტრული გამოხედვა. ქალს ლამაზ თვალებში თითქოს ზიზღი ჩაუდგა, დედამისი რომ რამდენჯერმე გაზომა თავიდან ფეხებამდე.

მამინ ახალგაზრდა ლამაზი ქალის ბოროტი გამოხედვისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ უცებ ისევ დაინახა მისი მოხდენილი ფიგურა. იგი მოშორებით იდგა, სანახევროდ შებრუნებული. მხოლოდ ერთხელ გამოაბარა თვალი მათკენ და პატარა გოგონას მგრძნობიარე ალლომ უხუსტესი ხელსაწყოსავით აღნუსხა და გაზომა ახალგაზრდა ქალის თვალებიდან წამოსული ზიზღის იმპულსი.

მეორე ანტრაქტში ისიც მოვიდა მამასთან. სიტუაციას უფრო ზუსტად თუ დავხატავთ, ვითომ შემთხვევით შეეფეთნენ ტალანში ერთმანეთს.

ტანკენარ ქალს სადა. სპორტული ტანსაცმელი ეცვა, რაც მის ახალგაზრდულ გამოხედვას კიდევ უფრო უსვამდა ხაზს. დედამისის სიმპატიურ და სოლიდურ ფონზე მისი სხეული გაცილებით ნორჩი და შეკრული ჩანდა.

სამ სახეზე გამოსახულმა სამმა ღიმილმა ვერ ჩააჭრო ის ცეცხლი, მათ გულში რომ ტრიალებდა.

„ტატაც აქ ყოფილა!“ — ამბობს მამა.

რა საზიზღრად ხედებოდა ყურს მისი ყალბი ხმა.

„...ტატა... ტატა ბოტკოველი...“ — იმავე წუთში ტივტივდებდა ეს სახელი და გვარი პატარა გოგონას მესხიერებაში.

„გამარჯობა, ტატა,“ — იღიმება დედა. „გამარჯობათ!“ — უხერხულად იწმარწნება ტატა.

„როგორ დამშვენებულა! რამდენი ხანია არ მინახავს!“ — ეუბნება დედა მეუღლეს, თან ტატას ხელკავს უკეთებს.

დედა და ტატა წინ მიდიან, გოგონა მამას მიჰყვება უკან. პატარა ბავშვის თვალს არ გამოჰპარვია ზოგიერთების სახეზე გამოსახული ირონიული ღიმილი. აშკარად გრძნობს, ბევრი ცნობის-მოყვარეობას ვერ იიკებს, თითქოს ცდილობენ, მოსეირნეთ პირისპირ შეეჩხონ, კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, თავისი თვალთ ნახონ, როგორ მეგობრულად სეირნობენ სამმართველოს უფროსის ნეულლე და ტატა ბოტკოველი. პატარა ბავშვის გულს უმოწყალოდ სერავს ცნობისმოყვარეობითა და დაცივნილ სავსე თვალები.

მესამე ზარი.

გოგონას თითქოს ხსნასავით ჩაესმა ყურში ზარის ხანგრძლივი წკრიალი.

დედა ღიმილით უკრავს თავს ტატა ბოტკოველს და სამთავენი ამფითვატრისაკენ მიემართებიან.

ტალანში სინათლე ჩაქრა. მხოლოდ კედლებზე მიმაგრებული პატარა ნათურები ბუტბუტად ოდნავ.

„მამა, წავიდეთ,“ — შეჩერდა გოგონა შესასვლელთან.

„რა თქვი?“ — ვერ გაერკვა მამა.

„შინ მინდა წასვლა“.

„შინ?“

„ჰო, შინ, ცუდად ვარ, თავი მტკივა“.

დამნაშავე კაცის ინტუიცია უტყუარად აღიქვამს მოვლენას.

„წავიდეთ, შეილო“.

ვითომ უდარდელად წარმოთქმული ფრაზა ვერ განმუხტავს სამი ადამიანის დაძაბულობას.

„სად მიდიხარ, გადაირიეთ?“

ეს უკვე დედის ხმაა.

ო, რამდენი რამ იყო ამ ხმაში გადახლართული, ახელილი, შედუღებული, შედნობილი: ზიზღიც, სასოწარკვეთაც, ვედრებაც, შიშიც, ბრძანებაც.

„ხომ ხედავ, ბავშვი ცუდადაა“.

„ცოტასაც მოითმენს, სადაც ამდენი მოუთმენია“.

ბასრი ორღესულივით მოქნეულ ფრაზაში, ბუნებრივია, მართო ოპერის წინა ორი აქტი არ იგულისხმებოდა.

„საბჭოთაქალის დამთავრებამდე წასვლა არ შეიძლება, ვინდა მთელი თბილისი ალაპარაკო?“

დედის ხმა მკაცრია და უღმობელი, გადაწყვეტილება კი მტკიცე და შეუწყველი. შემდეგ ანტრაქტშიც ტატასთან ერთად ისეირნებს, ხელკავს გაუყრის, სახეზე ღიმილგადაკრული უდარდელ საუბარს გაუბამს, დროდადრო გაიცინებს. მერე რა, რომ ეს სიცილი ყალბი იქნება და ხელოვნური, მთავარი, ჭორი ამოიძირკვოს, საბოლოოდ გაიფანტოს. მთავარია ოჯახის ღირსება. შეურაცხყოფას და ბოღმას კი გულში ჩაჰიჩხნის, ჩაახრჩობს და ჩაიკლავს.

შემდეგ...

შემდეგ უძილო ღამე.

უხეში, შემადრწუნებელი ფრაზები ყრუდ, მაგრამ მაინც სჭოლავს ოთახის კედელს და ბავშვის რადარივით მგრძნობიარე გონება მკაფიოდ იჭერს ყოველ მათგანს.

დროდადრო ჩუმში, მაგრამ კატეგორიული სისინი — „ჩუმად, ბავშვები გაიღვიძებენ!“.

დროდადრო შემაზრზენ ბგერათშეხამებად ქცეული სახელი და გვარი — ტატა ბოტკოველი...

დროდადრო...

ღილით გოგონა ხედავს, ერთ ღამეს როგორ გაუსავათებაა და დაუბერებია დედამისი.

მას შემდეგ პატარა გოგონა მშობლებთან ერთად აღარ დადის ოპერაში, მა-

ზარამ დაწვრიკიკა  
ახტინში მისი წილიწადი



გრამ შეურაცხყოფილი ბავშვის პროტესტს ვერავინ გრძნობს, უღმობელი დანით დასერილ პატარა გულს ვერავინ ხედავს, უმანკო სულში ჩაღვენილი შხამი ნელ-ნელა რომ მიიწვეს დაბლა, არავის აღელვებს.

ერთხელ...

ერთხელ ტელეფონის ზარი...

იმ ზარის ხმა დღესაც, ამდენი წლის შემდეგაც, საზარლად ჩაესმის ყურში.

იქნებ გუმანიტ მიხვდა ვინ რეკავდა?

იქნებ მას მერე გაათვითცნობიერა და ჩარჩა მეხსიერებაში, მამამისს რომ სახეზე წითელ ფერში აპრილი მწვანე საღებავი გადაესხა?

„დიახ, დიახ... დაწყნარდი... ხვალ, ხვალ...ახლა მაგის დრო არ არის... როგორ არ გესმის, რომ... ხვალ-მეთქი... კარგი, კარგი, მოვდივარ...“

დედა სამზარეულოში კვერცხს თქვეფავს.

მან უკვე იცის, ვინ რეკავს...

მამამაც იცის, რატომ დაღუპდა სათქვეფელა...

„კარგი... მოვდივარ...“

ყურმილს ფრთხილად დებს ბერკეტზე და ერთ ადგილზე გაქვავებული ტელეფონის აპარატს დასცქერის.

სამზარეულოდან ისევ მოისმის სათქვეფელას ხმა.

სასწრაფოდ კოსტიუმს იცვამს.

„სად მიდიხარ?“ — გულუბრყვილოდ კითხულობს დედა. ვითომ ტელეფონზე ლაპარაკი არ მოუხმენია, ვითომ ვერ მიხვდა, ვინც რეკავდა.

„ახლავე მოვალ. შვილო, წამომყვივი“.

ბავშვი მამას უარს ვერ ეუბნება და უხალისოდ იცვამს, თუმცა იმ ქალის გაბოროტებული თვალების დანახვას სიკვდილი ურჩევნია.

ტაქსი.

შემდეგ რუსთაველის პროსპექტი და ქაშუეთის ბაღის შესასვლელი.

გოგონამ შორიდანვე შენიშნა ტატა ბოტკოველი. ხის გრძელ მერხზე იჯდა, ფეხი ფეხზე შემოედო და სიგარეტს ეწეოდა.

ძვირფასი ფრანგული სუნამოს სურნელი ნელნელა და მისი სახიდან გადმოღვრილი შხამი ერთდროულად იგრძნო შორიდანვე. მამა-შვილის დანახვაზე არ განძრეულა, ისევ ისე იჯდა და სიგარეტს ხარბად ქაჩავდა. ერთი კი გადახედა ბავშვს და ამით ყველაფერი თქვა.

გოგონას შეეშინდა, ტატა ბოტკოველის თვალის გუგებიდან ორი გველი უმზერდა.

„გამარჯობა“, — ნირწამხდარი მიესალმა მამა.

„მეტი ვერავინ წამოიყვანე?“.

თავხედურმა და დიდგულა კილომ გოგონას გული კიდევ ერთხელ გასერა მწარედ.

„წადი, შვილო, ნაყინი იყიდე“.

გულჩათუთქულ გოგონას თვალები ცრემლმა დაუნისლა, ყელში გაჩხერილი მძიმე, რკინის ბურთულა სლოკინით გადაყლაპა.

შემდეგ მამის ძახილი, მისი ალღეწილი სახე, აღელვებული ლაპარაკი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოსროლილი ბუნდოვანი ფრაზები.

ქალს სახე კიდევ უფრო მოჰქუფვრია, ლამაზ თვალებში დაუნდობელი მრისხანება ჩასდგომია, თავი კიდევ უფრო ჭიუტად და თავხედურად უჭირავს.

შემდეგ...

შემდეგ სიბინძურით, შეურაცხყოფით აღსავსე დღეები, ერთბაშად რომ დააქალა და დაასევდიანა პატარა გოგონა.

კედელს დამდამობით ისევ სჭოლავს ხან სიფრთხილით, ხან სისინით, ხან განრისხებით და ხან კი სასოწარკვეთით წარმოთქმული ფრაზები; იხატება ენით აუწერელი ამაზრუნე სურათი. ჭაობის სიმყრალეს ვედარ უძძებს პატარა გოგონას ნაზი სული.

დედა თავისი ფეხით მიდის ტატა ბოტკოველთან, ემუდარება, ეხვეწება, თავს საშინლად იმცირებს, ლამის მუხლებში ჩაუფარდვს, ცხარე ცრემლებით





ტარის, რომ ექიმთან წაყვანაზე დაითანხმოს...

ოჯახი გადარჩენილია. ხალხის თვალში ღირსება და პრესტიჟი შენარჩუნებულია და შეუღლახავი. მალე ცოლ-ქმარი ბალტიისპირეთში მიდის სამოგზაუროდ. ორი კვირის შემდეგ ბედნიერი სახეებით ბრუნდებიან უკან. ვაგონის ფანჯრიდან მხიარულად და ენერგიულად უქნევენ ხელს ნათესავეებს, ნაცნობ-მეგობრებს, თანამშრომლებს, ვაგზლის ბაქანზე რომ გამოსულან დასახვედრად.

შემდეგ მდიდრული სუფრა, სიცილი, მხიარულება, სიმღერები. პატარა საქურნალე ტაბლაზე, როიალზე და ტელევიზორზეც კი უამრავი ფოტოსურათი ყრია, ამ მოგზაურობის დროს გადაღებული. ფოტოსურათებიდან ბედნიერი, მომღიმარა ცოლ-ქმარი შემოგვცქერის, სავანგებოდ რომ გამოჰიმულან ტალინისა და ვილინუსის ძველებური შპილებიანი შენობების ფონზე.

მერე...  
მერე სტუმრები მიდიან. ნიღაბამოხსნილი, ქანცაწყვეტილი კომედიანტებივით მათ სახეებზე კაეშანი ისადგურებს. სიცილსა და მხიარულებას ცვლის სევდით დაძმობული დუმილი. ცოლი და ქმარი კვლავ ცალცალკე წვებიან დაუბრებულნი.

პატარა გოგონა გრძნობს, გული როგორ ევსება ცრემლით. გრძნობს... გრძნობს, როგორ გაფაჩუნდა მის არსებაში მამის სიძულვილი და დედის ზიზღი. რამდენად ბედნიერი იქნებოდა, თავმოყვარეობამელახული დედა რომ წამომხტარიყო, ბავშვებისათვის ხელი დაეგლო და სახლიდან გაქცეულიყო. რამდენად ამაყი იქნებოდა, რომ მშობლებს შეენარჩუნებინათ ღირსების გრძნობა, ბინძურ ჭაობში ყელამდე ჩაფლულები მაღლა ამოსულიყვნენ და დაენგრიათ მათ თავზე დაშენებული საშინელი სიყალბე, სხვების დასანახად ოჯახი რომ ერქვა.

პატარა გოგონა ძრწოლვით და ში-

შით დააბიჯებდა შხამიანი სოკოვანი დაფარულ ოთახებში.

„იქნებ ამოიღო ხმა და გვითხრა, რას აპირებ. დიდხანს გაავრძელებ ტყე-ღრეში ხეტიალს, ქალაქიდან ქალაქში წაწაღს და სასტუმროებში... სასტუმროებში...“

მამას ხმა გაეზარა. სასტუმროს ხსენებამ თვალეზი აუშლვრია, სისხლი თავში აუვარდა. თითქოს სიტყვები დაევიწყდაო, სათქმელი ვედარ გაავრძელა.

„ხმა ამოიღე, შვილო, ხმა ამოიღე, — ჩაერთო საუბარში დედა, — ხომ არ გინდა დავგვოცო. მშობლების შებრალება ხომ უნდა გქონდეს, ოჯახის ღირსებას ხომ უნდა უფრთხილდებოდე!..“

„ის მაინც გავვაგებინე, ვინ არის, რას წარმოადგენს, რას აკეთებს. ან ის მაინც გვითხარი, რას გპირდება, რას აპირებს. როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე, როდემდე უნდა გვრცხვენოდეს ხალხში გამოსვლა, ჩვენი ოჯახი როდემდე უნდა იყოს შერცხვენილი და თავლაფდასხმული?..“

ქალიშვილმა იგრძნო, მამის არსებაში მხეცი იღვიძებდა.

„ჩვენს ოჯახს თავლაფის დასხმა და შერცხვენა არ აკლია!“ — ისტერიულად ივივლა ეკამ. საერთოდ ნაზ, სითბოთი სავსე თვალეზში რისხვა ჩაუდგა. წლობით ნაგროვებმა ბოლმამ ჭებობი გაარღვია და ერთბაშად იხუვლა.

„რა გინდათ ჩემგან, რა დავიშავეთ. სულ წავალ ამ სახლიდან, სადმე გადავიკარგები ან თავს მოვიკლავ...“

კახალზე ნაპრალი თანდათან გაფართოვდა, ეკა ფეხზე წამოვარდა. მის ტვინში ათასი დაუსრულებელი აზრი ირეოდა, უკიდურესობამდე მისული გადაწყვეტილებები თევზებივით ფართხალეზდნენ, ერთმანეთს ჩამოყალიბებას არ აცდიდნენ. ვინ იცის, უქანავა-

**მუხრან ფანჯიკიძე**  
აპტიური მუხის წელიწადი

დობით გატანჯული რომელი თევზი იმ-  
ძლავრებდა და გადმოხტებოდა.

„იქნებ ამისხნათ, რატომ გარცხვენთ,  
რატომ ვბღალავ ოჯახის ღირსებას. ღი-  
რსებას, რომელიც ჩვენ (თქვენ) არ გა-  
გვაჩნია და ყველაფერიც გავაკეთეთ  
(გავაკეთეთ) იმისათვის, რომ არ გვექონო-  
და. ბინძურ ჭაობში ყელამდე ჩაფ-  
ლულნი მხოლოდ ვეპოტინებოდით,  
თავს ვაფარებდით ოჯახური სიმშვიდის,  
სანიმუშო ღირსების სიმბოლოებს.“

წყალმა ბოლომდე გაარღვია ჯებირი.  
„მერედა რის ფასად გიჯდებოდით ამ  
სიმბოლოების შენარჩუნება? საკუთარი  
ღირსებისა და პიროვნების გაქვლევის,  
საკუთარი სულის გაძარცვის ფასად.  
თქვენ მზად იყავით, ყოველგვარი  
მსხვერპლი გაგედოთ, მზად იყავით  
ყველაფერზე თვალი დაგეხუჭათ, გეთ-  
მინათ, ცხოვრება გაგეუბედურებინათ,  
საკუთარი პიროვნება გაგეთელათ,  
ოღონდ კი ეს სიმბოლოები შეგენარჩუ-  
ნებინათ. თქვენთვის სიმბოლოები უფ-  
რო მეტს ნიშნავს, ვიდრე საკუთარი ბი-  
როვნება, ღირსება, სიყვარული“...

„ხმა ჩაიწყვიტე!“  
ქალიშვილმა ხელი იტაცა ლოყაზე,  
სადაც უკვე წითლად ეხატა მამის თი-  
თები.

ხელის გარტყმის ხმას უმაღვე გადაე-  
ბა დედის საშინელი შეიკვლება.

შემდეგ...  
შემდეგ სტატიკური სცენა: განმუხ-  
ტული, გაშეშებული მამა, შვილს რომ  
საციოდავად მიშტერებია. ფეხზე წამო-  
ვარდნილი და გაქვავებული დედა, სა-  
სოწარკვეთილება რომ სახეზე შეპყნი-  
ვია და სრულიად დამშვიდებული ეკა-  
სიცი ფეხზე წამომდგარა, მამის გარტყ-  
მამ თითქოს გამოაფხიზლო, დამშვი-  
დებულ სახეზე ღიმილი გადაჰკვრია.

რას გამოხატავს ეკას ტუჩებზე გამო-  
სახული ღიმილი, სრულებით რომ არ  
ეპასუხება თვალეში ჩამდგარ კავშანს?  
სიბრაალულს?  
ირონიას?  
ზიზნს?

თვითონაც ვერ ავისხნით, რატომ გე-  
ვლიმა.

იქნებ სულაც არ გაუღიმიო? იქნებ  
ოდნავ ღიად დარჩენილმა ტუჩებმა შე-  
ქმნეს ღიმილის ილუზია?

არა, ეკას სახეზე ნამდვილი ღიმილი  
იყო აღბეჭდილი. ალბათ ტვინის რომე-  
ლიღაც უჯრედში მოთავსებულმა და  
მიეწყებულმა არარაობის განცდამ  
თავისი იმპულსური ენერგია გარდაქმ-  
ნა ღიმილად.

ღუმილი კარგა ხანს გაგრძელდა.  
ბოლოს ეკამ ფრთხილად ჩამოუშვა  
ლოყაზე მიდებული ხელი და თავისი  
ოთახისაკენ გაემართა. საწოლამდე არ  
მიუღწევია, ოთახის კარის გამოღება  
მთასწრო და იქვე ჩაიკეცა.

— ნოდარ, გიყვარს ვინმე?  
ეკას სიტყვებმა მაღალი ძაბვის დე-  
ნოვით დამიარა სხეულში და ელვის სი-  
სწრაფით წამომაჩინა. მოთენთილობა  
უმაღვე გაქრა, სადღაც გადაიკარგა.

ეკას თავი მუხლებზე იდაყვებით და-  
ყრდნობილ ხელეში ჩაერგო და ჩემს  
პასუხს ელოდა.

ერთხანს გულმოსულმა ვუყურე, მე-  
რე ისევ უკან გადავწყეკი, ხელები თავ-  
ქვეშ ამოვიღე და თვალეში ლურჯ ცას  
მივაპყარი. პასუხის გაცემა ზედმეტად  
ჩავთვალე.

პაუზა.  
გადამავიწყდა კიდევ, რა მკითხა ეკამ.  
უკვე სულ სხვა რამეზე ვფიქრობ. ერთ-  
მანეთთან დაუქავშირებელ, მაგრამ  
თითქოს მაინც რაღაც უხილავი ძაფით  
ერთმანეთთან დაკავშირებული ამბიდან  
ამბავზე ისე მოულოდნელად ვსტები,  
თითქოს მდინარეში ამოშვერილ ქვებ-  
ზე ხტომა-ხტომით გავდიოდე გაღმა.

— სერიოზულად გეკითხები, გიყვარს  
ვინმე?

ისევ წამოვკეკი, მარცხენა ხელი ეკას  
თმაში წაგავლე, ჩემსკენ შემოვებრუნე  
და თვალეში ჩავხედე.

— არა გრცხვენია?  
— აბა რა მოხდა ასე სწრაფად, ასე  
უეცრად?

— ვითომ უეცრად?

— მართალი ხარ! — (ხელი გამაშვე-  
ბინა) — ისე ვიყავი დაბრმავებული,  
ბოლო დღეებამდე ვერ გავიგე, რომ  
ჩვენს შორის ყველაფერი დამთავრდა.  
იქნებ ვინმე ვიყვარს? თქვი პირდაპირ.

— არავინ არ მიყვარს და არც ალა-  
რავინ შემეყვარდება, ეკა. თვითონ არ  
ვიცი, რა მემართება. გგონია, რომ შენს  
მიმართ გავცივდი და აღარ მიყვარხარ?  
თითქოს მართლაც აღარ მიყვარხარ,  
მაგრამ არ ვიცი, გავძლებ თუ არა უშე-  
ნოდ. არ ვიცი, რა მომივა, რა გაცდა  
შემიპყრობს, შენ რომ მიმატოვო. და-  
ვილაღე, ძალიან დავილაღე, გამოვიფი-  
ტე, სულში ჟანგი შემეპარა. უინტერე-  
სო და ინდიფერენტული გავხდი. ალა-  
რავერი აღარ მადლეგებს, უბრალო წი-  
ნააღმდეგობების გადასალახავადაც აღ-  
არ მყოფნის ენერგია, სასოწარკვეთი-  
ლება მიპყრობს. ზუსტად ვერ ვლაპა-  
რაობ, ზუსტად ვერ გამოვხატავ ჩემს  
სათქმელს. რამ დამალა, რამ გამომფი-  
ტა? არც ავადმყოფობას ვუჩივი, არც  
ენერჯის ნაკლებობას. აბა რამ მომა-  
დუნა სულიერად?

პაუზა.

სიგარეტი.

ეკას გაოცებული თვალები.

არაგვის გაღალმა მთა ისევ გახზა ქო-  
რის ჩრდილმა, მერე ჭალაში გადმოეშ-  
ვა და რიყეზე შავ ლაქად დაიდგენთა.  
მალა ავიხედე. ქორი ანაურისკენ  
მიფრინავდა, მიფრინავდა დინჯად, ლა-  
მაზად, ამაყად, თუკი ქორებს აქვთ სია-  
მაყის გრძნობა.

— დიდი ვნებათაღელვანი არასდროს  
განმიცდია, რომ მის სიმძიმეს გავტეხე  
სულიერად. არც რაიმე დიდი იმედი  
გამცრუებია. ჩემი ასაკისათვის შესა-  
შურ წარმატებას მივალწე მეცნიერე-  
ბაში. იქნებ მეტს ველოდი, მეტი მინ-  
დოდა და უკმარისობის გრძნობა დამე-  
უფლა? არა მგონია. სახელი და დიდება  
არასდროს მხიბლავდა.

პაუზა.

ისევ ეკას გაფართოებულ თვალები.

— იქნებ ჩვენს ირგვლივ გამეფე-

ბულმა გულცივობამ და განურჩევლო-  
ბამ გამოიტეხა გული, დღევანდელი ეჭო-  
ქის დაძაბულმა, ნერ-ვე-ბის დაწვე-  
ტამ-დე დაძაბულმა ცხოვრებამ რომ  
მოიტანა? იქნებ ყოველდღიურმა სიყა-  
ლბემ, ფარისევლობამ და დაუნდობლო-  
ბამ ჩვენი გონება, ჩვენი ემოციური  
წერტილები კამათელივით გაცივთა, ვა-  
დაშალა და გლუვი გახდა? არ ვიცი,  
ეკა, ვერაფერს გეტყვი. ერთი კია, ჩემს  
არსებაში ყველაფერმა აზრი დაკარგა.  
ყველაფერი არარაობაა, გესმის, ეკა,  
არა-რა-ობა!

გვრძნობ, თვალები წამომენთო, სა-  
ფეთქლები ამეწვა, სუნთქვა ამიჩქარდა.

— არ იფიქრო, ლევან გზირიშვილის  
თვითმკვლელობამ მიმიყვანა ამ გადა-  
წყვეტილებამდე. მოხუცი აკადემიკოსის  
უკანასკნელმა ნაბიჯმა მხოლოდ დამარ-  
წმუნა ჩემს სიმართლეში.

ღარბაზში სამასი კაცი მაინც იქნება,  
სამასი პირველხარისხოვანი ფიზიკოსი.  
ძნელია, ამდენი მალაღნიჭიერი, ინტე-  
ლექტუალური ადამიანი მოხიბლო, აი-  
ტაცო, შენს ტალღაზე გადაართო.

სცენის განაპირას ხის ტრიბუნა  
დგას. ჩვეულებრივი, სტანდარტული,  
უგემოვნო ტრიბუნა გვერდზე გაუჩო-  
ჩებიით და მიკროფონსაც ისე მოუჩანს  
თავი, თითქოს ტრიბუნაზე ბელურა და-  
სკუბებულაო.

აკადემიკოსი სცენის შუაგულში დამ-  
დგარა, მძიმე სავარძლის სახელურს ხე-  
ლით დაყრდნობია. მან შინაურული სა-  
უბარი არჩია, ტრიბუნისა და მიკროფო-  
ნის გარეშე. უკვე ორი საათია ლაპარა-  
კობს, სავარძელში ჯერაც არ ჩამჯდა-  
რა, თუმცა თვითონვე ისურვა, სავარ-  
ძელი დაედგათ სცენაზე. იქნებ სავარ-  
ძელი სულაც რეჟისორული დეტალია.  
სცენა შავი ფარდებითაა დაფარული.  
კაცი ერთბაშად რომ შემოსულიყო,  
ეგონებოდა აკადემიკოსი ლექსებს კი-  
თხულობსო.

ზურაბ შანჭიბიძე

აბდიშხი მზის წაღიწადი

მ. მარტენს სახ. ...

იგი დინჯად ლაპარაკობს, სასიამოვნო ბარიტონს უნაკლოდ არეგულირებს, აქცენტებს ოსტატურად სვამს, მსუბუქი იუმორი, მასვილგონიერული შედარებები, დროდადრო პაუზები ორგანულად ენაცვლება ერთმანეთს. მის მაღალ შუბლს, სათვალის უკან ხან აღვზნებულ, ხან მშვიდ, ხან კი ღიმილჩამდგარ თვალებს მაგიური ძალა შესწევთ აუდიტორიის დაპყრობისა. მერე და რა ოსტატურად ხმარობს ხელებს, რა ლაკონური, ელასტიური და მეტყველია მისი ყესტები. რამდენჯერ გვიჩაჩავს ორატორი თუ მსახიობი, ხელებისთვის რომ ვერაფერი მოუხერხებია. აშკარად გრძნობ, როგორ აწუხებს ხელები, არ იცის სად წაიღოს, სად გადაიშალოს. უსიამოვნო გრძნობა გიპყრობს, როცა ხედავ, რა უადგილოდ შლის ხელებს, რა უადგილოდ ასავსავებს ან გადაიჭდობს ხოლმე გულზე.

აკადემიკოსი სამოცდაორი წლისაა. ანაღვარდულ აღნაგობაზე ეტყობა, სპორტს მისდევს. შეიძლება რომელიმე ინსტრუმენტზე უკრავს, ალბათ ვიოლინოზე.

აკადემიკოსი პლაზმის უახლესი თეორიისა და უკანასკნელი ექსპერიმენტების სიახლეებს გვაცნობს. დაძაბული ვისმენ ჩვენი კოლეგების მიღწევების ამბებს და თანდათან ვერკვევი, რა გვხიბლავს ასე აკადემიკოსის საუბარში, აქამდე ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ფიზიკის საკითხებზე, თვით ყველაზე სენსაციურ აღმოჩენებზეც კი, წაკითხული ლექცია ცრემლს მომგვირდია.

პლაზმას ჩვენს საკვლევ სფეროსთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ მაინც საკმაოდ ვარ გათვითცნობიერებული ამ დარგის ფიზიკოსთა მიღწევებში. აკადემიკოსმა ბევრი საინტერესო სიახლე გვიამბო, მათი მნიშვნელობა და მეცნიერული სიღრმე უწვრილმანეს ნიუანსებამდე გავაცანო, პრობლემის გამოკვეთის საოცარი უნარით, თხრობის არტიტიზმით და აღმაველი რიტმით თითქოს სრულიად ახალ სამყაროში ჩავვახედა. ჩვენივენი ცნობილ საკითხებზეც კი დიდი გულსყუებით ვუსმენდი, რადგან აკადემიკოსმა მათი განზომილებები დაგვანახა, სიღრმე და სირთულე გვაგრძნობინა. არა, მარტო მეცნიერულ სიღრმეს და ზებგერითი თვითმფრინავის კონსტრუქციასავით ნათვ ლოგიკას არ მოგუხიბლივართ, აკადემიკოსის საუბარმა უპირველესად მისი პიროვნება გამოხატა. ვერავითარი ტექნიკური დანადგარის სრულყოფილება, ვერავითარი დიდი მეცნიერული ნაბიჯი ვერ მოცებს და ვერ მხიბლავს ისე, როგორც ადამიანის სრულყოფილება. არ მეგულება უფრო რთული პრობლემა ამ უკიდევანო სამყაროში, ვიდრე ადამიანის სულის პრობლემაა.

„ლოს ალამოსის ლაბორატორიაში ფორენ კუინმა მიიღო პლაზმა კელვინის სკალით ათი მილიონი გრადუსის სიმხურვალისა და გააჩერა ხუთ მემილიონედ წამს. — აკადემიკოსის ხმას საზეიმო, სატრიუმფო ინტონაცია შეეპარა, — ამერიკელმა მეცნიერმა განაცხადა „ათი მილიონი არაა საკმარისი, ეს მხოლოდ დასაწყისია, უნდა მივიღოთ პლაზმა ასი მილიონი გრადუსი სიმხურვალისა და სტაბილურ მდგომარეობაში უნდა გავაჩეროთ ორ მესამედ წამს.“ სულ ორიოდ თვის წინ, უფრო ზუსტად, 23 ნოემბერს, აკადემიკოს არციმოვიჩის ხელმძღვანელობით საბჭოთა ფიზიკოსებმა შესძლეს მიედლოთ ოცდაათი მილიონი გრადუსის სიმხურვალის პლაზმა და გაეჩერებინათ სტაბილურ მდგომარეობაში წამის ერთი ორმოცდამეათედის მანძილზე.

გადაიდა კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი. კაცობრიობას შეუძლია მშვიდად იყოს. ენერგეტიკული სიკვდილი არ ელოდება ჩვენს პლანეტას“.

აკადემიკოსის ხმამ ყველაზე მაღალ რეგისტრს მიადწია, ახლა იგი აღარ ეყრდნობა სავარძლის მსხვილ, მძიმე სახელურს. ლაპარაკის დროს აღარც რომელიმე მსმენელს უყურებს ისე, თითქოს მხოლოდ მას ელაპარაკებაო. აკადემიკოსის თვალებმა გაარღვია მეცნიერთა პატარა, მყუდრო კლუბის მუ-



ხის პანელებით მოპირკეთებული კედლები. ახლა იგი უკიდევანო სივრცეში, შორს, ძალიან შორს იცქირება.

„როდესაც ადამიანის გენიამ ამდენ წარმატებას მიაღწია, მით უფრო სამარცხვინოა და საშინელი ისეთი ცნებები, როგორცაა რასიზმი და კოლონიალიზმი. მით უფრო წარმოუდგენელია, რომ დღეს, ადამიანის აზრის ტრიუმფის ეპოქაში შრამნელითა და ტყვიით იხოცებიან უმწურო ბავშვები და ქალები, — წარმოვიდგინოთ, რომ დედამიწა არის გიგანტური საპაერო ხომალდი, რომლის ბორტზეც ოთხი მილიარდი „მგზავრია“. ყოველი „მგზავრი“ ვალდებულია იბრძოდეს თავისი ხომალდის უსაფრთხოებისათვის, რომელიც საშინელი სისწრაფით მიფრინავს უსიცოცხლო ზონაში. ადრე ფიქრობდნენ, რომ სიცოცხლის ფორმები არსებობდა აქვე, ჩვენი მზის სისტემაში, მარსსა და ვენერაზე. დღევანდელმა ტექნიკამ მკაცრი სინამდვილის წინაშე დაგვაყენა.

უფრო მეტიც: დედამიწის სატელევიზიო და რადიოსიგნალები წარმოქმნიან გაფართოებულ გამოსხივებას, რომლის რადიუსი კოსმოსში ამჟამად შეადგენს ოც სინათლის წელიწადს. გონიერი არსებანი, თუ ისინი მართლაც არსებობენ ჩვენი პლანეტიდან ამ რადიუსის ფარგლებში, უნდა დარწმუნდნენ ადამიანის არსებობაში დედამიწაზე, მაგრამ არავითარი დამადასტურებელი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ოცი სინათლის წელიწადის რადიუსში არიან დასახლებული პლანეტები. და თუ თავს ასე მართოდმართო წარმოვიდგინოთ ამ უკიდევანო სივრცეში, მით უმეტეს გვმართებს დახმარების ხელი გავუწოდოთ ერთმანეთს, მით უფრო გვმართებს გვიყვარდეს ჩვენი ცისფერი პლანეტა, „ღმერთის“ რჩეული, მოაზროვნე პლანეტა, რომლის წიაღშიც შექმნილი სულიერი და კულტურული ფასეულობანი ნაკლები საოცრება როდია, ვიდრე თვით შეუცნობელი და იღუმალი სამყარო.

ჩვენი დედამიწა ნამცეცია ამ სამყა-

როში, ხოლო ჩვენი სიცოცხლე წამყვანი მაგრამ ეს წამი მოაზროვნე ადამიანის წამია და იგი მილიარდობით სინათლის წელიწადების სივრცეებს სწვდება.

ადამიანი თითქოს არარაობაა კოსმოსური მასშტაბით, მაგრამ იგი თანდათანობით ეუფლება ამ მასშტაბებს, თანდათანობით იჭვრიტება მის საიდუმლო „სიკვრებში“.

„უნდა გაუძლო დროს, უნდა გწამდეს წამის მარადისობა“, — ამბობს შვეიცარიელი მწერალი მაქს ფრიში.

ასეთი წამი იყო, როდესაც ტოლსტოიმ საბოლოო წერტილი დაუსვა „პაჯი მურატს“.

ასეთი წამი იყო, როდესაც მესამე კლასის ინჟინერ-ექსპერტმა აინშტაინმა შვეიცარიის პატენტთა ბიუროში სამი ნაშრომი მიიტანა გამოსაქვეყნებლად. გავიხსენოთ მხოლოდ ორი, ერთში მოცემული იყო ფარდობითობის თეორია, მეორეში — ქვანტური თეორია.

ასეთი წამი იყო, როცა ლეონარდო და ვინჩი უკანასკნელად მოუსვა ყალბი ჯოკონდას.

ასეთი წამი იყო, როცა პირველად აიჭრა კოსმოსში იური გაგარინი.

ალბათ ასეთ წამზე თქვა გოეთემ: „შეჩერდი წამო, რა მშვენიერი ხარ!“

ბევრი ასეთი წამი იქნება ჩვენს პლანეტაზე, ის ყველას ექნება—დიდასაც და პატარასაც, მეცნიერსაც და ხელოვანსაც, გენიოსსაც და უბრალო ადამიანსაც.

„საკუთარი დრო ყოველთვის მომდევნო წამია“, — ასე აწერია ბერლინის რატუსას.

მომდევნო წამზე უნდა იზრუნოს მთელმა კაცობრიობამ. მომდევნო წამი პლანეტის ხვალისდელი დღეა!“

ფიზიკოსები ჯგუფ-ჯგუფად დგანან. რაღაცაზე დაობენ, კამათობენ, ხელებს ტემპერამენტთანად ამოძრავებენ.

გურამ ფანჯიკიძე  
აბდიშვილი მზის ფაღვარე



არაგისთან შეხვედრა არ მსურს, არაგისთან ლაპარაკი არ მინდა. საშინელი სურვილი მაქვს, გარეთ გავიდე და მარტო დავრჩე. სადმე ბაღში შევიდე, მარტომარტო ვისვინრო და ვიფიქრო, მღვლეარება დავიოკო, აკადემიკოსის ნაამბობი გავანალიზო.

ქუჩაში გავდივარ. სიცივე უმაღლვე ყელში მწვდა. მზიანი ამინდია, მაგრამ ინსტიტუტის კართან მიმაგრებული დიდი თერმომეტრი თხუთმეტ გრადუსს აჩვენებს ნულს ქვემოთ. კურჩატოვის ქუჩა სასწრაფოდ გადავჭერი და თავად რიაზანსკის სასახლის პარკისაკენ გავწიე. შემდეგ გადავფიქრე და მდინარე დღუნას სანაპიროს მივაშურე.

ახლა მარტო ვარ, სრულიად მარტო. ფიქრს არაფერი მიშლის. მდინარეს აღმა მივყვები, შემდეგ მექანიკურად ვბრუნდები უკან. დრო სწრაფად და შეუმჩნეველად მიდის. მე კი ისევ დავაბიჯებ აღმა-დაღმა. ზამთრის მზის უმწეო სხივები სუსხის მარწუხებს ვერაფერს აკლებს, მაგრამ მაინც მსიამოვნებს სახეზე მათი ლაციცი.

უნებური აღმოჩენა: ამდენი ხნის მანძილზე (ორი საათი მაინც იყო, რაც სანაპიროზე გამოვედი) მხოლოდ აკადემიკოსზე, მის პიროვნებაზე ვფიქრობდი. ერთხელაც არ გამხსენებია პლაზმა ან პლაზმის მისაღები აპარატები, ტოკამაკი თუ პელიოტრონი.

ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მეცნიერულმა აღმოჩენებმა კი არ დატოვა, არამედ პიროვნებამ, რომელმაც ისინი აღმოაჩინა, პიროვნებამ, რომლისთვისაც ყველა მიწიერი თუ ზეციური მეცნიერული პრობლემის გადაჭრას ერთი მიზანი აქვს — ღრმად ჩაიხედოს ადამიანის სულის ხვეულებში, გააფაქიზოს და სიყვარულით ააესოს იგი.

კაცობრიობის აღმავალი სელა ზნეობრივი სიწმინდისაკენ ყოველთვის უღმობელ ბრძოლებთან იყო დაკავშირებული და მხოლოდ ქვეშაობით, სულიერად წმინდა და ძლიერი ადამიანების დამსახურება კაცობრიობის განუხრ-

ლი პროგრესი მაგრამ ვინ იცის, რამდენი ადამიანის, ხშირად მთელი თაობების სისხლის ფასად ჯდებოდა იმ უსასრულო სიმაღლისაკენ მიმავალი ყოველი ახალი ნაბიჯი, რომელსაც ჰუმანიზმის, სულიერი სიწმინდის, კეთილშობილებისა და დიდსულოვნების გზა ჰქვია.

ვინ იცის, რამდენი მეცნიერის სიტოცხლის ფასად ჯდებოდა ქვეშაობითისაკენ ლტოლვა, დაუნახავის დანახვისა და ჩაუწყვდომელის ჩაწვდენისათვის ბრძოლა.

მოზღვაებული ენერჯია და ამალღებული განწყობილება ერთ აუწერელი ნეტარებით ავსებდა ჩემს სულს.

დიდ მიხვედრილობას ვერ დიტრახებდა ის გამვლელი, ვინც ჩემს სახეზე უზარმაზარ, საზეიმო ვნებათაღელვას ამოიკითხავდა.

სხეული, რომლის არსებობას ვეღარც კი ვგრძნობდი, გაყინულმა ხელებმა და ფეხებმა შემახსენა.

ინსტიტუტში გვიან მივბრუნდი. შენობის წინ უჩვეულოდ ბევრი მანქანა იდგა. ხალხიც ნერვიულად ფუსფუსებდა, დარბოდა. გულმა რეჩხი მიყო. ნაბიჯს ავუჩქარე.

— რა მოხდა? — ვეკითხები ერთს, შემფოთებული საღრაც რომ გარბის.

არ მპასუხობს.

— რა მოხდა? — ვეკითხები ახლა მეორეს, მანქანაში რომ ჯდება.

— შენ რა, არაფერი გაგიგია? — თქვა მან და მანქანაც დაიძრა.

— რა მოხდა? — მივაშურე ფიზიკოსების პატარა ჯგუფს, დაღონებულნი რომ იდგნენ ინსტიტუტის ეზოში.

დუმილი. ზედაც არ შემომხედეს.

— არ გესმით, რას გეკითხებით?! — გავცოფდი მე.

— დაწყნარდი, მეგობარო! — მითხრა ერთმა, მკლავში ხელი გამიყარა და გვერდზე გამიყვანა. — შენ რა, არ გავიგია? აკადემიკოსი დაიღუპა.

— როგორ თუ დაიღუპა?

— ძალთან უბრალოდ. სასტუმროში ფეხით ინება წასვლა. ქუჩაში კარნახს

ყინულის ლოლუა მოწყდა, თავზე და-  
ეცა და იქვე გაათავა.

— წარმოუდგენელია!

— მართალი ბრძანდებით, წარმოუ-  
დგენელია. — ამოიოხრა მან და ისევ  
მეგობრებთან მივიდა.

რა ვრძნობა დაძეუფლა? სასოწარ-  
კვეთა? შიში? უიმედობა? ვცდილობ-  
დი აღმედგინა შემდეგ გონებაში. ვე-  
რაფერი ვერ გავიხსენე და ვერაფერი  
ვერ აღვადგინე. ალბათ იმ წუთებში  
მთლიანად გამოვეთიე.

მერე...

მერე მე და სერგეი ერთ პატარა რეს-  
ტორანში ვისხედით, ღუბნის პირას. არ  
მასხოვს, როგორ შევხვდით ერთმან-  
ეთს. იქნებ დამინახა და მოვიდა ჩემ-  
თან? იქნებ მე დავინახე და დავუძახე  
ან პირდაპირ მივედი მასთან?

მასხოვს მხოლოდ ერთი ფრაზა, სერ-  
გეიმ რომ მითხრა:

— წამო, თითო ჭიქა დავლიოთ, თო-  
რემ შეიძლება გავგვიღდე!

— წარმოგიდგენია? ყინულის ლო-  
ლუა დასცემია. — მესმის მეზობელი  
მაგიდიდან გოგონას ხმა.

— ძალიან დიდი მეცნიერი ყოფილა!  
— ამბობს ვაჟი და ლიმონათს უსხამს.

— ამხელა მეცნიერს რა ფეხით სია-  
რული აუტყდა, მანქანით ვერ წავიდა  
სასტუმროში? — ამბობს მეორე ვაჟი.

ვერ გავარჩიე, დაცინვით წარმოსთ-  
ქვა ეს ფრაზა თუ გულდაწყვეტილი კა-  
ციის სიბრაზით.

სერგეის თითქოს არც ესმის მათი  
ხმა, იატაკს დაშტერებია და ღუმს.

უნებურად ერთი ამბავი მაგონდება.  
ბიძაჩემმა ზამთრის სიცივისაგან მომშ-  
თარ სკას თავი ახადა და ცარიელი ფი-  
ჭები ამოიღო. ყუთში დახოცილი ფუტ-  
კრების გორა დარჩა.

ტანში გამზარა.

უნებურად წარმოვიდგინე, დახოცი-  
ლი ფუტკრებივით როგორ დახვავებუ-  
ლა აკადემიკოსის თავში გარდაცვლილი  
აზრები.

გულმა ისევ იგრძნო ცივი მარწუხე-  
ბი. მისი ბლაგვი კლანჭები ნელ-ნელა  
ჩაემშვა სიღრმეში.

— სული მეხუთება, გავიდეთ აქედან!  
თითქმის მულარით ვეუბნები მეგობრებს  
სერგეიმ დაბნეულმა შემომხედდა,  
ერთბაშად ვერ გაერკვა, რა მოხდა. მე-  
რე რესტორნის დარბაზს მოავლო თვა-  
ლი, თითქოს გაუკვირდა, აქ როდის შე-  
მოვედითო და ფეხზე წამოდგა.

— როცა გიყვარდი, მაშინ ასე არ  
ლაპარაკობდი, ნოდარ!

— შეიძლება არ ვლაპარაკობდი, მაგ-  
რამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვფიქ-  
რობდი, იგივეს არ განვიცდიდი, დღეს  
რომ ასე მაწვალებს და სულს მიხუ-  
თავს.

— ეგ არაფერია. გავა დრო და ყვე-  
ლაფერი შეიცვლება. ჯერ თუ არ გამო-  
ჩენილა, მალე გამოჩნდება ქალიშვილი,  
მთელს შენს ღღევანდელ ფილოსოფიას  
რომ თავდაყირა დააყენებს. ისეთივე  
ხალისიანი და ენერგიული გახდები,  
თუნდაც ამ ერთი წლის წინ რომ იყავი.  
ისეთივე თბილი, ყურადღებით და სი-  
ყვარულით სავსე თვალები გექნება,  
ჩემთან პირველი შეხვედრისას რომ  
გქონდა.

— არა, ჩემო ეკა! — ჩავიცინე მწა-  
რედ, — ეგ დრო აღარ დადგება.

ვტყუი.

სასტიკად ვტყუი.

მაგრამ უნებურად. ამ ტყუილში არ  
მიდევს ბრალი. ამ წუთში, როცა ამ  
სიტყვებს ვამბობ, ნამდვილად მჯერა,  
რომ არასდროს აღარავინ შემეყვარდებ-  
და.

იქნებ ამ ორმა შემთხვევამ, შინაარ-  
სით რომ ტყუილის ცალივით ჰგვანან  
ერთმანეთს, მხოლოდ დროებით გამტე-  
ხა, იქნებ გავა დრო და ხალისი, მომავ-  
ლის რწმენა და იმედი ისევ დამიბრუნ-  
დება?

არა, ილუზია იქნება ამის დაჯერება.  
მაგრამ მაინც ვტყუივარ.

ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტი-  
ლი.

გურამ ფანჯიკიძე  
ამბიონი მშის წელიწადი



მე რაღაც ორმოცდაათხ დღეში, კერძოდ, ოცდაათ აგვისტოს, გავიცნობ ერთ ქალიშვილს, გავიცნობ მატარებელში.

ამ ამბავზე დღეს წარმოდგენაც არა მაქვს, ან საიდან უნდა ვიცოდე? მე იგი არასდროს მინახავს. ვერც ვნახავ ოცდაათი აგვისტოს დღიამდე.

განგებამ ასე დაადგინა, ჩვენი შეხვედრა გარდაუვალია. ეს მოხდება ოცდაათ აგვისტოს, არც ერთი დღით ადრე, არც ერთი დღით გვიან.

უცხოელი ფიზიკოსი, აკადემიიდან რომ გამაყოლებს ბათუმში, ორი დღის შემდეგ გავამგზავრე გენით იალტას.

სტუმარ-მასპინძლების ცერემონიალით გადაღლილი საღამოს თერთმეტ საათზე ვაგზალში ნაადრევად გავდივარ. თბილისისკენ მიმავალი მატარებელი ჯერ კიდევ არ ჩამომდგარა.

ბაქნის ბოლოსაკენ დინჯად მივამოქვებ. დაახლოებით იქ ჩერდება ხოლმე საერთაშორისო ვაგონი.

თერთმეტ საათზე სამანევრო ორთქლმავალშიც მოაყვია და მატარებელი ნელ-ნელა გაიჭიმა ლიანდაგზე. ვაგონში პირველი შევდივარ, თუმცა, ბუნებრივია, პირველი ვიქნებოდი. ჩემს მეტი ჯერ ვაგონთან არავინ მოსულა. გამცილებელს იმავე წუთში ვართმევ თეთრეულის პაკეტს.

ზედა ადგილი მაქვს. თეთრეული გავშალე და წამოვწეკი. ცხელა. ფანჯარა გავაღე, მაგრამ ნიავი არ იძვრის. მინდა დავიძინო. არაფერი გამომდის. შუბლზე მომსკდარ ოფლს ვაგონის პირსახოცით ვიწმენდ.

ბაქანზე ხმაური თანდათან მატულობს. ძილ-ღვიძილში ვარ. ვერა და ვერ ვიძინებ. ებორავ, გაოფლილ შუბლსა და მკერდს ესევ ვიმშრალე პირსახოცით.

ბაქანი ერთბაშად ახმაურდა. ძილი სულ გამიტყდა. საწოლზე ნერვიულად ვბრუნავ და ვიგრიხები.

უკვე მესმის მგზავრების ტყრციალი, ნაძალადევი მხიარულება და სიცილი.

მთვრალეების ხორხოცი, გამოსახულებები, შეძახილები. მგზავრებიც და გამცილებლებიც უმთავრესად თბილისელები არიან.

ვავონშიც ბევრი ამოვიდა. ერთმანეთში აირია ყაყანი და ჩემოდნების რახარუხი.

ჩემს კუბეშიც შემოყო თავი ერთმა გამხდარმა, საშუალო ტანის კაცმა. პატარა ჩემოდანი იქვე მიდგა და უმაღლე გარეთ გავარდა.

სიგარეტი.

ბოლს ფანჯარაში ვუშვებ.

გადაღმა ლიანდაგზე სატვირთო მატარებელი დგას, ხის მორებით და ავტომობილებით დატვირთული შემადგენლობა. უფრო უკან ბენზინის ცისტერნებია გამობმული.

ბოლო ორ ნაფაზს ზედიზედ ვუშვებ ფილტვებში და სიგარეტის ნამწვს ფანჯრიდან ვავადებ.

მერე გულალმა ვწვები. ყვითელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა წვება სხეულში.

თვალს ვხუჭავ, აღარაფერზე არ ვფიქრობ. მინდა ყველაფერს გამოვეთიო და დავიძინო.

ეპიზოდი უჩემოდ...

უეცრად ხალხის ყურადღება ერთმა ოცდასამი-ოცდაათი წლის ქალიშვილმა მიიპყრო. იგი ბაქანზე ნელი ნაბიჯებით შემოვიდა და ასევე ფეხაუჩქარებლად გაემართა მატარებლის ბოლოსაკენ, სადაც საერთაშორისო ვაგონი ეგულებოდა.

მიდიოდა ნელა, ამაყად, თითქოს ბაქანზე თავმეყრილ ხალხს ზემოთ იცქირებოდა, თითქოს ვერავის ამჩნევდა. თუმცა მისი თვალები შეუმჩნეველად დარბოდნენ მგზავრებისა და მათი გამცილებლების სახეებზე, მისი გონებაც წამიერად აღწუსხავდა ნაცნობთა გამოხედვას და ცდილობდა, მათთან შეხვედრას არიდებოდა. მიდიოდა და გრძნობდა, მის დანახვაზე როგორ ჩერდებოდნენ და ჩუმდებოდნენ ბაქანზე მხიარულად მოსაუბრენი. უკან



არ იხედებოდა, მაგრამ იცოდა, როგორ მიაცილებდა რამდენიმე ათეული წყვილი თვალი, ზოგი აშკარად, ზოგი მალულად. მიდიოდა და გრძობდა ჯინსებში გამოკვართულ მალალ თეძოებზე და ლამაზ კანკებზე როგორ ელამუნებოდა მამაკაცთა ვნებიანი მზერა.

მიდიოდა ნაზად, რბილად. მიწაზე ტერფს თანაბრად ადგამდა.

შიშველ სხეულზე ძალზე თხელი, მკერდამოჭრილი, უსახელო ცისფერი ჯემბრი ეცვა. ჯემბრის ქვეშ თითქოს უფრო ხანჯასმულად იგრძნობოდა მისი მკერდის სინორჩე და სიმკვრივე, მისი ლამაზი, დაჭიმული მუცელი.

ლამპიონების შუქზე შოკოლადისფრად უელავდა მზეზე გარუჯული სახე და გრძელი, მეტყველი მკლავები. მარცხენა მხარეს ჩანთა ჰქონდა გადაკიდებული, ჩანთაზე ლამაზად გადაედო დაკეცილი ჯინსის კურტაკი. დროდადრო მძიმე იაპონური საათითა და დაღესტნური ბეჭდით დამშვენებული მარჯვენა ხელით მუქ წაბლისფერ თმას ლამაზი მოძრაობით ზურგისკენ გადაიკედებდა ხოლმე.

სიცხისგან გათანგული ისევ ვბორავდა პირსახოცი თოფლიან შუბლს ვიმშრალე. მერე საათს დავყურებ, ჩვიდმეტ წუთში ვავალთ. სიგარეტს ნერვიულად ვუჭიდებ და ისევ ვიწვევი.

ყვითელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა წვება სხეულში.

მე მას მხოლოდ დილის ოთხ საათზე ვნახავ, როცა გორს გავცდებით. ზუსტად რვა საათისა და ორმოცდახუთი წუთის შემდეგ ნანა ჯანდიერი ჩემს კუბეში შემოვა. მანამდე მისი არსებობის ამბავიც კი არ მეცოდინება.

სიგარეტის ნაწვეს ხელუკუდმა ვისვრი ვავონის ღია ფანჯრიდან და სასოწარკვეთილი საათს დავყურებ.

კიდევ თოთხმეტი წუთი.

ქალიშვილი საერთაშორისო ვავონს მიუახლოვდა, ჯერ ნაბიჯი კიდევ უფრო შეანელა, ბოლოს ვავონის შესა-

სვლელის პირდაპირ გაჩერდა მოშორებით.

საერთაშორისო ვავონის შესასვლელთან გაცილებით ცოტა ხალხია ხოლმე, ვიდრე სხვა ვავონებთან. ამ ვავონის მგზავრები ასაკობრივადაც უფრო განსხვავებულნი არიან სხვა მგზავრებისაგან. ახლაც ხნიერები სკარბობენ, მათ შორის მხოლოდ ოთხი თუ ხუთია ახალგაზრდა.

ნანა ჯანდიერი რომ გამოჩნდა, წამიერი დუმილი იქაც უმალვე ჩამოვარდა, ყველამ ქალიშვილს შეაგლო თვალი, ქალმაც და კაცმაც.

მგზავრებს ეტყობათ, ვავონში ადგილები უკვე მონახული აქვთ და ბარგი ატანილი.

დამშვიდებულები ისევ ბაქანზე ჩამოსულან და მხიარულად საუბრობენ. ვავონში ობშივარივით ჩაწოლილ სიცხეს ისევ ბაქანზე დგომას ამჯობინებენ, გარეთ ოდნავ შესამჩნევი ნიავი მაინც ჰქრის.

ნანა კვლავ შორიასლოს დგას და გამცილებელ ქალთან არ მიდის. მგზავრები და გამცილებლები ისევ გაერთნენ საუბარში, მამაკაცებს თვალი მაინც ლამაზი ქალიშვილისკენ გაუბრბით. ზოგმა შეუშინებულად იცვალა მხარი და ისე დადგა, სავანგებოდ არ დასჭირებოდა მისკენ მიბრუნება.

ნანა ჯანდიერი თავისთვის დგას. თითქოს ისევ სხვათა შორის და უდარდელად იცქირება. მხოლოდ გამოცდილი თვალი თუ შეატყობს, რომ ღელავს, ყოყმანობს, რაღაც უნდა მოიმოქმედოს და ვერ გადაუწყვეტია, პირველი ნაბიჯი როგორ გადადგას. დროდადრო ვავონის გამცილებლისკენ აპარებს თვალს. ბოლოს, როცა იგი თავისუფალი შენიშნა, ჯიქურ მივიდა და ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ უთხრა:

„ქალბატონო, მე ბილეთი არა მაქვს, მაგრამ შეუძლებელია, რომ ხვალ დილით თბილისში არ ვიყო“.

გამცილებელმა ქალმა ალბათ გაო-



ცებით შეაგლო თვალი და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ამბობდა — როგორ, ბილეთი არა გაქვთ? თქვენი სილამაზის პატრონს ბილეთს ვინ დაგიკავებდათო.

გამცილებელმა ქალმა ფიქრობდა კი ვერ გაბედა ნანასთვის შენობით მიემართა.

ჯანდიერი მიუხვდა სათქმელს.

„თხოვნა და სხვისი შეწუხება არ მიყვარს, სალაროებში კი ბილეთები ორი კვირით ადრე გაყიდულა“.

„სიამოვნებით წაგიყვანთ, მაგრამ ხომ იცით, არც ერთი თავისუფალი ადგილი არ დარჩება“.

„არა უშავს, დერეფანში ვიქნები“.

„მთელი დამე?“

„ჰო, მთელი დამე, მაგისა ნუ გედარდებათ“.

— „ქარგით, ამოდით. ოღონდ რევიზორს რა ვუთხრა, არ ვიცი“.

„რევიზორს მე თვითონ აფუხსნი ჩემს გასაპირს“.

ნანა ჯანდიერს ღიმილი ისე მოუხდა, გამცილებელმა ველარაფერი თქვა.

ჯანდიერი შებრუნდა და ისევ განზე გადაგა.

გამცილებელი ქალი ალტაცებული შესტკეერის ქალიშვილის შთამბეჭდავ სახეს და ელასტიურ ფიგურას. ორმოცდაათს გადაცილებულ, სქელ, ულამაზო ქალს თან მისი სილამაზე ხიბლავს, თან რაღაც საოცარი ინტერესი იპყრობს. თითქოს უნდა, რაღაც საიდუმლოში გაერკვეს. ვერ წარმოუდგენია, ამ სილამაზის პატრონს ბათუმში ნაცნობები და თაყვანისმცემლები არ ჰყოლოდა, ან ბათუმლები, ან თბილისელები. თავს კი არ მოიკლავდნენ მისი ბილეთის საშოვნელად? ან რატომ არავენ აცილებს, თუნდაც ერთი ვაჟი ან ქალიშვილი მაინც?

ვაგონის შესასვლელთან შეჯგუფებული ხალხი მიხვდა, ქალიშვილი ჩვენი ვაგონით იმგზავრებსო. ორმა კაბუქმა ერთმანეთს ღიმილით ჩაუქრა თვალი, სხვა მამაკაცებს აშკარად არ გამოუხატავთ სიხარული, თუმცა იგრძნეს, სხეულში როგორ დაუბრათ სისამოვნო ჟრუნტელმა. რას ფიქრობდნენ? რას

მოელოდნენ? რისი იმედი ჰქონდათ ვერავენ ვერ გაცემდათ პასუხს ამ შეკითხვებზე, მაგრამ ცხადი იყო, ყველანი ხალხით აივსნენ. სასიამოვნო მოლოდინის გრძნობამ ყველას თვალები აუციმციმა.

სადგურის ზარის მელოდიურმა ხმამ მთელ ბაქანს გადაურბინა და შემდეგ სადღაც ხმაურში ჩაიკარგა.

ატყდა ხვევნა-კოცნა. აზრი აღდა მთელი ბაქანი. ყველამ ვაგონებს მიამუშრა.

გამცილებელმა ქალმა თვალით ნანა მონახა და ანიშნა, ვაგონში ამოდითო.

მგზავრები ახლა ფანჯრიდან იქნევენ ხელებს.

ოთხიოდე დარბაისელი კაცილა შემორჩენილიყო ვაგონის კიბესთან და ერთმანეთს უადგილო თავაზიანობით უთმობდნენ გზას. უცებ ერთმა შენიშნა, რომ მათ უკან ნანა ჯანდიერი იდგა. ქალიშვილის თვალებში გაკვეცილიმა დენმა ოთხივეს სხეული ერთბაშად დაიარა. ოთხივენი განზე გადაგნენ და სასაცილო მოკრძალებით დაუთმეს გზა ლამაზ ქალიშვილს. თან ხაზგასმული ზრდილობიანი მოძრაობით სთავაზობენ ხელს და კიბეზე ასვლაში ეშველებიან.

„გმადლობთ!“ — ცივად ამბობს ქალიშვილი და კიბეზე მკვირცხლად აღის.

იგი ვერ იტანს ხანში შესული მამაკაცების ყურადღებას. იცის, ეს ყურადღება მათი ზრდილობისა და კულტურის შედეგი არ არის. მათ თავაზიანობას გადაუყლაპავი ნერწყვის გემო დაჰკრავს.

ქალიშვილი ვაგონში შევიდა და ტილანში ფანჯარას აეკრა, ცდილობს, მოფუსფუსე მგზავრებს ხელი არ შეუშალოს. მერე, როცა სიცხემ შეაწუხა, ფანჯარა ბოლომდე ჩამოსწია და იდაყვებით დაეყრდნო.

მატარებელი ნელა დაიძრა. გამცილებლები ერთხანს კიდევ მისდევდნენ ვაგონს, მგზავრებს ხელს უქნევდნენ, გამოსამშვიდობებელ სიტყვებს მისძახოდნენ. ნანა ჯანდიერი ამ შეძახილებს, მატარებლის ბორბლების რიტმულ გუგუნს და მგზავრების ყაყანს მხოლოდ



ერთ მთლიან გუგუნად აღიქვამდა, ფიქრში წასული არც ერთ ძახილს და სიტყვას არ ათვითცნობიერებდა.

„ძალის ბედი გქონია!“ — მაინც დაიჭირა ერთი ფრაზა ქალიშვილის მგრანობიარე სმენამ.

იქით გაიხედა, საიდანაც ეს სიტყვები გაიგონა.

მაღალი, ჩასუქებული ქაბუჯი, სუნთქვა რომ უჭირდა, ნანა ჯანდიერზე თვალით ანიშნებდა იქვე გვერდით ფანჯარასთან უღარდელად მდგომ მეგობარს.

ნანა ჯანდიერს არც თავხედურად ნათქვამი ფრაზა ჩაუთვლია ყურადღების ღირსად, არც გვერდით მდგომი მოხდენილი ქაბუჯის კმაყოფილი, მრავლისმეტყველი ჩადიება.

მატარებელმა სიჩქარეს თანდათან უმატა. უკან დარჩა ვაგზალი თავისი აურზაურითა და საზეიმო ზრიალით. საერთო ხმაურში თანდათან და საფუძვლიანად გამოიკვეთა მატარებლის ბორბლების რიტმული დავადუგი.

მაღე ბათუმიც უკან მოიტოვეს. ქალიშვილმა საათს დახედა, თორმეტს ოცი წუთი აკლდა, მაგრამ დაძინებას არავინ ფიქროზდა. ყველანი ტალანში იდგნენ და ლაპარაკობდნენ, სიგარეტს აბოლებდნენ.

გამცილებელმა ქალმა მგზავრებს ბილეთები ჩამოართვა, ტყავის ჩანთაში ნომრების მიხედვით მოათავსა და თერთულის ჩამორიგებას შეუდგა.

ერთნა ქალარა, მსუქანმა კაცმა მეგობარს მსუნავი კილოთი გადაულაპარაკა:

„ნეტა ვის კუბეშია, შენთან ხომ არ მოხედა?“

„მე ვინ მომცა მაგის ბედი“.

„საინტერესოა, მაინც ვისთან მოხედა? შეიძლება კურო უკვე კუბეშია, ვითომ არც იცნობენ ერთმანეთს. ხვალ დილითაც ისე ჩაიბარება თბილისში, კაცი ვერ დაინახავს“.

„არა მგონია, არ ჰგავს მასეთს“.

„შენ მასწავლი ახლანდელი ქალიშვილების ამბავს? (პაუზა) მაინც რომელ კუბეში აქვს ადგილი?“

„რა მნიშვნელობა აქვს, ვადაუცხლის ვინმეს ადგილს.“

„ასე გგონია?“ — ელიმება ქალარას ირონიულად.

„ყოველ შემთხვევაში, გააჩნია, ვისთან მოხვდება. მე და შენ სათვალავში აღარა ვართ ჩასაგდები. ხომ ხედავ, ალმასივით ბიჭი უდგას გვერდზე“.

„ნაჩქარევე დასკვნებს ნუ ვაკეთებ. ეგეთ ქალიშვილებს, კაცმა არ იცის, ალმასივით ბიჭები უფრო უყვართ თუ ჯიბესავსე დარბაისელი მამაკაცები“.

ჯიბესავსე დარბაისელ მამაკაცში, ალბათ, თავის თავს გულისხმობს.

კუბეს კარი ქალარას მფულღემ გამოაღო.

„ლოგინი გავშალე, შემოდი, დაძინე“.

„შენ რას შლიდი, ის ქალი რაღას მიცეთებს!“ — ანიშნა გამცილებელზე.

„ის, ღმერთმა იცის, როდის მოაღწევდა ჩვენამდე. შემოდი, დაძინე“.

„მაცალე ცოტა ხანს!“.

ქალმა კარი შეიკეტა.

„მაინც საინტერესოა, ვის კუბეში მოხვდა“.

„ახლავე დავიზუსტებ“.

საშუალო ტანის პირხმელმა, ორმოცდაათს გადაცილებულმა კაცმა ჰალსტუხი შეისწორა და ვაგონის მეორე ბოლოსაკენ გაემართა. გზადაგზა გულმოდგინედ ზეერავს კუბეებს. ქალარა ყურადღებით ადევნებს თვალს. ჰალსტუხიანმა ქალიშვილს გვერდი ფრთხილად აუარა, ვაგონის ბოლოში გავიდა, კედელში დატანებულ ონკანთან დილაკს ხელი დააჭირა, წყალი მოუშვა და ჭიქა ტუჩებთან მიიტანა, თბილი წყალი უგემურად მოსევა, თან ქალიშვილს აკვირდება, ღია ფანჯრიდან შემოჭრილი ნიავი რომ ლამაზად უწყწავს თმას. წყალი კიდევ მოსევა, ჭიქა თავის ადგილზე ჩაღვა და მეგობრისკენ გაემართა.

„ბოდიში!“ — განსაკუთრებული თავზიანობით წარმოთქვა, ქალიშვილს რომ ფრთხილად ჩაუარა.

პუბლიკის წინადადება  
 აბრეშინი მისი წაღვიწახი

ნანა ჯანდიერს შეიძლება არც გაუგონია პალსტუხიანის მობოდიშება. ფანჯარაზე ხელმბდაყრდნობილი სივრცეში იქცირება. ფიქრები ვავონის ბორბლების რიტმის სინქრონულად ენაცვლებიან ერთმანეთს.

„როგორაა საქმე?“ — შორიდანვე თვალებით ჰკითხა ჭალარამ.

„მგონი, უბილეთოდ მგზავრობს“.

„რას ლაპარაკობ?! იმიტომია, ფანჯარასთან რომ დაერქო?“

„შეიძლება ვცდები“.

„თბილისამდე ასე უნდა იდგეს ფეხზე?“

„გამცილებელი ქალი დააბინავებს სადმე“.

„მაგაზე დაგვიდგეს ჯავრი, თუ არ დააბინავებს, — იცინის ჭალარა. — ძილი ნებისა“.

„ძილი ნებისა!“ — თქვა პალსტუხიანმა. ჯერ ქალიშვილს შეავლო თვალი და გულზე სევდამემოწოლილმა კუპეს კარი ფრთხილად შეაღო.

„ის ლამაზი ბიჭი ნელ-ნელა უჩოჩდება!“ — სინანულით გაიფიქრა ჭალარამ და მძინარე ცოლს გულამრეხილმა დახედა.

მატარებელი ქობულეთში გაჩერდა. ბაქანზე აქაც გნიასი იდგა, თუმცა საერთაშორისო ვავონთან არავინ მოსულა.

რამდენიმე წუთში ქობულეთიც თვალს მიეფარა. ზღვაზე გაჩირადნებული გემის სილუეტი მოჩანს. იგი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მიიწევს სილრმისაკენ, პატარავდება და სინათლეც აკლდება. ირგვლივ ბნელა, მხოლოდ მატარებლის ფანჯრებიდან გამომკრთალი სინათლე ეცემა ზღვის სანაპირო ზოლს. ელექტრონის შუქზე მოციმციმე ტალღები ოქროს თევზებივით თამაშობენ.

ნანა ჯანდიერი მშვენიერად გრძნობს, აღრე თუ გვიან მაღალი, ლამაზი ვაჟი აუცილებლად გამოელაპარაკება. მას ნუგზარი ჰქვია, ნანამ ვაჟის სახელი უკვე იცის. ათიოდე წუთის წინ მოჰყრა ყური, მეგობარმა რომ დაუძახა.

ვაჟი ჩემად დგას და ჩაბნელებულ სივრცეს ვაცქერის ჯიუტად. მანამდე აგრძნობინა მთელ ვავონს, ქალიშვილთან რომ არავის დაალაპარაკებდა, მაგრამ ხმის ამოღებას ჯერ თვითონაც ვერ შედგას.

ნანა ჯანდიერს გული მტკივნეულად ეკუმშებოდა მოსალოდნელი უსამოგონო საუბრის მოლოდინში. ერთი კი გაიფიქრა, სხვა ფანჯრისკენ ხომ არ გადავინაცვლო, მაგრამ უმაღლეს მიხედვა, ამ ვადანაცვლებით თავის ფიქრებს და მოლოდინს ვაცემდა.

უცებ მათ ზურგს უკან კუპეს კარი გაიღო.

„ნუგზარ, მაღლა დაწვეები თუ დაბლა?“ — ჰკითხა ვაჟს მეგობარმა.

„სულ ერთია!“ — სხვათა შორის ამბობს ნუგზარი. არც მობრუნებულა, კვლავ სივრცეს ვაცქერის დაუინებით.

„რა თქვი?“ — მეგობარმა მატარებლის ბორბლების ხმაურში ვერ გაიგო ნუგზარის ნათქვამი.

„სულ ერთია-მეთქი!“

ნუგზარმა ამჯერად თავი შემობრუნა და ტალანს გახედა. აღარავინ ჩანდა ერთი სპორტულ პიჯამაში გამოწყობილი კაცის გარდა. იგი ვავონის მეორე ბოლოში იდგა, სივარეტს ეწეოდა და კედელზე ზურგით მიყრდნობილი დროდადრო მათკენ იცქირებოდა.

ნუგზარმა იფიქრა, ახლა კი დროა, ქალიშვილს გამოველაპარაკო. მღელვარებამ შეიპყრო, საკუთარი გულის დაგაღუგის ხმაც გაიგონა, მატარებლის ბორბლების რიტმს რომ შესწყობოდა. ჯანდაბას, ცოტასაც დავიციდო, გადაწყვიტა გუნებაში, დამშვიდდა, თავისუფლად ამოისუნთქა და სივარეტი გააბოლა.

ნუგზარი მაღალი, ოდნავ გამხდარი ბიჭი იყო. ჭაბუკისთვის ზედმეტად ლამაზი სახე ჰქონდა. მამაკაცის ასეთი სილამაზე ცოტა უსიამო გრძნობას იწვევს ხოლმე ადამიანში. თავხედობა და უტიფრობა არ აკლდა ნუგზარს გამოხედვას, მაგრამ ახლა თვითონაც ვერ მიმხვდარიყო, რა ემართებოდა. ენა ებმე-



ბოდა და სიტყვის ამოღებას ვერ ბე-  
დავდა. მართლაც და დიდმა ეფექტმა,  
ნანა ჯანდიერის გამოჩენამ რომ მოახ-  
დინა, გათამამებული ყმაწვილიც კი შე-  
აერთო. მიხვდა, ახალგაზრდაც და ხან-  
ში შესული მამაკაცებიც სიამოვნებით  
გაცნობოდნენ ლამაზ ქალიშვილს, კი-  
დევ უფრო მეტი სიამოვნებით ვაათე-  
ნებდნენ მასთან საუბარში დამეს, მაგ-  
რამ ყველა კუბეში შეიკეტა. მხოლოდ  
ერთი, სპორტულ პიჯამაში გამოწყო-  
ბილი, მკერდჩავარდნილი კაცი ქაჩავდა  
სიგარეტს ვაგონის ბოლოში. იგი სათე-  
ლავეში არ იყო ჩასადები. ნუგზარი მი-  
ხვდა, ყველამ აღიარა მისი უპირატესო-  
ბა, ყველა ჩამოშორდა. ახლა მთავარი  
იყო, როგორმე მღელვარება დაეძლია  
და ლაპარაკი წამოეწყო.

ნუგზარს უკვე ეჭვი აღარ ეპარებო-  
და, ქალიშვილი რომ უბილეთოდ მგზავ-  
რობდა. გამცილებლის კუბეც ბავშვიან  
ქალს დაეკავებინა. ვაგონში მეტი ადგი-  
ლი არ იყო. აგვისტოს ბოლო რიცხვებ-  
ში, როცა დამსვენებლები თბილისისა-  
კენ მოისწრაფიან, სხვა ვაგონში ადგი-  
ლის შოვნა ზღაპარს ჰგავდა. ქალიშ-  
ვილს წასასვლელი არსად ჰქონდა და  
ნუგზარიც არ ჩქარობდა.

ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა,  
გამოველაპარაკებოთ. ასე მუნჯურად  
დგომაც უხერხული და სასაცილო ხდე-  
ბოდა. კინაღამ ბანალური შეკითხვა  
მისცა, უკაცრავად, რომელი საათიაო,  
მაგრამ თავი დროზე შეიკავა. მიხვდა,  
რა სასაცილო დღეში ჩავარდებოდა:  
თვითონ მშვენიერი შვეიცარიული საა-  
თი ეკეთა ხელზე.

გაცოფებულმა სიგარეტის ნაწივე  
ფანჯრიდან მოისროლა და კუბეში შე-  
ვიდა.

„რა ქენი, გაიცანი?“ — მეგობარი სა-  
წოლზე წამოვდა და ნუგზარს ცნობის-  
მოყვარეობით საესე თვალეში შეანათა.

„რა მეჩქარება, ჯერ ყველამ დაიძი-  
ნოს“.

„არაფინ დაგასწრთს!“

„ეგლა მაკლია!“ — ნუგზარმა დამცი-  
ნავად ჩაიციინა.

**ბიუბა.**

„ეტყობა, გარეთ მოგიწევს ღამის გა-  
თევა. ეტყობა კი არა, საეჭვო აღარაა, ვე-  
რია, პატივცემულს ბილეთი არა აქვს“.

ვითომ სხვათა შორის ნათქვამი ფრა-  
ზიდან „პატივცემული“ ისე ირონიუ-  
ლად გამოკრთა, თითქოს საქმე უკვე  
მოგვარებული ჰქონდა.

ნუგზარმა სარკეში ჩაიხედა, პერანგის  
ერთი ღილი კიდევ შეიხსნა, თმა შეის-  
წორა და ისევ ტალანში ვავიდა.

მკერდჩავარდნილი, პიჯამაში გამო-  
წყობილი კაცი ისევ ძველებურად დგას  
კედელს მიყრდნობილი. სიგარეტს აღარ  
ენწევა, მაგრამ კუბეში შესვლასაც, ეტ-  
ყობა, ჯერ არ აპირებს.

ჭაბუკმა გულში შეუტურთხა და ვა-  
გონის გამცილებლისაკენ გაემართა.

„უკაცრავად!“ — მორიდებით ეუბ-  
ნება ქალიშვილს და ფრთხილად უვლის  
გვერდს.

ნანამ იცოდა, ჭაბუკს თავისუფლად  
შეეძლო მხარის აქცევა, მაგრამ ფანჯა-  
რას მაინც აეკრა. მხოლოდ მისი სხეუ-  
ლის სხარტი შეზნეწევა თუ მიგახვედ-  
რებდათ, რომ მან გაიგონა ჭაბუკის ნა-  
თქვამი. ხმა არ ამოუღია, თავი ოდნა-  
ვადაც არ შემოუბრუნებია, ისევ ძვე-  
ლებურად იცქირებოდა ფანჯარაში, სა-  
დაც დროდადრო ლამპიონები გაიელ-  
ვებდნენ ხოლმე, უფრო იშვიათად ხი-  
დების რკინის ფერმები ვარბოდნენ  
თავბრუდამხვევი სისწრაფით, თითქოს  
ერთმანეთს ეჯიბრებინათ. ამ დროს ბო-  
რბლების რიტმული დაგადუგი უფრო  
მძლავრად და მკვეთრად ისმოდა. მერე  
რკინის ფერმა ერთბაშად მოიქნევდა  
კუდს და ბორბლების რიტმიც უფრო  
წყნარად და მოგუდულად ხვდებოდა  
ყურს.

ნუგზარი გამცილებელ ქალთან მივი-  
და, ახლაღა გაახსენდა, სათქმელი არა-  
ფერი ჰქონდა. დაიბნა და უკან ვაბ-  
რუნება დააპირა. გამცილებელი ქალი  
მოღლილი თვალეებით შეჰყურებდა.

„წყალი არა გაქვთ?“ — აკითხა მოუ-  
ლოდნელად.

**პურამ ფანჯიკიამ**  
**აქტიური მისი წილიწადი**



გამცილებელმა ქალმა უხმოდ დაანახა ჰაბუკის ზურგს უკან კედელში მოთავსებული ონკანი და ჭიქა.

ნუგზარმა თბილი წყალი ზიზღით მოსვა, ჭიქა იქვე მიდგა და თავისი უმწეობით გაღიზიანებული უკან გაბრუნდა.

„რა მემართება?“ — ეკითხება საკუთარ თავს და ნელა მიიწევს ნანა ჯანდიერისაკენ.

პიჟამიანი კაცი ისევ ჯიუტად იდგა ტალანში. ნუგზარს ბოღმა შემოაწვა, ერთი სული ჰქონდა, მივარდნილიყო და სილა გაეწნა.

„კიდევ უნდა შეგაწუხოთ“, — თქვა ალერსიანი ხმით, როცა ნანა ჯანდიერს გაუსწორდა.

ქალიშვილი წელანდელივით უხმოდ აეკრა ფანჯარას. ნუგზარმა ისე ფრთხილად აუარა გვერდი, თითქმის არც გაპკარებია. თავისი კუბეს წინ შეჩერდა და შეყოყმანდა. ვერ გადაეწყვიტა, კუბეში შესულიყო თუ, ბოლოს და ბოლოს, გამოლაპარაკებოდა. ჯერ პიჟამიანს გახედა გესლიანად. მათი თვალები წამიერად შეხვდნენ ერთმანეთს. გამხდარმა, შუახნის კაცმა თავი უმაღლე შეაბრუნა, ვითომ ვაგონის ფანჯრიდან იცქირებოდა და მათი არსებობა საერთოდ არ აინტერესებდა.

გაცოფებულმა ნუგზარმა ერთხანს კიდევ უყურა პიჟამიანს, მერე ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და ქალიშვილს მექაიკურად გაუწოდა.

„ხომ არ ინებებთ?“.

„გმაღლობთ“.

ქალიშვილის უარი ცივი და უიმედო იჩვენა, მაგრამ გუნება მაინც გამოუკეთდა, პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმული იყო.

„თქვენ მგონი ადგილი არ უნდა გქონდეთ,“ — წამოიწყო მცირეოდენი პაუზის შემდეგ.

კვლავ უიმედო დუმილი.

ნანა ჯანდიერი ისევ ჩაბნელებულ სივრცეს გასცქერის. ვაჟი თითქოს ხედავს, ფანჯარაში შემოჭრილი ნიავი

როგორ ეალერსება ქალიშვილის მთაკოლადისფრად გარუჯულ სახეს.

„თუ ისურვებთ, შემიძლია დაგიტოვოთ ჩემი ადგილი“.

დუმილი.

ნუგზარს ალბათ მოეჩვენა მატარებლის ბორბლების დავადუგში ქალიშვილმა ნათქვამი ვერ გაიგონაო და უფრო ხმაილადა უთხრა:

„თუ გნებავთ, დიდი სიამოვნებით დაგიტოვებთ ადგილს“.

„წელან რომ ბრძანეთ, მაშინაც მშვენივრად გავიგონე თქვენი თავაზიანი წინადადება“.

„მერე, რატომ არ მიპასუხებთ?“

„არ ღირს ჩემთვის ამოდენა მსხვერპლის გაღება“.

„პირიქით, თქვენი თანხმობით მხოლოდ დიდ სიამოვნებას მომანიჭებთ“.

ქალიშვილი უცებ შემობრუნდა, ცალი ფეხი მუხლში მოხარა და კედელს მიაყრდნო. ზურგით ნახევრად ღია ფანჯარას მიაწვა და ვაჟს თვალებში შეხედა. ნიავმა ვარეთ გაიტაცა მუქი წაბლისფერი თმა.

„ჩემს ნაცვლად რომ აქ მოხუცი ქალი იდგეს, მასაც დაუთმობდით ადგილს?“.

ნუგზარი დაიბნა, ასეთ შეკითხვას არ ელოდა. ქალიშვილს სასოწარკვეთილმა გაუსწორა თვალი.

„რატომ მეკითხებით?“

„ჯერ თქვენ გამეცით პასუხი შეკითხვაზე“.

„არ დავეუთმობდი!“

„ქარგია, რომ გულახდილად მიპასუხებთ. ახლა კუბეში შებრძანდით და დაიძინეთ!“.

ნანა ჯანდიერი ისევ შებრუნდა და ჩაბნელებულ სივრცეს კვლავ თვალი გაუშტერა. ვაჟის არსებობა თითქოს სამუდამოდ დაავიწყდა.

ნუგზარი გაშეშებული დგას. არ იცის, რა თქვას, რა მოიმოქმედოს. უცებ თითებშუა კარგა ხნის წინ გაჩრილ სიგარეტს დახედა, ჯიბიდან ასანთი ამოიღო, მოუტიდა და ნაფაზი დაარტყა.

„გულახდილად გეტყვით, ოღონდ



ცუდად ნუ გამოიგებთ,—თავის სილამაზე-  
ში დარწმუნებული და ქარაფშუტა ქა-  
ლიშვილებთან იოლ წარმატებებს მიჩვე-  
ული ჭაბუკის ხმას უჩვეულო თრთოლ-  
ვა შეეპარა. — თქვენ მართალი ბრძან-  
დებით. მოსტუც ქალს კი არა, ალბათ  
ინვალიდსაც არ დაუთმობდის ადვილს.  
ვტყობა, ჩვენ, ჩემს თაობას ვგულის-  
ხმობ (განმარტა იქვე), არ ვართ კარგად  
აღზრდილები. იქნებ არცა ვართ დამნა-  
შავე, იქნებ დრომ, დღევანდელი დღის  
ნერვიულმა რიტმმა გავაუხშემა? (ნუგ-  
ზარმა დაინახა, პიქამიანი კაცი თავვი-  
ვით შეძვრა კუბაში. ვახალისდა, კიდევ  
უფრო გათამამდა, ხმაში სილაღე მოე-  
მატა). თქვენ კი იმიტომ გითმობთ ად-  
გილს, რომ ძალიან მომეწონეთ.  
გაზოვთ, თავხედობაში არ ჩამომარ-  
თეთთ ეს სიტყვები. ნუთუ არა მაქვს  
უფლება, ადამიანი მომეწონოს და მის  
მიმართ თავაზიანობა გამოვიჩინო? ნუ-  
თუ ისე უნდა ჩავიდე ვაგონიდან, ქალი-  
შვილი, ასე რომ მომეწონა და სულით  
ხორცამდე შემძრა, ვერ გავიცნო? იქ-  
ნებ მეტჯერ ველარც კი შევხვდე, იქნებ  
მისი ასავალ-დასავალიც ვერ გავიგო?  
ნუთუ აუცილებელია მესამე პიროვნე-  
ბა, გაცნობის რიტუალს რომ შეასრუ-  
ლებდამ? ცხოვრებაში ყველა რიტუალი,  
ყველა შეხედულება ხომ პირობითია!  
ნუგზარი გაჩერდა. მისი თვალები  
გულწრფელად ელავდნენ. იქნებ ეს  
გულწრფელობა უნუგვეშო სიტუაციის  
შედეგი უფრო იყო, ვიდრე მისი შინა-  
განი ბუნებიდან გამომდინარე? შეიძ-  
ლება, მაგრამ ჭაბუკს სახეზე ისეთი  
გულუბრყვილო, გაბუტული ბავშვის სა-  
სიწარკვეთილი იერი დაედო, კაცს გუ-  
ლი აგრიუყდებოდა და მოფერება მო-  
ვინდებოდა.

„რასაკვირველია, თუკი თქვენც მოი-  
სურვებდით ჩემს გაცნობას!“ — დას-  
ძინა მცირეოდენი ზაუზის შემდეგ და  
სიგარეტი მოქაჩა. სიგარეტი ჩამქრალი-  
ყო. ჯიბეში კვლავ ასანთი მონახა.

ნანა ჯანდიერი დუმდა. ვაგონის ფან-  
ჯარაში შემოჭრილი ნიავი თმას ისევ  
უწეწავდა. ნუგზარი დაჟინებით მისჩე-

რებოდა. ქალიშვილი გრძობდა ვაგონს  
აღზნებულ მშერას, მაგრამ არაფრად  
ავდებდა.

მატარებელმა ნელ-ნელა სვლას უკ-  
ლო და გაჩერდა. ბაქანი წინ იყო, ბო-  
ლო ვაგონიდან არც კი მოჩანდა. ღამის  
სიჩუმეში აქამდეც აღწევდა ორიოდ  
მგზავრის თუ ვაგზლის მომსახურე პე-  
როსონალის ხმადაბალი საუბარი.

ნუგზარს გუნება მოეწამლა, მატარე-  
ბლის შეჩერებამ თითქოს დაწყებული  
საუბრის ინერციიდან ამოავდო. სიტუ-  
აცია კიდევ უფრო დაიძაბა და დაიმუხ-  
ტა.

ბედად, ვაგზლის ზარმაც ჩამოჰკრა.  
მატარებელი ნელა დაიძრა. ჯერ ოდ-  
ნავ წაუჭიაკავა, ვაგონები ერთმანეთს  
წაეჯახნენ, მერე სვლას უმატა და სამი-  
ოდე წუთის შემდეგ ბორბლების დაგა-  
დუგი ისევ ჩვეული რიტმით გაისმა.

უცებ უქანასკნელი კუპეს კარი გაი-  
ღო და გამხდარი, პიქამიანი კაცი  
კვლავ ტალანში გამოვიდა. სიგარეტი  
ბირში ჰქონდა გაჩრილი, ხელში ასან-  
თი ეჭირა. დინჯად ვაჭკრა და მოუკიდა.

ნუგზარს სიტყვა პირზე შეახსმა. არ  
უნდოდა პიქამიანი მიმხედარიყო, რომ  
ქალიშვილი არაფრად ავდებდა. თვი-  
თონაც ფანჯარას მიეყრდნო და ისე  
უდარდელად გაიხედა, ვითომც აქ არა-  
ფერიაო. გულში კი ბოღმა უტრიალებ-  
და. მისი გამხდარი ყბების დამტვრევა  
ალბათ უსაზღვრო სიამოვნებას მიანი-  
ჭებდა.

აშკარა იყო, პიქამიანი ქალიშვილს  
უთვალთვალებდა. თვითონ, შუახნის  
უსიმაპტიო, თითქმის მახინჯ კაცს, დი-  
დრონი თვალეები ავადმყოფურად რომ  
უელავდა, რისი იმედი უნდა ჰქონოდა?  
ალბათ ბოროტი ცნობისმოყვარეობა არ  
ასვენებდა.

ქალ-ვაჯი რომ კვლავ ერთად დაინა-  
ხა, სიგარეტი ნერვიულად მოისროლა  
და კუბეში შევიდა.

ნუგზარმა ერთხანს კიდევ უყურა

შურამ ზანჯიანიძე  
აბაშიძე რეზ. შალივაძე

ენერგიულად მიკეტელ კარს და მერე ისევ ქალიშვილს მიუბრუნდა.

„ძალიან ვთხოვთ, კუბეში შებრძანდეთ და დაიძინოთ. უხერხულობა რომ არ იგრძნოთ, ჩემს მგეგობარსაც გარეთ გამოვიყვანა“.

ნანა ჯანდიერი მიხვდა, ამჯერად ვაჟი ალალი იყო. მისი თრთოლვაშეპარული ხმის გაგონებაზე კინალამ გაელიმა, მაგრამ უმალვე იგრძნო, ერთი ხანმოკლე გაღიმებაც ჰაბუჯის გულს იმედებს ჩაუსახავდა და საქმეს სხვანაირად შეატრიალებდა.

„გემუდარებით, მარტო დამტოვეთ!“

„გემუდარებით“ სულაც არ იყო ისე ნათქვამი, ამ სიტყვის შინაარსს რომ შეეფერებოდა.

არ ვიცო, როდის ჩამეძინა, დადლილობამ თავისი გაიტანა.

დროდადრო სიცხე მაწუხებს. მაშინ, როცა მატარებელი რომელიმე სადგურში გაჩერდება ხოლმე.

ვბორავ, მაგრამ ძილს თავს მაინც ვერ ვართმევ. თითქოს შორიდან ჩამესმის მატარებლის მუხრუჭების ხრჭიალი, შემდეგ ვაგონების ნელი წაჯახების ხმა.

მერე ვილაც ვაგონების უზარმაზარ რკინის ბორბლებს ჩაქუჩის შემოკვრით ამოწმებს.

მერე სადგურის ზარი, გაბმული სტვენა.

ისევ ვაგონების ნელი წაჯახების ხმა.

შუბლს გრილი ნიავე ჩერ ოდნავ ესაღბუნება, მერე თანდათან მატულობს, სახეზე მეფერება, მელურსება, მერე მკერდში მიძვრება და სხეულს მიგრძობს.

ნანა ჯანდიერს ოცი წუთის შემდეგ დაეინახავ. მას უკვე ჩემს კუბეში სძინავს, ქვედა საწოლზე. ჩემი თანამგზავრი, რომლის ბრტყელ სახეს მატარებლის დაძვრამდე მხოლოდ წამიერად მოვკარი თვალი, გორში ჩასულა. გამცილებელ ქალს მაშინვე ჩვენს კუბეში შემოუყვანია ბათუმიდან გორამდე ფეხ-

ზე დგომით და უძილობით მოქანცული ქალიშვილი.

ღარა თხუთმეტი წუთი.

უთავბოლო სიზმრები ისე ირევა ერთმანეთში, როგორც სხვადასხვა კინოფილმების დაჭრილი ფიგურები.

რჩება ათი წუთი:

„შეიდი...“

ერთი...

თვალი ხეირიანად არ მაქვს გახელილი, მექანიკურად სიგარეტის კოლოფს ვეძებ. ვერ ვპოულობ. საწოლზე წამოვჯექი და შარვლის ჯიბეში უფრო საფუძვლიანად მოვაფათურე ხელი. მერე მაგონდება, სიგარეტის კოლოფი პატარა ბალიშის ქვეშ მაქვს ამოდებული.

ფანჯრიდან დილა იცქირება. კუბეში ოდნავდა ბუტავს ცისფერი ნათურის შუქი.

ბოლს ფანჯარაში ვუშვებ და უცებ გაცეცხული ვშემდები. თვალებს არ ვუჯერებ. დაბლა ულამაზეს ქალიშვილს სძინავს. თავდაღმა დამხობილი ბალიშს ლოყით დაბჯენია. ლამაზი თმა ბალიშზე მაროსავით გაუშლია. მზეზე გარუჯული მკლავები სხეულის სიჯანსაღეს უფრო მეტი ძალით წარმოაჩენს. ოდნავ გაღებული, განაწყენებული ბავშვივით გაბუტული ტუჩებიდან ფართო და თერთად მოელვარე კბილები მოუჩანს.

ერთხანს გაშტერებული დავყურებ. ვგრძნობ და თითქოს ვხედავ კიდევ, სხეული როგორ მეცხება ნეტარებით. სიგარეტს სწრაფად ვჭაჩავ. სამ ნაფაზს ზედიზედ ვურტყამ, ნამწვს ფანჯრიდან ვაგდებ და ტანსაცმელს ფრთხილად ვიცვამ. მეშინია, ქალიშვილი არ გავადვიძო. სპორტულ ჩანთაში ელექტროსაპარსს ვეძებ — მერე ცალ ხელს კედელს ვაბჯენ, მეორეთი საწოლს ვეყრდნობი და დაბლა ფრთხილად ჩამოვდივარ.

თვალში მხვდება ქალიშვილის ნატიფი ტერფები, ნაზი, ლამაზი ფეხის თითები. მხოლოდ ფეხსაცმელები გაუხდია და ჩაცმული წამოწოლილი.

საპირფარეშოს კარს ფრთხილად ვაღებ, წვერს ვიპარავ, პირს ვიბან და





თმას საგანგებოდ ვივარცხნი. დაღლილობისაგან და უძილობისაგან თვალები დამწითლებია. საათს დავცქერი, მხოლოდ ოთხი საათი მძინებია.

კარის სახელურს ფრთხილად ვატრიალებ. სარკისკენ ისევ გამიბრბის თვალი და კუბეში ფეხაკრეფით გამოვდივარ. კარს ფრთხილად ვხურავ და თვალს ქალიშვილისკენ ვაპარებ. შეეკრთი, ელექტროსაპარსი კინლამ ხელიდან გამივარდა. ქალიშვილი საწოლზე წამოძვარდა, იდაყვებით გრძელ, ჭინსში გამოკვართულ მუხლებს დაყრდნობია და უნტერესოდ მიცქერის.

— უაკრავად, მგონი, გაგაღვიძეთ, არა?

პასუხად ხანმოკლე ღიმილი გამოეხატა ბაგეზე.

— დილა მშვიდობისა!

— დილა მშვიდობისა!

წვერის საპარსს ჩანთაში ვდებ და საათს დავცქერი.

— რომელი საათია?

— შეიძის ხუთი წუთია.

პაუზა.

— არ ვიცი, რა გქნა.

უცებ სიგარეტი მაგონდება.

— ხომ არ ინებებთ?

— გმადლობთ, არ ვეწევი.

სიგარეტს ისევ კოლოფში ვდებ.

— მოსწიეთ, ნუ გერიდებათ.

მელოდიური ხმა ყურს საამოდ ელამუნება. მოპირდაპირე მხარეს მოთავსებულ სავარძელში ვკდები და სიგარეტს ენერგიულად ვჭაჩავ.

— შეიძლება, მხოლოდ ერთ შეკითხვაზე მიპასუხოთ?

ოდნავ შესამჩნევი ღიმილი და თანხმობის შემცველი გამოხედვა ერთბაშად მომხვდა თვალში.

— აქ საიდან ან როდის გაჩნდით?

ღიმილი უფრო ნათლად გამოესახა ბაგეზე.

პაუზა.

მერე უეცარი სევდა, უკვალოდ რომ წაშალა ქალიშვილის ლამაზ სახეზე მოსახული ღიმილი.

— თქვენი თანამგზავრი გორში ჩავიდა. მის ნაცვლად მე შემომიყვანეს კუბეში.

მცირეოდენი პაუზა.

უკანასკნელი ნაფაზი.

— გორში ამობრძანდით?

— თქვენ წელან მთხოვეთ, მხოლოდ ერთ შეკითხვაზე გამეცა პასუხი.

ქალიშვილის მელოდიურ ხმას სიფრიფანა ყინული გადაეკრა.

პაუზა.

გრძელი, გარუჭული მკლავები მაღალ კანკებს შემოაქდო და თავი მუხლებში ჩარგო. უსახელო თხელი ცისფერი ჯემპრის ქვეშ თითქოს ვხედავ ჭანსალი ხერხემლის მოქნილ მალებს.

ღუმილი თანდათან უხერხული ხდება.

— ხელს არ შეგიშლით, ტალანში გავალ, გეტყობათ, დაღლილი ბრძანდებით, თბილისამდე კიდევ მოასწრებთ დაძინებას.

კარს ვაღებ. ვგრძნობ, ქალიშვილის თვალები როგორ მომაცილებენ. ზურვით კედელს ვეყრდნობი და ფანჯრიდან ვიციკირები.

ჩემს შორის ახლა ერთი თხელი კარია. ნეტავ რას აკეთებს ან რას ფიქრობს? ისევ ისე ზის? რამდენი წლის იქნება? ალბათ ოცდასამის ან ოცდაოთხის. შეიძლება ოცდახუთისაც. ეპასუხობ საკუთარ შეკითხვებს და ვგრძნობ, ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი.

ეს ამბავი ორმოცდახუთი დღის შემდეგ მოხდება.

ახლა არავის ხეობაში ვზივარ და წარმოდგენაც არა მაქვს, თუ ნანა ჭანდიერი საერთოდ არსებობს ამ ქვეყანაზე.

გურამ შანუჩიძე  
აბაიური მზის წაღიწადი



— მაშ თქვენ თანახმა ხართ, ზურაბ გომართელი იყოს ინსტიტუტის დირექტორი?

მამუკა თორაძემ თქვენობითი ფორმით მომმართა და ვხვდები, საუბარიც ოფიციალურ სახეს მიიღებს.

მამუკა თორაძე...

მაღალი, წარმოსადეგი ჭაბუკი, თუ არ ვცდები, ოცდარვა წლისა.

გამოხედვა ენერგიული და ცივი. მზერას რომ დაგასობს, გრძნობ, სიციფე როგორ გასჭოლავს სხეულს.

თვალში აუცილებლად მოგხვდება ჭაბუკის მაღალი შუბლი, რომლის უკან თითქოს მშვენივრად ხედავ რობოტით მომუშავე უემოციო ტვინს.

სიჯიუტემდე მისული პრინციპულობით გამაღიზიანებლად მოქმედებს ადამიანებზე.

იქნებ სხვის მაგივრად ვლაპარაკობ? იქნებ მარტო ჩემზე მოქმედებს ახალგაზრდა ფიზიკოსის მიზანსწრაფული ხასიათი?

არა მგონია!

მამუკა თორაძე...

კარგი ექსპერიმენტატორი, საერთოდაც კარგი ფიზიკოსი. ერუდირებული, განათლებული, მაგრამ ვნებებისგან დაცლილი რაციონალისტი. მის დაქიმულ სხეულს რომ ვუყურებ, უსიამო გრძნობა მიპყრობს. დარწმუნებული ვარ, ნერვიული სისტემა უქანგავი ფოლადის ძაფებითა აქვს ნაქსოვი, იოლად რომ ვერაფერი შეარხვეს.

„მაშ თქვენ თანახმა ხართ, ზურაბ გომართელი იყოს ინსტიტუტის დირექტორი?“

ახლა იგი ჩემს წინ დგას, ჩვეულებიანებრ, გემოვნებით ჩაცმული.

მამუკა თორაძის ბუნებისათვის თითქოს შეუფერებელია და შეუთავსებელი მოდისადმი ზედმეტი ტრფიალი. ყოველთვის მაღიზიანებდა და მღლიდა ჭაბუკი ფიზიკოსის საზეიმო იერი. იქნებ ჩაცმაზე ყურადღების ასე გამახვი-

ლება მამუკას შინაგანი დისკომფორტი შედეგია? იქნებ ელვებანტურად ჩაცმა ისეთივე ჩვეულებად ექცა, როგორც ყოველდღიური ტუალეტი?!

„მაშ თქვენ თანახმა ხართ, ზურაბ გომართელი იყოს ინსტიტუტის დირექტორი?“

წელან დასმულ შეკითხვას დაფავე დაწერილივით ვხედავ საკმაოდ დიდი პაუზის შემდეგაც.

— არც მისი დანიშვნის მომხრე ვარ, არც წინააღმდეგი.

— ნუთუ თქვენ არ ვადღევებთ ინსტიტუტის ბედო? ან იქნებ ღირსეულ კანდიდატად მიგანჩიათ ზურაბ გომართელი?

— იცი, რას გეტყვი, — ვეუბნები ჩვეულებისამებრ მხოლოდობით რიცხვში, — აკადემიკოსის სიკვდილმა დიდი კარუსელი დაატრიალა. ეს კარუსელი უჩემოდ იბრუნებს და უჩემოდ გაჩერდება. მე არ ვარ მისი ნაწილი. მე ცალკე ვარ. მაქვს ჩემი ლაბორატორია, პრობლემები. მე მატერიის პირველსაფუძვლები მაინტერესებს და არა ცხოვრების ყოველდღიური ჭუჭყიანი წვრილმანი. მე პასუხი კაცი ვარ იმ სფეროში, რასაც ცხოვრება ან თუნდაც კარიერა ჰქვია (პაუზა, ნაფაზი), სასტიკად მაცოფებს ყოველდღიური ცხოვრებისეული სიყალბე. მაცოფებს საზოგადოება, რომელსაც ერთ ინსტრუმენტად აღვიქვამ, უზარმაზარ, აუწყობელ ინსტრუმენტად. ყველაზე მეტი სიმშვიდე მაშინ მეუფლება, როცა მთაში ვარ, ლაბორატორიაში, ან მანქანაში ვზივარ მარტოდმარტო და ტრასაზე მიექრთვარ (ნაფაზი. ყვითელი, ბლანტი შხამი ნელნელა წვეება სხეულში). სრულებით არ მაინტერესებს, ვინ იქნება ინსტიტუტის დირექტორი. ვინც ვინდათ, ის აირჩიეთ, ვინც ვინდათ, ის გააშავეთ.

— იქნებ, აღევლებული ბრძანდებით? იქნებ, ერთს ლაპარაკობთ, გულში კი მეორეს ფიქრობთ?



— ერთი რამ დამინახოვრე კარგად, საერთოდ, რასაც ვლაპარაკობ, იმასვე ვფიქრობ. ანდა პირიქით, რასაც ვფიქრობ, იმასვე ვლაპარაკობ.

სიგარეტის ნაწიწკს დიდ საფერფლევზე ვაგდებ და საათს დავცქერბი.

— დროა, წავიდეთ!

— სად?

— როგორ თუ სად?! პანაშვიდზე.

— ვის პანაშვიდზე!

— არ იცი, ვისი პანაშვილია დღეს?

— ახ, ჩვენი აკადემიკოსის?

მამუკა თორაძემ ეს სიტყვები როგორ წარმოსთქვა, არ დამინახავს, საწერი მაგიდის უკრას ვკეტავდი. ინტონაციასზე მივხვდი, ბავშვზე დამცინავი ღმილი გამოესახა. თავი ავწიე, არ მოგტყუებულვარ.

— დიახ, ჩვენი აკადემიკოსის! დგვიანება, ვფიქრობ, უხერხულია.

— განა თვითონ არ ამბობთ, ადამიანმა დღეს განსაკუთრებით უნდა იცოდესო დროის ფასი?

— დროის ფასის ცოდნა არ გაამართლებს ჩვენს საქციელს. ამ ქვეყანაზე გარდა დროისა, არსებობს ადამიანური ურთიერთობანიც.

— აკადემიკოსი გზირიშვილი უკვე მკვდარია. მკვდარს, ალბათ დამეთანხმებით, არ აინტერესებს ადამიანური ურთიერთობანი. დრო კი ძალზე ძვირი ღირს. დღეს ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ყველაფერი, მაგრამ არა აქვს დრო. ყოველ წუთს თვალისჩინივით უნდა გაფიქროს თბილისი. აკადემიკოსის პანაშვიდზე წასვლა მხოლოდ დროის დაკარგვაა. ლევან გზირიშვილი ახლა გაჭრილი კარტივითაა, სამუდამოდ გასული თამაშიდან.

— თქვენ, მამუკა თორაძემ (არ ვიცი, რატომ გადავედი თქვენობითზე, ალბათ იმ ირონიის ინერციით, ჩემს ხმაში რომ გამოსჭვიოდა), ასე შესანიშნავად რომ იცით დროის ფასი, ხომ არ გეჩვენებათ, რომ დაავიანეთ? ხალხი აკადემიკოსის გარდაცვალების პირველი წუთებიდანვე დარბის, საქმეებს აწყობს...

— ბატონო ნოდარ, ერთ რამეზე შევთანხმდეთ წინასწარ, თქვენს ხმაში ირონია შეეპარა. მე კი გულწრფელი საუბარი მწადია. არა იმიტომ, რომ განსაკუთრებულ ძმობას და ნდობას გიცხადებთ, არამედ იმიტომ, რომ საქმეს ახლა მხოლოდ გულწრფელი ლაპარაკი და ჭკვიანური მოქმედება არგებს.

რატომ აქამდე არ მოვიდა ჩემთან? რატომ აქამდე არ გამოუხატავს თავისი პოზიცია? ალბათ არ იყო საჭირო და იმიტომ. მამუკას ცივმა, პრაქტიკულმა გონებამ ეტყობა უკვე მისხალ-მისხალ აწონა ყველაფერი. მჯერა, რაკი აქამდე არაფერი უთქვამს, ესე იგი, არც იყო საჭირო. რაკი ჩემთან მოვიდა მოსალაპარაკებლად, უკვე დამდგარა პოზიციის გამოძკლავნების დრო. მამუკა თორაძე არასდროს არ იტყვის თერთმეტ საათსა და ორმოცდათხუთმეტ წუთზე იმას, რისი თქმაც საჭიროა ზუსტად თორმეტ საათზე. ვიცოდი, ადრე თუ გვიან იგი ჩემთან მოვიდოდა. მამუკას სჯერა, მე არ ვარ აკადემიკოსის სიკვდილით დატრიალებული კარუსელის ნაწილი, მაგრამ მშვენივრად იცის, ძალა შემწვევს მისი ბრუნვა ვარეგულირო. ერთი რამ მტკიცედ მჯერა, თვითონ ჯერ არც მოინდომებს ინსტიტუტის დირექტრობას, მამუკა თორაძეს ამისათვის არც ასაკი უწყობს ხელს და არც მეცნიერული დამსახურება. მამუკა მხოლოდ ახლა შეუდგა სადოქტორო დისერტაციისათვის საჭირო პრობლემის კვლევას. მაშ რა აწუხებს, რატომ არ მოსწონს ზურაბ გომარათელის კანდიდატურა? ან იქნებ შორეული მომავლის კონტურები ივარაუდა და განჭკვიტა მისი ტენიის რთულმა მექანიზმმა?

ცნობისმოყვარეობა შეუძინევლად, მაგრამ საფუძვლიანად დამეუფლა.

— გისმენ, მამუკა.

შენობითმა ფორმამ უფრო გულისხმიერი გახადა ჩემი კილო.

ზურაბ ფანჯიკიძე  
ახალიწიფი მუხი წამლიწადი



— ვიცი, თქვენ არ ისურვებთ ინსტიტუტის დირექტორობა, თუმცა ყველაზე უფრო ამჟამად თქვენ გერგებოდათ ეს თანამდებობა.

„ამჟამად!“ — ჩემმა ტენიმა ეს სიტყვა თავისი ყველა მნიშვნელობით ელვისებურად აღნუსხა და გააანალიზა.

— თქვენ ერთხელ კიდევ დამტკიცეთ, რომ ნადვილი მეცნიერი ბრძანდებით, შემოქმედი ექსპერიმენტატორი. ადმინისტრაციული სამუშაო თქვენთვის ჯერჯერობით მხოლოდ გაცდენა იქნება.

პაუზა.

ჩემი თვალები უძლებენ ახალგაზრდა ფიზიკოსის მრავალმნიშვნელოვან შემოხედვას.

— თქვენ გაქვთ კიდევ ერთი დიდი უპირატესობა. ძალიან ცოტა მტერი გყავთ...

— ბუნებრივია, მე ხომ ძალიან ცოტასთან ვმეგობრობ.

— დიდად ვაფასებ თქვენს მახვილკონიერებას.

პაუზა.

— ნება მიბოძეთ გკითხოთ, რატომ უჭერთ მხარს ზურაბ გომართელს?

— კიდევ ვიმეორებ, არც მხარს ვუჭერ და არც მისი წინააღმდეგი ვარ.

— ეგ უკვე მხარის დაჭერაა.

— ჩემთვის სულ ერთია, ვინ იქნება ინსტიტუტის დირექტორი.

— ჯერ ერთი, თქვენთვის არ უნდა იყოს სულ ერთი, ვინ უხელმძღვანელებს ამ ინსტიტუტს. მეორეც, თქვენთვის არაფერს არ ნიშნავს ინსტიტუტის ბედი? მისი თანამშრომლების ბედი?

— ზურაბ გომართელი საქმიანი კაცია. მუშაობაშიც არავის შეუშლის ხელს. ბოლოს და ბოლოს, აფთიაქის სასწორზე ხომ არ ავწონით ადამიანების ღირსება-ნაკლოვანებებს?! ვინც ინსტიტუტის დირექტორობის კანდიდატებად ითვლებიან, მეტ-ნაკლებად თანაბარნი არიან.

— ზურაბ გომართელი იმავე წუთში ჰკარგავს მასშტაბს, როგორც კი თავი-

სი ინსტიტუტიდან გავა, როგორც თანამშრომლებს გაშორდება. მასწავლებელს წარგვადგინოს ჩვენ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე? ლევან გზირიშვილს სხვა წონა და სხვა ფასი ჰქონდა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე.

— ლევან გზირიშვილი აღარ არის ცოცხალი. რაც შეეხება საერთაშორისო სიმპოზიუმებს, იქ ჩვენმა შრომებმა უნდა წარგვადგინონ და არა ზურაბ გომართელმა.

— გავლენას და ურთიერთობებს მაინც აქვს დიდი მნიშვნელობა.

— გეთანხმები, მაგრამ აღარ არის ცოცხალი ლევან გზირიშვილი. შენ... (პაუზა, ნაფაზი), შენ ვის ამჯობინებდი დირექტორის თანამდებობაზე? რაკი ჩემთან საუბარი მოისურვე, კანდიდატურაც შეარჩეული გეყოლება, ხოლო ყველა ნიუანსი — ვაზომილი და აწონილ-დაწონილი.

— დაცინვაზე არ გიპასუხებთ, შეკითხვაზე კი მოგახსენებთ: ბაზუფესორი ბეჟან გორდაძე.

— ბეჟან გორდაძე?

— დიხს, ბეჟან გორდაძე, ალბათ დამეთანხმებით, სოლიდური მეცნიერია. ფიზიკოსთა წრეებში პატივს სცემენ, მთელ კავშირში იცნობენ, რუსეთშიც დიდხანს მუშაობდა. ჩემზე უკეთ მოგესხენებათ, რამდენიმე საბჭოთა მეცნიერთან ერთად მონაწილეა ომეგამეზონის დაშლის ექსპერიმენტისა პიმეზონად და გამაქვანტად. აკადემიკოს გზირიშვილთან შედარებით, რა თქმა უნდა, ნაკლებმნიშვნელოვანი ფიგურაა, მაგრამ გაცილებით უფრო მეტიც, შეუდარებლად უფრო ავტორიტეტული, ვიდრე ზურაბ გომართელი.

პაუზა.

სკამზე ჩამოვჯექი და მამუკას შევხედე.

თვალი თვალში გამიყარა, მოთმინებით მელოდებოდა, რას ვიტყვი.

მისი მაღალი შუბლის უკან რიტმულად ბრუნავენ რთული მექანიზმის ბორბლები.



ვცდილობ გამოვიცნო მამუკა თორაძის ჩანაფიქრი, რატომ არ მოსწონს ზურაბ გომართელის კანდიდატურა? რამდენადაც ვიცი, ერთმანეთის მიმართ არასდროს ყოფილან ცუდად განწყობილნი. იქნებ გულწრფელად სჯერა, რომ ინსტიტუტს პროფესორი ბეჟან გორდაძე უფრო კარგად გაუძღვება? საეჭვოა. სამოცდახუთი წლის პროფესორი გაცილებით მეტს ავადმყოფობს, ვიდრე მის ასაკს შეეფერება. იქნებ ხანშესული პროფესორის სახელი და გვარი, მისი მეცნიერული ავტორიტეტი უფრო საჭიროა დღეს ინსტიტუტისათვის, ვიდრე ენერგიული, მაგრამ ფიზიკოსთა წრეებში თითქმის სრულიად უცნობი ახალგაზრდა მეცნიერი? არის კი პროფესორი ბეჟან გორდაძე ის მეცნიერი, ლევან გზირიშვილის ნახევარი წონა მაინც რომ ექნება? და საერთოდ ვცდილობ გამოვიცნო, საქმის სიყვარული ალაპარაკებს მამუკა თორაძეს თუ რაღაც შორეული მიზნები და გეგმები?

— ბეჟან გორდაძე, — ჩავილაპარაკე ჩემთვის და მაგიდას დაეხედე, — ვითომ შესძლებს, გაუძღვს ინსტიტუტს? თითქმის ნახევარჯერ აეადაა.

— ბეჟან გორდაძის ავადმყოფობა ხელს ვერ შეგვიშლის მუშაობაში. ჩვენ მისი სახელი და გვარი გვჭირდებოდა. წინასწარ ვიცი, რასაც მეტყვი, განა რა ასეთი ავტორიტეტი ახლანდელი პროფესორი. პასუხიც მზადა მაქვს. ბეჟან გორდაძეს გაცილებით მეტი წონა აქვს საკავშირო სარბივლზე, ვიდრე ზურაბ გომართელს. ბოლოს და ბოლოს, ბეჟან გორდაძე ჩვენ სამი წელი გვჭირდება კიდევ. მეტს იგი ვეღარც იცოცნლებს, ან სამუდამოდ დაუძღვრდება...

ჩვენი თვალეები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ალბათ ორი დიდი შეკითხვის ნიშანი დაინახა მამუკა თორაძემ ჩემს გაფართოებულ გუბებში.

— დიახ, პროფესორი ბეჟან გორდაძე განუკურნებელი სენითაა ავად. თვითონ არაფერი იცის. და საერთოდ,

ოჯახს გარდა, არავინ არ იცის მესი ავადმყოფობის ამბავი. უმორჩილესად გთხოვთ, რაც გითხარით, ჩვენს შორის დარჩეს.

პაუზა.

ყვითელი, ბლანტი შხამი ისევ ნელა წვება სხეულში.

— შენ საიდან იცი, პროფესორის ოჯახმა გაგანდო საიღუმლო?

— არა, ბიძაჩემი მკურნალობს ბატონ ბეჟანს.

— პროფესორი თანახმაა იკისროს ინსტიტუტის დირექტორობა?

— მე მიგხვდი თქვენი შეკითხვის მიზანს. გინდათ გაიგოთ, პროფესორმა ხომ არ მომაგზავნა თქვენთან მას მერე, რაც მე უკვე დამითანხმა, არა?

— ასეთი რთული ჩანაფიქრი არ დასდებია საფუძვლად ჩემს შეკითხვას. მე, უბრალოდ, მაინტერესებს, პროფესორი ბეჟან გორდაძე თანახმაა იყოს ინსტიტუტის დირექტორი?

— არ ვიცი. თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ თანახმა იქნება. პროფესორი გორდაძე ადამიანია. ადამიანებს კი, მოგვხსენებათ, გააჩნიათ ადამიანური სისუსტეები.

— გჯერა, რომ შენი ვარიანტი უკეთესია? ან იქნებ ამ ვარიანტს აქვს ვაგრძელება, რომელსაც არ მგუზუნები? მგონი, უკვე ვხვდები შენი ჩანაფიქრის აზრს. სამი წლის შემდეგ პროფესორი ბეჟან გორდაძე ან მოკვდება, ან ისე დაუძღვრდება, სამსახურს მიატოვებს. ამ სამი წლის შემდეგ შენ, მამუკა თორაძეს, სადოქტორო უკვე დაცული გექნება...

— დიახ, თქვენ გამოიცანით არცთუ ისე რთული ჩანაფიქრი, თუმცა საუბარი არ დაგვიმთავრებია და ყველაფრის თქმა ვერ მოვასწარი.

ვიგრძენი, უქანგავი ფოლადის ძაფებისაგან მოქსოვილი ნერვიული სის ტემა დაეძაბა და დაეჭიმა. თვალეებშიც

**გურამ ფანჯიკიძე**  
ახალიური მხის წელიწადი



ცეცხლი ჩაუდგა, თუმცა გარეგნულად მაინც შეინარჩუნა სიმშვიდე.

— თქვენ დღეს უარზე ხართ, იყოთ ინსტიტუტის დირექტორი. დღეს ძველებურად გიტაცებთ შემოქმედი ფიზიკოსის ცხოვრება. თქვენი გადაწყვეტილება ჰკვიანურია. მაგრამ რატომ გავიწყდებათ, რომ ოცდათხუთმეტ-ოცდათექვსმეტი წლის ასაკა ყველა ფიზიკოსმა ამოწურა თავისი შემოქმედებითი ენერგია?! თქვენ უკვე ოცდათხუთმეტი წლისა ხართ. დარწმუნებული ხართ, სამი წლის შემდეგ ისევ ამ გუნებაზე იქნებით? დარწმუნებული ხართ, არ მოგინდებთ იყოთ ხელმძღვანელი და გამოცდილი მეთაური შემოქმედებითი მუხტით სავსე ახალგაზრდობისა? აბა რატომ იკეტავთ გზას საბოლოოდ? თუ ზურაბ გომართელი დირექტორი განდგება, სულ ცოტა ოცი წელი ვეღარავინ შეცვლის ამ თანამდებობაზე. ზურაბ გომართელი არ იქნება ისეთი დირექტორი, რომელიც მოხსნი პირიქით, იგი ყოველთვის კარგი დირექტორი იქნება, მაგრამ ინსტიტუტს არასდროს აღარ ექნება ის დონე, ლევან გზირიშვილის სიცოცხლეში რომ ჰქონდა. ამ სამი დღის წინ მსოფლიო მასშტაბით ვიყავით ცნობილი, ახლა კი სადღაც ქვესკნელში გავადინეთ ზღართანა. ზურაბ გომართელი სანახევროდაც კი ვერ შეინარჩუნებს ინსტიტუტის სახელს. რატომ უნდა ვიჩქაროთ? გვქონდეს წინ სამი წელიწადი...

„გვქონდეს წინ სამი წელიწადი“...

საუბარი ჩემმა ღიმილმა შეაწყვეტინა, უნებურად რომ გამომესახა ბავშვზე.

— რატომ გელიმებათ?

— ისე, უბრალოდ გამეღიმა.

— მაინც?

მამუქას თვალბში ცეცხლი ჩაქრა. მისმა ცივმა მხერამ ჩემს სხეულში გაატანა.

— ბოლო ფრაზა მომიწონა.

— ძალიან კარგი, თუ მოგეწონათ. მაშინ უფრო თამამად გავიმეორებთ.

რატომ უნდა ვიჩქაროთ? გვქონდეს წინ სამი წელიწადი. სამი წელიწადი დღევანდელ ეპოქაში სამჯერ მეტია, ვიდრე ეს ათი წლის წინ იყო. სამ წელიწადში უფრო გამოიკვეთება, ვინაა დირსეული კანდიდატი ინსტიტუტის დირექტორობისა. და თუ მათ რიგებში მეც აღმოვჩნდები, ვერ დაგპირდებით, რომ თავზაინობას გამოვიჩინ. მეტნიერება თეატრის შესასვლელი კარი როდია, წინ უფროსები გაატარო.

— გულწრფელად მომწონს შენა გულახდილობა.

— ვიცი, რასაც გულისხმობთ ამ „გულახდილობაში“. გგონიათ, ჩემს თავზე ვზრუნავ, გგონიათ, შანსს ვიტოვებ, სამი წლის შემდეგ მეც განვაცხადო პრეტენზია დირექტორის პოსტზე. გგონიათ, ჩემი მომავლისათვის ჩავიფიქრე რთული სვლა. არა, ბ.ტონო ნოდარ, თქვენ ცდებით. ში საქმისთვის ვიბრძვი. მოხუცი აკადემიკოსი ძალიან ჩანმართლად გამოიყურებოდა. არც მის ტინის ეტყობოდა ასაკის უანგი. არავინ ელოდა, თუ იგი ერთ მშვენიერ დღეს თავს მოიკლადა. ჩვენს თანამშრომლებს შორის ფსიქოლოგიურად არც ერთი არ არის ახლა მზად, დაიკავოს ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობა. ჯერ არავის გამოუმტყავენებია ის თვისებები, ამოდენა კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელს რომ სჭირდება. ყველამ ისე შევისისხლხორცეთ ლევან გზირიშვილის პიროვნება, ისე ერთსულოვნად ვაღიარეთ ჩვენს ლიდერად და მეთაურად, აზრადაც არ მოგვდიოდა, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორობაზე გვეფიქრა. ჯერ არავის არ გამოუმტყავენებია ამ მართულეებით ნიჭი და უნარი. მე ვერ შეგბედავთ, აგისნათ სრულიად უბრალო ჰუმანიტება, რომ ერთია მეცნიერული ნიჭი, ხოლო მეორე — ნამდვილი ხელმძღვანელის ნიჭი. ჩვენს ინსტიტუტს იცნობენ თითქმის მთელ მსოფლიოში. არ შეიძლება ახლა მისი ხელმძღვანელის პოსტი დაიჭიროს კა-

ცმა, რომელსაც ჯერ არაფრით დაუმტკიცებია თავისი უპირატესობა. პროფესორ ბეჟან გორდაძის კანდიდატურა ერთადერთი გამოსავალი, ერთადერთი ხსნაა ახლა. სამწლიანი შუალედი გამოაცოცხლებს ჩვენს თანამშრომლებს, უფრო კარგად გამოკვეთს თითოეულ პიროვნებას. გაადვილებს მათში ლიდერის ბევრ ისეთ თვისებას, აკადემიკოს ლევან გზირიშვილის სიცოცხლეში რომ თვლემდა, მოხუცი მეცნიერის ავტორიტეტით დათრგუნვილი. ჩვენი ინსტიტუტის საქმიანობა ალპინ-ისტურ ექსპედიციად უნდა წარმოვიდგინოთ, მწვერვალისაკენ ჯვუფს ყველაზე გამოცდილი, ყველაზე თამამი და ძლიერი სპორტსმენი რომ მიუძღვის. თქვენი ირონიის პასუხად კი ერთს მოგახსენებთ, არც ერთ ღირსეულ კაცს წინ არ გადაუდგები, არაფერ უკადრისს არ ვიკადრებ, მაგრამ იმასაც გეტყვით, თუ უპირატესობას ვიგრძნობ, უკან არ დავიხევ, მეოცე საუკუნის მიწურულში მეცნიერებას თავაზიანობისათვის არ სცალია!

ხანგრძლივი პაუზა.

გდუმვარ, რადგან არ ვიცი, რა ვთქვა. ლაბორატორიაში ხმაური შემოიჭრა. ალბათ, რომელიმე უზარმაზარი ამწე გადააქვთ სპეციალური მანქანით. გუგუნნი და ზრიალი თანდათან გაძლიერდა.

მამუკა თორაძე მოთმინებით ელოდება, ლაბორატორიაში კვლავ როდის დაისადგურებს სიჩუმე.

სიგარეტი.

ხმაური მისუსტდა, სადაცაა მიწყდება კიდევ: ჯერ კიდევ არ ვიცი, რა ვთქვა. საშინელი განცდაა, როცა იცი, ადამიანი ერთდროულად მართალიცაა და მტყუანიც. ორი სრულიად სრავდასება ფერი — მართალი და ტყუილი — ერთმანეთში ისე აირია, აითქვიფა და აიზილა, რომ ძნელია, დაინახო ან გამოარჩიო მათი თავდაპირველი, საწყისი ფერები.

— შენი გეგმები, როგორ ფიქრობ,

არ შეურაცხყოფს პროფესორ ბეჟან გორდაძეს? — ამოვიღე ბოლოს ხელს: **საქართველოს მწერთა კავშირი**

— რატომ გგონიათ?

— იმიტომ, ჩემო ძვირფასო, რომ არ შეიძლება ამაგდარი მოხუცი მეცნიერი ბრმა იარაღად გამოიყენო.

— ბეჟან გორდაძე ვერასდროს ვერ გაიგებს, რატომ მოვიწოდებთ მისი დირექტორობა. პირიქით, გაიხარებს კიდევ, თავმოყვარეობის ქიასაც მოიკლავს. ბოლოს და ბოლოს, იმითაც ბედნიერი იქნება, რომ მოკვდება არა როგორც რიგითი პროფესორი, არამედ როგორც ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.

— შენ სასტიკი და უღმობელი კაცი ხარ, მამუკა!

— მე საქმის კაცი ვარ, ბატონო ნოდარ!

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიჯექი მართლ. ალბათ ათი-თორმეტი წუთი მაინც. მთელი ამ ხნის მანძილზე თვალგაშტერებული მივჩერებოდი მოპირდაპირე კედელზე ჩამოკიდებულ მოყვავისფრო დაფას. დაფაზე არაფერი ეწერა, მაგრამ მე მაინც, ვინ იცის, მერამდენედ, გკითხულობდი მამუკა თორაძის მიერ წარმოთქმულ უკანასკნელ ფრაზას: „თუ ჩემი ვარიანტი ჭკუაში არ დაგიკედეთ, გთხოვთ, საიდუმლოდ შეინახოთ დღევანდელი საუბრის თემა“.

ნელა წამოვდექი. ოთახის კარი გავიხურე და დაბლა ჩავედი. კიბეს დამლაგებელი ქალი ჰგვიდა, რომ დამინახა, გაჩერდა.

— გამარჯობათ! — ვეუბნები მექანიკურად.

— ღმერთმა გაგიმარჯოს, შვილო. მისი პასუხი არ გამიგონია, ვიცი, ჩვეულებისამებრ ასე მიპასუხებდა მისალმებაზე.

ინსტიტუტის ეზოში მანქანების სა-

გზარამ ფანჯიკიძე  
აჭაბუხი მზის წელიწადი

დგომზე მარტო ჩემი წითელი „ჭი-  
გულიდა“ იდგა. ცოცხალი არსებასა-  
ვით წემცოდა მარტოდ მიტოვებული  
მანქანა.

კარი ფრთხილად გამოვალე და საჭეს  
მივუჭექე. ძრავა არ ჩამირთავებდა,  
ორთავე ხელი შემოვხვიე და ხელ და-  
ვეყრდენი.

### თავი მეცხრე

ოთხი დღეა ეკა არ გამოჩენილა. პი-  
რველ დღეს თითქოს გამეხარდა კი-  
დეც, რომ არ მოვიდა. გულს სულაც  
არ დაჰკლებია ეკას ზარი, — ღილაკ-  
ზე თითის ორი ხანმოკლე, ფრთხილი  
მეხება.

მეხუთე დღეს ვეღარ ვისვენებ. დი-  
ლიდანვე ლოგინში ვწრიალებ.

„ნუთუ მაინც მიყვარს?“

„არა, სიყვარული არაფერ შუაშია.  
უბრალოდ, დაირღვა ცხოვრების სტე-  
რეოტიპი.“

ტელეფონის ყურმილი მძიმე და  
ბლაღვი მეჩვენება.

— ეკა, რატომ არ გამოჩნდი?

— ადამ ვარ.

— რა დაგემართა?

— ისეთი არაფერი.

პაუზა.

არ ვიცი, რა ვთქვა.

დუმილს არც ეკა არღვევს.

ყურმილში თითქოს მესმის ეკას მძი-  
მე სუნთქვა.

— ხომ არაფერს მიმაღავ. სერიო-  
ზული ხომ არაფერი გაწუხებს?

— ხომ გითხარი, სერიოზული არა-  
ფერია-მეთქი.

ეკას ვერ ვხედავ, მაგრამ გულმა მი-  
გრძნო, ამ ფრანსის წარმოთქმისას სევ-  
დამ და მწარე ირონიამ დაუნისლა სახე.

— ეკა!

— რა იყო, ნოდარ?

— წევხარ თუ ფეხზე ხარ?

დუმილი.

მღელვარებამ გულიდან დაიწყო  
სხეულში გავრცელება. თითქოს ტბაში  
ქვა ჩაადგესო, ისე დაიძრა წრიული  
ტალღები.

— ეკა!

— გისმენ, ნოდარ!

დავმშვიდდი. ნაცნობი, თბილი ინ-  
ტონაცია ვიგრძენი, ყოველთვის ღიმი-  
ლი რომ ამშვენებდა ხოლმე.

— შეგიძლია, ჩემთან მოხვიდე?

— მოვალ, ცოტა მოგვიანებით.

— არა, ახლავე წამოდი!

პასუხს აღარ ველოდები, ყურმილს  
სასწრაფოდ ვღებ ბერკეტზე.

მერე, ჩვეულებისამებრ, სიგარეტი.  
ყვიტელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა  
წვება სხეულში.

სიგარეტის ნამწვს საფერფლეზე ვაგ-  
დებ, საბაზანოში გავდივარ, წვერს  
ვიპარსავ და ტანზე ცივ წყალს ვივ-  
ლებ.

ზარის ნაცნობი ხმა. ორი წყვეტილი,  
სუსტი წყრიალი.

ეკას გულში ვიკრავ, ერთხანს ასე  
ვდგავართ კართან, მერე თვალებში  
ვკოცნი და ოთახში შემყავს.

— ისაუბმე? — ვეკითხები და  
ვიგრძნობ, გულში ერთი ძარღვი რო-  
გორ გაწყდა, — ეკას მღელვარებით  
დაჭიმული სახე მეუცხოვა, წითელი  
და მოლურჯო ფერი კანონზომიერად  
მონაცვლეობენ მის ლოყებზე.

— რა მოხდა, ეკა? — ვეკითხები  
გაოცებული და შეშფოთებული.  
დუმილი.

— რა მოხდა-მეთქი?! — ცუდად  
მეჩინა ეკას შიშამდგარი თვალები-  
დან გამოძვრთალი ნაღველი.

— არაფერი არ მომხდარა, უბრა-  
ლოდ, სუსტად ვარ.

— შენ რაღაცას მიმაღავ, ეკა!

ხელები თავზე მოვავლე და თვალე-  
ბში ჩავხედე. ეკამ თვალი მორჩილად  
გამისწორა და მშვიდიდ თქვა:

— ჩვენ შვილი გვეყოლება, ნოდარ!





წყალი საშინელი ძალით მიაწვა კაშხლის ვიწრო ნაპრალს, გაარღვია და ერთბაშად იხუელა. ნაპრალი თანდათან ფართოვდება, ბეტონის კედლებზე ახალი ბზარები ისე ჩნდება, თითქოს ელვის ნაკვალევი იხატებოდ. სადაცაა წყალი მთლიანად გაარღვევს კაშხალს და ერთიანად წალკავს ყველაფერს.

— ნოდარ, დამშვიდდი!

ეკამ ჩემი ხელების მარწუხებისაგან თავი გაინთავისუფლა და ფეხზე წამოიჭრა.

ბუნდოვნად ათვითნობიერებს ჩემი გონება — ალბათ ისეთი საშინელი გამოხედვა მაქვს, ქალს შიშით ლამის გულს წაუვიდეს.

— ნოდარ, ნოდარ, რა გემართება, დაწყნარდი... გეხუმრე, ნოდარ, გესმის, გეხუმრე...

ვიცი, ეკა არ ხუმრობს. ისიც ვიცი: მეტს აღარაფერს იტყვის, ამ თემაზე საუბარს არასდროს ჩამოაგდება, არც ბავშვი გაჩნდება.

გარღვეული კაშხალიდან მომსკდარი მღვრიე წყლის შხუილი აღარ მიხშობს გონებას, მაგრამ ბუნდოვნად ვგრძნობ, სხეული როგორ მეყინება, ჰაერის ცივი ნაკადი ისე შედის ტვინში, თითქოს კომპრესორით უბერავენ.

— ნოდარ, გეხუმრე, გესმის გეხუმრე!.. — შორიდან ჩამესმის ეკას სასოწარკვეთილი ტირილი.

წელან ეკა თითქოს აქ იყო, ჩემს გვერდით. ბუნდოვნად ვიგონებ, როგორ მეჭირა ხელებით მისი თავი, როგორ ჩავცქეროდი შეშინებულ, ჰკვიან თვალებში, ხელის გულები ისევ გრძნობენ მისი ლოყების სიმბურვალეს.

— ნოდარ, გეხუმრე...

ისევ შორიდან მოისმის ეკას ხმა. იგი იქ დარჩა, ჩემს სახლში, მე კი შორს ვარ, ძალიან შორს, კოსმოსურ ჰორიზონტს იქით, სადაც ყველაფერი სველ და ცივ ნისლს შთაუნთქავს. შეშინებული თვალებს ვხუტავ. თვალუწვდენელი სივრცე ერთბაშად ქრება და ყველაფერს შავი ფერი ედება.

— ნოდარ, ლოგინზე წამოწევი!

ჩემი სხეული დაჰიპნოზებულვით ემორჩილება ეკას ხმას, ბნელი გამოქვაბულიდან რომ მომესმის. თვალს არ ვახეი, მაგრამ საბოლოოდ გარღვეულ კაშხალს ისევ ვხედავ, ისე, ჩამესმის ყურში მოვარდნილი ტალახისფერი წყლის საშინელი შხუილი.

— ნოდარ!

ძლივს ვარჩევ სტიქიონის ღრიალში ეკას ხმას.

— ნოდარ, გონს მოდი!

ეკას ხმა ახლა სულ ახლოდან მომესმა. სხეულს სითბო შეეპარა, სტიქიონი თითქოს ერთბაშად დაწყნარდა და უჩვეულო სიჩუმე გამეფდა.

დამძიმებულ ქუთუთოებს ნელ-ნელა ვახეი. ჯერ ბუნდოვნად ვხედავ ეკას შეშინებულ სახეს. თვალებიდან დაპალუპით ჩამოსდის ცრემლი, ბავშვზე კი ღმილი გადაჰკვრია, ზუსტად ისე, გაზაფხულზე მზიან ღღეს რომ წამოწვივს ხოლმე.

— წყალი ხომ არ გინდა?

— ჰო, — ვეუბნები მე, თუმცა წყალი სრულებით არ მინდა.

ეკას საშხარეულოდან ჰქიტი მოაქვს წყალი. თვალს მის სხეულს ვუშტერებ, სადაც ჩემი სხეულის, ჩემი სიცოცხლის ნაწილი ფეთქავს.

სული ისევ მემღვრევა.

— დალიე, — მეუბნება ეკა და ჰქიას მაწვდის, თან ცდილობს. კისერზე ხელი ამომდოს და თავი წამომიწიოს.

წყალი არ მინდა, მაგრამ ერთ ყლუპს მაინც ვსვამ.

— გვერდით მომიწევი.

ეკა ჰქიას იქვე, სკამზე დებს და ჩემს სურვილს უხმოდ ემორჩილება. თვალებს ვხუტავ და მკერდში ვეხუტები. მსიამოვნებს ეკას სხეულის სითბო. ერთ წუთს არაფერზე არ ვფიქრობ, ყველაფერს ვეთიშები.

— მაპატიე, ნოდარ, გული ვატყინე.

გუგუნი ფანჯრიკი  
აბიძგის მხის ფალიფალი



ასეთ სისულელეს აღარასოდეს გეტყვი, არც შეილი გვეყოლება.

„არც შეილი გვეყოლება“, — თრთოლვით ნათქვამი სამსიტყვიანი ფრაზა აღარც მალეღებებს და აღარც მამშვიდებს.

— შევედი, არ უნდა მეოქვა. მე თვითონაც არ ვიცი, როგორ წამოვროშე. მაპატიე, რომ გული გატანე.

კაუზა.

— ვიცი, შეილზე არ უნდა მელაპარაკა. ჩვენი სასიყვარულო ურთიერთობა ხომ შეილს არ ითვალისწინებდა. ვგრძნობ, გული როგორ უფართქალებს. მკერდზე უფრო მაგრად ვეხუტები, მგონია, ამით შევაჩერებ მისი გულის უსისტემო და ძლიერ ფეთქვას. სიცხეა, მაგრამ მაინც მსიამოვნებს ეკას სხეულის სითბო. გული კი ისევ უფართხალებს, შეშინებული ფრინველივით აწყდება გალიის კედლებს.

ჩემი მკლავები უკვე გრძნობენ ეკას მოქნილ წელს, ყნოსვას ძველებურად მიღიზიანებს მისი სხეულის ნაცნობი სურნელება. რა ხანია ასეთი საოცარი ლტოლვა არ მიგრძნვია მისი სხეულისადმი. ჯერ ნელა, შემდეგ კი ვნებიანად ეკოცნი ქალიშვილის მკერდს, თვალდაუხუჭული ვეძებ ამობურცულ, წარსიდვარ ტუჩებს. ვგრძნობ, ჩვენი ხულები სინქრონულად აწყდებიან გალიის კედლებს.

— ნოდარ! — ცდილობს წინააღმდეგობის გაწევას ეკა.

ჩემი თითები იოლად პოულობენ თხელი კაბის ღილებს.

— ნოდარ, ნოდარ! — ეს სიტყვები მხოლოდ წელანდელი წინააღმდეგობის ინერციითაა ნათქვამი, მკლავები უკვე გრძნობენ ნეტარების მოლოდინით გაქდენილ მორჩილ სხეულს. შემდეგ ყველაფერი იბინდება და ოდნავდა ჩამესმის ეკას ვნებიანი, სინაზით აღსავსე სუსტი კვნესა.

მერე დუმილი.

გონება თანდათან მენისლება.

მხოლოდ ეკას სუსტი სუნთქვა არღ-

ვევს ირგვლივ დასაღვურებულ სიჩქმეს.

შემდეგ ვიოლინოს ნაღვლიანი ხმა.

ნაცნობი ძელოდია თითქოს შორიდან მოაქვს ნიავს.

ვიოლინოს ხმა თანდათან ძლიერდება. სცენაზე პატარა ბიჭუნა დგას, შავი ხავერდის მოკლე შარვალი და თეთრი პერანგი აცვია. ყელზეც თეთრი ბაფთა უქეთია. უკვიანი. და უღმობელი თვალები უცნაურად უბრწყინავს.

„მძინავს?“

ვიოლინოს ხმა მიწყდა. ნაცნობი ძელოდია სივრცეს შეერია და გაქრა.

„მღვიძავს?“

„იქნებ სულაც სიზმარს ვხედავ?“

სახეზე უდაბნოს ცხელი ქარი მცემს. დრო ქარავანივით მიდის. აშკარად ვხედავ დროს, ნისლივით ზანტად რომ მიიზლახნება.

დრო მიდის, მიდის ნელა, მაგრამ მტკიცედ და ჯიუტად. ვდგავარ და შევცქერბი, გველშაპავით როგორ მიათრებს უზარმაზარ რუხ სხეულს. მიდის და საღდაც მთებში იკარგება, არც თავი უჩანს, არც ბოლო. სურვილი მიპყრობს, ხელით შევეხო მის რუხ სხეულს, მაგრამ ვერ გამოიბედავს.

თვალუწვდენელ უდაბნოში სულიერი არაფერი ჩანს. გავარგარებულ ქვიშაზე მხოლოდ სიკვდილი გაწოლილა. მხოლოდ დრო მიიზლახნება და ზანტად მიათრევს რუხ სხეულს. ბოლოს მაინც ვებედავ და ხელით ვეხები მის უსასრულოდ გაჭიმულ მრგვალ სხეულს. შევკრთი, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ცხელ ორთქლში შევყავი ხელი.

ყური მატყუებს თუ ნამდვილად მომესმის ზანზალაკების ხმა? ცხელი წყლის შეხვებით დასველებული ხელი ფრთხილად გამოვიღე ტატით მიმავალი უზარმაზარი რუხი სხეულიდან და სმენად ვიქეცი.

— ნოდარ!

არა, ყური ნამდვილად არ მატყუებს. ვიდაც მეძახის, აქვე სულ ახლოდან მომესმა ძახილი, მერე თითქოს უდაბნოს ცხელმა ქარმა გაიტაცა ნაცნობი ხმა.



— ნოდარ, კართან ვილაცაა!

— რა თქვი?

— კართან ვილაცაა!

— ვინ ჯანდაბა უნდა იყოს.

ზარი მეორდება.

თვალს ზანტად ვახელ, მარცხენა ხელიგულით ოფლიან შუბლს ვიწმენდ.

— ნუ გავადებთ, ვითომ შინ არა ვართ.

— ოქნებ ვინ არის? — საბოლოოდ მოვდივარ გონს.

— მერე, შეგიძლია წამოდგომა?

— მეტი რა გზაა, უნდა შევეძლო.

— მე აბაზანაში შევალ, — ამბობს ეკა და კაბა თან მიაქვს.

ზარი, ხანგრძლივი და გულისგამაწვრილებელი ზარი. ვილაცის თითი ჯიუტად აწეება დილაკს.

ჩაცმით თავს არ ვიწუხებ, მხოლოდ ფეხები წავდგი ბოტასებში. ჰერ კიდევ არ გამოვფხიზლებულვარ ხეირიანად.

„ვინ ჯანდაბა უნდა იყოს?“ — ვფიქრობ და თან ვცდილობ გავიხსენო, ჩემს მეგობრებს შორის ვინ აჭერს ხოლმე ზარის დილაკს ასე ხანგრძლივად თითს.

კარს ნელა ვადებ.

ბაქანზე ვილაც კბაუჯი დგას და ღიმილით მიცქერის. ხელში დიპლომატის ჩემოდნისმავგარი პორთფელი უჭირავს.

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოთ! — ეპასუხობ უხალისოდ და დარწმუნებული ვარ, ვილაცაში ვერევი.

— შეიძლება? — მეკითხება საკმაოდ თავხედურად, ჩემს თანხმობას აღარ ელოდება და პოლში შემოსვლას აპირებს.

— ვინ გნებავთ?

— თქვენ, ნოდარ გელოვანი!

კბაუჯი უკვე ოთახშია. კარს ზანტად ვკეტავ, ოთახში შევდივარ და სავარძელში ვვდები. მისი უშინაარსო ღიმილი და თავხედობა მაღიზიანებს. სკამს განგებ არ ვთავაზობ.

— მე ჩვენი ახალგაზრდული გაზეთის კორესპონდენტი გახლავართ, ვიტალი სარაბაძე.

კბაუჯი ჩემს მიპატიებებს არ ელოდ-

ბა, ტაბლასთან უცერემონიოდ ჯდება პორთფელიდან სარედაქციო წიგნაკს იღებს და კალმისტრის კნობს ოსტატურად აჭერს ცერა თითს.

ბოლმა მაწეება, ერთი სული მაქვს, საყელოში ვტაცო ხელი და გარეთ გავთრიო.

სააბაზანოდან შხაპის ხმა მესმის. ნერვიულად ვდგები, შემინულ კარს ვხურავ, სიგარეტს ვუჭიდებ და ისევ სავარძელში ვვდები.

— რა გნებავთ? — ვეკითხები ცივად.

— ინტერვიუ მინდა ჩამოგართვათ. თქვენ ალბათ თვალყურს ადევნებთ ჩვენს გაზეთს...

— რომელ გაზეთს? — გადამვარდა გულიდან, რა მითხრა წედან.

ბოლოს და ბოლოს, ვიგებ რომელი გაზეთიდანაა და რა რუბრიკისთვის უნდა ჩემი ინტერვიუ. „ახალგაზრდა მეცნიერები“, — ასე ჰქვია თურმე რუბრიკას. არ მინდა ახალბედა კორესპონდენტს გული ვატყინო და ვუთხრა, ხუთი წელი მაინც იქნება, თქვენი გაზეთი არ წამიკითხავს-მეთქი.

— მაშ ასე, ბატონო ნოდარ, ჩვენი პირველი შეკითხვა ასეთია: რა ადგილი უჭირავს ფიზიკას დღევანდელი ადამიანის ცხოვრებაში?

— რა ადგილი უჭირავს ფიზიკას დღევანდელი ადამიანის ცხოვრებაში? — ვეკითხები გიას. იგი უკან ზის მანქანაში. ეკა ჩემს გვერდით მიყუყულა სავარძელში. მის უკან დათოს მანქანის კარი სანახევროდ გაუღია, ცალი ფეხი ბორდიურზე დაუბჯენია და უდარღველად ეწევა სიგარეტს.

ნუთუ უფრო არ უნდა დაგამწუხროს საყვარელი მასწავლებლის, სანიმუშო მეცნიერის და პიროვნების, ახლობელი ადამიანის სიკვდილმა?

ღვეან გზირიშვილის სახლის სადარბაზო შესასვლელთან უამრავი ხალხი

გურამ ფანჯიკიძე  
აბტიშინი მუის ფილიყაძე

ირევა. პანაშვიდი რვა საათზე დაიწყო. ახლა ცხრის ათი წუთია, მაგრამ შებინდებამდე ჯერ კიდევ შორსაა.

მანქანა მოშორებით ვაგაჩერე. არ მინდა ვინმემ დამინახოს.

— მაღლა არ ახვალ? — მეკითხება ეკა.

— რა მინდა მაღლა. ჭირისუფლებს არავის ვიცნობ.

— ჭირისუფალი შენ თვითონ უნდა იყო!

ეკა მართალია, მე თვითონ უნდა ვიყო ჭირისუფალი, მაგრამ მაღლა მაინც არ ავალ. თვითმკვლელობის წინ აკადემიკოსთან ყოფნამ ყურადღების შუაგულში მომაქცია. ყველა ინტერესით, ექვი-თაც კი მომჩერებია. ხარბ ცნობისმოყვარეობას ვერ იოკებენ, ათასგვარ დეტალს მეკითხებიან. უსიამოვნო შეკითხვის მოლოდინში ნერვიული ძრწოლა მიპყრობს. ვიცი, ჩემგან რაღაც არაბუნებრივი ამბის გაგებას ელიან. უბრალოდ მონაყოლი ვერ დააკმაყოფილებს უცნაური და საშინელი ამბის მომლოდინე ადამიანების ბუნებას.

— უხერხულია, ნოდარ!

— უხერხულია, მართალი ხარ, მაგრამ მე მაინც ვერ ავალ მაღლა.

პაუზა.

მანქანიდან გაცეკერი გაცხოველებით მოსაუბრე ხალხს, აკადემიკოსის თვითმკვლელობამ რომ გამოაცოცხლა მათი ცხოვრების ღუნე რიტმი.

— ბატონო გია, იქნებ ვერ გაიგეთ ჩემი შეკითხვა? სიამოვნებით გაგიმეორებთ: რა ადგილი უჭირავს ფიზიკას დღევანდელი ადამიანის ცხოვრებაში?

გია ისე დაბნეული შემომცქერის და ლურჯ თვალებს ისე უმწეოდ ახამხამებს, ერთი სული მაქვს, ვაზონში გადავიდე, ვარდი მოვგლიჯო და მოვუტანო.

— სერიოზულად მეკითხები?

— სრულიად სერიოზულად.

გია მაინც ჭიუტად ცდილობს, ჩემს სახეზე ამოიკითხოს, ვხუმრობ თუ მართლა ველოდები მეგობრის პასუხს.

უცებ სისხლი გამეყინა. წინ პატარა,

თეთრბადითიან ბიჭუნას მოვკარი თვალი. ხელში ვიოლინოს ფუტლითარაგებს და ჩვენსკენ მოაბიჯებს. მოკლე შარვალი აცვია, შავი ხავერდის მოკლე შარვალი. მალე მანქანას გაუსწორდა. თვალს ძრწოლვით ვაპარებ ტროტუარისაკენ.

მინდა თავი მოვებრუნო, მეშინია ნაც-ნობ თვალებს არ წავაწყდე, ჭკვიანს და უღმობელს, მაგრამ გრძნობას ვერ ვერევი, მაინც ვცდილობ სახეში შევხედო, უღმობელი, მკაცრი თვალები დავინახო.

ეკა მეფარება. არ მინდა მღელვარება შემამჩნიოს და მანქანის ფანჯრიდან ვითომ უღარდელად ვიციკირები.

როცა ბავშვი თვალს მიეფარა, ეკას მწველი და დაჟინებული მხერა ვიგრძენი.

„რა მოხდა?“ — მეკითხება თვალებით.

წინ გავიხედე. ვითომ ვერ გავიგე ეკას უხმო შეკითხვა.

თვალი მაინც სარკისკენ გამექცა. მხოლოდ წამიერად დავლანდე პატარა მუსიკოსი, მერე სარკის ჩარჩოებში მოქცეული მისი ნაზი ფიგურა ერთბაშად სარკიდან ამოხტა და გაუჩინარდა.

— მაინცდამაინც გაინტერესებს, რა ადგილი უჭირავს ფიზიკას ადამიანის ცხოვრებაში? — მეკითხება უეცრად დათო, თან სიგარეტის ნაწვევს შორიდან ოსტატურად აგდებს ურნაში.

— დიას, — გამოვერკვიე უცებ.

— ეგ შეკითხვა აკადემიკოს ლევან გზირიშვილისთვის უნდა მიგეცა, სანამ ტყვიას იგლოჯავდა შუბლში. გაცილებით შინაარსიან პასუხს გაცემდა, ვიდრე ბატონი გია.

„ტყვიას იგლოჯავდა შუბლში“.

უდიერად ნათქვამმა სიტყვებმა ტვინში დენივით გაიარა.

— რა ადგილი უჭირავს ფიზიკას ადამიანის ცხოვრებაში? — მეკითხება კორესპონდენტი, მაღალი, ქერა ქალი. გრძელი, ვაზნდარი ფეხები მრგვალი, დაბალი მაგიდის ქვეშ შეუწყვია. ორმოცი წლისა მაინც იქნება. დიდი, ოქროსფერი



სათვალე მის უსანდომო სახეს ინტელექტუალურ იერს აძლევს. ერთი შეხედვით ძალზე ეფექტურიცაა. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ ხვდებით, რომ არაფერი ლამაზი არა აქვს. უბრალოდ, ინტელიგენტის დახვეწილი მანერები, ჭკვიანი სახე და სწორი თმა მთლიანობაში მაინც ჰქმნიან სილამაზის ეფექტს.

რბილ სავარძელში გემრიელად მოკალათებული სივარეტს ვეწევი. ხილის კოქტეილით სავსე ჭიქა ტაბლაზე მიდგას. კორესპონდენტი მოპირდაპირე მხარეს ზის და კოქტეილს ნელა წრუშავს. თან ჩემი პასუხის მოლოდინში ყურადღებით შემომცქერის.

ირგვლივ უამრავი ხალხი ირევა. მსიამოვნებს უცხო გარემო. ლამაზი, თანამედროვე არქიტექტურით ნაგები სიღნეის უზარმაზარი, მაგრამ ამავე დროს ძალზე მყუდრო აეროპორტი. აქ ყველაფერი უცხოა, შენობაც, ხალხიც, ქვეყანაც. მომწონს გემოვნებით მოწყობილი და უძვირფასესი ხალიჩებით მოგებული ვესტიბიულები და დარბაზები. ყურში საამოდ ჩამესმის დიქტორის ხმა: „მოფრინდა თვითმფრინავი სინგაპურიდან“, „ცხადდება ჩასხდომა თვითმფრინავში მარშრუტით სიღნეი-ჯაკარტა-ჰონკონგი“. მსიამოვნებს მიმზიდველი და ეფექტური რეპორტიორი, ელვგანტურად ჩაცმული და საგანგებოდ შერჩეული საბაჟოს თანამშრომლები, იქნებ სხვას არ მოსწონს, აღიზიანებს და ნერვებზე შლის საბაჟოს ცოტა ბიუროკრატიული ცერემონიალი. მე მსიამოვნებს. თითქოს მომქანცველი პროცედურაა, მაგრამ მაინც მსიამოვნებს. აპარატების გასინჯვა, ვიზების შემოწმება, პასპორტში სახელმწიფოში შესვლის ნებართვის ბეჭდის ჩართვა, სახეზე მალული შემოხედვა, ნამდვილად შენი სურათია თუ არა პასპორტში ჩაერთული, აპარატურის ქვეშ გავლა, იარაღი ან კონტრაბანდა ხომ არ შეგაქვს უცხო სახელმწიფოში, მსიამოვნებს რაღაც ანკეტების შევსება, რომელთა დანიშნულება დღემდე ვერ გამიგია. მსიამოვ-

ნებს ყველაფერი, რაც კიდევ უფრო მაგრძნობინებს, რომ უცხო ქვეყანაში ვიმყოფები. სასაზღვრო-საბაჟო ცერემონიალი, სხვები რომ ფორმალობას ეძახიან, ჩემთვის უფრო თვალსაჩინოს ხდის უცხო სამყაროს, უცნობ გარემოში ფეხის შედგმის ამაღლელებელ წუთს. რამდენჯერ დამწყვეტია გული და უკმარისობის გრძობა დამუფლებია, როცა ხანდახან ყოველგვარი პროცედურის გარეშე გავსულვარი ხოლმე სასაზღვრო-საბაჟო ბარიერს იქით. უცხო სახელმწიფოში მარტივად და სრულიად უცერემონიოდ შებიჯება თითქოს აუბრალოებს, ჩვეულებრივს, მდორესა ხდის უცნობ, ცოტა საიდუმლოებით მოცულ სამყაროსთან შეხვედრის მღელვარე და სასიამოვნო მოლოდინით აღსავსე გრძნობას.

რესტორანი.

თითქმის ჩაბნელებული, საკმაროდ მოზრდილი, მაგრამ მყუდრო დარბაზი მეთხუთმეტე სართულზე.

ხალიჩებით მოგებულ იატაკზე უხმოდ მიმოდიან სმოკინგებში გამოწყობილი ოფიციატები. დარბაზს მკრთალი ლურჯი სინათლე ანათებს მხოლოდ. მისი ფართო, იატაკამდე დასული ფანჯრებიდან მთელ სივრცეზე მოჩანს განიერი ქუჩა, სიღნეის „ჰაიდ-პარკამდე“ რომ გაჭიმულა. უფრო იქით კი ათასფრად ელავენ სიღნეის სავაჭრო ცენტრის რეკლამები. მანქანებით გაქედოილ ქუჩაზე უწყვეტ ნაკადად ანათებენ წითელი „სტოპსიგნალები“.

კუთხეში, ფანჯრის ახლოს როიალს ღვინისფერფრაკიანი თმახუტუქა ბიჭი უხის. იქვე მიკროფონთან ვარდისფერკაბიანი ქალიშვილი როიალს დაყრდნობია. მეორე მიკროფონის დრეკადი საყრდენი ისეა როიალის კლავიატურისკენ გადაღუნული, რომ პიანისტი თითქმის ტუჩებით ეხება. მღერიან ხმადაბლა. სიმღერა ყურს არ გჭრის, პირიქით, გელამუნება, გვალერსება, თით-

გზარამ ფანჯრიდან  
აბნეობი ფისი წილიწაღი

ქოს შორიდან მოისმის. პირველად მე-  
გონა, მაგნიტოფონზე ჩაწერილ სიმღე-  
რებს ვისმენდით, მხოლოდ მერე შევამ-  
ჩინე როიალიც, თმახუჭუჭა ბიჭიც და  
გრძელკაბიანი ქალიშვილიც, ლურჯ სიბ-  
ნელეში საკმაოდ მომხიბვლელად რომ  
გამოიყურებოდა.

ჩვეულებრივი სვინგი.

ამდენი ფრენის შემდეგ მუსიკა თით-  
ქოს მამშვიდებს.

მაგიდას ორნი ვუსხედვართ, მე და  
საშა რუდენკო.

საშაც ვატრუნულა და ხმას არ იღებს.  
გაუთავებელი ფრენით მოქანცულს ეტ-  
ყობა, ჩემსავით სიამოვნებს წყნარი მე-  
ლოდია, ყურს რომ ისე ხვდება, თით-  
ქოს ქარს მოაქვსო შორიდან.

ბლიუზი.

ნაცნობი ბლიუზი. მაგრამ ვერ ვიხსე-  
ნებ, სად მომისმენია.

ჯაზი უკვე განვლილი ეტაპია, თუკი  
მე, ფიზიკოსს, უფლება მაქვს აზრი გა-  
მოვთქვა თანამედროვე მუსიკის ევო-  
ლუციასზე. ყოველ შემთხვევაში, ჩემში  
უკვე ძველმოდურ შთაბეჭდილებას  
ტოვებს. ახლა კი მსიამოვნებს, სული-  
ერად მამშვიდებს, ისედაც მყუდრო  
დარბაზს კიდევ უფრო ამყუდროებს,  
ინტიმით ავსებს. სიერთოდ, მყუდრო-  
ება, ეტყობა, გადამდებდა მოქმედებს  
ადამიანებზე. თითქმის ყველანი ჩემად  
ლაპარაკობენ. უფრო სწორად, ხმადა-  
ბალი სიცილი, ხანდახან რომ მოჰკრავ  
ყურს, უნებურად შეგახსენებს, დარბა-  
ზი რომ ხალხითაა სავსე.

ჩემად ვსვამთ, თუ ამას სმა ჰქვია,  
თან ხალხს ვათვალისწინებთ. საშა სულ  
ერთხელ მყავს ნანახი სერპუხოვოში.  
მოსკოვში, ავსტრალიაში სიმპოზიუმზე  
გამომგზავრების წინ აკადემიაში რომ  
შევხვდი, ერთბაშად ველარ ვიცანი,  
მაგრამ როგორც კი დაილაპარაკა, ჩემს  
ყურსა და ცნობიერებაში უმაღლვე აღს-  
დგა ხავერდოვანი ნაცნობი ტემბრი. სა-  
შასთან ყოფნა მსიამოვნებს. ეს მთავა-  
რია უცხოეთში ყოფნის დროს. ცუდმა,  
უხასიათო პარტნიორმა შეიძლება ერთ-  
იანად ჩაგაშხამოს სამახსოვრო დღეები.

საშა რუდენკო იდეალური პარტნიორ  
რია. მის მრავალ კარგ თვისებათაგან  
რის განსაკუთრებით ორი მხიბლავს, —  
ძალიან ცოტას ლაპარაკობს და არას-  
დროს არ ცდილობს თავისი სურვილე-  
ბი მოგახსიოს თავზე. თითქმის საათია,  
რესტორანში ვზივართ. ამ დროის მან-  
ძილზე მგონი მხოლოდ ერთხელ ამო-  
იღო ხმა, ჰო, დასაწყისშივე მკითხა, რა  
დავლიოთო. ვისკი-მეთქი, — ვუთხარი  
მე. არ ვიცი, ჩვენი სურვილი დაემთხვა  
ერთმანეთს თუ საშამ უბრალოდ ხასია-  
თი გამისწორა, თავისთვისაც ვისკი  
შეუყვება. მესამე ჭიქა მოვატანინეთ.  
მეცინება. ასე თბილისში ან მოსკოვში  
არასდროს დავლეგდით ვისკის. მხო-  
ლოდ მოხალული მიწის თხილი და ვის-  
კი გვიდგას მაგიდაზე, არავითარი სხვა  
დასაყოლებელი არ შეგვიკვებია, მაინც  
ძალზე გვსიამოვნებს ვისკის უმცირესი  
დოზების ნელ-ნელა წრუტვა. აქნებ იმ-  
ტომაც მსიამოვნებს, რომ კიდევ უფრო  
ხაზგასმულად ვგრძნობ უცხო ქვეყანას,  
უცხო გარემოსა და უჩვეულო ტრადი-  
ციებს? იქნებ მაინძილიც თამაშობს დიდ  
როლს ამ განწყობილების შექმნაში?  
ვთქვამთ, დამეუფლებოდა თუ არა უცხო  
ქვეყანაში, უცხო სამყაროში ყოფნისას,  
ნოსტალგიის ძლიერი დოზით შეზავე-  
ბული, მაგრამ მაინც უჩვეულო სიახ-  
ლესთან შეხვედრით აღძრული სასიამო-  
ვნო მღელვარება, ამაღლებული, სა-  
ზეიმო განწყობილება, ავსტრალია რომ  
ნახევარი საათის საფრენზე ყოფილიყო  
ჩვენი ქვეყნიდან? ყველაფერს ალბათ  
მით უფრო ემატება ელვარება, რაც  
უფრო შორსაა იგი, რაც უფრო უცხოა  
და მიუწვდომელი, რაც უფრო განსხვავ-  
ებულაა ცხოვრების ნორმები, ტრადი-  
ციები, შეხედულებები.

საშა სავარძელს მიყრდნობია, უფრო  
ზუსტად, რბილ სასურველზე ისეა გადა-  
წოლილი, აქაურ მანერებს რომ შეეფე-  
რება. ხელში გრძელი, ლამაზი ბრო-  
ლის ჭიქა უჭირავს და ვისკის წრუტავს.  
დროდადრო ორთავე სიგარეტს ვაბო-  
ლებთ. თითქოს ჩვენი ნიკოტინიანი  
ფილტვების ფაზები ერთმანეთს დაემთ-

ხგაო, სიგარეტს ორთავე ერთდროულად ვუკიდებთ ხოლმე.

მეოთხე ჭიქა.

ტანში სასიამოვნო ყრუანტელმა უფრო ენერგიულად დამიარა, სხეული შემიმსუბუქა. ვგრძნობ, ნელ-ნელა სასიამოვნო ბურანში ვეხვევი. კიდევ უფრო მეტად მომწონს რესტორნის მყუდრო დარბაზი, კიდევ უფრო მსიამოვნებს დარბაზში გამეფებული ლურჯი სიბნელე და სქელი მინის გადაღმა მობრდღვიანე რეკლამები. კიდევ უფრო დამამაშვიდებლად ხვდება ყურს ქალ-ვაჟის წყნარი სიმღერა.

დარბაზი თითქოს ერთბაშად გამოცოცხლდა.

ბლიუზი სწრაფმა რიტმმა შეცვალა.

რამდენიმე წყვილი წამოიშალა კიდევც.

ახლავა შევნიშნე, რომილის მახლობლად, პატარა ფართობი საცეკვაოდ იყო დატოვებული, ხალიჩა მხოლოდ იქ არ იყო მოგებული და ლურჯი სინათლის შუქზე მუხის პარკეტი უცნაურად ბრწყინავდა.

უცებ ნაცნობი სილუეტი დავლანდე შორიდან. საეჭვო აღარაფერია, ჩვენი ნაცნობი კორესპონდენტი გახლავთ, სიძნეის აეროპორტშივე ბარგის მიღებამდე რომ ჩამოგვართვა პატარა ინტერვიუ.

გრძელი, სათეატრო შავი კაბა აცვია. პრიალა ქსოვილიც, სამაჯურიც და მძივებიც ლურჯ შუქს თითქოს არ იკარებენ, ირეკლავენ და ვარსკვლავებივით ციმციმებენ. ხელში მოგრძო, შავი ფერის ტყავის ჩანთა უჭირავს.

კორესპონდენტი მეტრდოტელთან გაჩერდა და რაღაცას ეკითხება, თან შემჩნევილად დარბაზს ზეერავს. მეტრდოტელმაც დარბაზს მოავლო თვალი. მივხვდი, ჩვენ გვეძებს. ადგომა და შეგებება მინც ვერ გავებდე. ოტელში ჩვენს გარდა ხომ სხვა ფიზიკოსებიც ცხოვრობენ. ზოგიერთების უკვე ნაცნობ სახეებს დარბაზშიც ვხედავ აქა-იქ. იქნებ სულაც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ეძებს?

უცებ ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. კორესპონდენტმა უმეცრე გამიღიმა, ხელი დამიქნია და ჩვენი მაგიდისკენ გამოემართა.

მისმა მაღალმა, დახვეწილმა ფიგურამ საშვასაც მოსტაცა თვალი. მინაც უმაღვე იცნო ფართო ოქროსფერსათვალისანი ქერა ქალი.

ორთავენი ფეხზე წამოვდექით და კორესპონდენტს შევეგებეთ. თვალი ახლო მაგიდებს მოვავლე და სკამს დავუწყე ძებნა. ვერც კი დავინახე, როგორ განდა იქვე ოფიციალტი. მან გაწაფული მოძრაობით. სკამი მარჯვედ დადგა მაგიდასთან და კორესპონდენტს თავზიანი ღიმილით ანიშნა, დაბრძანდითო.

კორესპონდენტს დაჯდომა ვაცალეთ, მერე ჩვენც მივუსხედით მაგიდას. ოფიციალტი მოშორებით იდგა და შეკვეთას ელოდებოდა.

— რას ინებებთ? — ვკითხე ქალს თავზიანად.

— ფორთოხლის წვენი! — კორესპონდენტის სიტყვები პირდაპირ ოფიციალტისთვის იყო განკუთვნილი.

გრძელი, მოხდენილი თითები ხელჩანთა გახსნა და სიგარეტის კოლოფი ამოიღო. საშამ უმაღვე ჩვენებური სიგარეტი შესთავაზა. ქალმა თავისი სიგარეტის კოლოფი მაგიდაზე დადო და საშას კოლოფიდან ერთი სიგარეტი ამოიღო. საშამ უმაღვე კვესი აანთო. ქალმა თავი ოდნავ მაღლა ასწია, ბოლი ენერგიულად გაუშვა, შეიძლებაო, იკითხა მერე, საშას სიგარეტის კოლოფი აიღო და ყურადღებით დახედა.

ოფიციალტმა ფორთოხლის წვენი მოიტანა, შემდეგ მოკრძალებით უკან დაიხია, შებრუნდა და წავიდა.

ქალმა სიგარეტი საფერფლეზე დადო, ჩანთა ისევ გახსნა და გაზეთები მოგვაწოდა. ჩვენი ჩამოსვლა საკმაოდ უხვი ფოტოილუსტრაციებით გაეშუქებინათ. ერთ ფოტოში „კოკა-კოლას“ ვსვამ, მე-

გურამ ფანჯიკიძე  
აპაზიური მზის წელიწადი

ორეში ავტობუსის კიბეზე შემოდგამს ფეხი, მესამე უკვე სიმპოზიუმის დარბაზშია გადაღებული, ვიდაცას ვესაუბრები შესვენების დროს.

— კმაყოფილი თუ ბრძანდებით სიმპოზიუმის მუშაობით?

შეკითხვას კონკრეტული მისამართი არ ჰქონია, ორთავეს თანაბრად გვეხებოდა. საშას შევხედე და ვაგრძნობინე, შენ უბასუხე-მეთქი.

— სიმპოზიუმი ძალზე საინტერესოდ მიმდინარეობს.

სტანდარტულ შეკითხვას, ბუნებრივია, პასუხიც სტანდარტული მოჰყვა.

— როგორ ფიქრობთ, ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა მძიმე ტვირთად ხომ არ აწევბა ქვეყნის ეკონომიკას? იგი, რამდენადაც მე ვიცი, ძალზე ძვირად ღირებული მეცნიერებაა.

კორესპონდენტმა შეკითხვის დროს თვალი მე მომაპყრო. ბუნებრივია, შეკითხვა უშუალოდ ჩემსკენ იყო მიმართული. საშა რუდნეკოს არ შეუშინევია ქალის გამოხედვის მიმართულება და ისევ თვითონ პასუხობს.

— რას იზამ, მეცნიერება ხარჯებს ითხოვს. დღესდღეობით, ტექნიკისა და მეცნიერების მაღალი დონე საშუალებას გვაძლევს ურთულესი პრობლემები გადავჭრათ. ურთულესი პრობლემების გადასაჭრელად კი დიდძალი თანხებია საჭირო. განა პლანზმის ფიზიკა ნაკლებად ღირებული მეცნიერებაა? დიდი პრობლემის გადაჭრას ერთი დიდი უპირატესობაც გააჩნია, იგი გარკვეული დროის შემდეგ უხვად გვობრუნებს დანახარჯს. კაცობრიობა არასდროს არ რჩება წაგებული პრობლემებთან ჭიდილში. განა ცოტა დაიხარჯა თავის დროზე ატომური ენერჯის დამორჩილებისათვის? მაგრამ განა დღევანდელი დღე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ატომური ელექტროენერჯის გარეშე?

— რამდენადაც მე ვიცი, ატომური ელექტროენერჯის წილ მხოლოდ ოთხ-ნახევარი პროცენტი მოდის ტრადიციული გზით მთელ პლანეტაზე გამოშვებული ელექტროენერჯისა. ხოლო

ჩვენ, ავტორალიელებს და ჩვენს როგორც ახალ ზელანდიას, ინდონეზიას თუ პოლინეზიას ჯერ არ დაგვინარჩავს ატომური ელექტროენერჯის არც ერთი კილოვატი.

— მართალი ბრძანდებით, დღესდღეობით მხოლოდ ხუთი პროცენტი (დაახუსტა საშამ) ატომური ელექტროენერჯის წილი საერთო ბალანსში, მაგრამ არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ორი ათეული წლის შემდეგ იგი ოც პროცენტამდე გაიზრდება.

— როგორ გგონიათ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხომ არ იგლოპრიორიტეტი ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკურ კვლევაში? — შეატრიალა საკითხი კორესპონდენტმა, უფრო სწორად, გააგრძელა თავში დაწყებული საუბარი, საშამ რომ უნებურად სხვა სფეროში გადაიტანა.

ცარიელ ჭიქას ჩავცქერი და თან პასუხისათვის ვეშხადები. უმაღლე ოფიციალენტი აისვენა მაგიდასთან.

— ვისკის ხომ არ მიირთმევთ? — ვეკითხები კორესპონდენტს.

— არა, გმადლობთ.

— ორი ვისკი, ერთიც ფორთოხლის წვენი.

ოფიციალენტი თავი მორჩილად დაგვიკრა და წავიდა. არც ერთხელ განსხვავებული არ ყოფილა მისი მოძრაობა, დიმილი, თანხმობის ნიშნად თავის დაკვრა. კარგად დაპროგრამებული მანქანასავით მოქმედებდა.

კორესპონდენტი სიგარეტს ეწეოდა და მოთმინებით ელოდა პასუხს.

— თქვენ ასე ფიქრობთ? — შეკითხვაზე შეკითხვითვე მივმართე მე.

— რამდენადაც ვიცი, ღუბნის სინქროფაზოტრონი გაცილებით უკან მოიტოვა შვეიცარიაში ევროპის გაერთიანებული პროგრამით აგებულმა ამჩქარებელმა, აღარაფერს ვამბობ ამერიკის შეერთებული შტატების სინქროფაზოტრონზე, ბრიუკლინში რომ ააგეს.

— ეტყობა, თქვენ არ გაქვთ უკანასკნელი მონაცემები, — ვცდილობ, რაც შეიძლება თავაზიანად გავიდიმო. — ამე-





რიკული ამჩქარებლის სიმძლავრეა ოც-დაცამეტი მილიარდი ელექტრონვოლტი, ჩვენში კი ორი წელია მწყობრში ჩადგა სერბუხოვოს სინქროფაზოტრონი, მისი სიმძლავრეა სამოცდაათი მილიარდი ელექტრონვოლტი.

— სამოცდაათი?! — გაოცებას ვერ მალავს კორესპონდენტი.

— დიახ, სამოცდაათი! — ადასტურებს საშა.

კორესპონდენტი ჯერ გამომცდელად მიყურებს, მერე ჩანთიდან პატარა წიგნაკს და კალმისტარს იღებს.

— რა ბრძანეთ? რა ჰქვია ახალ საბჭოთა ამჩქარებელს?

— სერბუხოვოს სინქროფაზოტრონი, სერბუხოვო ქალაქი გახლავთ მოსკოვის მახლობლად.

ოფიციალტს ვისკი და ფორთხლის წვენი მოაქვს.

იმავე წუთში ჭიქას დაეწვდი.

— კიდევ მაქვს შეკითხვა. ერთი ყლუბი მოგსვი და ჭიქა თეფშზე დაედგი. შეკითხვა ისევ ჩემთვის იყო გამიზნული.

— საით მიგყავთ ფიზიკოსებს კაცობრიობა?

მელიძემა. ჭიქას ისევ ვიღებ ხელში. ამჯერად არ ვსვამ, ჭიქას ნელა ვატრიალებ და ვაკვირდები, როგორ მრგვალებიან და ილვეიან ყინულის პატარა ბრიკეტები.

— გულუბრყვილო ხომ არ გეჩვენათ ჩემი შეკითხვა? — ეტყობა, ჩემმა დიმილმა და წამიერმა დუმილმა შეაცბუნა.

— როგორ გეკადრებათ, სრულიადაც არა, თუმცა გულუბრყვილობის რაღაც ელემენტს აუცილებლად შეიცავს. ფიზიკას არსაით არ მიჰყავს კაცობრიობა. პირიქით, თვითონ კაცობრიობა, ცხოვრება აყენებს გადასაჭრელ პრობლემებს ფიზიკოსთა წინაშე.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

— არამცთუ ვფიქრობ, მჯერა კიდევ იმასაც დავძენ, მხოლოდ საკუთარ აზრს არ გეტყოდით ასე კატეგორიულად. განა პლანეტის ენერგეტიკული შიმშილის მოსალოდნელმა საფრთხემ არ

მოითხოვა, რაც შეიძლება სწრაფად აშენდეს ატომური ელექტროსადგურები? განა მოსალოდნელმა ენერგეტიკულმა კატასტროფამ არ დააყენა კაცობრიობის წინაშე ამოცანა — რაც შეიძლება მალე გადაიჭრას თერმობირთვული რეაქციების დამორჩილების პრობლემა?

— ღმერთი გწამთ?

მოულოდნელმა შეკითხვამ დამაბნია. თუმცა კი არ დამაბნია, უბრალოდ, არ ველოდი.

ამჯერად შეკითხვა ორთავეს თანაბრად გვეკუთვნოდა.

— გთხოვთ, შეკითხვა პრიმიტიულად არ გამოგთ, — ეტყობა, ეწყინა საშა რუდენკოს ტუჩებზე გამოსახული ირონიული ღიმილი, — განა ბრიუსელში 1927 წელს ჩატარებულმა სოლვეის მეხუთე კონგრესმა არ დაამტკიცა, რომ რელიგია მისაღები გახდა?

— სოლვეის მეხუთე კონგრესმა დაამტკიცა, რომ სამყარო ალბათურია, — წარმოთქვი დინჯად და ვისკი მოგსვი, თითქოს მინდოდა, ჩემი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობა მიმენიჭებინა.

— განა ალბათურობა არ შეიცავს რელიგიის ელემენტს?

— არა მგონია, ქალბატონო ელა (პირველად წარმოთქვი მისი სახელი), ღმერთი რომ ყოფილიყო, ჩვენ უფრო ადრე შეგვახვედრებდა ერთმანეთს.

კორესპონდენტმა გაიცინა.

— ხომ არ ვიცეკვით? — შევთავაზე გათამამებულმა.

ქალი მექანიკურად მეთანხმება. ჭიქას მაგიდაზე ვდგამ, ქალს წამოდგომაში ვეშველები და გაოცებულ საშას თვალს ეუკრავ.

საცეკვაოდ დატოვებულ პატარა მოედანზე სამი წყვილი კიდევ ცეკვავს. კორესპონდენტი თითქმის ჩემსიმაღლეა. მისი ქერა, სწორი თმა ლოყავზე მელამუნება. ვცეკვავთ ჩუმად, უსიტყვოდ.

გურამ შანგიანიძე  
აპრილი 1981 წლის მაისი

მსიამოვნებს მისი მოქნილი ტანი. ვისკი კიდევ უფრო მომეკიდა. ალბათ დაღლილობის ბრალია. თანაც დიდი ხანია, აღარ დამილევია. ქალბატონი ელას სახის უმარალო ნაკვებები გაცილებით მიმზიდველი და მოხდენილი მეჩვენება. ქერა თმა ლურჯი სინათლის შუქზე უცნაურად, მაგრამ ლამაზად ბრწყინავს. დროდადრო ქუჩისკენაც გამიბრბის თვალი, ავტომობილების „სტოპსიგნალების“ წითელი შუქი ისე ხშირად აღარ ხვდება თვალს, როგორც ორი საათის წინ. მოძრაობა საგრძნობლად შეთხელებულა. როცა მხარი ვიცვალეთ, საშას გავხედე. კორესპონდენტი ახლა მისკენ ზურგიით მიექცა. საშამ ჭიქა ასწია, თვალი ჩამიკრა და მანიშნა, შენი სადღეგრძელო იყოსო.

— ცოტა ხომ არ დავამატოთ ნომერში?

საშა რუდენკომ ეს მართლაც მომხიბვლელი წინადადება სასტუმროს დერეფანში მითხრა. სახის ენერგიული გრიმასით ვუბასუხე, მაგას რა სჯობიამეთქი.

პატარა, მაგრამ მყუდრო ნომერში კუთხეში, საწერ მაგიდასთან მიდგმულ სავარძელში ჩავეშვი. გვერდით ფანჯრიდან იგივე ქუჩა მოჩანს, „ზაიდ-პარკისაკენ“ რომ ეშვება. ოღონდ ისე პანორამულად არა, როგორც სასტუმროს ბოლო, მეთხუთმეტე სართულზე მოთავსებული რესტორნიდან. ოტელში მეექვსე სართულზე დაგვაბინავეს. ალაგ-ალაგ უკვე ჩამქრალა რეკლამები. მანქანებიც კანტიკუნტად მოძრაობენ. ქალაქი იძინებს.

სიგარეტი.

ენერგიული ნათაზი.

დიდებულ გუნებაზე ვარ და ვეღარ ვგრძნობ, სხეულში ნელ-ნელა როგორ წვება ყვითელი, ბლანტი შხამი.

საშა „რუსსკაია ვოდკას“ დგამს მაგიდაზე.

— მიწის თხილს ხომ არ მიატან?

უარის ნიშნად თავს ვაქნევ.

საშა საწოლის გასწვრივ მოთავსებული პატარა კარაიდან ორ ჭიქას და მაგიდაზე დგამს. არაყს ხსნის და ჭიქებს ბოლომდე ავსებს. მერე პიჯაკს იხდის, კარადაში ჰკიდებს და ტუალეტში გადის.

ჭიქა ხელში მიჭირავს და არაყს ვცნობავ. საოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობ.

საშა მალე ბრუნდება. პირი დაუბანია, ხელში პირსახოცი უჭირავს და სახეს იმშრალავს.

— არავითარი ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკა, მსოფლიოში ყველაზე დიდი გამოგონება მაინც ცხელი წყალია! — ამბობს იგი და პირსახოცს დაუდევრად ისვრის საწოლისაკენ.

— გავიმარჯოს!

ჭიქას მიჭახუნებს და ჩვენებურად ბოლომდე ცლის.

— გინდა ტელევიზორი ჩავრთო? — მეუბნება, თან არყით პირგამოთუთქული მარცხენა ხელის ზურგს იორთქლავს.

— არ გინდა.

ტელევიზორი ალბათ რადიოს წყნარმა ხმამ გაახსენა, საიდანღაც რომ ეფინება იქაურობას.

— დალიე.

ჭიქა ტუჩებთან მიმაქვს და იგივეს ვიმეორებ, რაც წედან საშა რუდენკომ გააკეთა მაღიანად და მოხდენილად.

სუნთქვაშეკრულს ჭიქა ერთხანს ხელში მიჭირავს, მერე მაგიდაზე ვდგამ. ატაცებული უმიზნოდ ვიღიმები.

საშა დივანზე გადაწოლილა, ჭერს შესცქერის და რაღაცას ფიქრობს. ნეტავ რას ფიქრობს? — შემოიპრო უცებ ცნობისმოყვარეობამ.

— მგონი საღდაც ფორთოხალი უნდა მქონდეს, — ახსენდება საშას.

ფორთოხალი მსხვილია და ლამაზი, მაგრამ ისეთი გემრიელი არაა, როგორც ჩვენებური.

საშა ისევ ავსებს ჭიქებს. უარს არ ვეუბნები. აშკარად ვგრძნობ, სხეული კიდევ მითოვს სასმელს.

— გიყვარს ვინმე? — მეკითხება მოულოდნელად საშა. პასუხის მოლოდინ-



ში ერთხანს თვალეზში მიყურებს, მერე ჰქვას წედანდელივით ერთბაშად ცლის. მოულოდნელმა შეკითხვამ დამაბნია. ჰქვას ხელში ვილებ და ფანჯარაში ვიცქირება.

— არასდროს გყვარებია ვინმე ისე, რომ განშორებისას გეტერა?

ჰქვას ისევ ავსებს. მერე მე მანიშნებს უსიტყვოდ, დალიე, უნდა შეგივსო. ბოთლი ხელში უჭირავს და მელოდება ჰქვას როდის დავცლი.

ჰქვას მეც ბოლომდე ვცლი. საშა უმაღვე მივსებს. არაყი თქრიალით ჩადის ლამაზ, ვიწრო და მაღალ ჰქვიაში.

სხეული კიდევ უფრო მიმსუბუქდება. სისხლის ძარღვები მიფართოვდება, ენერგია მემატება და რალაც სანეტარო, საზეიმო განწყობილება მეუფლება.

საშას ფიქრმა მოსტაცა თვალი. ან დაავიწყდა რა მკითხა, ან ჩემი პასუხი აღარ აინტერესებს.

დუმილი.  
წყნარი, მელოდიური მუსიკა, ნიავის მოტანილივით შორიდან რომ ჩაესმის ყურს.

— კარგად იყავი, საშა.

— დალიე და ისე წადი! — მეუბნება თავის აუღებლად, ჩემსკენ არც კი იყურება.

ნომერში ბნელა. სინათლის ჩასართავ დილაკს ვეძებ. იოლად ვაგნებ, იქვეა, ხელმარცხნივ. დღის სინათლემ რამდენჯერმე გაიფართქალა და ოთახი გაანათა.

ტანსაცმელს სწრაფად ვიხდი და აბაზანაში შევედივარ. ცხელი წყალი სიციხეშიც კი მსიამოვნებს ხოლმე. მერე ტორშერს ვრთავ და ჰერის სინათლეს ისევ ვაქრობ. მოწითალო ფერის სუსტი სინათლე კიდევ უფრო მეტი სიმყუდროვით ავსებს ისედაც მყუდრო ოთახს.

მარტო დარჩენილს უცნაური განწყობილება მეუფლება, ვერ გამიარკვევია, კარგ გუხნებაზე ვარ თუ სევდა მომერია. ეტყობა, ორთავე გრძნობა ერთმანეთს შეერია და შეზავდა.

საწოლში შემფურცივით ვტრიალებ.

არ მეძინება. მინდა ეკაზე ვიფიქრო. რველად აქ ვგრძნობ, ეკა აღარ ვმარცხავარს. ნუთუ ასე შეიძლება სიყვარულის გაცივება? იქნებ არასდროს არ მიყვარდა? იქნებ ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ვნებიანი ლტოლვის შედეგი იყო, რამდენიმე წელში რომ დაიწრითა და გამოიფითა?

უსიამოა გაფიქრებაც კი, რომ შეაძლება ახლა ვილაც მითვალთვალბს. მოსმენა და საუბრების ჩაწერა გუმიფდელი დღეა, შეიძლება ვილაცეები სპეციალურ აპარატურას უსხედან და შესანიშნავად ხედავენ, ლოგინში როგორ ვბორავ. საბოლოოდ გუნებაწამხდარი თავდაღმა ვემხობი. უკვე მჯერა, ვილაც მითვალთვალბს, ვილაცას აინტერესებს, საბჭოთა ფიზიკოსი რას აკეთებს ოტელის მყუდრო ნომერში. მოუსვენრობა მიპყრობს. ვიცი, ნომერში მარტო აღარა ვარ. ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს გადასაღებ მოედანზე ვიწვე კინოაპარატის წინ. ვწვევარ და დაძაბული მომჩერებიან რეჟისორი, ოპერატორი, გამნათებლები, მათი მრავალრიცხოვანი ასისტენტები და დამხმარე მუშები.

რა იქნება მაშინ, როცა ადამიანის ფიქრებსაც წაიკითხავენ? რა კოშმარისაკენ მიექანება ჩვენი ცხოვრება?

— რა ადგილი უჭირავს ფიზიკას ჩვენს ცხოვრებაში?

ვგრძნობ, უტიფართვალებიან კორენსონდენტს როგორ მოსწონს თავისი შეკითხვა. წითელი ლოყები კმაყოფილი კაცის იერს აძლევს, კალმისტარს ხელში ათამაშებს და პასუხის მოლოდინში გაღიმებული შემომცქერის. სასტიკად ვნანობ, წედან შამპანური რომ გამოვიტანე. ერთბაშად ვედარ გავისტუმრებ უარი. ერთი ჰქვია ხომ მიინც უნდა დავალეგინო.

სამზარეულოში კარმა გაიჯახუნა. ეკა

შურამ საწარმოში  
ამდინარი მზის წაღიწადი

აბაზანიდან გამოსულა, ალბათ ახლა, ჩვეულებისამებრ, ხელში პირსახოცი უჭირავს და თმას იმშრალებს.

— ეკა! — ვეძახი მე.

— რა იყო?

— სტუმარი გვყავს.

— ახლავე გამოვალ.

„ახლავე“ ხუთ წუთს გაგრძელდა.

სიგარეტს ვეწევი და ეკას გამოსვლას ველოდები. უტიფართვალებიან კორესპონდენტს ჰგონია, მისმა შეკითხვამ და-მაფიქრა და მოთმინებით ელოდება, პასუხს როდის გავცემ. ჩემსკენ აღარ იცქირება. ახლა კარს მისჩერებია ჯიუტად, საიდანაც ეკა უნდა გამოვიდეს.

— ეკა, ჩვენი სტუმარი გაზეთის კორესპონდენტი, ინტერვიუ სურს ჩამომართვას.

კორესპონდენტი ფეხზე დგება და ხელს ჩამოსართმევად ემზადება.

„აშკარაა, ეკას შემოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ძალიან სასიამოვნოა! — ზრდილობისათვის იღიმიებიან ეკას ტუჩები, უბეებში კი უმძიმესი სევდა ჩასდგომია. ხელის ჩამორთმევა აზრად არ მოსვლია.

კორესპონდენტი ერთხანს კიდევ იდგა უხერხულად, მერე, ვითომც არაფერიაო, ისევ სკამზე დაჯდა.

— შეიძლება მოვწიო? — თან პასუხს არ ელოდება და ტაბლაზე დადებულ კოლოფიდან სიგარეტს იღებს.

ასანთით უხერხულად უკიდებს. ეტყობა, არ ეწევა, ბოლს არ ყლაპავს, ალბათ მოდისთვის თუ გაიჩრის ხანდახან პირში.

— იცი, რა მკითხა პირველი? — ვეუბნები ეკას, — რა ადგილი უჭირავსო ფიზიკას დღევანდელი ადამიანის ცხოვრებაში?

— რა ადგილი უჭირავს ფიზიკას დღევანდელი ადამიანის ცხოვრებაში? — ვეკითხები მამუკა თორაძეს.

— დღეიდან ყველა დანარჩენი საუკუნე ეკუთვნის ფიზიკას!

მალიზიანებს და ნერგებზე მშენებლობა მუკა თორაძის თვითდაჯერებულ კატეგორიული კილო.

— მტკიცედ ხარ დარწმუნებული შენი დებულების შეუვალობაში?

„დებულების შეუვალობა“ უხეად მოვაპირკეთე ირონიით.

მამუკა თორაძე ირონიას მშვენივრად გრძნობს, მაგრამ არაფერს იმჩნევს. დარტყმას მოხერხებულად იცილებს და ცდილობს კამათის რიტმი თვითონ არეგულიროს.

— მტკიცედ. ჩვენ ვსწავლობთ სამყაროს მიკრონაწილაკებიდან მეტაბოლიტიკის — თვრამეტი მილიარდი სინათლის წელიწადის საზღვრებამდე. თქვენ ფიზიკოსი ხართ და მშვენივრად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ამ საზღვრების ყოველგვარ ფანტაზიას გაცილებული გრანდიოზულობა.

— რუსთაველი სწავლობს ადამიანის სულს. ადამიანის სულს კი საზღვრები არა აქვს, იგი უსაზღვროა.

მამუკას თვალებმა საფუძვლიანად მოიბრინა ჩემი სახე. გია ხან მე მიყურებს, ხან მამუკას. ტანი უგრძობია, დღევანდელი კამათი მშვიდობიანად არ დამთავრდება.

— კინოში ხომ არ წავიდეთ?

გიას სიტყვებს ყურადღებას არ ვაქცევ და ჩემი თვალებიც უტიფრად დასრიალებენ მამუკას სახეზე, თუმცა მჯერა, თორაძის უქანგავი ფოლადის ნერვებს იოლად ვერ გამოჰკრავს ხელს.

— ურუსთაველოდ კაცობრიობა გაძლებს. პლანეტის მოსახლეობის ოთხმოცდაცხრამეტ პროცენტს წაკითხული არა აქვს რუსთაველი, მაგრამ ისინი ცოცხლობენ და ცხოვრობენ ამ ქვეყანაზე. ენერჯის გარეშე კი ერთ დღესაც ვერ გაძლებს კაცობრიობა. ადამიანებს ენერჯია სჭირდებათ. რაც უფრო წინ მიდის ცხოვრება, მით უფრო მეტი ენერჯია სჭირდება.

— ადამიანს სიხარული სჭირდება. სიმშვიდე და სიყვარული სჭირდება. მინდა მღელვარება დავიოკო. მამუ-



კას ლოგია კი არა, სიმშვიდე და ცივი განსჯის უნარი მაგიეყმბს.

— არც სიხარული, არც სიყვარული და სიმშვიდე არ იქნება, აღამინამა თუ ენერჯის წყაროები არ აღმოაჩინა. უწინ, როცა აღამინი პირისპირ იდგა ბუნებასთან, მისი ზემოქმედების ძალა გარემოზე საკუთარი ძალ-ღონის ტოლფასი იყო. დღეს მარტო ელექტროობის ხარჯზე ოცდაათჯერ გაიზარდა აღამინის ზემოქმედების ძალა და რაოდენობა, მისი ზრდის ტემპი კი საოცარი სისწრაფით მატულობს, ოც-ოცდახუთ წელიწადში ას ორმოცდაათს მიღწევს. გესმით, ბატონო ნოდარ, ას ორმოცდაათს!

მამუკა თორაძემ პირველად აუწია ხმას, პირველად შეერბა უქანავი ფოლადის სიმბევიტ დაჭიმული ნერვები. თითქოს სიმების ქლარუნიც კი ვავიგონე.

— საღ უნდა იშოვოს კაცობრიობამ ენერჯია? დედამიწა, ჩვენი ბებერი და საყვარელი დედამიწა უკვე გამოვფიტეთ, დავხვრიტეთ, დავცალეთ. ძალი რომ ძვალს გამოხრავს, ისე გამოვხარით, ბოლო ორმოც წელიწადში მისი წიაღიდან ამოვიღეთ უფრო მეტი სიმდიდრე, ვიდრე მთელი ჩვენი ცივილიზაციის მანძილზე, პირველი დღიდან მოყოლებული. მოახლოებული კრიზისი უკვე იგრძნო კაცობრიობამ. „ენერჯეტიკული შიმშილი“ დიდი ხანია მარტო ქურნალისტური ცნება აღარაა. ახლა სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის, ჩვენ — ფაზიკოსებს! მხოლოდ ჩვენ თუ ვიხსნით დედამიწას კატასტროფისაგან!

დავიჭერო მამუკა მართლა დელავს თუ მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად თამაშობს ადელვებული კაცის როლს? მინდა გავიხსენო, მინახავს ოდესმე ადელვებული? არ მაგონდება. ნებისყოფას ვუხმობ და ვცდილობ თავს მოვერიო. მამუკა თორაძის გარდა ჩემს ნაცნობ-მეგობრებში თუ კოლეგებში არავის შესწევს ძალა, წონასწორობიდან გამომავანოს. მხოლოდ მამუკა თორაძის ცი-

ვი თვალები და შუბლს უკან რობოტავით მოაზროვნე უემოციო ტვინი მედებს ჩემს ნერვებზე. მთელი კვირა ისე იკამათებს, სისხლი არ აემღვრევა. ძარღვი არ შეუთამამდება, ნერვები არ დაეძაბება. წელან რომ ხმას აუწი, ადელვების შედეგი როდი იყო. არც ადფროთვანებაა მისი სულისა და გონების თვისება, ტემპერამენტიც არასდროს მოსძალებია კამათის დროს. როცა აშკარად ჩაგრავს მოპაექრეს, მაშინაც კი არ ადელდება, ოდნავადაც ვერ გაათბობს მის ცივ, რაციონალურ გონებას გამარჯვების სიხარული, წელან მხოლოდ ხაზი გაუსვა თავისი მოსაზრების სიღრმეს და ჭეშმარიტებას.

ადელვებას წუთიერად ვიოკებ. თუნდაც იმის გამო, რომ უფროსი ვარ. ჩემი ადელვება უკვე წონასწორობიდან გამოსვლას, დამარცხებას ნიშნავს. ჯიბიდან სიგარეტს ვიღებ.

— მომიკიდე, — ღიმილით ვეუბნები დათოს. ასანთი ჯიბეში მაქვს, მაგრამ მაინც მეგობარს ვთხოვ, ცეცხლი მომიკიდოს. სიგარეტს დინჯად ვუჭიდებ, და, ვითომც აქ არაფერიაო, წყნარად ვამბობ:

— ჯერჯერობით ყველაფერს იმისათვის ვაკეთებთ, რომ დავაჩქაროთ ჩვენი ცივილიზაციის კატასტროფა. პლანეტა დანადმულ ველსა ჰგავს. სახელმწიფოები მოფენილია ატომური და წყალბადის ბომბებით. მეგონი, მშვენიერად იცი, ერთდროულად რამდენი თვითმფრინავი მორიგეობს ცაში ატომური მუხტით შეიარაღებული. საკმარისია ერთი დაუდევარი ნაბიჯი, ღილაკზე თითის დაჭერა ერთი ჭკუათხელი მანიაკოსა, რომ ყველაფერი ნაცარტუტად იქცევა, სიცოცხლის ყოველგვარი ფორმა მოისპობა. გაქვს გარანტია, ბატონო მამუკა, რომ ასეთი მანიაკო არ გამოჩნდება? მანიაკები ყველა ებოქაში იყვნენ, მაგრამ მაშინ არ ჰქონდათ თერმობირთვული იარაღი. ერთ მშვენიერ

გურამ ფანჯიკიძე  
აბტიური მზის წელიწადი



დღეს, როცა ჰიტლერი დაიბადა და ექიმებმა ბედნიერ მშობლებს ბიჭის გაჩენა ახარეს, იმ წუთში გადაწყდა ცაში ორმოცი მილიონი ადამიანის ტანჯვით სიკვდილი. რით დამიმტკიცებ, რომ ერთი მსგავსი მანიაკი ამ საათში ან ამ წუთში არ იბადება? იქნებ დაბადებულიცაა და ბედნიერი დედა აკვანს ნაზად ურწევს? იქნებ ახლადფეხადგმულს დაბადების დღეს უხდიან და საჩუქრებით ავსებულს ბუნჩულა ლოყებს უკონიან? ერთი მანიაკის ამქვეყნად მოსვლა შეიძლება საბედისწერო გახდეს მთელი პლანეტის სიცოცხლისათვის. ამაში კი ჩვენ მიგვიძღვის ბრალი, ჩვენ, ფიზიკოსებს!

— მანიაკს შეიძლება გზა გადაუღობო-ბოლოს და ბოლოს, მოსპო. უენერგიოდ კი ცივილიზაცია დასადუხადა განწირული. დედამიწა ბოლოვახერგეტილ ყულაბასა ჰგავს, საიდანაც მხოლოდ ვიღებთ და არაფერს აღარ ვამატებთ. წელიწადში ოთხმოცი მილიონი კაცით მატულობს მოსახლეობა, როგორ ფიქრობ, მათ შენახვა არ უნდა? ენერგია არ უნდა? ოთხმოცი მილიონი ერთაა, ჩემზე კარგად იცი, რა სისწრაფით მატულობს ერთ ადამიანზე დახარჯული ენერგიის რაოდენობა. დღეს პლანეტის თითოეული მოსახლე ათას ოთხას კილოვატ ენერგიას ხარჯავს საშუალოდ. ყოველ ათ წელიწადში ხარჯი ორმაგდება. ნუთუ ეს ფაქტი არაფერს ამბობს?

— მართალი ბრძანდებით (გადავღავარ თქვენობითზე), ენერგია აუცილებელია კაცობრიობისათვის. დღესდღეობით ადამიანი ფლობს იმდენ ენერგიას, რამდენსაც ცხოვრების, მეცნიერებისა და ტექნიკის დღევანდელი დონე განაპირობებს, მაგრამ ამ ენერგიამ ვერ შეცვალა კაცობრიობის სული, ვერ გაზარდა მისი ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა. იქნებ ინებოთ და დამიმტკიცოთ, რომ ახლა უფრო ჰუმანიტური გავხდით, იქნებ დაიჩემოთ, რომ ახლა უფრო მეტი უნარი შეგვჩვენებს სიყვარულისა ან

ნიმუშენიერის აღქმისა, ვიდრე <sup>მეცნიერების</sup> <sup>განვითარების</sup> <sup>შესაძლებლობის</sup> <sup>შეზღუდვით?</sup> (საშინლად მაღიზიანებს მამუკა თორაძის ქათქათა, საფირმო პერანგი და ელვაგანტური პალსტუხი. მიკვირდა და მიკვირს, როგორ უძლებს ნერვები, ყოველდღე ასე სარაუტოდ იყოს ჩაცმული: ლაბორატორიაშიც ისე დაიარება ხოლმე, თითქოს სიმფონიური მუსიკის კონცერტზე მიდიოდეს). იქნებ იმის მტკიცებაც გაბედოთ, რომ ადამიანში შეგვიცირდა სიძულვილის ან შურისძიების გრძნობები? გაიხსენე (ხმაში სიბრაზე შემეპარა და ისევ შენობით ფორმაზე გადავედი), როგორ დაიხვეწა მეოცე საუკუნეში ადამიანის წამებისა და სიკვდილით დასჯის ხერხები, რა უსუსურები ჩანან ინკვიზიტორები და აღმოსავლელი მტარვალეები დღევანდელი ჯალათების ნამოქმედარის ფონზე!..

— მერე ეგ გინდა მეცნიერებას დააბრალო? ფიზიკას დააბრალო?

დიმილი. მტკიცე ნერვების პატრონის გულამდე გამჭოლი ირონიული დიმილი. მამუკა თორაძე წინასწარ ზეიმობს გამარჯვებას.

— ფიზიკა, ბატონო ნოდარ, ჩემზე უკეთ მოგახსენებთ, მხოლოდ ბოლო სამი, ბევრი-ბევრი, ოთხი ათეული წელია, ზეგავლენას ახდენს ადამიანის ცხოვრებაზე, შინაგან სამყაროსა და ფსიქიკაზე. სად იყო თქვენი ხელოვნება ათეული საუკუნეების მანძილზე? რატომ ვერ გარდაქმნა მან ადამიანი, რატომ ვერ გააკეთილშობილა მისი სული?

— ახლაც მოგახსენებ!

— მე თვითონ მოგახსენებთ! არ იფიქროთ, მეცნიერებაზე უფრო დიდი აზრისა ვიყო, ვიდრე ხელოვნებაზე. ჩვენ, მეცნიერები საოცრებათა აღმოჩენები ვართ, ხელოვნების ქურუმები კი—შემქმნელნი. ჩემი პოზიცია, მგონი, საესებით ნათელია. მე მხოლოდ ის მინდა გითხრათ, რომ კაცობრიობამ ვერ მოიცილა სულის განსაწმენდად, თავის თავში ადამიანის აღსაზრდელად. თვალი გადაავლეთ ისტორიას, კაცობა-

რობას ხელოვნებისათვის არ ეცალო, ადამიანს თავისი დღე და მოსწრება უჭირდა, საკმელი უჭირდა, ცხოვრება უჭირდა, ენერგია უჭირდა...

— იქნებ გგონია, ახლა მოიცალა? იქნებ გგონია, ზებგერითმა თვითმფრინავებმა ადამიანს დრო გაუნთავისუფლა? მეცნიერების განვითარების ახალმა საფეხურმა ახალი ინერციული სისტემა შექმნა. ყველა ეპოქას თავისი ინერცია აქვს, ადამიანის ფსიქიკა ემყარება და ექვემდებარება ამ ინერციას. ტექნიკა წინ მიდის. ერთ ინერციულ სისტემას მეორე ცვლის, მეორეს — მესამე, კიდევ უფრო სწრაფი სისტემა. ადამიანს არავინ ეკითხება, მოსწონს თუ არ მოსწონს ეს ინერცია. იგი მექანიკურად იღებს ამ ინერციას. ადამიანი ქმნის ზებგერით თვითმფრინავებს, რაკეტებს. კავშირის უსწრაფეს მექანიზმებს, მაგრამ რაც უფრო სწრაფი ხდება ეს მექანიზმები, მით უფრო განვიცდით დროის უქმარისობას.

პაუზა.

ვის გადავხედვ, ყურადღებით მისმენს. ვიცი, ჩემს მხარესაა. მეგობრის თვალებში მინდა წავივითხო კამათში გამარჯვების სასწორი ვის მხარესაა. ეტყობა, სასწორის ისარი ოდნავ მაინც იხრება ჩემს სასარგებლოდ. დათოს პირში სიგარეტი გაუჩრია და სეირის მყოფრებელივით მოგვეჩერებია. კაცი ვერ გაიგებს, თვითონ რას ფიქრობს ან ვის აზრს იზიარებს. ვატყობ, მაშუკა თორაძეს უნდა პაუზით ისარგებლოს, მაგრამ არ ვაცლი.

— რისი ბრაღია ეს? — ვუსვამ შეკითხვას, მაგრამ პასუხს არ ველოდები და თვითონვე ვიგრძელებ, — იქნებ ადამიანი ვეღარ ბატონობს თავისი ნიჭით და უნართ შექმნილ ტექნიკაზე? იქნებ ადამიანი ფსიქოლოგიურად და ბიოლოგიურად საგრძნობლად ჩამორჩება საკუთარი აზრის წინსვლას? იქნებ ჩვენი სხეული, გული, ნერვები ჯერ არ არის მზად გაუძლოს ჩვენივე ნაზრების შედეგს? ადამიანი გონებრივად

გადაახტა ბევრ ბარიერს, მაგრამ იქნებ მისი ფიზიკურ-ფსიქიკური შესაძლებლობანი ვერ გაუძლებს ამ ნახტომს? რაც უფრო წინ მიდის მეცნიერება, მით უფრო ვიწროვდება ადამიანის სამოღვაწეო სფერო. ადამიანის გონება გამუდმებით იტვირთება ისეთი ცოდნით, არაფერ სასარგებლოს რომ არ სძენს არც მის გამოცნებას, არც მის ინტელექტს.

— კერძოდ?

— კერძოდ? ახლავე მოგახსენებ, — კამათის რიტმს უკვე მე ვარეგულირებ, ვცდილობ, მამუკა თორაძის წამერი შეფერვებით ვისარგებლო და ტემპს ვუმატებ, — ყოველმა მგზავრმა უნდა იცოდეს, თუ მეტროს ლიანდაგში რაიმე ნივთი ჩაუყარდა, ასაღებად დაბლა არ უნდა ჩახტეს, ვინაიდან ელექტრონის ორივე ფაზა ლიანდაგში გადის და ძალზე სახიფათოა სიცოცხლისათვის. ნება მიბოძეთ, გკითხოთ (გადავდივარ თქვენობითზე, დამშვიდებულს ირონია მეძალება), უსაფრთხოების ტექნიკის ამ ელემენტარული წესის ცოდნა რას სძენს ადამიანის სულსა და ინტელექტს. არადა, არცოდნაც არ შეიძლება, სრულიად გასაგები მიზეზების გამო. ადამიანი კი იძულებულია ყოველდღიურად ისწავლოს და ისწავლოს. მისი სასარგებლო და უსარგებლო ცოდნის მარაგი უსასრულოდ იზრდება. ეს მაშინ, როცა, მიუხედავად კაცობრიობის დიდი სურვილისა, წამითაც ან იზრდება დღე-ღამის სიგრძე, იგი კვლავ ოცდაათნი საათი რჩება.

— იქნებ შევაჩეროთ ტექნიკისა და მეცნიერების წინსვლა? იქნებ უბრძანოთ, შეაჩერონ აზრის წინსვლა?

მამუკა თორაძე, საჭადრაკო ენით რომ ვთქვათ, ავანტიურისტულ სვლანს აკეთებს.

— აზრს ვერ შეაჩერებ ერთი უბრალო მიზეზის გამო — მისი შეჩერება არ შეიძლება. იმ მოსაზრებას ნუ მო-

გზარამ ფანჯიკიძე  
აბაშიანი მზის წაღწივალი



მაწერ, რაც არ მითქვამს. თუ მხოლოდ იმიტომ კამათობ, რომ ეფექტი მოახდინო და კამათში გამარჯვება შენ დაგჩეს, შემიძლია ახლავე მოვანიჭო ბედნიერება და თავი დამარცხებულად გამოვაცხადო.

— საწყენად არაფერი მითქვამს!

— არც მე ვარ განაწყენებული. თუ სიმართლე გინდა, მართო შენ როდი გეკამათები, უფრო ჩემს თავს ვეკამათები. მე მხოლოდ ჩემს მოსაზრებებს გამოვთქვამ. სულაც არ მინდა რაიმეში გადავარწმუნო ან გადავავლო. შენსას კი არა, ჩემს მოსაზრებებს ვამოწმებ, ჩემს შეშფოთებას გამოვთქვამ და ბედნიერი ვიქნები თუ ჩემი შიშის უსაფუძვლობაში დამარწმუნებ.

— თქვენ მინც ნაწყენი ხართ! — მეუბნება გამომწვევად, გამაღიზიანებლად. მამუკა თორაძის მიზანსწრაფულ ბუნებას ხელს არ აძლევს კამათი საყაიმო განწყობილებით ან თუნდაც მისი მცირეოდენი უპირატესობით დამთავრდეს. ამიტომაც ცდილობს ჩემს გაღიზიანებას, წონასწორობიდან გამოყვანას.

— სრულებითაც არა, ჩემო ძვირფასო! — მამუკა მშვენივრად იგებს, „ჩემო ძვირფასო“ რა ინტონაციითაა ნათქვამი, მაგრამ არ იმჩინებს. რომ შეიმჩნიოს, უნდა მიპასუხოს კიდევ. მაშინ კამათი კინკლაობას დაემსგავსება. — გეთანხმებით, აზრის შეჩერება არ შეიძლება. იგი საშინელი სისწრაფით მიჰქრის წინ.

მცირე პაუზა.

სიგარეტი.

ღრმა ნაფაზი. ცხვირიდან გამოშვებულ ბოლს ხელით ვფანტავ და ლაპარაკს ვავრძელებ.

— ადამიანი დღეს, ისე როგორც არასდროს, ცხოვრების შმაგ მდინარეშია მოქცეული. როგორ გგონიათ, ძვირფასო, ადამიანი წარმართავს ამ მდინარეს თუ უკვე მდინარე წარმართავს ადამიანს? ხომ არ დადგება დრო და თანაც ძალიან მალე, რომ ადამიანს

ძალა აღარ ეყოფა იბატონოს ხელით, თავისი გონებით შექმნილ ნაოცრებებზე? მინდა შეგახსენოთ, რომ ადამიანის გენით შექმნილი სასწაულები სასწაულებს ემატება, თვითონ კი იგივე რჩება. ადამიანი ებრძვის ბუნებას, მთელი მისი არსებობის ისტორია ხომ ბუნების საკვირველებათა ამოცნობისა და დამორჩილებისათვის ბრძოლაა, მაგრამ ვაითუ ადამიანის თავბრუდამხვევი მიღწევები იმ სპორტულ რეკორდებსა ჰგავს, ჭერჭერობით რომ კიდევ ამყარებენ, რადგან ჯერ ზღვარამდე არ მისულან? ვაითუ ადამიანს შესაძლებლობებსაც აქვს საზღვარი? ვაითუ ბოლომდე ვერ დავიმორჩილო ბუნება. ხომ არ გვაფიქვდება, რომ ჩვენ თვითონ ბუნების შეილები და მისი ნაწილი ვართ?.

პაუზა.

გიას სახის გამომეტყველებაზე ვკითხულობ, სასწორის ისარი თვალშისაცემად გადმოხრილა ჩემსკენ.

დათოს ცალი თვალი მოუტუტავს და მამუკას მისჩერებია. აშკარად ეტყობა, სპასუხობს დარტყმას დიდი ინტერესით ელოდება. გია თანახმაა, კამათი ჩემი მცირეოდენი უპირატესობით დამთავრდეს, დათოს მეტი უნდა. ვიცი, მამუკა თორაძეს ვერ იტანს, მისი უსაზღვრო რწმენით თვითდაჯერებული გამომეტყველება აღიზიანებს, მისი მიზანსწრაფული ბუნება არ მოსწონს. ისე, სიმაართლე თუ გუნებავთ, გულის სიდრემით თვითონაც მღრღნის ეჭვი, რომ მამუკა მართალია.

— ვერ დაგეთანხმებით, — დაფიქრებული ამბობს მამუკა და ფეხზე დგება. კამათის ქინი თითქოს გაუქრა. — რომ დაგეთანხმობთ, მაშინ აზრი უნდა დაკარგოს ჩემმა ცხოვრებამ. დღეს ჩვენ ყველაზე მეტად გვევალება ვუპატრონოთ დედამიწას, ვუპატრონოთ ადამიანს. სწორედ ჩვენ გვაწევს ყველაზე დიდი მოვალეობა — გადავარჩინოთ რუსთაველიც და ბეთხოვენიც, ტოლსტოიც და მიქელანჯელოც, გადავარჩინოთ





ადამიანის სული და კაცობრიობის ყველაზე ნათელი იდეალები. ყველაზე უფრო ჩვენ ვიცით, რა საფრთხე ელის გაძვალტყავებულ დედამიწას, მის გამოვიგნულ მთა-გორებს, დაბინძურებულ მდინარეებს და ოკეანეებს. კატასტროფას შეიძლება დღეს ვერ ვგრძნობთ, მაგრამ ხვალ ვიგრძნობთ, ზევ ვიგრძნობთ, ჩვენი შვილები იგრძნობენ, ჩვენი შვილიშვილები იგრძნობენ. მე რე ყველაფერი გვიან იქნება...

აპარატის ნაცნობი ჩხაკუნი.

უნებურად ნათურისკენ ვიხედვები. ნათურა ჯერ კიდევ ანთია. ეს-ესაა კოსმოსური ნაწილაკი შეიჭრა ვილსონის კამერაში, მაგნიტურ პოლუსებს შორის რკალი მოხაზა და მთელი ენერგია ნისლიანი კვალის შექმნაზე დახარჯა.

გადაღება ორჯერ ხდება. პირველად აღიბეჭდება მისი გამრუდებული კვალი მაგნიტურ ველში ფრენისას, მეორედ კი ნაწილაკი ნისლიან კამერაში აღიბეჭდება ფირზე, სადაც მისი ენერგია ვლინდება.

ამ წუთში მობრძანებული კოსმოსური სტუმარიც ალბათ ჩვეულებრივი პროტონია, მაგრამ არა ზეენერგიული, გაცილებით იშვიათად რომ გვესტუმრება ხოლმე.

საიდან მოდიან ისინი? რა არის მეტაგალაქტიკის სიღრმეში, მატერიის პირველსაწყისები, პირველსაფუძვლები, ფანტასტიკური ენერგიით დატვირთული რომ იგზავნებიან მთელ სამყაროში?

საიდან იძენენ მატერიის მიკროსამყაროს ბინადარნი ზღაპრული, ადამიანის ფანტაზიისათვის წარმოუდგენელი სიდიდის ენერგიას, ათი ათასი მილიარდი ელექტრონვოლტით რომ განისაზღვრება? ვინ იცის, რამდენი ასეთი ნაწილაკი სჭოლავს ჩვენს ლაბორატორიას, ჩემს სხეულს. რომელი ხელოვნური მაგნიტური ველი შესძლებს გაამრუდოს მისი გზა? იგი თავისუფლად გასჭოლავს ვილსონის კამერას და თან წაიღებს თავისი ენერგიის საიდუმლოს.

ფოტოფირების გორა ყრია მაგიდაზე. უხალისოდ ვათვალიერებ. ტიპიური პროტონი, დამახინჯებული პროტონი, ტიპიური პროტონი, მსუბუქი მეზონი, ისევ ჩვეულებრივი პროტონი... ფირზე გამოსახული ნაცნობი კვალი, ნაცნობი კვალი და კიდევ ნაცნობი კვალი. ასე უსასრულოდ. დაუპატივებელი სტუმრები ყოველი მხრიდან აღწევენ ვილსონის კამერაში, აპარატურას აიძულებენ მათი კვალი ფირზე აღბეჭდოს, მაგრამ დიდი ხანია, ფირზე არ გამოსახულა იმ ნაწილაკის კვალი, ასე მოუთმენლად რომ ველი.

უცებ... ტეხილი კვალი.

ტეხილია თუ გამრუდებული?

ტეხილი და მხოლოდ ტეხილი. საეჭვო აღარაფერია.

თვით ტეხილი კვალი ახალი როდია, ფრენის დროს ნაწილაკების დამლა იწვევს კვალის გატეხვას. ნაწილაკი ორად გაიყო, ფირზე კი მხოლოდ ერთი კვალი მიდის გაყოფის წერტილიდან. ცნობილი მოვლენაა, ნეიტრალურმა ნაწილაკმა ვერ დასტოვა ნისლიანი კვალი, რადგან ვერ შექმნა იონური მწკრივი.

მაგრამ...

კიდევ ვეძებ უკვე ცნობილ და კარგად გაშიფრულ მოვლენებს...

აქ რაღაც სხვა ამბავია.

ფირს დიდხანს დავცქერო.

მესმის საკუთარი გულის რიტმდარღვეული დაგადუგი.

აპარატმა ისევ გაიჩხაკუნა.

სინათლე აინთო და სტუმარმა ფირზე ნისლიანი კვალი გახაზა.

ყურადღებას აღარ ვაქცევ ნაცნობ ჩხაკუნს. თავი ხელებში მაქვს ჩარგული, თვალები დახუჭული.

„რა უნდა იყოს?“ „რა უნდა იყოს?“

„რა უნდა იყოს“, — სამი სიტყვისგან შემდგარი მარტივი ფრაზა წისქვილის ქვასავით მიიმედ ბრუნავს ჩემს გონებაში.

სიგარეტი.

გურამ შანჭიკიძე  
აბძიშვილი მზის ფილინაჟი

ფირი.

ასეთი კვალი ჯერ არ შემხვედრია. საერთოდ არ გადაუღია აქ დამონტაჟებულ ვილსონის კამერებს. არც არაგაწზე მიხახავს, არც ღუბნაში.

ისევ სიგარეტი.

ისევ ფირი.

„ნეტავ რომელი საათია?“

საათი სადღაც დაგდე მაგიდაზე. პირველი დაწყებულა. ფირს ცალკე ვათავსებ საქაღალდეში და გარეთ გამოვდივარ. უმთვარო ცა ვარსკვლავებითა გადაჭედელი. ეზოში გავდივარ, გრძელ მერხზე ვჯდები და ცას მიგჩერებივარ. ყველას სძინავს. ვიას თთახიდან მკრთალი სინათლე გამოდის, მაგრამ ვიცი, რომ სძინავს. იგი ძილის დროს არასდროს არ აქრობს სინათლეს.

„რა უნდა იყოს“, „რა უნდა იყოს“, „რა უნდა იყოს“, — ისევ ამუშავდა წიქვლის ქვა, ისევ აღრჳილდა ჩემი ტვინი.

„გია ხომ არ გავადვიძო?“

„არა, აზრი არა აქვს!“

ვარსკვლავები თითქმის არ ციმციმებენ. გაიშვიათებული სუფთა ჰაერი თვალისთვის შეუშინეველად თუ ტეხავს მათ სხივებს. ბარში გაზრდილი, ვარსკვლავების ციმციმს მიჩვეული კაცის თვალისთვის უცნაური სანახავია ცაზე მიმავრებული უძრავი ვარსკვლავები.

ვდგები, ლაბორატორიის ეზოდან გავდივარ და ქედისკენ მივემართები, აქაურობას ჩაშავებული რომ დასცქერის ზემოდან. სიბნელეში იოლად ვპოულობ ნაცნობ პატარა ბაქანს. ბალახზე გულაღმა ვწეები და გარინდული ავყურებ ზეცას.

სიგარეტი.

არსად ისე არა ვგრძნობ ყვითელ, ბლანტ შხამს, როგორც აქ, კავკასიონზე. სიგარეტს ქვაზე ვაქრობ და ვცდილობ ორი თითით რაც შეიძლება შორს მოვისროლო.

ცა.

ვარსკვლავებით მოჭედელი ცა. ღრუბლის პატარა ნაფლეთის მუქი სილუეტიც კი არსად მოჩანს.

მახსოვს, რა გრძნობამ შემიპყრო მაშინ, როცა რველად რომ გავიხედე ტელესკოპით. უმძლავრესმა ლინზურმა მექანიზმმა თითქოს უზარმაზარი სივრცე ამოჭრა კოსმოსში და ახლოს მომიტანა. თითქოს სამყაროს უხილავი, ჯადოსნური კარი გაიხსნა და ჩემს წინ ფანტასტიკური, მაგიური სანახაობა გადაიშალა. სად ვართ ჩვენ, სად ვიმყოფებით. სად იწყება ეს ყველაფერი ან სად მთავრდება? ან კი იწყება, ან საერთოდ მთავრდება სადმე?

თვით აინშტაინსაც ხომ მიაჩნდა დასაშვებად, რომ სამყაროს შეიძლება ჰქონდეს დასასრული? დიდი მეცნიერის აზრი ხომ იმავე წუთში აიტაცეს რელიგიის ქომავებმა და წამოაყენეს იდეა, — თუ მატერიალურ სამყაროს აქვს დასასრული, მაშინ ადვილი შესაძლებელია, მის მიღმა იყოს რაღაც არამატერიალური, ესე იგი ღმერთი.

იქნებ ეს სამყარო მართლაც ირეალურია, ხოლო მატერიის ნაწილაკებს ვხედავთ მხოლოდ დროისა და სივრცის ფონზე მოძრავთ, მაშინ როცა რეალობა დროისა და სივრცის გარეთ იმყოფება?

„რამეთუ გუშინდელნი ვართ და არა უწყით: რამეთუ აჩრდილ არს ქუეყანასა ზედა ცხოვრებაი ჩუენი“, — მაგონდება უცებ.

იქნებ მართლაც პრიმიტიულობაა წარმოიდგინო სივრცესა და დროში მომუშავე შემოქმედი, იქნებ თანამედროვე თეორია მართლაც გვაიძულებს ვიფიქროთ სივრცისა და დროის მიღმა მომუშავე შემოქმედზე?

მეტაგალაქტიკის სიდრმიდან კი მოდიან უზარმაზარი ენერჯის მქონე მიკროსამყაროს ბინადარნი.

ათი ათასი მილიარდი ელექტრონვოლტი!

მხოლოდ რიცხვებსა და ფიზიკურ სიდიდეებში გაწაფულ კაცს შეუძლია წარმოიდგინოს ამ მოვლენის მთელი სიგრძე-სიგანე. სად იბადებიან ან სად იქნენ ამოდენა ენერჯიას მატერიალური სამყაროს უმცირესი ნაწილაკება,



რომელთა დანახვა ზემოდავრი ხელსაწყოებითაც კი არ შეიძლება? რა არის იქ, მეტაგალაქტიკის სიღრმეში, რა წარმოშობს მატერიის პირველსაფუძვლებს. რომლებიც ჩვენამდე ალბათ, მეორადაც ნაწილაკების სახით მოდიან?

„ვერ დავიჯერებ, ღმერთი კამათელს აგორებდეს“, — წამოიძახა აინშტაინმა თავისი ცნობილი ფრაზა, როცა იძულებული გახდა ფარ-ხმალი დაეყარა და სამყაროს ალბათურობა ელიარებინა. შენთხვევითობა, რომელიც არაფერს ნიშნავდა კლასიკურ მექანიკაში, ყველაფერი გახდა ქვანტურში. ბევრმა სამყაროს ალბათური მრავალსახა მიზეზობრიობა იდეალიზმთან გააიგივა.

„როგორ მოძრაობს ელექტრონი?“ — დაისვა შეკითხვა. „როგორც მას მოესურვება“ — ასეთი იყო პასუხი, სავსებით სწორი და ლოგიკური პასუხი, მაგრამ იქნებ ელექტრონის მოძრაობა ღმერთის ნება-სურვილს გამოხატავს?

ისევ ფირზე გამოსახული კვალი აღდგა ჩემს გონებაში. აშკარაა, ფირზე აღბეჭდილ ელემენტარულ ნაწილაკს დიდი მასა აქვს, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე პროტონს.

- რა უნდა იყოს?
- რა უნდა იყოს?
- რა უნდა იყოს?

ისევ დატრიალდა წისქვილის მძივე ქვა.

— თვალები რატომ გაქვს დასივებული? — მეკითხება ვია.

დათომ მხოლოდ ახლა შემომხედა. ხმა არ ამოუღია, მაგრამ სახეზე მასაც იგივე შეკითხვა გამოესახა.

- შეკითხვაზე არ ვპასუხობ.
- ალარც მეგობრები ჩამცივებინან.
- ლამის გატეხვა და თვალების დასივება ჩვეულებრივი ამბავია კოსმოსურია სხივების ლაბორატორიაში.

— არ გავიდეთ? — მეუბნება ვია.  
თიფოს დავხედე. ცარიელია. როდის შევჭამე ამდენი ცხელი ხარჩო, არ გა-

მივია. სასადილოდან დაბნეული გამოვდივარ. ვია გვერდზე მომყვება და არ იღებს.

ეტყობა, რაღაც უნდა მკითხოს.  
— ნოდარ, — გახედა ბოლოს, — ცუდად ხომ არა ხარ?

„ავადმყოფს რა მიგავს?“ — თქვა ჩემმა სიცილმა.

— აბა წუხელ მოხდა რამე მნიშვნელოვანი?

— ჰო, მოხდა. შეიძლება ვცდები. შეიძლება რაიმე ანომალიაა, ან აპარატის უზუსტობა. არ ვიცი. თუმცა კვალი რეალურია, წინასწარ რამეს თქმა ძნელია.

— ფირს მაჩვენებ? — თვალები აუციმციმდა ვიას.

გულწრფელად რომ ვთქვა, ჯერ არ მინდოდა ფირი ვინმესთვის მეჩვენებინა. მინდოდა, ჯერ თვითონ მეფიქრა, განმესაჯა და გავრკვეულიყავი მოვლენის არსში. ვიფიქრე, სხვანიარად არ გამიგოს-მეთქი და ლაბორატორიაში წავიყვანე.

ვია დიდხანს და დაკვირვებით დანატერის ფირს. მე სკამზე ვზივარ, სიგარეტს ვწევი და ვიას სახის გამომეტყველებას ვაკვირდები. სახეზე აშკარად აღებეჭდა მღელვარება.

- მასა ძალზე დიდი უნდა ჰქონოდა.
- პროტონზე თითქმის ორჯერ მეტი.
- შენ ფიქრობ, რომ პროტონი არ არის? — მეკითხება ვია.

— ფიქრით ბევრი ვიფიქრე. ახლა უბრალოდ, მჯერა.

- ვია ისევ ფირს დანატერის.
- კიდევ რას ფიქრობ?
- ჩემი ვარაუდით, ოლონდ გთხოვ, რამდენიმე დღე არსად გაამხილო არც ფირის ამბავი და არც ჩემი ვარაუდები, ფირზე მეზონი უნდა იყოს გამოსახული. ძალზე იშვიათი მეზონი.

- მეზონი?
- ჰო, მეზონი. უიშვიათესი მეზონი. ალბათ ძალზე ხანმოკლეა მისი „სიცო-

გუკრავ ფაფუკიამა  
აბიური მისი წაღიწადი

ცხლე. კიდევ გიმეორებ, ჩანსაც გეუბ-  
ნები, მხოლოდ ვარაუდია. კიდევ რაჰ-  
დენიმე დღე მჭირდება, სანამ ჩემს მო-  
საზრებებს ჩამოვყალიბებდე.

— მგონი, წინასწარ მილოცვა არ შე-  
იძლება, არა? — ღიმილით ამბობს ვია  
და ფირს მიბრუნებს.

— მისალოცი იყოს და მილოცვას  
ყოველთვის მოასწრებ.

— ჩენი აზრით, ფირზე მეზონია გა-  
მოსახული, — ვამბობ მე და რატომღაც  
მამუჯა თორაძეს შევყურებ.

პატარა თთახში, იუმორით კონფერე-  
ნცდარბაზს რომ ვეძახით, სულ ხუთ-  
ნი ვსხედვართ.

ვცდილობ, მღელვარება და სისხარუ-  
ლი არ შემამჩნიონ. თითქმის აღარ მე-  
პარება ეჭვი, რომ ფირზე მეცნიერებო-  
სათვის ჯერ სრულიად უცნობი ელუ-  
მენტარული ნაწილაკია აღბეჭდილი. თა-  
თქმის-მეთქი, ვამბობ ყოველ შემთხვე-  
ვისთვის, თორემ გულის სიღრმეში სა-  
ვსებით დარწმუნებული ვარ უცნობი  
მძიმე მეზონის არსებობის რეალობა-  
ში. ისიც ვიცი, რა ძნელია დაამტკიცო,  
რომ რამდენიმე დღის წინ უიშვიათე-  
სი მეზონი ესტუმრა ჩვენს კოსმოსურ  
ლაბორატორიას და ფირზე გაამყლავნა  
თავისი არსებობის ამბავი. კიდევ რო-  
დის ან ვინ შეძლებს დაიჭიროს სასურ-  
ველი სტუმარი?

— როგორია, თქვენი აზრით, ფირ-  
ზე აღბეჭდილი მეზონის ბუნება? — მე-  
კითხება მამუჯა თორაძე. მას საერთოდ  
უყვარს მკაცრი ტონით და თქვენობო-  
ლპარაკი, მით უმეტეს, როდესაც მე-  
ცნიერულ საკითხებზე ოფიციალურად  
ვმსჯელობთ ხოლმე.

— ჩემი აზრით (მინდოდა მეთქვა —  
ღრმა რწმენით), ფირზე აღბეჭდილი  
მეზონი ნეიტრალურია, მისი მასა, კი-  
დევ ვიმეორებ, ორჯერ მეტია პროტო-  
ნის მასაზე.

— სიცოცხლის ხანგრძლივობა?

— ძალზე მცირე. ალბათ წამის ათა  
მინუს ოცდამესამე ხარისხში. ჩემი ვა-  
რაუდით, იგი განსაკუთრებით ხანმოკ-

ლე სიცოცხლის უნარიანთა ოჯახს მიე-  
კუთვნება.

— სისშირე?

— ალბათ წარმოიშობა მილიონჯერ  
უფრო იშვიათად, ვიდრე პი-მეზონები.

— მილიონჯერ?

— დიახ, მილიონჯერ.

— თუ თქვენს მოსაზრებას აქვს  
მყარი საფუძველი, საქმე მაინც ძალ-  
ზე გართულდება. როგორ გინდათ და-  
ამტკიცოთ თქვენი აღმოჩენის უტყუა-  
რობა, ნეიტრალური მეზონის არსებო-  
ბის რეალობა?

— მართკ ამ ფირით ჩემი მოსაზრე-  
ბის (არ ვთქვი — აღმოჩენის) დამტკი-  
ცება თითქმის შეუძლებელია. მეზონი,  
რომელიც მილიონჯერ უფრო იშვია-  
თად წარმოიშობა ვიდრე პი-მეზონი.  
ვინ იცის, კიდევ როდის ინებებს ვილ-  
სონის კამერაში შებრძანებას. ნეიტრა-  
ლური მეზონის ციური წყაროდან მო-  
სვლას თუ დაველოდებით, ეს იგივეა,  
მეცნიერებაში ილბლიანობის იმედით  
ვიყოთ. ვფიქრობ, რაკი მძიმე ნეიტრა-  
ლური მეზონის არსებობას აქვს რეა-  
ლური საფუძველები, ადრე თუ გვიან  
მას მიიღებენ სერაპუზოვოს, დუბნის ან  
უცხოეთის სინქროფაზოტრონებში.

— თქვენ ბრძანეთ — მიიღებენო?

— დიახ, მიიღებენ!..

— ესე იგი, მოსაზრებაც გქონიათ მი-  
სი წარმოშობის თაობაზეც!

— მართალი ბრძანდებით, მე მაქვს  
გარკვეული ვარაუდი. ნეიტრალური მე-  
ზონი მიიღება პროტონების მეზონებით  
დაბომბვით.

დუმილი.

— სიანტერესოა! — თქვა ბოლოს  
ხმამალლა მამუჯა თორაძემ, — ნება მი-  
ბოძეთ, ჩემი მოსაზრება მოგახსენოთ.

ნერვებზე მშლის მამუჯას ოფიცია-  
ლური ტონი. სასაცილო მეჩვენება მე-  
გობრების და თანამშრომლების ხუთკე-  
ციანი ჯგუფის მეცნიერული სხდომის  
იმიტაცია.

მამუჯა თორაძე სკამს უკან დადგა და  
საზურგეს ხელებით დაეყრდნო.

— ჩემის აზრით, დღევანდელი დღე



მნიშვნელოვან ფურცელს ჩაწერს ჩვე-  
ნი ლაბორატორიის ისტორიაში. ნავსა  
გატყდა. ვფიქრობ, ნოდარ გელოვანას  
აღმოჩენა („აღმოჩენას“ განსაკუთრე-  
ბით გაუსვა ხაზი) ძალზე მნიშვნელოვა-  
ნია. აკადემიკოსმა ლევან გზირიშვილმა  
და მისმა პირველმა მოწაფეებმა, კარგად  
მოგესხენებათ, როდესაც შეამჩნიეს მიკ-  
როსამყაროს ბინადარნი, კერძოდ, მე-  
ზონების ოჯახი. მაგრამ, სამწუხაროდ,  
მოხდა ისე, რომ დღემდე ჩვენს ლაბო-  
რატორიაში არ აღმოუჩენიათ ამ ოჯა-  
ხის არც ერთი წევრი. ვფიქრობ, ნოდარ  
გელოვანმა დაუყოვნებლივ უნდა გაატა-  
როს რეგისტრაციაში ამ რამდენიმე  
დღის წინანდელი აღმოჩენა, ჩამოაყა-  
ლიბოს თავისი მოსაზრება, ფირი ვაა-  
მრავლოს და ლევან გზირიშვილის რე-  
კომენდაციით ტექსტთან ერთად ვაგ-  
ზავნოს დუბნაშიც, სერპუხოვოშიც და  
საკავშირო აკადემიაშიც. მხოლოდ დრო  
დაამტკიცებს ბატონმა ნოდარმა რამ-  
დენად სწორად გაშიფრა ფირი. რამ-  
დენად ზუსტია მისი მოსაზრებანი.  
ვფიქრობ, თუკი ნეიტრალური მეზონი  
მართლაც მიიღება პროტონების მე-  
ზონებით დაბომბვის შედეგად, ადრე თუ  
გვიან მათ მიიღებენ სინქროფაზოტრო-  
ნებში. ამ მიმართულებით აუცილებლად  
უნდა გამახვილდეს ყურადღება რო-  
გორც დუბნის, ასევე სერპუხოვოს ამა-  
ჩქარებლებში. ნეიტრალური მეზონის  
აღმოჩენა დადასტურებს რამდენად  
სწორად განსაზღვრა ბატონმა ნოდარმა  
მისი მასა და „სიცოცხლის ხანგრძლი-  
ვობა“. ახლა, ნება მიბოძეთ, მოგილო-  
ცოთ!

აკადემიკოსი ლევან გზირიშვილი  
ფირს ყურადღებით დასცქერის.

— დარწმუნებული ვარ, ვერ გავტე-  
დავდი ამ ფირზე თუნდაც იმის მე-  
მედი „ამომკითხა“, რაც შენ „ამოგეი-  
თხავს“.

აკადემიკოსმა ფირი გვერდზე გადა-  
დო და ყურადღებით შემომხედა.

— ჩემმა სიტყვებმა გუნება არ გავ-  
ფუქოს და იმედი არ გავიცრუოს. —  
თქვა დინჯად. უნებურად ფიქრმა გაი-  
ტაცა და რამდენჯერმე ხმადაბლა გაი-  
მეორა — იმედი... იმედი...

მერე თითქოს გამოერკვაო, ფეხზე  
დინჯად წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ისევ  
მაგიდასთან მივიდა და ფირს ყურადღე-  
ბით გახედა ფანჯრიდან შემომავალი სი-  
ნათლის შუქზე.

— გამბედაობა და იმედი ახალგაზრ-  
დობის თვისებაა. ამ თვისების გარეშე  
ძნელია დიდ საქმეს შეება, ჩემო ნო-  
დარ!

— რა ადგილი უჭირავს ფიზიკას ადამიანის ცხოვრებაში? — მეკითხება ახალგაზრდა ყურნალისტი.

კმაყოფილებით აღსავეს მრგვალი სა-  
ხე, უტიფარი თვალები და წითელი ლო-  
ყები უკვე აღარ მალბიანებს.

— რა ადგილი უჭირავს ფიზიკას ადამიანის ცხოვრებაში? — ვინ იცის, მერამდენედ ვეკითხები ჩემს თავს. პასუხი კი არ ჩანს. მხოლოდ მესმის ყურამდე როგორი თანმიმდევრობით აღწევს შორეული, თანდათანობით მისუსტებუ-  
ლი ექო.

„რა ადგილი უჭირავს ფიზიკას ადამიანის ცხოვრებაში?“

„რა ადგილი უჭირავს ფიზიკას...“

„რა ადგილი...“

**თავი მათი**

პატარა, უბრალოდ მოწყობილი ფი-  
რული ოთახი.

ღამის თორმეტი საათი.

ფანჯრიდან ვხედავ ვალეული მთვა-

რის თქროსფერ რკალს და შორიანლთ  
მოკიაფე ვარსკვლავს.

გუზამ ფანჯრიკიმე  
ამბიშირე მჟმს წაღიწადი



ოთახში სამნი ვართ: მე, ჩემი ძმა რეზო და რაიონის მთავარი ექიმი ელდარ კომახიძე.

ელდარ კომახიძე...

მაღალი, ქერა, სათვალნიანი ახალგაზრდა. ჩემი სკოლის მეგობარი. ყოველთვის მომწონდა მისი ფლეგმატური, საოცარი სიმშვიდით აღსავსე გამოხედვა. ვერც კი წარმომიდგენია, ოდესმე რაიმემ ააღელვოს, წონასწორობიდან გამოიყვანოს. სტუდენტობის პერიოდში იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებოდი ხოლმე. მერე სკოლის ამხანაგები თანდათან დავშორდით ერთმანეთს. ელდარი სად გაანაწილეს, სად მუშაობდა, არ ვიცოდი. გულახდილად თუ ვიტყვი, არც დავინტერესებულვარ გამეგო მისი ასავალ-დასავალი.

მეგობრის ნახვამ გამახარა.

დალევა არ მინდოდა. უარი ვეღარ ვთქვი. ან როგორ მეთქვა უარი.

ღარიბული სუფრა.

პური, ერბო-კვერცხი, ყველი და მაღაზიის ღვინო.

დრო შეუმჩნევლად გავიდა. სუფრას ცხრა საათზე მივუჭექით, უკვე პირველი დაიწყო.

ღვინო მოგვეკიდა.

რეზო წამოდგა, გარეთ გავიდა, პირზე წყალი შეისხა. ოთახში რომ შემობრუნდა, სუფრასთან აღარ მოსულა, ტახტზე სიგანეზე გადაწვა, სანახევროდ კედელზე მიყრდნობილმა თვალები ჭერს მიაპყრო.

თვალი პირველსავე წამში შეამჩნევს, რომ ოთახში მარტოხელა კაცი ცხოვრობს.

ქალის ხელი არაფერს ეტყობა, არც საწოლზე და სკამებზე გადაკიდებულ ტანსაცმელს, არც ფანჯრის რაფაზე დადგმულ თევზებს, არც კუთხეში მიდგმულ ცარიელ ბოთლებს, არც იატაკს...

ტახტზე გადაწოლილი რეზო ისევ ჭერს შეჰყურებს ჯიუტად. რაღაც აწუხებს, რაღაცაზე ფიქრობს, თანაც ძალიან სწრაფად ფიქრობს. შეუცდომელი სიზუსტით შემიძლია შევიგარძნო ადამი-

ანის ფიქრის რიტმი. აშკარაა, რაღაც აწუხებს, ძალზე აწუხებს და აფრობაქებს.

არაფერს ვეკითხები.

უმცროსი ძმის ბუნება კარგად მაქვს შესწავლილი, შეკითხვები აღიზიანებს.

თვითონ გეტყვის, თუ რამეა სათქმელი.

მე ისევ მაგიდასთან ვზივარ და ფეხი ფეხზე შემოდებული სიგარეტს ვეწევი.

სუფრა ალბათ დამთავრდა. ეტყობა, მეტის დალევა აღარავის გვინდა.

ელდარმა სკამი კედლისკენ ჩასწია და ხელში გიტარა აიღო.

დაბალ ხმაზე უკრავს.

თუმცა კი არ უკრავს, აწვალებს გიტარას, რთული აკორდების აღებაში ვარჯიშობს.

მაინც მსიამოვნებს გიტარის ხმა.

სამთავენი ვლუმვართ.

ელდარს ვაკვირდები. თითქოს არ შეცვლილა და თითქოს ძალიან შეცვლილა. ორთავე გრძნობა ერთდროულად მეუფლება. მის ხმელ, სპორტულ სხეულს ქონი მოსძალებია. ჭკვიან თვლებს სიღრმე დაუკარგავს. დამშრალ ტბასავით ფსკერი იქვე მოუჩანს. ინტელექტუალურ სახეზე სარეველასავით გადაუვლია პროვინციულ თვითკმაყოფილებას, მაძლარი, ბედის მაღლიერი თუ ბედთან შეგუებული და ხელჩაქნეული კაცის იერს. ფერმკრთალ სახეზე წითელი ფერი მოსჭარბებია, და მაინც იგივე ელდარია, სკოლიდან რომ მახსოვს.

სხვა მსრივაც გამახარა ელდარ კომახიძის დანახვამ. ძმასთან საუბარი არ მეზერებია. მარტო საუბარი კი არა, კინოშიც არასდროს შემეძლო მშობლებთან ან ძმებთან ერთად წასვლა. ყოველთვის უხერხულად. აღვიქვამდი სასიყვარულო თუ დაძაბულ ეპიზოდებს, ემოციების გამომქდავენება მრცხვენოდა და ნერვიულად ვიგრიხებოდი ხოლმე.

ისევ დუმილი.

გიტარის უთავბოლო აკორდები.



სივარტე.

სხეულში ნელა წვება ბლანტი, ყვი-  
თელი შხამი.

საწოლზე გულაღმა გამოტილი რე-  
ზო კვლავ ჭერს შესცქერის. თუმცა არ  
ინძრევა, ამკარად ვხედავ, როგორ ბოზ-  
გავს. სული მაჭარივით უდღუს, სხეუ-  
ლში ვერ ეტევა, ამოხეთქვას ლამოპს.

ელდარი გიტარას კვლავ ჯიუტად აწ-  
ვალებს. თან რეზოს შეჰყურებს. ბაგე-  
ზე ირონიული ღიმილი გამოსახვია. მთა-  
ვარი ექიმიც შესანიშნავად გრძნობს,  
მაჭარი სადაცაა გახეთქვას ქვევარს.

— რაო, მინც რა მიხდაო, ჩვენი რა-  
იონის ლიდერმა? — ჰკითხა რეზოს.

როცა შეკითხვას დავისვამს, ისეთი  
შთაბეჭდილება გრჩება, სხვათა შორას,  
ზრდილობისათვის მეკითხებაო. არც  
პასუხის მოსმენისას იჩენს დიდ ყურად-  
ღებას. სინამდვილეში, ერთი სიტყვაც  
არ გამოეპარება. მთავარი ექიმის გული-  
სხმიერებას მაშინ იგრძნობ, როცა მოს-  
მენილი პასუხის ირგვლივ რაიმე შენი-  
შენას გამოთქვამს, ან საკითხს მთელი  
სიღრმით გააანალიზებს.

— არაფერი, რა უნდა ეთქვას! — წა-  
მოჰდა რეზო, ამჭერად თვალი იატაკს  
გაუშტერა.

— არაფრის სათქმელად ხელმძღვა-  
ნელობა ხალხს არ იბარებს.

ელდარ კომახიძე ახლა ერთ სიმს აწ-  
ვალებს, უნდა რაღაც ვარიაცია გამოკ-  
ვეთოს სუფთად.

— თან ისიც უნდა დაეძინო, „არაფე-  
რი“ ასე არ აგადელვებდა.

პაუზა.

რამდენიმე უსისტემო აკორდი.

— საფეთქლები დაგებერა, წნევაიმ  
აგიწია, სუნთქვაც გახშირებული გაქვს,  
თვალეები ამღვრეული...

— რაიონის ხელმძღვანელობასთან სა-  
უბარი საფეთქლის ძარღვებს ვერ გამო-  
ფართოებს! — ფიცხლად და აღზნე-  
ბულად წარმოთქვა რეზომ, — სხვა რამ  
მადღევებს, სრულიად სხვა ამბავი. მთე-  
ლი უბედურება ისაა, დაზარალებულენ-  
საც არ უნდათ სიმართლის გამოკვლევა.

— და თქვენ ეს მხოლოდ დღეს გაი-  
გეთ? — ისევ დინჯი, აღუღლებელი ხმა  
რაიონის მთავარი ექიმისა. იგი ახლა რე-  
ზოს აღარ უყურებს, თითქოს აღარც  
აინტერესებს, რას უპასუხებს რაიონის  
პროკურორი.

რეზო ფეხზე წამოდგა, ფანჯარასთან  
მივიდა და თვალი გაღეულ მთვარეს  
გაუშტერა.

ელდარი ისევ გიტარას აწვალებს,  
ციდილობს, უფრო მაღალ ტონალობაზე  
გადააწყოს.

— განა შენთვის მოულოდნელი იყო  
მოვლენების ასე განვითარება? ძალი-  
ან გამოაცეთ, ბატონო პროკურორო,  
ღრმად ვიყავი დარწმუნებული, ექიმე-  
ბის შემდეგ აღამიანებს ყველაზე კარ-  
გად მართლმსაჯულების მსახურნი იც-  
ნობდნენ.

ქიქას ღვინით ვივსებ და უსიტყვო  
ვსვამ.

— ვერ გამიგია, რატომ ქექავ ძველ  
საქმეებს?! არავინ ჩივის, უკმაყოფილე-  
ბას არავინ გამოთქვამს, თავს არავინ  
გრძნობს დაზარალებულად. დაზარალებუ-  
ლიც და დამზარალებლებიც კმაყო-  
ფილნი არიან, თავს მშვენივრად  
გრძნობენ. ნუ ჩამეჭრები ლაპარაკში,  
ვიცი, რასაც მეტყვი, უდანაშაულო  
აღამიანი მოკლესო. მართალი ბრძანდე-  
ბით, მაგრამ სამი წლის შემდეგ ყველა-  
ფერი თავის ადგილზე დადგა, უეცრად  
აღუღებელი ზღვა დაწყნარდა, წამო-  
ქოჩრილი ტალღები ნელ-ნელა დაპატა-  
რავდა და ბოლოს სულ გაქრა. მოკლუ-  
ლისათვის ხომ ყველაფერი სულ ერ-  
თია. წყნარად წევს საფლავში და ფოს-  
ფორით ამდიდრებს მშობლიურ მიწას.

რეზო შემობრუნდა და თვალეები  
ექიმს დაასო, უფრო სწორად, გიტარას.  
ვიგრძენი სიმების წვალება, ცალკეული  
აკორდების კორიანტელი, ელდარის და-  
ნჯი და უდარდელი ტონი აცოფებდა.

ეტყობა, ექიმმა კარგად გაშიფრა რე-  
ზოს თვალეებში ჩამდგარი რისხვა, გა-

გზარა ფანჯრიდან  
ამბიური მზის წელიწადი



ტარი გვერდზე გადადო და პროკურორის თვალი თამამად გაუსწორა.

— მე ხალხისთვის ვიბრძვი, ელდარ ბატონო, ხალხისთვის! არ შეიძლება ხალხს რწმენა დაუკარგო, ამ ქვეყანაზე სიმართლეს ვერ იპოვით. არ შეიძლება ხალხი დააშინო და გაალაჩრო!

სტატიკური სცენა:  
ხელებგაშლილი და სახეანთებული რეზო ადვილზეა გაშეშებული.

ელდარი სკამის სახურავს მისწოლია, წამწამსაც კი არ ახამხამებს.

მეც ისევ უძრავად ვზვიავარ მაგიდასთან.

ბოლოს მაინც შეირხა გაქვავებული კადრი, მთავარი ექიმის ტუჩებზე ნელ-ნელა ჩამოყალიბდა ირონიული ღიმილი.

— „ხალხისთვის ვიბრძვი“ — გაიმეორა დამცინავად, — იქნებ ჯობდა, ღვინო დაგველია?

ელდარმა სკამი მაგიდასთან მიაცურა და ღვინო დაისხა. მერე ჩემი ცარიელი ჭიქაც შენიშნა, ცოცხლად შემეცხო, ბოთლი მაგიდაზე დადგა და ჭიქა მომიჯახუნა.

— ხალხს გაუმარჯოს. ხალხს რას ვერჩი, პირიქით, ვემსახურები. ჩვენ, ყველა, ამ დიდებულ დარბაზში მსხდომნი, მის უდიდებულესობას, ხალხს ვემსახურებით, მით უმეტეს ჩვენ, ექიმები. თქვენ, მართლმსაჯულების მსახურებმა, ბატონო პროკურორო, შეიძლება ვილაცქერდს და მამაძალს სკამიც არ შესთავაზოთ, პირიქით, შეგიძლიათ გეპრიელადაც წაუთაქოთ. მე კი მათი შარდის ქიმიური შემადგენლობა უნდა დავადგინო, მათი ჭლექიანი ნექნები უნდა ვზილო. ამას ვაკეთებ. ვერ დავიჩემებ, რომ დიდი ხალხით ვაკეთებ, მაგრამ მაინც ვაკეთებ. როგორც რაიონში აზობოვენ, არცთუ ცუდად. რითაც შემოძლია და რაც შემოძლია ვემსახურები ხალხს. ბოლოს და ბოლოს, მეც შემეძლო თბილისში გადავსულიყავი, მაგრამ, როგორც ხედავ, ჩავერჩი ამ გამო-

ყრუებულ რაიონში. ვერ მეტყვიან ვერ მისაყვედურებთ, ხალხს არ ვემსახურებიო. ვემსახურები, ბატონო ჩემო, რაც შემოძლია, ვემსახურები, რაც არ შემოძლია, რაც ჩემს ძალას აღემატება, იმას ნუ მომთხოვთ, მაგრამ ნება მიბოძეთ, ჩემი აზრი მქონდეს ხალხზე. სხვათა შორის, თუ დღესეა არა, სულ მალე შენც გაიზიარებ ჩემს მოსაზრებებს ხალხის თაობაზე. ხალხს გაუმარჯოს!

ელდარმა ჭიქა ბოლომდე დაცალა, ერთხანს ცარიელ ჭიქას ჩააცქერდა, თვისთვის ჩაიციხა, ეტყობა, რალაც გაახსენდა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

— ერთ საინტერესო ამბავს გიამბობ, — მომიბრუნდა მე. — პირველად რომ აქ ჩამოვედი, გულუბრყვილო რომანტიკოსი ვახლდით. ვფიქრობდი, ჩავალ შორეულ, მთავორიან და მიუვალ რაიონში, ხალხს მოვემსახურები, ჩემს მოქალაქეობრივ და პატრიოტულ ვალს მოვიხდი-მეთქი. მკურნალობაში ფულის ადებას გულში როგორ გავივლებდი! პირველი დღიდანვე ეჭვის თვალით შემომხედდეს — თუ კარგი ექიმი, აქ რატომ ჩამოვიდაო. როცა ისიც გაიგეს, ავადმყოფს ფულს არ ართმევსო, საერთოდ აღარ ჩამთვალეს ექიმად. ექიმი, რომელიც ფულს არ იღებს (მიუბრუნდა რეზოს), ხალხისთვის ექიმი ან არის, ბატონო პროკურორო!

ბოლო ფრაზა საკმაოდ ტემპერამენტინად წარმოსთქვა, რაც თითქოს უჩვეულო იყო რაიონის მთავარი ექიმის ფლეგმატური ბუნებისათვის, თუმცა ამ თეატრალური პათოსით წარმოთქმულ ფრაზაში იუმორის ინტონაციებიც აშკარად იგრძნობოდა.

— სხვათა შორის, ზუსტად ამასვე იტყვიან შენზეც! — მცირეოდენი პაუზის შემდეგ ჩვეულებრივი სიღინჯით დასძინა ელდარმა და გემრიელად დაამთქნარა.

პაუზა.  
რეზოს ნაბიჯების ხმა. იგი კვლავ ფანჯარასთან მივიდა და სივრცეს გახედა.



— მერე? — ვეკითხები მე.

— მერე?

პატარა პაუზა.

— მერე რომანტიკა ჩაქრა. ცხოვრებამ თავის ფერხულში ჩამითრია. მიეხედო, სასაცილოა, იჯდე ამ გამოყრუებულ რაიონში და კაცობრიობის ნათელ მომავალზე ფიქრობდე.

ისევ პაუზა.

მერე ხმადაბალი სიცილი.

— გავიგე ძველი ექიმის გასამრჯელოს ნორმები. მე უფრო მეძვირე გავიდი და ავტორიტეტიც ერთბაშად მოვიპოვე. უცნაურია ადამიანის ფსიქოლოგია. თუ ჰირისუფალს ფული არ გამოართვი, ჰგონია, რომ ავადმყოფს ან არ მკურნალობ, ან ცუდად, უგულისყუროდ მკურნალობ. რაც უფრო მეტ ფულს გამოართმევ, მით უფრო გულდამშვიდებულია იგი. მეც ვართმევ, აღარც ხელი მიკანკალებს, აღარც შუბლის ძარღვი მითამაშებს. ავადმყოფიც კმაყოფილია, ჰირისუფალიც და ჩემი სიდედრიც. შენს ძმას კი უნდა, ქვეყანა გამოასწოროს, ხალხს რწმენა დაუბრუნოს. (რეზოს მიერ წყდან ნათქვამი ფრაზები ხაზგასმული ირონიით მოაჩუქურთმა). ხალხს ძალა უყვარს, ბატონო ჩემო, ძალას კი დღეს რა წარმოადგენს, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ. საათს დახედა.

— ორი დაწყებულია. ხვალ ყველანი ადრე ვართ ასადგომი. ასე რომ, ჩემო რეზო, — გააგრძელა წყდანდელი საუბარი ელდარმა, — რაც უფრო მალე უკუაგდებ რომანტიზმს, რაც უფრო მალე დაიმორჩილებ ვენებებს და მიჰყვები ცხოვრების დინებას, მით უმჯობესი იქნება შენთვის. და არა მარტო შენთვის, ჩემო ძმაო...

ტელეფონის ზარი, გაბმული, უწყვეტი ზარი, რაიონის ქვესადგურმა რომ იცის ხოლმე.

— გისმენთ! — ფიცხლად აიღო ყურმილი რეზომ და მცირე პაუზის შემდეგ ექიმს შეხედა.

ელდარი მიხვდა, მას ურეკავდნენ, ნელა წამოდგა და ყურმილი ჩამოართვა.

— რა ამბავია? — იკითხა პირდაპირ, სახე შეეკმუნხა, ისევ საათს დახედა.

— კარგი, ერთ საათში ან მაქსიმუმ საათნახევარში ამოვალ. ავადმყოფი გულადმა დააწვინეთ, ეცადოს, არ გაინძრეს.

ყურმილს ნელა დებს ბერკეტზე.

— ჩემი ბედი რა ვთქვია.

— რა მოხდა?

— ვილაც უკანასკნელ დღეში ყოფილა, ალბათ, ინფარქტი გაეთამაშა... იმაზე მივარდნილი და მიუვალი სავფელი არცაა ჩვენს რაიონში!

— გინდა, წამოგყვე?

— მე კი მინდა, მაგრამ არ გირჩევ.

— გაგიჟდი, — მომიბრუნდა რეზო, — კუჭ-წაწლავი აღარ შეგერჩება იქ ასვლამდე!

— მაინც წამოვალ. გზაში ლაპარაკით გავერთობით. ვინ დათვლის, რამდენი წელია, აღარ მინახიხარ.

— შენი ნებაა, ოღონდ არ ინანო...

სასწრაფო დახმარების მიკროავტობუსი.

შოფერი წინ ზის. მის გვერდით ადგილი თავისუფალია. მე და ელდარი უკან ვსხედვართ, ავადმყოფისთვის განკუთვნილ სალონში.

პირველი კილომეტრის მერე გზატკეცილიდან მარცხნივ გადავუხვიეთ და აღმართს შევუდგექით.

ანგრეულ-დანგრეული, გავერანებული სოფლის გზა.

კიდევ ერთი კილომეტრი და გზედები, რა უაზრო იყო ჩემი გადაწყვეტილება. სიმსუბუქემ და ხალისმა, ღვაწონომ რომ შემძინა, გამიარა. თვალი მუხუტება, ძილი მომეკიდა. დადლილობამ ერთბაშად დამრია ხელი. როგორი გადაქანცული უნდა იყო, რომ ამ ოღრო-ჩოღრო გზაზე ჯაყყაყისას, გულ-ღვიძლი რომ ყელში გეჩრება, ძილი მოგეკიდოს.

პუბლიკისათვის  
აქტიური მხის შედეგად



მიკროავტობუსი გულისგამაწვრილებელი ღმუილით მიჰყვება აღმართს.

მაინც რატომ მომივიდა აზრად, ექიმს წავყოლოდი ავადმყოფთან? იქნებ რომანტიკული მეჩვენა მივარდნილ სოფელში ღამით გასეირნება და განსაცდელში ჩავარდნილი ავადმყოფის მიშველება? ან იქნებ მონატრებული ვიყავი კლდე-ღრეში სიარულს? არც ერთი, არც მეორე. უბრალოდ, რეზო ისე იყო ანერვიულებული, მასთან დარჩენა და კამათი არ მინდოდა. ვიფიქრე, მართლ რომ დარჩება, იქნებ უფრო დამშვიდდეს-მეთქი. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამდენი რამ როდის გავიფიქრე? როცა ელდარს ვუთხარი, მეც წამოგყვები-მეთქი, არაფერი არ მქონდა გაფიქრებული. გამოდის, წინასწარ გადავწყვიტე ის, რაც ჯერ უნდა გამეაზრებინა და მერე გადამიწყვიტა. ალბათ სხეული ფსიქოლოგიურად უკვე მზად იყო ამ გადაწყვეტილების მისაღებად. ალბათ ორგანიზმმა გუმანით იგრძნო, რამდენიმე წამის შემდეგ რას გავიფიქრებდი და რას მოვიმოქმედებდი.

თვალი მაინც მეხუტება. გავერანჯებულ გზაზე ჩაყვამაც ვერ დაატორო ჩემს სხეულში ჩაბუდებული და მოძულავრებული ძილი.

— ცოტაც დარჩა. ხომ გითხარი, ნუ წამოხვალ-მეთქი.

სალონში ბნელა, მაგრამ ელდარის გაწაფული თვალი ალბათ მაინც აედავს, რა დღეში ვარ.

თავს ენერგიულად ვანძრევ, მინდა ბანკით შემოპარული ძილი დავთრგუნო და ორგანიზმიდან გამოვდევნო. მანქანა კვლავ ღმუილით მიჰყვება აღმართს.

ფარების შუქზე სადღაც წამიერად გაიელვა გარეული კატის თვალებმა.

— მაინც რა მოხდა, რა გამოქეცა ჩემმა ძმამ, ასე რამ გამოიყვანა წონასწორობიდან? — ვეკითხები ელდარს.

— ახალგაზრდაა და სისხლი უდღუღს. ერთი უბრალო ჰემოარიტება კი არ იცის შენმა ძმამ, შედეგებს ებრძვის

პატივცემული პროკურორი, გეგმა! თუ მაინცდამაინც გადაწყვეტილი აქვს ამქვეყნად სიმაართლის ქომაგი და დამცველი იყოს, მაშინ მიზეზებს უნდა ებრძოდეს და არა შედეგებს.

— მაინც რა საქმე გამოჩნდება?  
— ამ სამი წლის წინ გზატკეცილზე, რაიონიდან ერთი კილომეტრით დაშორებული რესტორნის მიდამოებში, მთვრალი კაცი მანქანამ გაიტანა. რეზოს დაებადა ეჭვი, რომ იგი თანამეინახეებმა მოკლეს, ხოლო მანქანა შემდეგ გადაატარეს გვამზე.

— ჩემმა ძმამ იცოდა რამე ამ საქმისა, თუ ვინმემ გაუმხილა საიდუმლო?

— არ ვიცი, არ მიკითხავს!

— რეზოს ეჭვს აქვს საფუძველი?

— ადვილი შესაძლებელია, მაგრამ ახლა რაიმეს დამტკიცება ძნელია. მას შემდეგ სამწელიწადნახევარი გავიდა. თავის დროზე საქმეს გართულება არ მოჰყოლია. არც ეჭვი გაჩენილა, საქმეში დევს ექსპერტის ცნობა, დადასტურებულია სიკვდილი მანქანის დაჯახების შემდეგ. მკვლელი მიიძალა, ვერ იპოვეს. საქმე გაუხსნელი დარჩა. მანქანის ვერც ნომერი დაადგინეს, ვერც მარკა. ბუნებრივია, შოფერსაც ხახვივით შერჩა დანაშაული.

— ვინ იყო ის კაცი?

— მეზობელი რაიონის მთავარი მეღვინე, ანზორ ჯავახიძე, სტუმრად გამოვიდა მეგობრებთან. მაგრად დამთვრალიყო. უთქვამს გარეთ გავალო. გასულა და აღარ შემობრუნებულა. გზის დასდგომა რაიონისკენ. ალბათ სასტუმროში მიდიოდა. მთვრალმა თანამეინახეებმა გვიან შენიშნეს, სტუმარი რომ აღარ შემობრუნებულა რესტორანში. ძებნა დაუწყეს და გზაზე იპოვეს მკვდარი. მანქანას, ეტყობა, გვერდი გაუკრავს, სანახევროდ შოსეს იქით ეგდო თურმე. პაუზა.

სიგარეტი.

— მეც მომაწვივინე.

ასანთის შუქზე ისევ მომხვდა თვალ-

ში სკოლის მეგობრის წითელი ლოყე-  
ბი.

— თუკი ჯავახაძე, გვარი ხომ არ მე-  
შლება? მართლა მანქანამ გაიტანა, გა-  
შინ რამ ააწვრილა მთელი რაიონი?

— არ ვიცი. იქნებ მართალიც არის  
შენი ძმა. ვინ იცის, იქნებ მართლა მოკ-  
ლეს ანზორ ჯავახაძე და მერე მკვლე-  
ლობა ოსტატურად შენიღბეს. ადვილი  
შესაძლებელია. მაგრამ ახლა ამ საქმის  
გამოჩხრეკას აზრი არა აქვს. საქმე უკ-  
ვე დაივიწყეს, ყველაფერი თავის კა-  
ლაბრატში ჩადგა, ჩაწყნარდა, ჩამშვიდ-  
და. ახლა შფოთი და არეულობა არავის  
უნდა.

— მკვლელი რომ დაუსჯელი დარ-  
ჩა?

— მკვლელი? უკვე შეგთანხმდით,  
რომ ანზორ ჯავახაძე ნამდვილად მოკ-  
ლეს?

— დაფუშვით, ნამდვილად მოკლეს.

— სიტყვა „დაფუშვით“ სანახევროდ  
უკვე გამოირიცხავს მკვლელობას.

პაუზა.

— გინახავს, დინამიტით კლდეს რომ  
აფეთქებენ? — მკითხა მოულოდნელად  
ელდარმა.

— დიახ! — ვუბასუხე გაოცებულმა.  
უადგილო მეჩვენა მეგობრის შეკითხ-  
ვა.

— აფეთქების შემდეგ რომ ქვები ჩა-  
მოზვავდება, იმას თუ დაჰკვირვებო-  
ხარ?

— დიახ!

— ჰოდა, კარგა ხანს გორაობენ ქვე-  
ბი, მოისმის მათი ხრიალი. ზოგი ნატე-  
ხი მალა შეჩერდება, ზოგი დაბლა ჩა-  
მოგორდება, ზოგი ქვეშ მოეჭკევა, ზო-  
გი სულაც სადღაც შორს გადენს  
ლაწანს. ბოლოს ყველა თავის ადგილზე  
გაჩერდება და ქვების გორება-ხრიალიც  
შეწყდება. დაჰკვირვებოხარ, არა?

— დაკვირვებოვარ.

— როცა ყველა ქვა თავის ადგილს  
იპოვის, წონასწორობა და მყუდრო-  
ება მყარდება. ისინი ერთმანეთს ამავ-  
რებენ, ერთმანეთის ფუძე-საძირკვლები

არიან. არც ერთის ხელის ხლება არ შე-  
იძლება. მით უმეტეს სახიფათოა, როცა  
მელიმე დიდ ქვას თუ წაავლე ხელი,  
ათობით და ასობით ქვას რომ იჭერს,  
აკავშირებს და ამავრებს. წარმოვიდგე-  
ნია, რა მოჰყვება ამ ქვის გამოძრო-  
ბას?

— წარმომიდგენია! — მელიმემა სი-  
ბნელეში.

— სამუშაოდ, შენს ძმას ვერ წა-  
რმოუდგენია. (მცირე პაუზა) თუ ანზორ  
ჯავახაძე მართლა მოკლა ვინმემ, მისი  
მკვლელის შენჯღრევა და გამოძრობა  
ბევრ ქვას შეუცვლის ადგილს, ბევრს  
დაავგორებს დაბლა, ბევრს შეიძლება  
ძვრას ვერ უზამს, მაგრამ საგრძობლად  
შეანჯღრევს და შეაქანებს.

დუმილი.

მანქანის ძრავის ღმუილი.

— მგონი მივედით! — ამბობს ელდა-  
რი და კისერგაწვდილი ამაოდ ცდი-  
ლობს პარპრიზიდან სოფლის ნაცნობი  
კონტურები გაარჩიოს.

ადვილი დასაჯერებელია, ერთმანეთის  
მიყოლებით შედგა ეს დიალოგები.

შედგა კი?..

ალბათ მაინც შედგა.

იქნებ ივნისის დილა იყო, როცა უც-  
ნობმა პროკურორის კაბინეტში დაურე-  
კა?

იქნებ ივლისის?

შეიძლება დილა კი არა, სულაც სა-  
ღამო იყო.

უცნობმა იქნებ პირდაპირ კაბინეტში  
მიაკითხა?

ნაკლებ დასაჯერებელია!

ალბათ დაურეკა და რაიონის განაპი-  
რას დაიბარა, ხიდის ყურესთან.

რეზო დანიშნულ დროს მივიდა ხიდ-  
თან. შორიდანვე მოჰკრა თვალი მოა-  
ჯირზე იდაყვებით დაყრდნობილ სამო-  
ციოდე წლის ტანმორჩილ კაცს.

გუბრაშ ფანჯიკიძე

აბთიური მუის წილიყადი

უცნობმა რეზო დაინახა თუ არა, წე-  
ლში გაიმართა.

„გამარჯობათ!“ — დაასწრო უცნო-  
ბმა.

„გავიმარჯოთ“. — თქვა რეზომ და  
ირგვლივ მიმოიხედა.

კაციშვილი არსად ჰაჭანებდა.

„მოსწევთ?“ — რეზომ სიგარეტის  
კოლოფი გაუწოდა.

„გმადლობთ, არ ვეწევი!“

პაუზა.

რეზომ სიგარეტი გააბოლა და ასან-  
თის ნამწვი ხიდიდან მოისროლა.

„თქვენ იყავით, გუშინ რომ დამირე-  
კეთ?“

„დიახ, ბატონო პროკურორო.“

„აქ შეხვედრა რატომ მოისურვეთ,  
კაბინეტში არ ჯობდა, წყნარად გვე-  
ლაპარაკა?“

„დიდი საიდუმლო მინდა გავიძი-  
ლოთ. კაბინეტში მოსვლას მოვერიდე.  
იმავე წუთში მთელს რაიონს ეცოლინე-  
ბოდა თქვენთან ჩემი შემოსვლის ამ-  
ბავი. ატყდებოდა მითქმა-მოთქმა, რა  
უნდოდა მასწავლებელ ვაცს, თანაც  
მათემატიკოსს, პროკურორთან.“

„მასწავლებელი ბრძანდებით?“

„დიახ, რაიონის მეორე სკოლაში ვას-  
წავლი უფროს კლასებს.“

რეზოს გულში გაეღიმა. უცნობმა  
უკვე მოასწრო საუბარში ოსტატურად  
ეთქვა, მათემატიკოსი ვარ და უფროს  
კლასებს ვასწავლი.

„მე აქ სულ ახალი ჩამოსული ვარ.  
კარგად არ მიცნობთ. რატომ გადაწყვი-  
ტეთ, საიდუმლო გამიძილოთ? იქნებ  
არა ვარ სანდო კაცი.“

„მე პედაგოგი გახლავართ: შემიძლია  
აღამიანის სახეზე წავიკითხო მისი შე-  
ნაგანი ბუნება. პატიოსანი და პრინცი-  
პული ახალგაზრდა მგონიხართ. თანაც  
გავიგე, თქვენი პატიოსნებისა და პრი-  
ნციპულობის საფასურად ორჯერ გამხ-  
დარხართ იძულებული სამსახური მი-  
გეტოვებინათ.“

„ნდობისთვის გმადლობთ. გისმენთ.“

„აქ მარტო ნდობის იმედზე არ მოვ-

სულვარ. გულახდილად უნდა გავაფრ-  
თხილოთ, ბატონო პროკურორო.“  
საც ახლა გეტყვით, მეორედ აღარ გა-  
ვიმეორებ. არც მოწმედ გამოგადგებით.  
დანარჩენი თქვენ იცით.“

„მაშინ სულ ნუ მეტყვით ნურა-  
ფერს.“

„არა, რომ არ გითხრათ, არ შემძი-  
ლია. სინდისი არ მაძლევს ნებას.“

„აბა რიდასი გეშინიათ?“

„ჯერ ერთი, ჩვენში მოწმე არ არის  
ისე დაცული, როგორც საჭიროა. დამ-  
ნაშავის ჭირისუფლები მიადგებიან და  
კაცმა არ იცის, რას უხამენ. გარდა ამი-  
სა, თქვენ ჩამოსული კაცი ბრძანდებით,  
ერთ მშვენიერ დღეს დაპკრავთ ფეხს  
და წახვალთ აქედან. მე რა უნდა ვქნა?  
(მცირე პაუზა). ჩემი სიმაართლის დაპ-  
ფასებელი კაცი არ გამოჩნდება რაიონ-  
ში, სამუდამო მტრებს კი შევიძინ...“

„გისმენთ.“

„აქ დიდხანს დგომა არ ივარგებს. შე-  
გვნიშნავენ.“

„მანქანაში ჩავსხდეთ, აქვე შელო-  
დებთ.“

„ეგ უარესია. თქვენს მანქანაში რომ  
ვინმემ დამინახოს, მითქმა-მოთქმა მა-  
შინ ნახეთ!“

„აბა რა ვქნათ? ჯობია ისევ აქ ვისა-  
უბროთ.“

„იქნებ მართალიცა ხართ. (პაუზა)  
გთხოვთ, კარგად დამივლოთ ყური და  
დეტალებიც ყურადღებით გაიანალი-  
ზოთ, ოღონდ არ ვიცით, ამბის მოყოლა  
თავიდან დავიწყოთ თუ ბოლოდან.“

„თქვენ როგორც გენებოთ.“

„ამ სამნახევარი წლის წინ ჩვენს რა-  
იონში მოკლეს კაცი.“

„ვინ მოკლა?“

„არ ვიცი.“

„მკვლელობის მიზეზი?“

„არც ეგ ვიცი.“

„რა ხნისა იყო?“

„მკვლელი თუ მოკლული?“

„მოკლული. თქვენ ხომ ბრძანეთ,  
მკვლელი არ ვიცი, ვინ არისო.“

„თქვენ ჯვარი გწერიათ, ალბათ ხუ-



თი-ეჭვისი წლით უფროსი იქნებოდა თქვენზე“.

„სახელი და გვარი?“

„ანზორ ჯავახაძე.“

„სად მუშაობდა?“

„მეზობელ რაიონში, თუ არ ვცდები, მთავარი მეღვინე იყო“.

„მანც რა იყო მკვლელობის მიზეზი, რა ხმა გამოვიდა?“

„საქმეც ისაა, ბატონო პროკურორო, არავითარი ხმა არ გამოსულა.“

მოკლული წაიღეს, ზედ მანქანა გადაატარეს. მერე სავადმყოფოში სათანადო აქტივ შეადგინეს, ექსპერტის ცნობაც დაურთეს, საწყალი მეღვინე უგრძნობელი მთვრალი იყო“.

„თავი როგორ იმართლეს, გზატკეცილზე საიდან აღმოჩნდაო?“

„სასტუმროში წავიდაო დასაძინებლად“.

„სასტუმროში მართო გამოუშვეს, ღეთის ანაბარად? დავიჯერო, არავინ გააცილა?“

„მასპინძლები ამტკიცებენ, სტუმარს ღვინო მოეძალაო. უთქვამს, ერთი წუთით გარეთ გავალო და აღარ შემობრუნებულა, რაიონისკენ გაპარულა. სასაღილო, სადაც ისინი ქეიფობდნენ, ერთი კილომეტრითაა დაშორებული რაიონს. თქვენ კარგად იცით ის სასაღილო, ცაცხვების ხეივანთან რომაა, ჭალაში. გზატკეცილზე რომ გამოსულა, მანქანაც დასჯახებია.“

„რატომ გეპარებათ ეჭვი ამ ვერსიის სიმართლეში?“

„სრულიად უბრალო მიზეზის გამო. ჩემი თვალთ დავინახე, როგორ გადაატარეს გვამზე სატყეო მეურნეობის დირექტორის „კოლხონიკი.“

???

„ღიახ, ჩემო ბატონო, სოფლიდან ვბრუნდებოდი. სიმინდის ყანაში გაპავალი ვიწრო ბილიკი სწორედ იმ ადგილზე უერთდება გზატკეცილს, სადაც ეს საშინელი ამბავი ხდებოდა. ანზორ ჯავახაძე უკვე მკვდარი იყო, როცა მანქანა ზედ გადაატარეს... სიმინდის

ყანაში შიშით ჩაყუყულმა თავიანთ ბოლომდე ვუყურე ამ საშინელ ბოროტმოქმედებას.“

„ერთი სიტყვით...“

„ერთი სიტყვით, — წაართვა სიტყვა პედაგოგმა, — ჩემი ვარაუდი ასეთია, ანზორ ჯავახაძე ან სატყეო მეურნეობის დირექტორმა მოკლა, ან რომელიმე მისმა მეგობარმა. ყველა მათგანი, როგორც მოწმეები, ცნობილია სასამართლოსათვის. მათი სახელები და გვარები სასამართლოს დაკითხვის საქმეებშია ჩაწერილი.“

ღუმელი.

„დატრიალდნენ, ვითომ ყველაფერი ფეხზე დააყენეს, სად არ დარეკეს, ვის არ აცნობეს, სად არ ირბინეს... ერთი სიტყვით, კვალი ოსტატურად არიეს...“

„დავიჯერო, ასე იოლად ჩაფარცხენ საქმე? ნუთუ მოკლულს არ ჰყავდა ნათესალები ან მეგობრები?“

„ცოლი და ერთი შვილი დარჩა. ჰყავს ცოლისძმაც. თავიდან ყველაფერი დიდი აურზაურით დაიწყო. დაღუპულის ცოლისძმამ მუქარის კორიანტელი დააყენა. მერე ერთბაშად დაწყნარდა. ორი დღის შემდეგ სიძე წაასვენა. სასამართლოზეც მშვიდად იყო.“

„თქვენ ამტკიცებთ, რომ ცოლისძმაც მოისყიდეს?“

„მე არაფერს არ ვამტკიცებ, უბრალოდ ვვარაუდობ.“

პაუზა.

„თანაც, — განაგრძო პედაგოგმა, — რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ მიინცდამინც მოისყიდეს? იქნებ შეაშინეს კიდევ. ის რომ პატოსანი და მართალი ჯაცი ყოფილიყო, ვერც მოისყიდდნენ და ვერც შეაშინებდნენ. თვითონაც მეღვინე ყოფილა. მიხვდა, მკვდარ საძის აღარაფერი ეშველებოდა, საქმე აღარ გააშწავა, გაჩუმება არჩია, ძლიერი მტრები არ შეიძინა.“

პაუზა.

სიგარეტი.

გურამ ფანჯიკიძე  
აპრილი 2018 წლის მარტი

„კიდევ ერთი წამ მინდა გითხრათ, ბატონო პროკურორო, თუ ანზორ ჯავახიძე სატყეო მეურნეობის დირექტორის მოკლულია, ეს საქმეს გაართულებს. გივი ბარამიძე რაიკომის პირველი მდივნის კაცია, მან ჩამოიყვანა რაიონში სამუშაოდ.“

რეზო ხიდის მოაჯირს დაეყრდნო და მდინარეს თვალი გაუშტერა.

უცებ ხიდი და ორთავე სანაპირო ერთდროულად დაიძრა, მდინარეს მალლა აუყვა.

პედაგოგი ყურადღებით დააკვირდარევაზ გელოვანს. ცდილობს პროკურორის სახეზე წიკითხოს, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ნაამბობმა.

„ჩემი სათქმელი უკვე მოგახსენეთ, ბატონო პროკურორო. ღმერთმა ხომ იცის, არც შური მალაპარაკებს, არც ბოროტი ბუნება. ჩემი უბედურება ისაა, რომ უსამართლობას ვერ ვიტან, მასთან ბრძოლა კი არ შემიძლია. ერთი ხანში შესული პროვინციელი პედაგოგი ვარ. ბრძოლის არც ძალა მაქვს, არც გამოცდილება. დანარჩენი თქვენ იცით. კიდევ მინდა გავაფრთხილოთ: იმედი ნუ გექნებათ, რომ მოწმედ გამოვადგებით. მე თქვენთვის არაფერი არ მითქვამს.“

პედაგოგი გატრიალდა და წავიდა.

პროკურორს არც გაუხედავს მისკენ. მდინარეს კვლავ ჩიუტად ჩასცქეროდა. ხიდი უკვე თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქროდა მდინარის აღმა.

გრძელი, მუხის ფიცრებით მოპირკეთებული კაბინეტი.

მაგიდასთან თავდახრილი ზის პირველი მდივანი და რაღაცას კითხულობს.

პროკურორი კაბინეტში შევიდა, კარი მიხურა და ერთი წამით ადგილზე შედგა.

პირველ მდივანს თავი არ აუწევია. მხოლოდ ქალღივი გადააბრუნა და კითხვა განაგრძო.

პროკურორი აღარ ელოდება მიბატი-

ყებას, მტკიცე ნაბიჯით მიდის მაგიდასაკენ.

„გამარჯობათ!“

პირველმა მდივანმა ისე ახედა, თითქოს არც შეუმჩნევია მისი შემოსვლა. ახალგაზრდა პროკურორის აღზნებულმა თვალებმა შეაკრთო. ფეხზე წამოღვა და ხელი გაუწოდა.

„დაბრძანდით.“

პირველი თვითონ დაჯდა, ისევ ფურცელი აიღო და კითხვა განაგრძო.

„აქამდე ყურადღება ვერ მოგაქცევთ. აპარატს გაცეცანით?“ — იკითხა ისე, თავი არ აუწევია.

„დიახ!“

ღუმილი.

პროკურორი პირველი მდივნის სახეს აკვირდება. გამოძახებას ერთი კვირაა ელოდა. ერთბაშად არ გამოუძახიათ. არ აგრძნობინეს, შენმა გამოჩნერეკილმა საქმემ შეგვაშინაო. უბრალოდ, ფსიქოლოგიური ნაბიჯი გადადგეს.

„შეგიძლიათ უახლოეს დღეებში ბიუროს მოახსენოთ თქვენი ამოცანებისა და გეგმების თაობაზე?“

პირველმა მდივანმა ქალღივი გვერდზე გადადო და რეზოს შეხედა.

„შემიძლია.“

„თუ კიდევ გინდათ დრო, მითხარათ, არ დაგაჩქარებთ.“

„დღესვე შემიძლია ბიუროს ანგარიში ჩავაბარო.“

„კარგია. ძალიან კარგი. იმედი მაქვს, ჩვენი რაიონის აქტივს კარგად შეეწყობი. აქ მუშაობა ძალზე რთულია, მიგრამ თუ ხალხს გაუგებ, მუშაობაც გაიადვილდება. მთავარია ხალხს გაუგო, სიტუაცია შეაფასო, ცხოვრებას ალღო აუღო... შენ ახალგაზრდა კაცი ხარ, ცხოვრებას ალბათ კარგად არ იცნობ...“

„მეჩვენება თუ მართლა მელაპარაკება ქარაგმულად?“

„დიახ, მთავარია ცხოვრებას აუღოთ ალღო!“ — ხაზგასმულად გაიმეორა მდივანმა და ჩაფიქრდა.

პროკურორი დუმს, თვითონ სათქმელი არაფერი აქვს.

„რაიონში საქმე თავზესაყარად გექნებათ, თქვენ კი, მგონი, ძველი საქმეების ჩხრეკა დაგიწყიათ. ძველს შეეშით და ახალს მიხედეთ. საქმეებზე იმ დღიდან აგებთ პასუხს, რა დღიდანაც რაიონის პროკურატურა ჩაიბარეთ!“

„არ მესმის, რას მეუბნებით?“ — გულუბრყვილოდ გაიოცა პროკურორმა.

„მშვენივრად გესმით, რასაც გეუბნებით. ჯობია ანგარიში მოამზადოთ და მუშაობის კონკრეტული გეგმა დაისახოთ.“

„კიდევ ვიმეორებთ, არ ვიცი, რას მეუბნებით. მხოლოდ რაიონის შესწავლის მიზნით გავეცანი რამდენიმე საქმეს, ალბათ ამას გულისხმობთ, არა?“

მდივანმა გამომცდელოდ შეხედა პროკურორს, თვალეში მრისხანება ჩასდგომია, კაპილარები ჩასწითლებია. ლამის უყვიროს, კარგად იცი, რა საქმეზეც გელაპარაკებო. თავი მოთოკა, ვითომ შეკითხვა ვერ გაიგო და დიხვად განაგრძო:

„ალბათ პრეტენზიებიც გექნებათ. ბიუროზე გულახდილად ილაპარაკეთ, 'აყვედურის თქმაც ნუ მოგერიდებათ. თქვენს წინადადებებს შევისწავლით, შეძლებისდაგვარად დაგეხმარებით, სრული იმედი მინდა ვიქონიო, რომ შევეწყობით ერთმანეთს. მეტს აღარ გავაცდენთ, კარგად ბრძანდებოდეთ!“

„კარგად ბრძანდებოდეთ!“

თბილისი.

ანზორ ჭავჭავაძის ბინა.

სტატიკური სცენა:

სავარძელში ზის გაშეშებული პროკურორი.

პირდაპირ ანზორ ჭავჭავაძის ქვრივი უხერხულად ჩამომჯდარა სკამზე და ახალგაზრდა პროკურორს ყურადღებით შესცქერის.

დუმილი, უხერხული, მძიმე დუმილი.

სიგარეტი.

„შეიძლება მოვწიო?“

„მოსწიეთ!“

ქალი დგება და საფერფლე მოაქვს.

„გმადლობთ.“

ისევ უხერხული დუმილი.

„რა გნებავთ, რისთვის მოსულხართ?“ — ამბობენ ქალის თვალები.

„ბოდიშს ვიხდით, რომ უსიამოვნოდ დღეები უნდა გავახსენოთ. მაგრამ რა ვქნა, თავს ზევით ძალა არაა. თუ რამდენიმე შეკითხვაზე არ მიპასუხეთ, ისე ვერაფერს გავხდები.“

„გისმენთ.“

„კმაყოფილი ხართ თუ არა გამოძიებით თქვენი მეუღლის მკვლელობის თაობაზე?“

„მკვლელობის თუ დაღუპვის?“

„ვთქვათ, დაღუპვის.“

„ნება მიბოძეთ გკითხოთ, ვის გაახსენდა ჩემი უბედური მეუღლე სამწლიანხევრის შემდეგ? არ მინდა კიდევ ატყუდეს აურზაური, არ მინდა, ისევ ავიფორიპო გონება. გთხოვთ, თავი დამანებოთ.“

„ბოდიშს ვიხდი, რომ გული გატკინეთ, მაგრამ ნუთუ არასდროს შეგპარავიათ ეჭვი, რომ თქვენი მეუღლე მოკლეს?“

„ჩემს ქმარს ბევრი მეგობარი ჰყავდა, მის მოკვლას იოლად არავის აპატიებდნენ.“

„მკვლარი მეგობარი აღარავის სჭირდება. მაპატიეთ, ქალბატონო, ასე პირდაპირ რომ გელაპარაკებით. თუ თქვენი მეუღლის მეგობრებად იმ ხალხს თვლით, პროფესია და სამსახური რომ აკავშირებდა, ისინი უმალვე დაივიწყებდნენ თქვენს მეუღლეს. მკვლარი, თამაშიდან გასული კაცისათვის მდგომარეობას არ გაიმწვავებდნენ, პირიქით, საქმის ჩაქრობასაც ხელს შეუწყობდნენ.“

„თქვენ აქ იმიტომ მოხვედით, რომ დამარწმუნოთ, ქვეყანა მკვლელებით

გურამ ფანჯიკიძე

აბშიშში მხის წელიწადი

და ნიანგებით არის დასახლებულიო?“  
„აქ იმითომ მოვედი, რომ მივავნო  
თქვენი ქმრის მკვლელებს.“

„ჩემი ქმარი არ მოუკლავთ, იგი მან-  
ქანამ გაიტანა. სამწუხაროდ, დამნაშავე  
ვერ იპოვეს.“

„ვერც იპოვიდნენ, რადგან იგი მან-  
ქანას არ გაუტანია.“

„არაფრის გახსენება არ მსურს. გე-  
მუდარებით, თავი დამანებეთ!“

უხერხული დუმილი.

ზარის გაბმული ხმა.

„შვილო, ვადი, კარი გააღე!“ — გას-  
ძახის ქალი ბავშვს მეორე ოთახში.

ზარი მეორდება.

ქალი დგება და თვითონ აღებს კარს,  
ეტყობა, ბავშვი შინ არაა.

ოთახში ორმოციოდ წლის წარმოსა-  
დგი კაცი შემოვიდა.

„რა ხდება, რამ აგაღელვა?“ —  
მიმართავს ქვრივს. და უცნობ პროკუ-  
რორს თავს ცივად უქრავს.

„ჩემს ძმას ელაპარაკეთ. მე ბოდიშს  
გინდით, უნდა გავიდე. ამ თემაზე ლა-  
პარაკიც არ მსურს!“

„პროკურორი გახლავართ და მან-  
ტერეგებს თქვენი სიძის მკვლელობის  
ზოგიერთი დეტალი.“

„ჩემი სიძე არ მოუკლავთ. იგი მან-  
ქანამ გაიტანა.“

„სამწუხაროდ, იგი მანქანას არ გაუ-  
ტანია. ყველა საფუძველი არსებობს ეჭ-  
ვისა, რამ თქვენი სიძე მოკლეს.“

„გამოიხეხის პერიოდში ყველაფერი  
ვიღონ და ყველაფერი გავარკვიე. საე-  
ჭვო არაფერი შემინიშნავს. ვფიქრობ,  
თქვენც ტყუილად იწუხებთ თავს.“

„პაერზე როდი გელაპარაკებთ, რო-  
ცა საქმეს გადავხედე, თითქოს საეჭვო  
არაფერი იყო, მაგრამ... შემდეგ ზოგიე-  
რთმა ისეთმა ფაქტმა იჩინა თავი...“

„ჩემი სიძის დაღუპვის საქმეს ასჯერ  
მაინც გადავხედე. მტკიცედ ვარ დარწ-  
მუნებული, ანზორ ჯავახიძე არავის მთ-  
უკლავს. იგი მანქანამ გაიტანა.“

„ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითო

ქოს არ გინდათ, საქმის ნამდვილი არსი  
გაიარკვეს.“

„ვინ მოგახსენათ? ჩვენ უბრალოდ  
დავიღალეთ ამდენი ნერვიულობით და  
უბედურებით. აღარ გვინდა, ყველაფე-  
რი თავიდან დავიწყოთ. მით უმეტეს,  
კიდევ გიმეორებთ, გამოძიების კეთილ-  
სინდისიერებაში იოტისოდენადაც არ  
გვეპარება ეჭვი.“

„ქარგად ბრძანდებოდეთ, ბოდიშს გი-  
ხლით შეწუხებისათვის.“

„ქარგად ბრძანდებოდეთ.“

„ვერ დაგბრძნობთ, რომ საქმის ძი-  
ებას არ გავაგრძელებ.“

„თქვენი ნებაა.“

—ახლა ნამდვილად მივედით. — აპ-  
ბობს ელდარი.

ოცი წუთი გავიდა ჩემს სანუგეშოდ  
თქმული ფრაზის შემდეგ და პირველი  
მოსახლევ გამოჩნდა.

— ვინ იცის, სად ჯანდაბაში ცხოვ-  
რობს, კაცი არა ჩანს, რაიმე ჰკითხო.  
ერთხანს კიდევ ვიარეთ.

— დაყვირე ბიჭო, მანქანა! — უბრ-  
ძანა ექიმმა შოფერს.

საყვირის ხმამ სიბნელე გააპო და  
მდინარის გადაღმა შეასკდა კლდეებს.

მანქანის ხმაზე არავინ დაფეთებულა.  
ალაგ-ალაგ ძაღლები აყეფდნენ. ეგ ეჭო  
და ეგ.

— სინათლევ არავის უნთია. კაცო  
ვერ გაიგებს, სძინავთ თუ დაცარიელ-  
და სოფელი!

— მეონი, იმ სახლიდან გამოდის სი-  
ნათლი! — ვეუბნები მე.

— აბა, წადი იქით! — უბრძანა ელ-  
დარმა შოფერს.

ორ წუთში მანქანა იმ ეზოს გაუსწო-  
რდა, სიღრმეში ჩადგმული ოდა-სახლი-  
დან სინათლე რომ გამოკრთოდა.

მანქანის ხმაზე უმაღლე დიდი ძაღლი  
გამოიჭრა ყეფით და ჭიშკარს მოაწყ-  
და.

— მასპინძელი! — იყვირა ელდარ-  
მა.

ძაღლი კიდევ უფრო გაგიჟდა.



— მასპინძელი! — გაიმეორა ელდარმა, მანქანიდან ძირს გადავიდა. უზარმაზარი ძაღლი, ჭიშკრის ქვემოთ დარჩენილ ღრიჭოში რომ დრუნჩი გამოეყო და იღრინებოდა, არაფრად ჩაავლო. ეტყობა, მიჩვეული იყო სოფლის ძაღლებთან დიალოგს.

— გაჩერდი, შე უბატონო! — უთხრა ძაღლს, მერე ხიმეს მიადგა და ისევ ხმამალა დაიძახა, — მასპინძელი!

— რომელი ხარ! — მოისმა პალატიდან. კარი გაიღო და თეთრსაცვლებიანი კაცი ელექტროფარნით ხელში ჭიშკრისკენ წამოვიდა.

პატრონის ხმაზე ძაღლი სულ გადაიბრია.

— გაჩერდი, შე სამგლე, ხმა ჩაიწყვიტე, — გაუწყრა კაცი, — რომელი ხარ? — იკითხა ხმამალა, ახლოს რომ მოვიდა.

— სერგო გონგაძე სად ცხოვრობს. ვერ მიგვასწავლი?

ფანრიანი კაცი სულ ახლოს მოვიდა. წითელჯვრიანი მანქანა რომ დაინახა, მისვდა ვინც ეძახდა.

— გამარჯობა თქვენი!

— გაგიმარჯოს.

— რა მოხდა, ხომ არაფერი უჭირთ?

— აბა, რა ვიცი!

— ა, ასე წახვალთ პირდაპირ, ერთხანობას არსად გადაუხვიოთ. მერე გადატეხილ, ბებერი კოპიტი გამოჩნდება. იქიდან ხელმარცხნივ იარეთ და პირდაპირ მიაღებთ სერგო გონგაძის სახლს.

— ავაშენა ღმერთმა!

მანქანა ისევ არახრახდა. ძაღლმა ეზოს დასასრულამდე გვდია მესერის გასწვრივ. მერე თითქოს ესტაფეტა გადააწოდაო, მეორე ძაღლი აგვედევნა, მეორეს მესამე მოჰყვა...

ათი წუთის შემდეგ კოპიტიც გამოჩნდა, ბებერი, ვადამტკრეული კოპიტი. მანქანამ მძიმედ ამოიხრიალა და მარცხნივ გაუხვია.

მალე უზარმაზარი კაკალი გამოიკვეთა მოწმენდილი ცის ფონზე. მანქანის შუქზე ჭიშკრის თეთრი ქვის სვეტე-

ბიც აკიაფდა. ჭიშკართან ორი ჭაბუკი იდგა. თვალები ხელით მოიჩრდილა და თან გვიანიშნეს, აქეთ მოდიოთ.

შოფერმა მანქანა პირდაპირ ჭიშკართან მიაცუნა.

— აქეთ მობრძანდით, ჩემო ბატონო, ეზოში შემოდით!

მეორემ ჭიშკარი გააღო.

აშკარად ეტყობათ, ნასვამები არიან.

მანქანის ეზოში შესვლას აღარ ველოდებოთ. მე და ელდარი მანქანიდან გადმოვდივართ და ეზოში ფეხით შევდივართ.

— სადა ხარ, ექიმო, გველუპება ავადმყოფი! — შემოგვეგება ტანმორჩილო, ჩასუქებული, როხროხა კაცი.

— მობრძანდით, ჩემო ბატონო, მობრძანდით! — მომმართა მე.

მივხვდი, ვეუცხოვე.

უზარმაზარი ორსართულიანი სახლის ფანჯრიდან მკრთალი სინათლე გამოდის.

— მეორე სართულზე მობრძანდით, ბატონო!

ფართო, მოზაიკით მოპირკეთებულ კიბეს ნელა შევუყვებით.

უცებ სახლი ერთბაშად განათდა და მრავალყამიერიც დააგუგუნეს.

— ექიმს გაუმარჯოს, ექიმს! — ისმის შეძახილები.

სუფრა ნომარ ველსა ჰგავს. ნახევარზე მეტს სძინავს, ზოგს პირდაპირ თეფშზე აქვს თავი დადებული. ზოგი სკამს გადასწოლია, უაზროდ გაშეშებული, ნახევრად დახუჭული თვალები ჭერისთვის მიუპყრია და პირდაღებული ხმამალა ხვრინავს.

თამადას პერანგი ჭიპამდე ჩაუხსნია, პალსტუხი ტიტველა მკერდზე ჰკიდია, მაჯაზე მსხვილი, იაპონური საათი უქვთია და ხელში ჯამი უჭირავს.

— ჩემს ელდარს გაუმარჯოს, ჩვენი პატარა რაიონის ჯანმრთელობას! ელ-

**გურამ ფანჯიკიძე**

აპტიური მზის ფელიჩადი



დარ, გაფიცებ დედაშენს, ამდენი ავად-  
მყოფი გყოლია ერთდროულად როდე-  
სმე? გადახედე, რას დაემსგავსნენ.

ჯამი მაგიდაზე დადგა, ერთს თმაში  
ხელი ჩაავლო, მეორე ხელი ყბაში ამო-  
სდო და თავი მალა აუწვია.

— ხედავ, რა დღეშია ჩვენი სკოლის  
დირექტორი? ხედავ ხომ?

ორთავე ხელი უეცრად გაუშვა. თა-  
ვმა მოკრიბივით გაადინა თეფშზე ზღა-  
რთან.

ელდარს შეგხედე. სახეზე ნერვიც არ  
ასტოკებია, არც თვალეში ჩასდგომია  
წყენა ან რისხვა. თავი შეურაცხყოფი-  
ლად არ უგრძნია, ასე რომ გააბამუ-  
ლეს. იქნებ პირველად იწყინა კიდეც  
მსგავსი თავხედობა, მერე ალბათ თან-  
დათან შეეჩვია, შეეგუა.

— აბა, მაგიდასთან მობრძანდით,  
სტუმართან ბოდიშს ვიხდით, ასე რომ  
დაგხვდით. მანამდე, ჩემო ელდარ, ნუ  
გაცდება შენი „სასწრაფო“, შოფერს  
უთხარი, „ავადმყოფები“ ოჯახებში ჩა-  
მოგვირიგოს.

— დიდი სიამოვნებით. ოღონდ გაი-  
ყვანეთ და ჩაყარეთ მანქანაში.

— არავითარი გაყვანა. ვალოდია ნე-  
მსაძე საკაცით უნდა გაიტანონ, საკა-  
ცით. მაგ ვაქტონმა უნდა იცოდეს,  
ვის ეჯობება სმაში. საკაცე ხომ არ და-  
გვიწყენია?

— ყველაფერი თავის ადგილზეა, შო-  
ფერმა მშვენივრად იცის, სად რა დევს  
მანქანაში.

— აბა, სუფრასთან მობრძანდით.  
გვიტახა ი მინც, ვინაა ეს კაცი. ალ-  
ბათ შენი კოლეგა იქნება.

— გაიცანით, ნოდარ გელოვანი, ფი-  
ზიკოსი გახლავთ.

— გაუმარჯოს მეცნიერებას. მარიაჰ,  
ახალი სუფრა აივანზე!

მივხვდი, შეგნებულად არ თქვა, პრო-  
კურორის ძმა რომ ვიყავი.

— თავიდანვე რატომ შეეყუყულხარტ  
დარბაზში? — კითხულობს ელდარი და  
პერანგის სახელოებს იკაბიწებს.

— აიჩემეს, წვიმა იქნებაო. ხედავ, რა  
მოსარკული ცაა?

პატარა სუფრა უმაღლე გაშალეს აი-  
ვანზე.

— კალმახი, კალმახი ბლომად! — გას-  
ცა ბრძანება თამადამ, — აბა, ყანწი  
შემოსწრებულეებს!

ელდარს გავხედე. მეორე კალმახს  
უღებდა ბოლოს.

ლიპიანმა, თვალედასისხლიანებულმა  
კაცმა, ენას რომ ვერ აბრუნებდა, ყანწი  
ბოლომდე შეავსო. თამადამ ფრთხილად  
ჩამოართვა და მე გამომიწოდა.

— დიდ ბოდიშს მოგახსენებთ, მაგ-  
რამ ყანწს ვერ დავლევ.

— რატომ, ახალგაზრდავ?

რამდენი შეპარული დაცინვა იყო ამ  
ორ სიტყვაში — „რატომ, ახალგაზრ-  
დავ?“

გამოწვევა მივიღე. ფეხზე არ წამო-  
ვმდგარვარ, არც ხელი შემიგებებია  
ყანწის ჩამოსართმევად. ვიცი, რაც უფ-  
რო დიდხანს იქნება ხელგამოწვდილი,  
მით უფრო მოსტყდება ფრთები მის  
სიამაყეს.

— გთხოვთ, ჩამომართვათ!

ხმაში სიმკაცრე შეეპარა. რიხი თვა-  
ლსა და ხელს შუა უქრება, ყანწგამოწ-  
ვდილი მოიღალა კიდეც, დარდიმანდუ-  
ლად ველარა დგას, ნირწამხდარი შემომ-  
ცქერის.

— ყანწით სმის დაწყება არ გამიგია,  
ჯერ მაცალეთ, ორი-სამი ჭიქა ღვინო  
დავლიო!

მიხვდა, სიმართლეს ვეუბნები, მაგ-  
რამ აღარ იცის, ყანწს რა მოუხერხოს.  
უცებ ელდარს დაასო თვალი.

— ელდარ, ყანწი ჩამომართვი, შენც  
არ დამიწყო... — აღარ დაამთავრა ბოლ-  
მით წარმოთქმული ფრაზა.

ელდარი უხმოდ წამოღდა ფეხზე, ტუ-  
ჩები ხელსახოცით მოიწმინდა და ყან-  
წი ჩამოართვა.

— თქვენს მიერ წარმოთქმულ სად-  
ღეგრძელოებს გაუმარჯოს! — მოკრა  
მოკლედ.

ყანწს დინჯად შეება, თითქოს სიამო-



ვნებს კიდევ ლიტრიანი ყანწის დაღე-  
ვა. სახეზე ნელ-ნელა შემოაწვა სიწი-  
თლე, საფეთქლები დაებერა.

ყველანი ჩუმად მისჩერებოდნენ. ყო-  
ნტი ენერჯიულად ასდი-ჩამოსდის. უკა-  
ნასკნელი წვეთები ნიკაბთან ჩამოუგო-  
რდა და პერანგზე დაეწვეთა.

ყანწი ბოლომდე დასცალა. ძირს და-  
უშვა და ყველას ცალ-ცალკე შეგვაგლო  
თვალი.

— ყოჩაღ! — შესძახა თამადაძე.

რაიონის მთავარი ექიმი მე მომიბ-  
რუნდა.

— დალიე, რაც მალე დადგები ამათ  
ჭკუაზე, ისა სჯობია. დილაზე აქედან  
წამსვლელები მიიწე არა ვართ.

უარის ნიშნად თავი გაავიქნე.

ქვემოდან მანქანის მოტორის ხმა მო-  
მესმა. პირველი რეისი უკვე წავიდა  
ღრიანცელით და სიცილ-ხარხარით.

— „ერთ შეყვარებას კიდევ გთხოვ...“

— დაიწყო ელდარმა.

თამადაძე უმაღვე ბანი შეაშველა.

ელდარის ხმამ ისე არ შეირია თამა-  
დის უსიამო ხმა, როგორც ბენზინმა  
წყალი.

უკვე ვნანობ, ყანწი რომ არ დავლიე-  
ვატყობ, დილაზე ვერსად წავალთ. ელ-  
დარი ეწეში შევიდა, შემიძლია წასვლა  
დავიჩემო, მაგრამ მეგობრისა მესათრუ-  
ბა. მას აავისი ანგარიშები აქვს ხალა-  
თან, სოკელთან. „ახია ჩემზე!“—ფიქ-  
რობ გაბრაზებული და მოუთმენლად  
ველი, ყანწს ხელმეორედ როდის მო-  
მანოდებენ.

— გიტარა! — იყვირა ელდარმა.

— ახლავე, ბატონო!

მერე ოთხი თუ ხუთი სადღეგრძე-  
ლო...

მერე ისევ ყანწი...

ნახევრად დაღეულ ყანწში უსიამოდ  
ტყაპალებს ღვინო, ნელა ვსვამ და  
ღვინო ვაცილებით სწრაფად მეკიდება.  
ვგრძნობ, სამი წყვილი თვალი როგორ  
მიბურღავს სხეულს.

შემდეგ გიტარა.

ესე იგი, სანამ ყანწს ვსვამდი, ელ-

დარს გიტარა მოუტანეს. ერთი სულ  
მაქვს შევისვენო, მაგრამ წინასწარ  
ვხედავ თამადის სახეზე (მგონი სერგო  
ჭკვია) გამოსახულ დამცინავ ღიმილს.  
არა, შეგვენება არ შეიძლება. ესე იგი,  
მე მათ ღიმილს ანგარიშს ვუწვევ. ესე  
იგი, მთვრალი ვარ. თუმცა ანგარიშის  
გაწვევა არაფერ შუაშია, მე ჩემი მეგობ-  
რის პრესტიჟს ვიცავ. ელდარი გიტარას  
აწყობს, რამდენიმე აკორდი აიღო კი-  
დეც. ალბათ კარგა მაგრად ვარ მთვრა-  
ლი და მეჩვენება, რომ გიტარა იდეა-  
ლურად არის აწყობილი.

— ასე არ ჯობია? — ღიმილით მარ-  
თმევს ყანწს თამადა.

ღვინომ ძარღვები გამიფართოვა, აქა-  
მდე თითქოს შეგუბებული სისხლი ლა-  
ლად აჩუხჩუხდა. ენერჯია მომემატა,  
სმა მომინდა.

ელდარს მეორეს ვეუბნები-

სიმღერა გამოგვიდის.

მერე შოფერი ამოდის საკაცით ხელ-  
ში.

სკოლის დირექტორს უგრძნობლად  
დებენ საკაცებზე და მიასვენებენ.

ხორხოცი.

შიგადაშიგ ისტერიული კვილი.

თამადა თვითონ დგება საკაცის თავ-  
ში.

სკოლის დირექტორი ერთი ვაი-უშვე-  
ლებელით ჩაპყავთ დაბლა და პირდაპირ  
საკაცით დებენ მანქანაში.

— ასე არ ვადმოილოთ ოჯახში,  
ხალხს გადარევთ შიშით! — ისმის ქა-  
ლის შეშფოთებული ხმა.

მეორე ყანწი. მე თვითონ მოვიტო-  
ვე, ყანწი დავლიოთ-მეთქი.

— შემეცხეთ! — გამბობ გამომწვე-  
ვად.

თვითონ ვგრძნობ, თვალეები როგორ  
მიბრწყინავს.

მეორედ უფრო იოლად ვსვამ და ალა-  
ვერდს თამადასთან გადავდივარ. აღარც  
მასსოვს, რა სადღეგრძელო ვთქვი. კი-

გურამ ფანჯიკიძე  
აბბიძის მხრის ფაფიზადი



ღვე კარგი, არც შეკითხება. თუმცა რომ შეკითხოს, რა აზრი აქვს, მაინც ვერ გავიხსენებ.

— მივიწყებულ საფლავებს გაუმარჯოსო! — ამბობს თამადა.

ნუთუ მე ვთქვი ასეთი სისულელე? როგორ შეიძლება ასეთი სისულელე შეთქვა? ალბათ ვთქვი.

— შეილო, ხომ არ მოისვენებ? — ჩამესმის ყურში ქალის თბილი ხმა.

თვალს გაკვირვებით ვახეღ. ერთხანს გონს ვერ მოვდივარ, სად ვარ, მერე თანდათან მაგონდება ყველაფერი. ელდარს თეფშებზეა ჩაუყვია თავი და სძინავს, თამადა პირდაპირ იატაკზე გაშხლართულა, იქვე მოუტანიათ ბალიში და ზეწარი.

ეხო შუქის ორმა ნაკადმა გაანათა. მანქანა ჭიშკარში შემოვიდა. მობტორის ღმუილზე ვიცანი „სასწრაფო“. ჩვენს ძილში ვინ იცის, მერამდენე რეისს აკეთებდა. მანქანა შებრუნდა, შუქის ორი ტოტი დაბლა გადაიჩეხა და ხეებში ჩაფლული პატარა ოდის წითელ კრამიტზე გაიშალა.

უცებ სინათლე ჩაქრა. წითელკრამიტინი ოდა სიბნელემ ჩაყლაბა.

— იქნებ ჩაი მაინც დალიო? — გამიმეორა იგივე ხმამ.

ვიღაც მანჯღრევს.  
— ნოდარ, ჩამოვედით.  
თვალს ვერ ვახეღ.  
— მიშველე, ექიმო! — ჩამესმის ყურში ქალის შეშფოთებული ხმა.

— ასე უთენია რამ მოგიყვანდა ეს ნაღდად ელდარია.

— უთენია კი არა, ოთხი საათია, აქ ვდარაჯობთ!

— პირდაპირ მითხარი, რა გინდა? როგორც იქნა ვხსნი გრანიტის ქვასავით დამძიმებულ ქუთუთოებს.

უმაღვე საათს დავხედე, შვიდი დაწყებულია.

საავადმყოფოს წინ ვდგავართ. მანქანიდან ძლივს ჩამოვდივარ. ფეხები მეკეცება და თავი მიხურს.

დაბალი, მსუქანი ქალი ცრემლმორეული ემუდარება ელდარს, მიშველე რამეო. ორმოცდაათი წლისა მაინც იქნება.

— აღარ მეტყვი, რა დაემართა?  
— წუხელი ნასვამი მოვიდა, გული აწუხებს საშინლად!

— ნასვამი თუ მთვრალი?  
— მთვრალი, ექიმო!

— მოვიდა თუ მოიყვანეს?  
— მოიყვანეს.

— მერე, რა მინდაო, რას უჩივის?  
— ბორგავს, კვნესის, გაუგებრად

ლულულულებს. დროდადრო რაღაცას ყვირის და შეშინებული თვალებს აცეცებს.

— წადი, უთხარი, სასადილოში ჩამოვიდეს, ერთად გამოვალთ „შამხელიაზე“.

— ექიმო!  
— არ უნდა ამას „ექიმო!“ წაღა

და რაც გითხარი, ის გააკეთე. ელდარმა მანქანის კარი გამოაღო.

— ჩაჯექი, საავადმყოფოში მშვიდობაა. წავიდეთ, თითო ბოთლი შამპანური გადავივლოთ გულზე.

**თავი მეთერთმეტი**

გმირთა მოედანზე გავიხიორე, სპორტის სასახლის მიმართულებით მიმავალი. ირგვლივ მანქანები ისე მარტყია, მით შორის მანძილი ალბათ სანტიმეტრებით გაიზომება. ოდნავი ბიძგი, ოდნავ მოუბოძლად მიცემული გაზი და

მიეჯახები კიდეც წინ ჩამდგარ მანქანას, თუ მანამდე თვითონ არ დაგეჯახა ვინმე.

სული მეხუთება. ყველა ფანჯარა ბოლომდეა ჩაწეული. მანქანის სალონში პაერი მაინც არ იძვრის. საშინელი



სიცხეა, მზე უმოწყალოდ აჭერს და აწყარად გვიმტკიცებს სამყაროს მატერიალურობას. ვგრძნობ, როგორ ვწებება გამდნარი ფისი მანქანის საბურავებს. გაოფლილი პერანგი ზურგზე მეკვრება, საკუთარი თავი მეზიზღება. საშინელი სურვილი მეუფლება, კარი გავაღო, მანქანიდან გადავიდე და გავიქცე საღვთის შორს, შორს, ტრიალ მინდორზე. ამ სურვილს შესრულება არ უწყურია. ოთხივე მხრიდან ისე ვარ მანქანებით შემოსაღებული, საძრაობა არ არის. წინ და უკან ავტობუსები და ტროლეიბუსებიც გაჭედვილან საცოდავად.

— რა მოხდა? — მინდა ვკითხო ვინმეს. მაგრამ იმ რამდენიმე მძღოლის თვალბთან, მე რომ ვხედავ, კონტაქტს ვერ ვამყარებ. ხელმარჯვნივ, ზუსტად ჩემს გასწვრივ, „უიგულის“ საჭეს სათვლიანი კაცი უზის, ასე ორმოცდათხუთმეტი წლისა. ამ საშინელ საცობში სასაცილოდ გამოიყურება უსაფრთხოების ღვედით შემოსაღებული.

— რა მოხდა? — გავძახი ხმამაღლა. ჩემსკენ არც გამოუხედავს, პასუხზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

„ვერ გაიგონა თუ არ მიპასუხა?“ — ვფიქრობ მე. ცოცხალი ხნის შემდეგ ისევ ვეკითხები. ამჯერად უფრო ხმამაღლა.

— რა მოხდა? — სათვლიანმა დინჯად შემოაბრუნა თავი ჩემსკენ, ერთხანს უაზროდ მიყურა, მერე მხრები აიჩეჩა, არ ვიცით.

ცისკენ მიმავალი გამონაბოლქვი აირის თხელი კედლები ჩამდგარა მანქანებს შორის. გავარვარებულ აირს უკან მანქანები ისე მოჩანს, როგორც საგნები გაუსწორებელ ფოკუსში.

ნერვები თანდათან იჭიმება, ვგრძნობ, მეტ დაჭიმვას ვეღარ გაუძლებენ და სადაცაა დაწყდება გახისტებული ლითონის ძაფებიც.

სარკეში ვინებდები. უკანაც მოჩანს გაწამებული მძღოლის სახე.

დროდადრო მილიციელის სასტვენის ხმა.

წინ რაღაც დაიძრა. აგერ, ტროლეიბუსის ბიგელებიც გასრიალდა დაჭიმულ მავთულზე. გასრბალდა და იქვე გაჩერდა.

თანდათან ახლოვდება სირენის გამოყვანი წივილი. შუბლზე მომსკდარ ოფლს ცხვირსახოცი ვიწმენდ. კიდევ უფრო საშინლად განვიციდი სხეულზე მიწებებულ სველ პერანგს.

ვიღაცამ მანქანის გაბმული სიგნალი მისცა. მას მეორე აპყვა. რამდენიმე წუთში მოედანი შეაზრიალა რამდენიმე ასეული მანქანის საყვირის ხმამ.

ისევ გაისმის სირენის წივილი. ამჯერად სულ ახლოს, საღვთის ოციოდ მეტრის დაშორებით. მანქანების სიგნალის ხმა ჯერ შესუსტდა, მერე სულ შეწყდა. წინა ტროლეიბუსი ისევ დაიძრა.

მილიციელების სასტვენის ხმები საგრძნობლად მომრავლდა. რამდენიმე მათგანს უკვე ვხედავ კიდევ. ტროლეიბუსი ისევ მიდის. უცებ ჩემს ხელმარცხნივაც დაიძრა კოლონა. დაიძრა ნელ-ნელა, ტატიო, საათში ალბათ ორი კილომეტრის სიჩქარით. მესმის მოტორების ღმუილი. პირველი სიჩქარით გატანჯული ძრავები საცოდავად ხრიალებენ და ნაცრისფერ ბოლს უშვებენ. ნაწვავი გაზი სულს მიხუთავს. ფანჯრებს ისევ ვწევ მალა, მაგრამ სალონში ისეთი საშინელი სიცხე წვება, ფანჯრებს უმაღლვე ვაღებ. ფანჯრიდან ხელს ვყოფ. თითქოს შედედებულ ცხელ მასაში შევყავი ხელი, ისე განვიციდი სიცხის სხეულებრივ სიბლანტეს და სიმკვრივეს.

ხელმარცხნივ კოლონა ისევ წინ მიიწევს. დანარჩენებს საშველი არ დავაღდა.

სარკეში შევნიშნე, მიცვალებულს მოასვენებენ — პროცესიას წინ მილიციის მანქანა მოუძღვის.

უსიამოდ შევიკმუხნე, ისედაც დამ-

გზარამ ფანჯრიდან აპტიური მზის წელიწადი



ძიმებული გული კიდევ უფრო დამიძიმდა.

ბოლოს და ბოლოს, იქნებ დაიძრას ჩვენი კოლონაც! ტროლეიბუსის ბიგლები უკვე შორს მოჩანს, მაგრამ ერთ ადგილზეა გაქვავებული. ავტობუსებიც ისევ ისე არიან უძრავად.

სირენამ ზედ ყურისძირში დაიწვილა. ჩემს ხელმარცხნივ ღერძულა ხაზისპირა კოლონა ისევ შედგა.

სარკეში ვიციკირები. შავ ხვევრდგადარული ღია საბარგო მანქანა თითქმის წამოგვწევია. მანქანაზე ბიჭები დგანან კუბოსთან. თვითონ კუბო არ ჩანს. უსიამო მოლოდინი მიპყრობს, ვაითუ მიცვალებული ბავშვი აღმოჩნდეს...

ბოლო წლებში მხოლოდ ბავშვების სიკვდილიდა მოქმედებს ჩემზე.

ხელმარცხნივ კოლონა ისევ დაიძრა. მილიციის მანქანა კარგა მანძილზე გაგვცდა. ბალდახინი უკვე აღარ მოჩანს სარკეში, სადაცაა გვერდით ჩამივლის. მეორე მხარეს ვიხედები, იქნებ გამცდეს, არავითარი სურვილი არა მაქვს, კუბოს შევხედო.

უცებ ჩრდილი დამეცა. მივხვდი, ბალდახინი გამისწორდა, მალე მზემ ისევ შემოანათა ფანჯრიდან. ერთხანს კიდევ ვიციკირები მარჯვნივ. მინდა ბალდახინი საბოლოოდ გამცდეს, ბოლოს თვალი მაინც გამიბრბის მარცხნივ, ბალდახინი სულ ოთხიოდე მეტრით წასულა წინ და კოლონაც ისევ შეჩერებულია, ჩემს გვერდით ახლა ჭირისუფლების მანქანა დგას. „ვოლგაში“ უკან სამი ქალი ზის, წინ მძღოლი და ასე, ორმოცი წლის წარმოსადგევი კაცი. თვალი მაინც გამეპარა ბალდახინისაკენ. კუბოს სიციხით გათანგული ოთხი ქაბუკი აღგას თავზე. სახეს და კისრებს ცხვირსახოცით იმშრალებენ, ხან წინ იციკირებიან, კოლონა იქნებ დაიძრასო, მაგრამ აიჟოდ. ქუჩის მეორე ნახევარზე საწინააღმდეგო მიმართულებით მიმავალი მანქანებიც უიმედოდ გაიხიბრნენ.

კარგად ვხედავ მიცვალებული მა-

მაკაცის ქალარა თმებს. ვმწვიფებო ბავშვი არ ყოფილა. ისევ ჭირისუფლები ბისკენ ვიხედები. მათი, მწუხარებაზე უფრო სიციხით გატანჯული სახეები, უარესად მალიზიანებს.

კვლავ მარჯვნივ მივებრუნე თავი. სათვლიანი ოდნავ წინ წასულა. ჩემს გვერდით ახლა „ვოლგა“ დგას. მძღოლზე ვატყობ, სახელმწიფო მანქანაა. მისი არაფრისმთქმელი სახე მოცებს. ტანჯვის ნიშანწყალიც არ ემჩნევა. ან იქნებ უკვე გამოთავყვანდა და გამოლენიდა ნერვიულობისაგან? ან იქნებ უკვე მიეჩვია ასეთ ნერვების ამბურდავ სიტუაციებს, ცხოვრების ნორმად რომ ქტეულა?

ახალი ძალით აწივლდა სირენა, ისევ გახშირდა მილიციელების სასტენების ხმა.

კვლავ მარცხენა მხარეს დაიძრა კოლონა.

საცოდავად ქანაობს მიცვალებულის თავი კუბოში.

გონებაში ყოვლად ბანალური აზრი იბადება, სასაფლაოს ფილოსოფიის უმთავრესი დებულება — სულ ეს ყოფილა ჩვენი ცხოვრება!

კოლონა ნელა, მაგრამ საფუძვლიანად დაიძრა. ახლა ხალხით ვაჭედილი ავტობუსი გამისწორდა. ავტობუსის ღია ფანჯრებიდან მოჩანს სიციხით გატანჯული და გაოფლილი სახეები.

ვიღაც თავს მიქნევს.

ჯერ ვერ ვხვდები, მე მესალმება თუ სხვა ვინმეს. ბოლოს მაინც ვასკენი, რომ მე მომესალმა და თავს დაბნეული ვუქნევ მისალმების ნიშნად, მაგრამ ავტობუსი უკვე წინაა და იგი აღარ მიციქვრის.

ვერ ვიციანი. იქნებ არც მომსალმებია?

წინ ტროლეიბუსიც დაიძრა, ბიგელებთან ელექტრონის ნაპერწყლებმა ცისფრად იელვა.

ბოლოს და ბოლოს, ჩვენს კოლონასაც დაადგა საშველი. ავტობუსს ხან ვეწვი, ხან წინ ვუსწრებ, ხან კვლავ უკან



ვრჩები. როცა გავუსწორდები ხოლმე, თვალს ფანჯრისკენ ვაპარებ. მინდა შევხედო, ვინ მომესალმა. ის ჩემსკენ აღარ იყურება.

„ალბათ არც მომსალმებია“, — ვფიქრობ მე.

ჩვენ ისევ ადგილზე ვდგავართ, ავტობუსმა ათიოდე მეტრით გაგვასწრო.

ცოტა ხანში ისევ გავუსწორდი ავტობუსს.

კარგად ვხედავ იმ კაცის სახეს, წედან რომ მომესალმა. იგი ახლა ჩემსკენ არ იყურება, თუმცა ალბათ მშვენივრად გრძნობს, როგორც შევცქერი ქვემოდან. ღიმილზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტი, ასეთი სიტუაციებისთვის რომ არის ხოლმე დამახასიათებელი.

„ალბათ სხვაში ავერიე, მერე მიხვდა, რომ შეცდა და თვალსაც მიტომ მარიდებს.“

ბოლო მოსაზრება ყველაზე მართებულად მივიჩნე და უცნობის სალამიც და არსებობაც უმაღლეს დამავიწყდა.

მესამე კოლონაც დაიძრა. უკვე ტელევიზიის შენობის გასწვრივ ვიმყოფებით.

ლითონის ორი მდინარე ერთმანეთის საპირისპიროდ მიედინება. გავარვარებული ასფალტიდან მალლა მიისწრაფის ცხელი ჰაერი, იქვე გამონაბოლქვი გაზები რომ უერთდება. ჰაერის ცხელი ჰაველი გამჟვინვალე ფარდასავით ირხვევა, ფოკუსის ისევ იკარგება, მანქანების, ავტობუსების, ტროლეიბუსების, ხეებისა და ელექტრონის ბოძების კონტურები ისე ცახცახებენ და იბრიცებიან, როგორც გამოსახულებანი იბრიცებიან ხოლმე ტელევიზორის გაუსწორებელ ეკრანზე.

შევჩერდით.

უკვე მერამდენედ.

მარჯვნივ გავიხედე. ისევ ის მანქანა მომდგომია გვერდზე, სათვალისანი კაცო რომ უზის საუკეს. ახლა უფრო ახალგაზრდა მომეჩვენა, ალბათ ორმოცდაშვიდი-ორმოცდარვა წლისა იქნება. ჩემსა შეგნებაში ორმოცდაათი წელი წყალგამყოფი მთასავითაა, საიდანაც ნამდვი-

ლი სიბერე იწყება. სათვალისანი ვილაღ არ ჰგავს იმ ასაკის კაცს, სიცოცხლისუნარიანობა რომ ინტენსიურად უქვეითდება.

სათვალისანი ისევ წავიდა წინ. კვლავ ის სახელმწიფო „ვოლგა“ წამომეწია, საუკეს რომ სახეგამოლენჩებული შოფერი უზის. არც ახლა შემომჩნევია დიდი ადევლება. ეტყობა, მხოლოდ სიცხე აწუხებს, ეგ არის და ეგ. ნერვის ერთი ძაფიც არ ათრთოლებია, მისი ტვინის უჯრედებში ალბათ სულ რამდენიმე აზრი თუ დაიბადება და მომწიფდება.

ჩვენი კოლონა ისევ დაიძრა. ამჯერად უფრო სწრაფად, მეორე სიჩქართაც შეიძლება სიარული. გულს აღარ მისერავს პირველი სიჩქართი მიმავალი მანქანის ძრავის ღმუხილი.

ერთხელ კიდევ წამოვეწიე მიცვალეზულს. ერთხელ კიდევ მომიწამლა გუნება. საცოდავად მოჯაყჯაყე ჭილარათმიანმა თავმა, ნელ-ნელა უკან დარჩა ბაღდახინი. შუბლზე დვარად მომსკდარი ოფლი მკლავით მოვიწმინდე.

ბოლოს და ბოლოს, მივალწიეთ სპორტის სასახლის მოედანს.

იქ მოძრაობა ორ ნაკადად იყოფა. მესამე სიჩქართი გავედი პეკინის ქუჩაზე. ნერვები ოდნავ დამიწყნარდა. მანქანის სალონშიც ამოძრავდა ჰაერი. ცხვირსახოციტ ვაოფლილი შუბლი შევიწმინდე, ოღონდ ესაა, ტანზე მიწებებულ სველ პერანგს ვერაფერი მოვუხერხე. წინ წავიწიე, იქნებ შემოჭრილმა ნიავმა ოდნავ მაინც ააფრილოს-მეთქი. პავლოვის ქუჩაზე გავედი. არ გამიგია, როგორ აღმოვჩნდი ამსიგრძე ქუჩის ბოლოში ან როგორ გადავუხვიე ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე.

ოდნავ მაშინ მოვეგე გონს, ვაჟა-ფშაველას ძეგლი რომ დავინახე, ისიც ვერ შევიგრძენი, ამასობაში როგორ გადავუხვიე მარჯვნივ.

„სად მივიღვარ?“ — გაოცებულმა დაეღუსვი შეკითხვა ჩემს თავს.

გურამ ფანჯიკიძე  
აბრეშვი მონს ფილიფაღი

ერთბაშად გამოვფხიზლდი, მივხვდი ჩემს ძმასთან, უფრო სწორად, ნახევარძმასთან მივდიოდი.

„საიდან? როგორ? რატომ?“ — უმაღვე დამეხვია კითხვები.

მე ხომ დიღომში ვაპირებდი წასვლას დათოსთან?

მახსოვს, ვიგრძენი, დათოსთან საუბრის გუნებაზე არ ვიყავი. იმ საქმის მოგვარება, რისთვისაც დათოსთან მივდიოდი, ხვალაც მშვენიერად შეიძლებოდა.

ახლად ვათვითცნობიერებ, არც ის მახსოვს, როდის გადავწყვიტე დათოსთან აღარ წავსულიყავი.

იქნებ სხეული უფრო ადრე გრძნობს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს გონება რამდენიმე წამის ან წუთის შემდეგ? იქნებ ადამიანის არსებაში არის რაღაც რთული მექანიზმი, რომელიც ფაქტიურად განაგებს პიროვნებას? ამ ბოლო დროს ვგრძნობ, ძალზე გააქტიურდა ის უხილავი მექანიზმი (თუკი იგი მართლა მოქმედებს ჩემს არსებაში) და უფრო ხშირად მკარნახობს თავის სურვილებს. იქნებ ახლაც მან მაიძულა, ძმასთან წავსულიყავი? იქნებ ტვინის უკრძლმა, სადაც ეს აზრი მწიფდებოდა, საქმარისი მუხტი დააგროვა, მომძღვარდა, მოლონიერდა და იმპულსურად გამოსცა წვეთი-წვეთი ნაყოფი სურვილი? იქნებ ამ იმპულსის ძალამ დაჩაგრა ყველა სხვა აზრი, ქაოსურად რომ ბრუნავდა ტვინში?

არ ვიცი.

ფაქტი ერთია, მე უკვე მივდივარ ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ბოლოსკენ, სადაც განაპირა, მთისპირა კორპუსში გოგი ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს პირველ სართულზე.

აქ უკვე ვიყავი ერთხელ, პირველად რომ მივაკვლიე უცნობი ძმის სახლს.

შორიდანვე ვხედავ ფანჯარაში გამოჩრილ კონდიციონერს...

„იქნება კი შინ?“ — გავიფიქრე. მანქანა მაინც საგულდაგულოდ მივყენე ხის ძირში.

ზარის ღილაკს თითს ნელა ვაჭერ.

გული აჩქარებულად მიცემს. აშკარად ვღელავ. სადაც ვნანობ კიდევაც ჩემს მოულოდნელ სტუმრობას. გოგიმ ადრე სრულიად აშკარად გამოხატა თავისი აზრი და ფაქტიურად უარი თქვა ჩვენთან უბრალო ურთიერთობაზეც კი.

„შინ არის!“ დავასკვენი მანამ, სანამ კარს გამიღებდნენ. ოთახიდან მუსიკის დაგუდული ხმა მოისმოდა.

კარი შილიფად ჩაცმულმა ლამაზმა ქალიშვილმა გამიღო. ცხრამეტი-ოცი წლისა იქნება. კაბა ისე აქვს ამოჭრილი, მკერდი თითქმის მთლიანად მოუჩანს. გრძელი, მარჯვნივ თითქმის წელამდე გაჭრილი კაბიდან ბრინჯაოსფერი ბარძაყი გამოვარდნია.

„ოჰო! — გავიფიქრე უმაღვე. — ეს ქალიშვილი ალბათ გოგის იმ ნაცნობთაგანია, სახელიც რომ არ იცის ხეირიანად.“

ქალიშვილს ადგზნებული სახე შეჰფაკვლია, თვალებიც უჩვეულოდ უბრწყინავს.

— რა გნებათ?

ხმაში სიცივე ვიგრძენი.

— გოგი შინაა?

— დიახ!

შეპატიებებს არ ველოდები და პატარა ჰოლში შევდივარ, თუკი შეიძლება სტანდარტული, ჭერდაბალი ბინის ვიწრო შესასვლელს ჰოლი უწოდოს კაცმა.

დამავიწყდა მერქვა, კარი რომ გაიღო, მუსიკა და სიგრილე ერთდროულად დამეჩახა. ტამბამების რიტმი გუგუნობთ იფრქვევა სტერეოდინამიკებიდან.

ჰოლიდან ოთახში შემავალი კარი ხანხევროდ ღიაა. ფეხს განგებ ვითრევ. მინდა გოგი გამოვიდეს. იგვიანებს. ქალიშვილმა კარი დაკეტა და ჩემს უკან დგას. ვგრძნობ, როგორი ზიზღით მომჩერებია უკანიდან. ვერ უპატიებია, მყუდროება რომ დაეურღვია. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს გაზის კამერაში მივყავდე ჩასამწყვდევად.

გოგის აღარ ველოდები. კარს ბოლომდე ვაღებ და ოთახში შევდივარ. პიძა-





ველი, რამაც თვალი მომჭრა და ოდნავ შემაკრთო კიდეც, იყო იატაკზე გულაღმა გაშხლართული გოგი. იატაკი წითელი სინთეტური ხალიჩით იყო მოგებული. აქეთ-იქით ორი მძლავრი დინამიკი ვუგუნებდა. გოგი დინამიკებს შუა იწვა, უფრო ზუსტად, თავი ჰქონდა დინამიკებს შუა მოქცეული.

კუთხეში პატარა ტაბლა დგას, ტაბლაზე ნახევრად დაცლილი კონიაკის ბოთლი, ქიქები და საფერფლე აწყვია. ერთი საფერფლე, სიგარეტის კოლოფი და კვეცი იქვე უდევს ხალიჩაზე, ხელმარჯვნივ.

ხელები თავკეშე აქვს შემოდებულნი და თვალდახუჭული ისმენს მუსიკას. იქნებ სძინავს კიდეც?

ქალიშვილი ტაბლის გვერდით ჩაეშვა სავარძელში და სიგარეტი პირში გაიჩარა. ოთახში ძალზე გრილა, თითქმის ცივა კიდეც. მძლავრი კონდიციონერი მთელი ძალით მუშაობს, სიგარეტის ბოლს წრიულად აბრუნებს და პაერს კიდეც უფრო შხამავს.

ასე, შუაგულ ოთახში დგომას აზრი არა აქვს. ხმის ამოდებაც არ მინდა. დავიჯერო, ვერ გაიგო ჩემი შემოსვლა? სძინავს თუ მთელი არსებით მუსიკაშია ჩანთქმული? დავიჯერო, ზარის ხმა მარტო ქალიშვილმა გაიგონა და გოგის უკითხავად გამიღო კარი?

კაცმა რომ თქვას, ამ პრობლემების გადაჭრით დიდად არ ვიწუხებ თავს და იქვე ტაბლის მეორე მხარეს ვჯდები პატარა სკამზე.

ერთი კია, ვნანობ, რომ მოვედი. ახლა მეც შესანიშნავად ვგრძნობ ჩვენი ძმობის უაზრობას.

- მინც რამ მომიყვანა აქ?
- იქნებ სისხლმა და გენებში გამჯდამმა მოვალეობის გრძნობამ?
- იქნებ გონების ცივმა ანალიზმა და ეთიკურ-მორალურმა ვალდებულებამ?
- იქნებ ინსტინქტმა?
- არც ერთმა, არც მეორემ, არც მესამემ.
- აბა რატომ ვარ აქ?

ნუთუ ჩემში მართლა ზის მეორე კარსება, ხშირად თავის ნებაზე რომ ტარებს?

პირდაპირ ადგომას და წასვლას აზრი არა აქვს. უბრალოდ, გაბრაზებას დემსგავსება ჩემი საქციელი.

მოთმინებით ველოდები, როდის მომწიფდება ამ უაზრო სტუმრობის ფინალი.

ერთი კია. სადღაც მაინც კმაყოფილი ვარ ამ ვიზიტით. ერთხელ და სამუდამოდ გაირკვევა ჩვენი ურთიერთობა.

— კონიაკი დაუსხი! — მესმის უცებ გოგის ხმა. თვალს მაინც არ ახელს.

ქალიშვილი წამოდგა და კონიაკი დამისხა. შემდეგ ისევ სავარძელში ჩაჯდა.

— გამდლობთ! — ვამბობ მე, თან ვცდილობ მისი მკერდისაკენ თვალი არ გამექცეს.

ნეტავ რომელი ორკესტრი უკრავს? როლინგსტონები? ჩიკაგო? ზეპელინები?

მუსიკა თითქოს ნაცნობია. მაინც ვეჭვხვდები, ვინ არიან. ერთი დასჯენა კი სწორი გამომაქვს, როლინგები ნაღდად არ არიან.

დინამიკები სასიამოვნო ტემბრზე ვუგუნებენ. ეტყობა, რადიოტექნიკა გოგის ჰობია. თუმცა ჰობი კი არა, სპეციალობაა. ოთახი საესეა სხვადასხვა ტიპისა და მარკის ტრანზისტორებით, მაგნიტოფონებით, ტელევიზორებით. ერთბაშად კაცს შეიძლება უცხოურ საფირმო გამოფენადაც კი მოეჩვენოს აქაურობა.

მუსიკა შეიცრად შეწყდა. გოგი ისევ თვალდახუჭული წევს გულაღმა. მერე მარჯვენა ხელი ფრთხილად წაიღო უკან, რომელიღაც კლავის თითი დააჭირა და ფირი ავტომატურად შეაბრუნა.

პაუზა.  
სიგარეტი.

შურამ შანჯიშიძე  
აბატიანი მზის წელიწადი



მეც ვიღებ ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს და თვალით ასანთს ვეძებ.

— რას მივაწერო თქვენი ვიზიტი? — წამოჯდა გოგი, უმალვე მიხვდა, რასაც ვეძებდი და კვესი ზანტად გამომიწოდა.

„რასაკვირველია, „ჩიკაგოა!“ — გამოვიცანი ბოლოს ორკესტრი.

— ჰო, მართლა, თქვენ ალბათ არ იცნობთ ერთმანეთს, გაიცანით, ეს ქალიშვილი გახლავთ...

გოგომ მისკენ ხელი ისე გააქნია, თითქოს შეეხვეწა, შენი სახელი შემახსენეო.

— მარინა! — ამრეზით თქვა ქალიშვილმა.

— ჰო, მარინა, მარინა დოლაბერიძე; — გგარიც გაიხსენა ერთბაშად.

მე არ წარმადგინა. ალბათ არ ჩათვალა საჭიროდ.

ქალიშვილს ღიმილით ვუქნევ თავს. ისევ ფეხი ფეხზე შემოდგმული ზის სავარძელში. გაჭრილი კაბიდან თითქმის მთლიანად მოუჩანს ჯანსაღი ბარძაყი, მუხლთან რომ უწვრილდება ლამაზად.

არ მინდა შემამჩნიოს, თვალი როგორ გამექცა მზეზე ბრინჯაოსფრად გარუჯული ბარძაყისაკენ. უმალვე გოგისკენ ვიხედები.

გოგომ ორი თითის გატაკაუხებით ანიშნა მარინას, კონიაკი დამისხიო.

ჭაბუკი ადგზნებული მეჩვენა. თვალები უჩვეულოდ უბრწყინავს. უმალვე გამახსენდა ქალიშვილის ადგზნებული სახე და არაბუნებრივად მბრწყინავი თვალები, კარის გაღებისთანავე რომ მიიპყრო ჩემი ყურადღება.

მარინამ კონიაკი მიაწოდა.

თვალი ისევ გამექცა ქალიშვილისაკენ.

— მოგწონს?

ეტყობა შემამჩნია გოგომ.

— რატომ მეკითხები? — ვიწყინებ.

— შეკითხვაში არავითარი ქვეტექსტი და ღრმა აზრი არ ჩამიდგეს, ისე,

უბრალოდ გკითხე, თუ მოგწონს-მეთქი. თუ მართლა მოგეწონა, სადაც და დაიბარე. გარანტიას ვაძლევ, გულს არ დაგწყვეტს, აუცილებლად მოვა.

— გოგო!

— ნუ ლელავ. ამ ქალბატონებთან მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა მაქვს. ვნების საფასურს უმალვე ვიხდი ხოლმე, ვალში არავის არ ვრჩები. გრძნობას და სიყვარულს საერთოდ არ ვხარჯავ. არ ვხარჯავ სრულიად უბრალო და გასაგები მიზეზის გამო. ეტყობა, სიყვარულის უნარი არ დამანათლა დემრთმა.

გონებაში უცებ ამუშავდა რკინიგზის სადგურის საცნობარო ავტომატი. დილაქს ისევ დავაჭირე ხელი. მოგონებები წარწერიანი ფირფიტებით ელვის სისწრაფით ჩამორბიან, ერთმანეთს ენაცვლებიან და იკეცებიან. ბოლოს სასურველი ფირფიტაც ამობრუნდა წყვედიდიდან.

— კოჯორში ჩაგვიყვან? — ჩამესმას ყურში როყო ხმა. მანქანის უკანა სავარძლიდან ისევ შემომანათა ორმა ბორცვმა თვალმა.

დილაქს თითს ვაჭერ, კადრს ვაჩერებ და ყურადღებით ვაკვირდები. შუაში ცისფერთვალა ბიჭი ზის. ახლა, ამდენი წლის შემდეგ კიდევ ვამჩნევ მის თვალებში ჩამდგარ შიშს.

საქვეო არაფერია, „სტოპ-კადრიდან“ გოგი შემომცქერის.

— რატომ არ სვამთ? — მეკითხება თქვენობით, მაგრამ არა ზრდილობის ინერციით, არამედ სრულიად შეგნებულად. თქვენობითი ფორმით კიდევ გაუსვა ხაზი, რომ ჩვენ უცხონი ვართ ერთმანეთისთვის.

— არ მინდა, მანქანითა ვარ.

— თქვენი ნებაა, — ცარიელი ჭიქა იქვე დადგა, ხალიჩაზე.

პაუზა.

მერე ისევ გულაღმა დაწვა, ოღონდ თვალები აღარ დაუხუჭავს.

— მაინც რატომ მოხვედით?  
— სრულიად შემთხვევით გადავწყვიტე თქვენთან მოსვლა. ერთბაშად მომიიარა და მოვედი! — ვუპასუხე მეც თქვენობით.

— ჩვენს ძმობას აზრი არა აქვს.  
— მინდოდა მეც დაერწმუნებოდათ თქვენი სიტყვების სიმართლეში.  
— მერე? დარწმუნდით?

ლუმილი.  
— თვითონაც კარგად ხედავთ, რომ ჩვენი ძმობა არ გამოვა. მე უკვე ჩავიკეტე ჩემს მიკროსამყაროში (გოგამ ხელით ჰაერში წრე მოხაზა და მანიშნა, ეს ბინაა ჩემი მიკროსამყარო), უკვე შევქმენი ჩემი მიკროკლიმატი. ხედავთ, რა კარგად ვიყენებ ჟურნალისტიკის უკანასკნელ ტერმინოლოგიას? მაინც რა მშვენივრად ჟღერს „საკითხის გლობალური ხასიათი“, „მსოფლიო მოდელი“... მე უკვე შევიმუშავე ჩემი სულიერი მოდელი, ექსპერიმენტების თავი აღარა მაქვს...

ლუმილი.  
ვგრძნობ, ჯერ კიდევ არ მომწიფდა მომენტი, რომ ავდგე და წავიდე.

არც ისეთი ფრაზა ითქვა, ტაქტიანად რომ გადააბა გამოსამშვიდობებელი სიტყვა.

— სხვათა შორის, აკადემიკოს გზირიშვილის გასვენებაზე დაგინახეთ.

— თქვენ რა, იცნობდით ლევან გზირიშვილს?

— არა, ისე მოვედი. ცნობისმოყვარეობამ მომიყვანა. შურით გავსკდი, მოხუცმა აკადემიკოსმა როგორ მაჯობა-მეთქი.

— რაში გაჯობა? — გულმა რეჩხი მიყო.

— აკადემიკოსის ბებერი ტვინის უჯრედებმა როგორ მოიფიქრა, გადაედგა ასეთი ბრძნული ნაბიჯი?! ან მისი მისუსტებული და დაგლეჯილი გული ასე ვაჟაკურად როგორ შეხვდა ამ გადაწყვეტილებას?! თავის მოკვლა, ჩემო ძმაო (ეს „ჩემო ძმაო“ სრულებითაც არ გამოხატავდა ჩვენს

სისხლისმიერ კავშირს), ძალიან დნულია. ალბათ ყოველ ნორმალურ უნატრია სიკვდილი გავირევის ან დიდი მწუხარების ეამს. გაფიქრება ერთია, შესრულება მეორე... ეტყობა, ოცი წლის სიცოცხლე არ კმარა, ამ გადაწყვეტილებამდე რომ მიხვიდე. ალბათ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე მწიფდება ის ერთი საათი, როცა შენს თავს აჯობებ და შიშს დათრგუნავ...

თვალი ისევ დახუჭა.  
პაუზა.

გოგამ ხელი უკან წაიღო, თითი რომელიღაც კლავის დააჭირა და მაგნიტოფონი გამორთო.

ოთახში ღუმილი ჩამოწვა.  
ბოლო სიტყვებმა შემაერთო, გული დამიმძიმდა.

გოგი კვლავ გულადმა წევს თვალდახუჭული.

ლუმილი.  
აუტანელი, ხანგრძლივი ღუმილი.  
უცნაური განცდა დამეუფლა, თითქოს ფიზიკურად ვგრძნობ ღუმილს, თითქოს შემიძლია ხელით შევეხო...

— რა მოხდა? — ვეკითხები ჩალის-შლაპიან პენსიონერს მანქანის ფანჯრიდან.

— კაცი მოკლეს, ამხანავო, კაცი! შენობას მილიციელთა ალყა აქვს შემორტყმული.

— გთხოვთ გაიაროთ. — მეუბნება ახალგაზრდა მილიციელი.

მანქანას მეზობელ კვარტალში ვაჩერებ და ფეხით ვბრუნდები უკან.

ქუჩაში შენობის მონირდაპირე მხარეს ხალხი შეგგუფუფლა. ხან მილიციელებს უყურებენ, ხან მალლა იცქირებიან.

— რა მოხდა? — ვეკითხები ერთ მხარბუქგანიერ კაცს, ხესთან რომ დგან პირში სიგარეტგაჩრილი.

გურამ ფანჯიკიძე  
აპტიუნი მზის წელიწადი



— ერთ კაცს მეზობელი დაუჩენია დანით, ახლა მალე იმალება თურმე სხვენზე.

უცნობის სახემ შემაფოთა, თვალე-ბი თითქოს სიხარულით უბრწყინავს, რაღაც დაძაბული ინტერესით და სიამოვნებით, მგონი, ნეტარებითაც ელის, რა მოხდება. ამაზრუნენად ხშირი და სწორი შავი თმა ჯაგარივით აღვას თავზე.

— სამი საათია ასე დგანან და ვერ დაუჭერიათ.

— სამი საათი? — ვაკვირდები სიხარულით აციმციმებულ თვალეებში.

— მომცენ ორასი მანეთი, ხუთ წუთში გავსაღებ. მაქსიმუმ, ათ წუთში.

— ორას მანეთად?

— ჰო, ორას მანეთად. რა, ბევრია? გაცებულ თვალეებში რომ შევხედე, ძარღვებში სისხლი გამეყინა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ამაზრუნენად ხშირი და სწორი შავი თმა პირდაპირ ტვინიდან ამოსდიოდა.

გულადმა ვწევარ და ჰერს შევცქერნი.

ოთახს ოდნავ ანათებს ფანჯრიდან შემომავალი მკრთალი შუქი.

სიგარეტს ვეწევი.

ყვითელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა წვება სხეულში.

თვალს ვხუჭავ.

მინდა სამყაროს წამიერად მაინც გამოვეთიშო. მინდა ქუჩაში თუ ადამიანებთან შეხვედრებით ნაგროვები შთაბეჭდილებებისაგან განვიმუხტო, აღვხებულნი ტვინი და სხეული დავიმშვიდო.

არაფერი გამომდის.

ახლა თავდაღმა ვწვები ლოგინზე. თვალს მაგრად ვხუჭავ. მაინც ვხედავ ჩემი ძმის და მისი მეგობარი ქალიშვილის უცნაურად აღვხებულ სახეებს, არაბუნებრივად მბრწყინავ თვალეებს. მაინც ვხედავ მხარბეჭიან კაცს, პირში სიგარეტგაჩრილი ხესთან რომ იდგა, ვხედავ და ვგრძნობ, როგორ ამო-

სდის ამაზრუნენად ხშირი, სწორი თმა პირდაპირ ტვინიდან.

თვალს ვახელ.

სწრაფად ვდგები და აბაზანაში ვაღვარებ.

კისერს ცივი წყლის ნაკადის ქვეშ ვაჩერებ, მერე კეფას ვისველებ.

თითქოს ცოტა ვმშვიდდები.

სინათლეს მაინც არ ვანთებ.

სავარძელში მოხერხებულად ვჯდები და სიგარეტს ვუკიდებ.

ყვითელი, ბლანტი შხამი ისევ ნელ-ნელა წვება სხეულში.

როცა სიბნელეში ვზივარ, მარტო ვარ.

როცა სინათლეს ვანთებ, ორნი ვხედვით ხოლმე — მე და მე.

სიბნელეში ოცნებას ვერაფერი მიზღუდავს.

სინათლეში ჩემი თავი გარეშე კაცივით მიშლის ხელს, სულს მიბორკავს, ფრთებს მაკვეცავს...

თვალს ვხუჭავ, ფიქრებს მაინც ვერ ვეთიშები, ვერ ვისვენებ. ფეხზე ვდგები და ოთახში ბოლთას ვცემ. არ ვიცი, რა გავაკეთო, ვისთან წავიდე, რა მოვიმოქმედო. არც მუშაობა შემიძლია, არც ვინმეს ნახვა მინდა.

ეკა? სად არის ახლა ეკა? არც მისკენ მიმიწევს გული და კიდევ უფრო ვგრძნობ მარტოობას. ეტყობა, აქამდე მხოლოდ ის ავსებდა ჩემს ცხოვრებას. რაც ეკაზეც გული გამიცვიდა, სულ მარტო დავრჩი. აღარც მამისკენ მიმიწევს გული, აღარც ძმებისკენ, აღარც ნაცნობ-მეგობრებისკენ.

ეკა.

შემეძლო თავი ჩამეყო ეკას მკერდში, თვალეები დამეხუჭა და სიმშვიდე ერთბაშად დამეუფლებოდა ხოლმე. ნუთუ ლევან გზირიშვილის თვითმკვლელობამ გამტეხა სულიერად? ნუთუ მოხუცი აკადემიკოსის გაბედულმა ნაბიჯმა, გულის სიდრამეში რომ მომწონდა კიდევ, დამარწმუნა ჩემი არსებობის უაზრობაში!

ახლა მარტო ვარ, სულ მარტო, და-

მაბული მატჩის შემდეგ დაცარიელებულ სტადიონს ვგავარ.

საიდანაც ფორტეპიანოს ხმა აღწევს ჩემს ფანჯარებში. შორიდან მომესმის ნაზი მელოდია. მაგონდება ჭაბუკური ოცნებანი, მქონოდა დიდი სახლი, სამუშაოდან მოსული მივჯდომოდი საწერ მაგიდას წიგნებითა და ნახატებით სავსე კაბინეტში, ხოლო შორიდან, რომელიღაც ოთახიდან მომწვდენოდა ფორტეპიანოს დამამშვილებელი ხმა, წიგნებში ჩაფლულს წარმომედგინა, როგორ ასრულებს ჩემი პატარა გოგონა (რატომღაც გოგონა და არა ბიჭი) მოცარტის „ნანას“. შეილის გახსენებაზე გული შემეკუმშა, ერთი პატარა ძარღვი კიდევ ჩაწყდა სადღაც შორს, სულის სიღრმეში.

ვიოლინოს ხმამ ისე დაიწვილა და გაიზუზუნა ჩემს გონებაში, როგორც სოფელში, ტრიალ მინდორზე ქარში დაიწვილებენ ხოლმე ელექტრონის მავთულები.

პატარა ბიჭი სცენაზე დგას, ხელში ვიოლინო უჭირავს. მოკლე, შავი ხავერდის შარვალი აცვია. გრძელსახელოებიან თეთრ პერანგს ყელთან დიდი შავი ბაბთა უმშვენებს. თავი როიალისაკენ მიუბრუნებია, სადაც სკამს ვერა და ვერ მოერგო ხავერდისკაბიანი მოხუცი პიანისტი ქალი. ბოლოს იგი სავალის ზემოდან გადმოხედავს ბიჭს და ანიშნებს, დავიწყოთო. დარბაზი განაბული უსმენს ნიჭიერ ბავშვს. უსმენენ მშობლები, ნათესავეები, თანაჯგუფელები, დღეს რომ გამოდიან კონცერტზე, თანაჯგუფელთა მშობლები და ნათესავეები, შავბაფთიანი პატარა

მევიოლინისა არაფერი შურთ. იგი იმდენად გამოკვეთილია და იმდენად ნიჭიერი, იმდენად წინაა სხვებზე, რომ უკვე გასცდა ადამიანური შურის საზღვრებს. პატარა მევიოლინეს მაღალნიჭიერება ერთხმად აღიარეს მშობლებმაც და შვილებმაც. ამიტომაც უსმენენ ალტაცებულნი.

ბიჭი უკრავს: უკრავს ასაკისათვის უჩვეულო ექსტაზით. მის სევდიან სახეზე დროდადრო მრისხანება გადაირბენს, დროდადრო ნეტარება და შვება. ხან ცრემლისმომგვრელი სითბო იღვრება დარბაზში, ხან სასოწარკვეთა. ფაქიზი და უშუალო ხელოვნებით მოხიბლული და დატყვევებული მსმენელები სინქრონულად მიჰყვებიან პატარა მუსიკოსის განცდებს. აშკარაა, მუსიკა როდი იტაცებთ ისე, როგორც მისი შესრულების პროცესი. ისინი შეიძლება მუსიკას ვერც კი გრძნობენ მთელი სიღრმე-სიგანით, მაგრამ ბავშვის ბუნებრივი არტისტიზმი, ნაწარმოების უფაქიზესი განცდა, მის შთაგონებულ სახეზე რომ პოულობს პლასტიკურ გამოხატულებას, მსმენელებს აგრძნობინებს, სცენაზე რომ მართლაც გამოჩენილი ტალანტი დგას.

როცა დარბაზში ტაში იქუხებს, ბიჭის სახეზე შთაგონება ქრება. ტაში უმაღვე ამბრუნებს თანაჯგუფელები და მათი გულშემატკივრებით სავსე დარბაზში. სადღაც შორს, ძალიან შორს რჩება ის ჯადოსნური სამყარო, წელან რომ დაჰქროდა ნეტარებით.

პატარა მუსიკოსის დიდრონ და ჰკვიან თვალეებში სევდა ისადგურებს, მოხილოებული სიკვდილის სევდა.

დასასრული იქნება



ლ ე ნ ი ნ ი

ლენინი — ამ სიტყვას ვერ იტყვი უბრალოდ,  
 ლენინი — მუშათა სიბრძნე და გენია,  
 ლენინი — შუბლზე რომ ნათელი ჰყენია,  
 ლენინი — ამ სიტყვას ვერ იტყვი უბრალოდ!  
 მჭედელი — ბრწყინვალე, ელვარე მომავლის,  
 მიმღები — ასეთი ნათელი მოსავლის!  
 აღვსილი — სითბოთი, სინაზით, სიკეთით,  
 წადილი — ანთების, გლეხების იმედი,  
 დაღლილი — ამდენი ფიქრით და განცდებით,  
 ნამდვილი — დევკაცი, რუსულად ნაგები!  
 დიდება — ვინც მკერდში ატარებს ნატყვიარს,  
 ინთება — როდესაც ახსენებ — პარტიას,  
 მოღელავს — სინათლედ, ბნელი რომ წაშალოს,  
 მოკვდება — როდესაც მოკვდება სამყარო!

პ ა რ ტ ი ა

ანთია,  
 არ ქრება,  
 ამაყად აღმართა  
 ალაში ელვარე!  
 დიდება პარტიას!  
 გრიალებს,  
 გრიალი  
 არასდროს არ წყდება,  
 არასდროს არ კვდება,  
 დიდება პარტიას!  
 ინთება,  
 იზრდება,  
 სხივებად  
 იღვრება,  
 იწვის, არ ილევს!  
 დიდება პარტიას!  
 ვინთებით,  
 ვიზრდებით,  
 ვისწრაფით,  
 ვიჩქარით,  
 მოვდივართ, —  
 დიადო პარტიავ!

მე ხიდზე ვზივარ,  
 მზის ყვავილებს ღიმილით ვუვლი,  
 წყალს არვინ მითმობს,  
 მათხოვარი ვარ,  
 წინ ქუდივით მიგდია სული;  
 — ჩაყარეთ სითბო!

## ს ო ზ ე ლ ი

კვამლით შავად შედებილი ქოხი,  
 დილის ბინდი გადაღვრია სხვეს...  
 კედელს ფრთხილად მიყრდნობილი თოხი  
 ყანას სედავს სიზმარში და თვლემს.

გარეთ ქარი სალამურზე უკრავს,  
 მოციქული მიწისა და ცის  
 და ღვთისმშობლის ოქროსფერი ნუკრი  
 შუაცეცხლთან მოწყენილი ზის.

მზე გატყდა...

ცხელი, ყვითელი ცილა  
 ჩამოიღვარა ვერცხლის სილაზე,  
 აფრიალებულ ალის სინაზედ  
 განიბნა ყველგან ლალი და ლილა.  
 ჩამოკრა თითი ქალწულმა ლირას  
 და აწკრიალდა ძველი საკრავი,  
 მწყემსსავდა ფარას მდინარის პირას,  
 სილაში ძოვდა მისი ცხრა კრავი.

ო, მოჩრდილულთა თვალთა აღერსო,  
 შუქო, მაღალი ცისფერი სანთლის,  
 მოდი, ეს დანა კარგად ავლესოთ,  
 სანამ უფალი სხივებად გაგვთლის.  
 სანამ ერთმანეთს შევეფანტებით  
 და ღრუბლებივით განვიფინებით,  
 მზის და სინათლის თეთრი ბარტყები  
 დავიფარებით შავი ფილებით.



**შ ვ ი ღ ი**

როცა სიმშვიდეა შუალამის,  
ძილში მემვიდედად ქცეული  
დაძრწის ვარსკვლავეთში შუბლნახნავი  
ჩემი ასტრალური სხეული,  
შვიდი სამრეკლოდან დამწკრიალებს  
შვიდი შვიდხმოვანი ცის ზარი,  
შვიდფერ წარმოდენით მაწრიალებს  
დიდი სიმბოლისტი — სიზმარი.  
და ერთ არსებაში შვიდსახიან  
შვიდად მემვიდეკურ მოხვედრილთ —  
შვიდი სამყაროდან გვეძახიან:  
— ზართა დასარეკად მოხვედრით?..

**გომიშორის უთოვლო ზამთარი**

ლურჯად ბიბინს ჩვეულხართ  
და თქვენს ცქერას ვერდები...  
როგორ გამიშვლებულხართ  
გომიშორის ველ-მინდვრები.  
თითქოს რაღაც სახადით,  
რაღაც სენით დაიზაფრეთ.  
მოდით, ჩემთვის აყვავდით,  
მერე ისევ დაიზამთრეთ.  
თქვენთან აღარც თოვლია, —  
გახვეტილა ნარ-ცოცხებით,  
რატომღაც არ მგონია,  
თუ როდისმე გაცოცხლდებით.  
ვიდრე მოვალ, ჩაიცვით  
ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელი,  
თორემ, მერე... რა იცით,  
საითკენ ვარ წასასვლელი...





## ფ ე რ ი ე ბ ი

წიგნიდან — „პარსკვლავებზე მონადირანი“

ტყიდან სამი კეთილი ფერია გამოვიდა. ტანთ ბაბუაწვერას ბეწვისგან მოქსოვილი მსუბუქი კაბები ეცვათ, თავზე საპოვნელების ყვავილებისგან დაწნული გვირგვინები ეხურათ. და მხრებზე ოქროსფერი თმები მზის ჩინჩხლებივით ჰქონდათ ჩამოშლილი. ნეკერჩხლის ფოთლებისგან შეკერილი ფაჩუჩებით ისე მსუბუქად მოდიოდნენ, თითქოს მიწას ფეხს არც აკარებდნენ.

ფერიებმა მწვანე მდელოზე გვერდით ფარშავანგის კულისგან დაწნული კალათები მოიდგეს, მარწყვს შეექცნენ და საუბარი გამართეს:

— ბედნიერი ვართ, — თქვა ერთმა, — ჩვენს არემარეში მშვიდობა სუფევს და ამაზე მეტი ბედნიერება რა უნდა იყოს ამქვეყნად.

— მშვიდობა ყველაზე დიდი ბედნიერებაა. — დაემოწმა მეორე.

— მართალს ამბობთ, — ჩაერია მესამე, — მაგრამ მოდით, სხვებსაც ვკითხოთ, რა არის მათთვის ყველაზე დიდი ბედნიერება.

ჩქვე, კურკანტელის ტოტზე შემოსკუბებული პატარა ჩიტი თავის ენაზე რაღაცას ჰიკვიკებდა. ფერიებმა ყველა სულდგმულის, აგრეთვე უსულო საგნების ენაც კარგად იციან და ჩიტს ჰკითხეს:

— ჩიტუნია, რა არის ბედნიერება ამქვეყნად?

ჩიტი არც დაფიქრებულა, ფერიებს ჰიკვიკით ჩამოსძახა:

— ბარტყები ბუდიდან გადაფრენას რომ დაიწყებენ, შორიანლოდან თვალს რომ ვადევნებ და მათ ჰყლოპინს ვუსმენო.

ის ჰკითხეს:

— ლურჯთვალა იავ, შენ რას ფიქრობ, მშვენიერო, რა არის ბედნიერება ამქვეყნად?

— როცა თოვლი დადნება, ბიჭი მომძებნის და ლამაზ გოგოს მეკრძზე დამაბნევსო, — თქვა იამ და თავი მორცხვად დახარა.

ფრთახატულა პეპელამ ჩამოიჭროლა. ფერიებმა პეპელა შეაჩერეს და ჰკითხეს:

— გვითხარ, ლამაზო, რა არის ბედნიერება ამქვეყნად?

— ყვავილები მიწას რომ ამშვენებენო. — ჩაიხურჩულა პეპელამ და მიწდვრის ყვავილებს ფარფატით შეერია. მერცხალს ჰკითხეს:

— მერცხალო, კუდმაკრატელავ, შენ რას გვეტყვი, რა არის ბედნიერება?

— გაზაფხულზე ისევ ჩვენს სამშობლოში დაბრუნებო, — უპასუხა ფერიებს მერცხალმა.

ქარმა დაპბერა, შორი გზიდან მოდიოდა, ხის კენწეროებს გადაუჭრაოლა და სანამ გადაიკარგებოდა, ფერიებმა მოასწრეს ეკითხათ:

— ქარო, დაუდევარო და მოხეტიალე, რა არის ბედნიერება ამქვეყნად?

— როცა დიდი ხნის ქროლვის შემდეგ, თეთრი ქუნქულა ღრუბლების სასთუმალზე დასასვენებლად თავს მივდებო, — შეუჩერებლად თქვა ქარმა და გორაკს თავს გადაეველო.

ჩქვე ნაკადული ჩამორბოდა, ცივი და გამჟვირვალე.

ნაკადულს ჰკითხეს:

— ნაკადულო, რა არის ბედნიერება ამქვეყნად?

— როცა მწყურვალე დამეწაფება. რომ ჰკონია მთლად შემსვამს და მე კი არაფერი მაკლდებაო, — ჩაიწყრილა ნაკადულმა და თავის გზა განაგრძო.

მინდვრად საგანგებოდ შექუჩებულ ქვებს შორის მწყემსებს ცეცხლი დაეწოთ და მწვადებს ამიშინებდნენ. ფერიები ცეცხლსაც მისწვდნენ:

— ყოვლადძლიერო ცეცხლო, რა არის ბედნიერება ამქვეყნად?

— როცა ტყუილბრალოდ არ ვარ გაჩადებული, ვინმე სითბოს მონატრებული ჩემს ალს ხელებს მაინც მიუშვერსო.

ცხრათვალა მზეს ჰკითხეს:

— დიდებულო მნათობო, შენ თვითონ ბევრისთვის ხარ ბედნიერებისა და სიკეთის მიმნიჭებელი. რას გვეტყვი, რა არის ბედნიერება ამქვეყნად?

— მარტო მე რომ არ ვარ ამ უსასწრულო სამყაროშიო, — თქვა მზემ.

სოროდან თავი ამომძვრალიყო და მზის გულზე უღვაშებს იგრესდა.

— ფერიებმა მასაც ჰკითხეს:

— თავუნია, შენ რას ფიქრობ, რა არის ბედნიერება ამქვეყნად?

— ჩემს კბილებს რომ შენატრიან და არა კატისასო, — ჩაიციხა თავუნამ და თეთრი კიწკიწა კბილები გამოაჩინა.

ფერიებმა ახლომახლო რომ ველარავინ დალანდეს, შორეულ მთებს გასძახეს:

— მთებო, ზვიადო მთებო, ჩვენო შეუჯულო უღრეკო დარაჯებო, თქვენ რას ფიქრობთ, რა არის ბედნიერება ამქვეყნად?

— როცა ჩვენს მიწაზე მტერი და დამპყრობელი ფეხს ვერ შემოდგამსო, — დაიბუხუნეს გოლიათებმა და მხრები მრისხანედ შეარხიეს.

გზაზე ურემმა ჩამოიარა. ურემზე მუნის ძველი აკვანი იდგა. წინ ასი წლის თეთრწვერა მოხუცი მოუძლოდა, გვერდით დედა და იმ სოფლის ბრძენი მიჰყვებოდა.

ფერიებმა მგზავრები შეაჩერეს და გამოჰკითხეს.

პირველად აკვნიდან დაიწყეს:

— აკვანო, აკვანო, გეტყობა დაბედნიერებულხარ, ვინ იცის, რამდენი გყოლია მკერდში ჩაკრული. რა არის ბედნიერება ამქვეყნად?

— სხვენზე ატანილს რომ მომძებნიან და არტახებს გადამიჭერენო, — გაინანავა აკვანმა.

მოხუცმა:

— როცა იმ სოფლის მიწას მიებარები, სადაც დაიბადეო.

ბრძენმა:

— ჩემზე უფრო მეტი ბრძენი რომ ცხოვრობს ზეზობელ სოფელშიო.

დედამ:

— როცა ისეთი შვილი გაგებრდება, სამშობლოს რომ ასახელებსო.

ფერიებმა მოხუცს დიდხანს სიცოცხლედ უსურვეს, დედას — სასახელო შვილის გაზრდა, ბრძენს სიბრძნე შეუქმეს, აკვანს ყვავილები გადააყარეს და სიკეთე დაუბედეს.

ფერიები ნაზი და ჰაეროვანი არსებები არიან და ამდენი კითხვა-გამოკითხვით, ცოტა არ იყოს, დაილაღნენ. ის იყო წამოიშალნენ და ტყის ბილყს უნდა გაჰყოლოდნენ, რომ გზაზე პატარა ბიჭი გამოჩნდა, ხელში იფნის წნელი ეჭირა, რომელსაც წვივებზე მსუბუქად იტაკუნებდა.

ფერიებმა თქვეს: მოდი, ამ პატარა ბიჭსაც შევეკითხოთო. ბიჭს ისეთი დაღონებული და საბრალო სახე ჰქონდა, ფერიებმა პირველად ბედნიერება ვერც კი უხსენეს.

— ბიჭიკო, რამ დაგაღონა? დედა გავიწყრა ალბათ და დარღობ?

— მე ობოლი ვარ, — თქვა ბიჭმა და თავი ჩაღუნა.

ერთ-ერთმა ფერიამ ბიჭს ნიკაპი აუწვია, სევდიან თვალეებში ჩაჰხედა თავზე ალერსიანად ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— საბრალო ბიჭო, რა არის ყველაზე დიდი ბედნიერება ამქვეყნად?

— როცა ვინმე მოგეფერება, დახედავ მის ალერსიან თითებს და უცებ დედის ხელებს მიამგვანებო, — თქვა ბიჭმა და თვალეებში ცრემლი ჩაუდგა.

# პარსკვლავებზე მონადირენი



მეორე მონადირე.

ერთს გიგი ერქვა, მეორეს გაგა.

ბიჭები მშვილდ-ისრებით რომ შეიარაღდებოდნენ და დილაადრიან სოფლის შუკაში ამაყად თავაწეულები ჩივილიდნენ, მათ შეხედვას არაფერი სჯობდა.

სალხი ღობეებს მოაწყდებოდა:

— გიგის გაუმარჯოს!

— გაგას სალამი და გამარჯობა!

— დილა მშვიდობისა, ბაბუა ნიკო!

— თეკლე ბებოს გაუმარჯოს!

— ვაი საწყალი ჩხართვების ცოდვა!

— ლოყაზე ხელს შემოირტყამდა ბებია თეკლე და საკუთარი შეილიშვილების საყვედურებს მოჰყვებოდა: —

— აბა ჩემები არიან ვაჟკაცები? ზარმაცები და ძილისგულები! ჯერაც ლოგინში გორაობენ.

— იღბლიან ნადირობას გისურვებთ, — დაადევნებდა ბაბუა ნიკო, — გეტყობათ, ისეთ კარგ ფეხზე ხართ ამდგარნი, ჩხართვები კი არა, შეიძლება კურდღელსაც წააწყდეთ, ცოტა ბრუციანი თუ იქნება, მთლად უკეთესი!..

— ვნახოთ! — დინჯად იტყოდა გიგა.

— რატომაც არა! — შეიფერებდა გაგა და მხარზე გადაკიდებულ მშვილდს გაისწორებდა.

მერე შუკის მეორე მხრიდან მოასკდებოდნენ გოგო-ბიჭები.

— გიგიგაგა მოდიან!

— გაგაგვი სანადიროდ მიდიან!

— ვაი საწყალი ჩხართვების ბრალი!

— ცხრა მთას იქით რომ მიფრინავდნენ, დროა უკვე!

— მათ ისრებს სად დაემალებიან!

— ჩხართვებს ხომ გაავლებენ

მუსრს, იქნებ მელაც კი გააგორონ!

— ყრუ და ბრმა თუ იქნება, მით უკეთესი.

იმ დღესაც ასე მოხდა.

სისხამ დილით გაემართნენ სანადიროდ.

თხის ტყავის ბუდეში ჩაწყობილი ისრის წვერები ისე ლაპლაპებდნენ მზის სხივებზე, ჟრუანტელი დაუვლიდა მათ შემხედვარეს.

იარეს, იარეს, ცხრა მთა გადაიარეს. არც მელა შეხვედრიათ, არც კურდღელი, ჩხართვებიც კი სადღაც გადაჰარგულიყვნენ. მინდვრის თავებზე როგორ ვაისვრიდნენ ხელს. სოფელში რომ გაეგოთ, ხომ მოეჭრებოდათ თავი. ბოლოს, საღამოხანს, როგორც იქნა, ერთ გაფუჭულ ჩხართვს მიაწვდინეს ისარი და მიინც კმაყოფილი დაჩნენ. მთლად ხელცარიელი აღარ დაბრუნდებოდნენ შინ.

როცა სოფელს მიუახლოვდნენ, ბინდებოდა.

სოფლის პირას ბავშვებს კოცონი დაენთოთ; ნიკო ბაბუა ბავშვებში გარეულოყო, ყალიონს აბოლებდა და თანაც ნაკვერცხლებზე დაწყობილ ჭყინტ ტაროებს ატრიალებდა.

ბავშვებმა გიგი და გაგა დაინახეს:

— გიგიგაგა ნადირობიდან დაბრუნებულანი!

— გაგაგვი ნანადირევით მოდიან!

როცა ახედ-დახედეს და ერთი ჩხართვის გარდა არაფერი აღმოაჩნდათ, ხელი ჩაიქნიეს, ნავსიან ფეხზე ამდგარან დღეს და ისაო.

— არა! ძაღლის თავი სადაა დამარხული. თქვენ არ იცით, — თქვა ბაბუა ნიკომ, — დაადგნენ გზას, კაჭკაჭმა გადაუფრინათ, მონადირეებს გაუსწრო და ტყეში ყველა გააფრთხილა: არიქა გიგი და გაგა მოდიან, თავს უშველეთო! მელაკულები სოროებში ჩაძვრნენ და მთელი დღე თავი არ გამოუყვიათ, კურდღლებიც ასე მოიქცნენ, ხოლო

ზურაბ კახიანიძე  
მოთხრობები

ჩხართებმა ცხრა მთას იქით რომ სა-  
ყოფილოს ტყეა, იქ შეაფარეს თავი...

— ეპ. ორი შეიარაღებული კაცი  
მთელი დღე ერთ ჩხართეს რომ გადაპ-  
ყებდა. საკუთარ თავს მონადირე არც  
უნდა უწოდოს! — ჩაილაპარაკა ესა-  
წარე ბუთულამ.

გაბრაზდა გიგი. მშვილდ-ისარი გა-  
მართა, ვარსკვლავებით მოჭედულ ცას  
ახედა:

— გინდათ, ვარსკვლავებს მივაწვდენ  
ისარს? — თქვა და ისარი შხუილით  
აფრინა ცისკენ.

და მოხდა სასწაული: ერთ წუთსაც  
არ გაველო, ზეცას ვარსკვლავი მოსწყ-  
და და შავად აყუდებულ გორაკს იქით  
ჩავარდა.

ახლა გაგამ მოიმარჯვა იარაღი,  
სტუორცნა ისარი და მოხდა საოცრება:  
მეორე ვარსკვლავიც მოსწყდა ზეცას.

დაუშინეს და დაუშინეს ისრები ზე-  
ცას. ყველა მიზანში ხედებოდა და ბე-  
ღურებივით ცვიოდნენ ვარსკვლავები.

— კარგი, გეყოფათ, ყველა არ ჩა-  
მოყაროთ და ცა უვარსკვლავებოდ არ  
დატოვოთ! — წამოხტა ბაბუა ნიკო და  
მონადირეებს მშვილდ-ისრებზე უსტაცა  
ხელი.

მაგდენი ისარი სად გაგვაჩნიაო, —  
სინანულით თქვეს მონადირეებმა.

— თქვენ ვინ ყოფილხართ! — გადა-  
ირია ბაბუა ნიკო. — რომელი გზაა  
მული მონადირე შეგედრებათ. სვანე-  
თის მთებში ჯახებზე მონადირეებს  
შეეხვედრივარ, გამიგონია, აფრიკაში  
ვეფხვებზე და ლომებზე ნადირობენ,  
სამხრეთ ამერიკაში კიდევ ბიზონებ-  
ზე... დათვი მეც მომიკლავს საყოფილოს  
ტყეში. ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა!  
რისი ჩხართვი და რისი მელა, კურდ-  
ღელი და მწყერი რა სახსენებელია...  
ასეთ წვრილფეხობაზე აღარც უნდა  
გაისვაროთ ხელი... დღეიდან ვარსკვ-  
ლავებზე მონადირენი უნდა დაგიძა-  
ხოთ ყველამ.

— მართლაც ვარსკვლავებზე მონა-  
დირენი ყოფილან, — თქვა წვრილკი-  
სერა ბუთულამ, — მაგრამ რად გინდა,  
— აგდებულად ჩაიქნია ხელი, — თა-  
ვიანთ ნანადირევზე ხელი არ მიუწვდე-  
ბათ და თვალი.

— რა ვუყოთ მერე, მთავარია, ვარს-  
კვლავებს მიაწვდინოთ ისარი! — თქვა  
გაგამ.

— არა უშავს, სხვები იბოვნიან და  
გაიხარებენ! — თქვა გიგომ, ერთხელ  
კიდევ მოხიდა მშვილდი და ისარი შხუ-  
ილით აფრინა ვარსკვლავებისკენ.

## ღამით მოხუცი კაცი

ღამე ბოროტი და ავსული კაცი-  
სააო, — მეტყობდა ნატა ბებია, როცა  
კაბუკობაში შინ მისვლას დავავიანებ-  
დო.

ერთხელ, ბორჯომის ხეობაში, ხში-  
რი ტყით დაბურულ გვერდისუბანში,  
ქალაქიდან გახიზნულ პიონერთა ბანაკს  
ვეწვიეთ მე და ჩემი ორი მეგობარი.  
ჩვენი ქალაქიდან გვერდისუბანამდე  
შორი გზაა და თანაც ბაკურიანისკენ  
მიმავალი მთავარი შარიდან გვერდის-  
უბნისკენ რომ გადაუხვევთ, თორმეტი-  
ოდე კილომეტრზე ოღრო-ჩოღროების

ამბავი კარგად მოგვეხსენებოდა და პა-  
ტარა თორმეტკაციანი ავტობუსით წა-  
ვედით. ავტობუსი ხილით საცხე კლ-  
ათებით დავტვირთეთ, ბადე-ჩანთებში  
გახვეული საზამთროები და ნესვები  
სავარძლების რკინის ფეხებს მივაბით,  
რა დასამალია და, ოცლიტრიანი მოწ-  
ნული ბოცაც გვედგა ქამრებით დაბო-  
რკილი. პიონერთა ბანაკში ასეთი  
ძღვენი ვერაა მთლად დასაშვები, მაგ-  
რამ წამოსვლისას ერთმა ჩემმა მეგობ-  
არმა დაიქინა: — არც მასეა, ძმაო,  
საქმე, პიონერებს თავიანთი ხელმძღ-

ვანელები ჰყავთ, იმ ხელმძღვანელებს კიდევ თავიანთი უფროსები, უფროსებს ათასი მტერ-მოყვარე და, ვინ იცის, იქაურობისთვის აკრძალული ეს ხილი სად და როდის გამოგვადგებაო.

ახალი დაღამებული იყო, ბანაკში რომ ავედით.

შვილებთან ალერისი შემდეგ, აქეთურ-იქითური ამბავი მოვიკითხე, უფროსებთან ერთად ვივანშმეთ და ღამის გასათევად ერთი ზედმეტი კარავი გავვიშალეს. მე ავხიარდი: შესანიშნავი კარავია, მაგრამ ავტობუსში გავათევ-მეთქი ღამეს. — ხომ არ გავიყდიო, — თქვა ბანაკის უფროსმა, აქ ნაშუადამევს ისეთი სიცივე იცის, — ძვალსა და რბილში გაატანს და მერე მახსენებო. მე გავვიუტდი და მეგობრები კარავში დავტოვე. რა უნდა ექნა ბანაკის უფროსს. ავტობუსში ორი დღუნდღულა შალის საბანი მომიტანა და ძილი ნებისა მისურვა.

ერთი საბანი ავტობუსის სიგანეზე გაშლილ უკანა სავარძელზე დავაგე, მეორე ზევიდან გადასახურად მოვიმარჯვე, მაგრამ ძილის ანგელოზებს ჩემთვის არ სცალოდათ, ბანაკს დატორიალებდნენ თავს; ზოგიერთ მოუხკენარ და ანც ბავშვს თვალს ქუთუთობებზე ასხდებოდნენ, საბნის ქვეშ უძვრებოდნენ და თავიანთ ანგელოზურ ენაზე აწყნარებდნენ: დაიძინეთ, ხვალ ადრე წამოგახტუნებენო.

ავგისტოს ნათელი ღამე იყო. ვარსკვლავებით მოკენჭილ ცას რქესავით ვადაღვროდა ირმის ნახტომი. მყუდროებას სადღაც ხევში ჩაკარგული პატარა მდინარის ჩურჩული და ღამის ფრინველების ხმა არღვევდა.

— ტუუუ! — იძახდა კოტი.

— კიოო! — კიოდა რომელიღაც სხვა ფრინველი.

— ჰუო! — ჩაიპუილებდა რაღაც და კარვების თავზე ასობით მოფარფატე ღამურას აფრთხოდა.

ტყე ბანაკს ეკვროდა, მათ მარტოოდნენ მავთულბადის დაბალი ღობე ჰყო-

ფდა. ასე მეგონა, ეს ღობე რომ არა, ფერდობზე შავად ჩამობოლქვილები ები ბანაკის ეზოში შემოდუნძულდებოდნენ, ვარსკვლავებით განათებულ კარვებს, ხის სამზარეულოს, შიფერით დახურულ უკედლებო გრძელ სასადილოს ტოტებს გადაათარებდნენ და აქაურობას დაბნელებდნენ.

საღღაც ფიჩხი გატყდა და წყნარი ფეხის ხმაც მომესმა.

მუხლებზე გადაფარებული საბანი მოვიშორე და ავტობუსის სარკმლის მინას სახით ავეკარი.

ტყიდან კაცი გამოვიდა. შუატანის, უქულო. მხარილოვ გუდასავით თავმოკრული ჩანთა ჰქონდა გადაკიდებულ, ღობეს მოადგა, ავტობუსისკენ გამოიხედა, ვიფიქრე, შემამჩნია-მეთქი, მაგრამ წამით დაყოვნდა და მავთულბადის გასწვრივ გააგრძელა გზა, ჰიშკარს რომ გაუსწორდა, ხელით მოსინჯა, გაღება არც უცდია, ეზოს ბოლოში მდგარ ფიცრულ საწყობისკენ გაემართა.

„ღამე ბოროტი და ავსული კაცი-სააო“. — გამახსენდა და თავი ვადავაქნიე: ვილაცაა საკაივაცოდ არ დეხეტება. ჯერ ჰიშკარი მოსინჯა, მერე საწყობს მიაპირდაპირა. ვნახოთ, რას აპირებს.

ავტობუსიდან გადმოვედი.

კაცი ფიცრულს მიუახლოვდა და მის უკან მიიმალა.

ის იყო განგაშის ატეხას ვაპირებდი, რომ კაცმა საწყობს შემოუარა, ღობეს ისევ მოადგა და ბანაკის ეზოში გადმოიხედა.

ვიფიქრე, ახლა მაინც დამინახავდა, ხელი დავუქნიე. უბრად შებრუნდა, ხევისკენ ჩამავალ ფერდობს ჩაჰყვა და თითქოს ჰაობში ეფლობაო, ნელნელა დაიწყო ჩამალვა. ბოლოს თავიც გაქრა და შვებით ამოვისუნთქე. ვინ იცის, საიდან მომავალმა კაცმა თავის გზით ჩაიარა, აღმათ გაღმა სოფელში

ზურაბ ახინიანიძე  
მომთხრობები



მიდის და შენ, ვიდაც ქალაქიდან ჩამოსული, შორიდან ზვერავე, ღამით საავკაცოდ მოხეტიალე გგონია და ის კი არ იცი, რომ მას ფეხებზე ჰკიდია შენი საეჭვო თვალთვალი...

მოგვბრუნდი, ახლა კი მშველად დავიხინებ-მეთქი და ავტობუსისკენ გავემართე.

ავტობუსის კარი გამოვადე, შესვლას ვაპირებდი, რომ უცებ ზურგი ამეწვა, ყრუანტელმა დამიარა, თითქოს ვიდაც უყნიდან მომჩერებოდა. ინსტინქტურად შემოგვბრუნდი, ისევ ის ღამით მოხეტიალე კაცი დავინახე, ახლა ტყის მხრიდან კი არა, მარჯვნივ, ხევისპირიდან მოჰყვებოდა ბანაკის ღობეს. გამისწორდა, ღობესთან ახლოს მოვიდა, მავთულბადის დასამარებელი ლითონის ბოძი ხელით მოსინჯა, მორყეული ხომ არააო და თითქოს მზეს იჩრდილებსო, ისე გამოიმხედა.

— რომელი ხარ! — შიშვარეული ხმით შევფიქსე დაუპატიჟებელ სტუმარს.

— კეთილი სულს! — მიბასუხა სასიამოვნო ბოხი ხმით.

— ამ უდროო დროს რად ზვერავე აქაურობას?

— შენ რომელი ხარ? — პასუხის გაუცემლად შემეკითხა თვითონვე.

— ბანაკის სტუმარი ვარ ქალაქიდან.

— კეთილი და პატიოსანი, მე მასპინძელი ვარ, — თქვა და ჰიშკრისკენ გამოემართა, უხმაუროდ, შეჩვეული ხელით გააღო და ჩემსკენ წამოვიდა.

გაშეშებული ვიდექი, შესახვედრად ნაბიჯიც ვერ გადავადგი.

ღინჯად მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა.

— გამარჯობა შენი, ხარება მქვია, ბარდაველიძე.

გავიმარჯოს-მეთქი და ჩემი სახელიც ვუთხარი.

ხელი რომ ჩამოვართვი, მისი დახეთქილი უხეში თითები კი არა, თითქოს კორძებიანი, კანდამსკლარა მუხის ხმე-

ლი ტოტი მჭეროდეს. მიუხედავად ღამის სუსხისა, გვეგონებოდა, სპიტიანი თბილი ხელი მუგუზლებზე ჰქონდა მიშვერილი და ეს-ეს არის ახლა მოაშორაო ცეცხლს.

წვერ-ულვაში ბუჩქივით შეჰფენოდა სახეზე. დიდი ხნის გაუპარსავი თმა მთლად გაჰაღარავებოდა და კისერსა და ბრეზენტის ხეშეშ საყელოს შორის თივთიკის კაშნესავით ჰქონდა ჩაფენილი.

ჩანთა მოიხსნა, ავტობუსთან დადებულ მორზე ჩამოჯდა.

— დაჯექი, შე კაცო, გეტყობა ძილოვანს არც შენ აპირებ წასვლას.

სიტყვის უთქმელად დავემორჩილე და მეც ჩავიმუხლე.

სიგარეტი გავუწოდე. უარი თქვა და ქისა ამოიღო, თუთუნის გახვევას შეუდგა. ვიფიქრე, ასლა აკლია კვეს-აბედი გააჩნაქუნო-მეთქი.

— მამაპაპურად? — კვითხე ბერიკაცს.

— ჰო, მამაპაპურად, — შემომღიმა, — ერთი შენი ჭრაქი მომანათე.

— ინებეთ! — გავიცინე და სანთებელას ჩახმახი ჩამოვკარი.

— ჩემი არ იყოს, ძილი შენც გავტეხია.

— ვარსკვლავებს ვითვლი, ბატონო ჩემო, — ვუპასუხე და ცას მივაჩერდი.

— არაა ცული საქმე, მაგრამ საძნელოა. ათასამდე რომ მიხვალ, ხომ უნდა ჩაინიშნო. ცას თვალი თუ მოაცილე, შენ მიაგნებ მერე, რომელ ვარსკვლავთან შეჩერდი?

ერთხანს უბრად ვისხედით.

— შენ თვითონ რას დადიხარ ამ შულადამით? — კითხვა შევებრუნე ჩარებას. „დადიხარ“ ვთქვი და ჩემთვის სხვა, არასიმბათიურმა სიტყვამ „დაეხეტები“ გამიელვა თავში.

— მე? — დააყოვნა პასუხი ზარებად, — მე ტყე-ღრეში დავეხეტები და ჩამოცვენილ ვარსკვლავებს ვბოკავ. აი ერთი კიდევ ჩამოვარდა! — წამოიძახა და ცისკენ ხელი გაიშვირა.



— არაა ცუდი საქმე, მაგრამ ვარსკვლავი იცი?..

— ვიცი, მამაშვილობამ, — შემაწყვეტინა ხარებამ, — მზეზე ბევრად დიდი, მაგრამ ისიც უნდა იცოდე, მიწაზე რომ ჩამოვარდება, ბელტა მანეთიანის ხელაა. ტყეში ძნელი მოსაძებნია, მაგრამ მინდორში და მდინარის ნაპირზე ნაკვერცხალივით ანათებს და იოლად მისაგნებია.

— კი მაგრამ, რაში გამოიყენებ ვარსკვლავებს? — ვკითხე ღამით მოხეტიალე კაცს.

— შეილიშვილები საკოჭაოდ ხმარობენ, ხოლო შვილთაშვილებმა აკვნებს ღინჭილებად ვაბამ, როცა ბლომად დამიგროვდება.

ვარსკვლავების ამბავი იოლად დაეუჭერე, მაგრამ ტყეში რა გინდობამეთქი.

— ტყეში? — გაეცინა ხარებას. — ტყეში ჩიტის ბუდეებს ვათვალიერებდი. თავის დროზე ყველა ჩიტის კვერცი მაქვს დათვლილი, ახლა ვამოწმებ, რამდენი ბარტყია გამოჩეკილი, ხომ არ აუცანცლავს ვინმეს ან ხომ არ გადაცივებულა რომელიმე.

„ეს კაცი გვარიანად შექანებული ყოფილა, მაგრამ, ეტყობა, უწყინარია და ქვას არ ისვრის“, — გავფიქრე ჩემთვის და უფრო ჩავეძიე.

— როგორია ფრინველთა ნამატი? — დიდი ინტერესით ვკითხე ვარსკვლავების შემგროვებელ და ჩიტების კვერცხების მივლელ კაცს.

— შარშანდელზე უკეთესია, შვალო! — სერიოზულად მიბასუხა ხარებამ და თითები წვერ-ულვაშში ფიცხვით გაიყარა.

— ხევენი რომ ჩადი, მდინარეზე ხომ არ ყოფილხარ? — ვეკითხები.

— ჰო, ღამით ერთხელ მაინც უნდა მოვიწახულო მდინარე.

— ქვიშას ხომ არ ცრი, იქნებ ოქროს ნამცეცხები ვიპოვო.

— არა, შვილო! — ოქრო და ვერცხლი არაა ჩემი საქმე. საათობით ვზივარ და წყალს ვაყურადებ.

— თევზებს ესაუბრები?

— არა, ვაყურადებ. ხომ გაგიგონია ღამით ერთი პირი წაძინება წყალში იცისო. ყოველ ღამით ვდარაჯობ, მაგრამ ვერასდროს შევისწარი, მდინარეს რომ ჩასთვლემოდეს.

— შენით თუ არ იცოდი, თევზებისთვის გეკითხა, გეტყოდნენ, ჩვენზე უკეთესად არ იციან მდინარის ამბავი?

— თევზები ყველაზე ჭკვიანი ხალხია ამქვეყნად. ზოგიერთ კაცს კი არ ჰგვიანან. ბევრი აქვთ სათქმელი, მაგრამ პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული. მინათე შენი ჭრაქი! — თქვა და წამოდგა, — აბა, ძილი ნებისა!

— დამე მშვიდობისა! დამე ბოროტი და ავსული კაცისაო, გამიგონია. დილით გამოგვიარე და მაშინ გავაგრძელოთ საუბარი, — ვთქვი და ხარებას წყალობით გავუღიმე.

— ბოროტი კაცი დღითაც ბოროტია და ღამითაც. კეთილი კაცი სიზმარშიც კი კეთილ საქმეებს აგვარებს, — სასიამოვნო ხავერდოვანი ხმით თქვა ღამით მოხეტიალე კაცმა და ისეთი თვალებით გამომხედა, მივხვდი, შევებრალებე, ნუთუ ეს აქამდე არ იცოდით. — მერე გაიცინა, — დაგლალე მგონი ამდენი ლაპარაკით. წავედი. მეჩქარება. ამ ბოლო დროს ჩემს ბებრუხანას ფეხები უცივდება და ამ ღამით რაც ვარსკვლავები ავბოჭე, სანამ გადამიცივდებოდეს, საფერხესთან უნდა დავუწყო.

— ტუუკ! — დაიძახა ჭოტმა.

— კიო! — იკვილა რომელიღაც ღამის ფრინველმა.

მეორე დღეს ჩემს მეგობრებსა და ბანაკის უფროსს მოვუყვები ღამით მოხეტიალე კაცის ამბავი.

— ხარება იქნებოდა, — გაიცინა ბანაკის უფროსმა.

მისი სიცილი ჩემი გუმანის დასტურად ჩავთვალე და ვთქვი:

— მთელი ღამე გავერთეთ საუბარ-

ზურაბ აკხინაძე  
მოსტოროვაძე

ში. უცნაური კაცია, მგონი ცოტა შექანებულიც უნდა იყოს. ღამე ბოროტი კაცისაა, გამიგონია.

— კარგად ვერ შეგიტყვი, მეგობარო, — თქვა ბანაკის უფროსმა, — ხარება ბარდაველიძისთანა ჭკვიანი და კეთილი კაცი მეორე არ დადის მთელს ბორჯომის ზეობაში. ღამით, შენ ფიქრობ, სააკაცოდ დახეტება? კვირაში სამჯერ მთაში დადის მწყემსებთან, პური და სასმელი მიაქვს. როგორი ღამეც არ უნდა იყოს, მობრუნებისას მარტოხელა მეწისქვილეს ჩამოუვლის, ხან ყველს ჩამოუტანს მთიდან, ხანაც თუ საკლავი ექნათ, ზორცს. გაჭირვებულ კაცს ღამით უფრო სჭირდება ხმის გამცემი და გვერდში დამდგომი. სოფლად თუ ვინმე ავადმყოფია, ღამით მოინახულებს, გაართობს, გულს გადააყვავილებებს. სადაც არ უნდა იყოს, როგორ გვიანაც არ უნდა იყოს, ჩვენ ბანაკს აუცილებლად უნდა დახედოს. თუ არ გვძინავს, ეზოში ჩამოვა,

დაგვიჯდება და მთელი ღამე თითოდ რომ გადაგვათენებოს, მაინც ვერ ვიძინებთ. წყინდება მასთან საუბარი. თუ ბანაკს სძინავს, ეზოს შემოუვლის, ჭიშკარს და ღობეს კეთილი თვალით დახედავს... ერთხელ ღამით ღორები შემოგვესივნენ, სამზარეულოზე მიიწვედნენ, ხარება რომ არა, ალბათ პროდუქტს გავვიჩანავებდნენ... და შენ კი ამბობ, ღამე ბოროტი კაცისააო...

მეგობრებს ვთხოვე, ერთი დღე კიდევ დავჩინილიყავით ბანაკში, რომ ღამით მოხეტიალე კეთილ კაცს მეორედ შეგხვედროდი, მაგრამ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, შენ თუ გინდა, დარჩი და ღამის დარაჯადაც გაეფორმე ბანაკში, ჩვენ, აქ რომ არიან, მაგათ გარდა, შინ სხვა ღლაპებიც გეყავს და მიხედვა უნდათო.

გულდაწყვეტილი წამოვედი და თან ხარება ბარდაველიძის — ღამით მოხეტიალე კეთილი კაცის დარდი წამომყვა.

## ჩიტების მსატყარი

ძალაძის გარეუბანში ერთი მონადირე ცხოვრობდა.

ტრიფოლიატით შემოღობილ ეზოში წითელი კრამიტით დახურული კოშკია ხის სახლი ჰქონდა ჩადგმული, რომელიც სულ ორი ოთახისგან შესდგებოდა. ერთი მომცრო იყო, რომლის ერთ ყრუ კუთხეში ღარიბული სამზარეულო მოწყობილობა ელაგა, ხოლო ფანჯრის მხარეზე საბან-გობანი იყო გაშლილი.

მეორე ოთახი იყო, რაც იყო. ვრცელი, ნათელი, ისეთი მოვლილი და პეწიანი, ოთახში შემსვლელი იფიქრებდა, მოხუცის მარჯვე შვილიშვილები ალბათ ყოველდღე მის კედელ-ყურეს საგულდაგულოდ ალაგებენ და ასუფთავებენ, მაგრამ მოხუცი მონადირე მარტოხელა იყო, არც შვილები ჰყავდა და არც შვილიშვილები.

ოთახში თითზე ჩამოსათვლელი ავეჯი იდგა: ორი ძველი მოწულ საზურგიანი სავარძელი, წაბლის ხის მრგვალი მაგიდა, მაგიდაზე — წყლის დოქი და ხილით სავსე ლანგარი.

ოთახში რომ გაივლიდი, იატაკი ისე ჰრაქუნებდა, თითქოს მძინარე ღამის ჰრიჭინებს ადგამდი ფეხს.

ეზოში კონინდარი ბიბინებდა, ნაბლისხელა ბოსტანში ქინძიც ეთესა და ქონდარიც, ღობის გაყოლებით ოქროცოცხა და ტუხტი იყო ჩარიგებული. ზაფხულდობით კიტრი და პამიდორი თავსაყრელად მოსდიოდა. პატარა ხეხილის ბაღიც ჰქონდა და ათიოდე ძირი ვენახიც, მაგრამ მისი მთავარი და ძირითადი საქმე ნადირობა იყო.

მოხუცს ჩიტები უყვარდა, დაიჭერდა თუ არა ფრინველს, ოთახის კედლებზე ჰკიდებდა. რა ჯურის ფრინველი გინ-



დათ, აქ რომ არ ყოფილიყო: ხოხობი, გნოლი, კაკაბი, დურაჯი, ქედანი, კოდალა, მწყერი, მერცხალი, მტრედი, ბელურა, ოფოფი, თოხიტარა, მესკია, შაშვი, ბულბული, გულწითელა, შოშია, ბიჭო გოგია, ჩხართვი, ჩიტბატონა, სკვინჩა, ღაჟო, ტოროლა, ნიბლია, გვრიტი, წერო, არწივი, ძერა, ქორი, მიმინო, კაჭკაჭი, ყვავი, ბუქნაჭო... ყველას ვინ ჩამოთვლის...

მოხუცი მონადირე... სულ დამავიწყდა მეტქვა, მოხუცი თავის თავს თვითონ ეძახოდა მონადირეს, თორემ სინამდვილეში მხატვარი იყო, თანაც უცნაური და ახირებული, მართოდენ ფრინველებს ხატავდა.

მოხუცი მონადირე დილაადრიან გადაიკიდებდა თოფს... ბოდიში, ისევ მონადირე წამომცდა... მოხუცი მხატვარი გადაიკიდებდა ეტიუდების ყუთს, იღლიაში დასადგმელ ქოლგას ამოიჩრია და მთელი დღე ტყე-ტყე დადიოდა. ზოგჯერ ორი-სამი დღითაც იცოდა წასვლა. ერთხელ კი მთელი კვირა გადაიკარგა. ეტყობა, ძალიან შორს წავიდა სანადიროდ... ისევ სანადიროდ ვთქვი, მაგრამ სულ ერთია სახატავად ვიტყვით თუ სანადიროდ ნუ გაგიკვირდებთ, ასე იცოდა მოხუცმაც! — ფრინველს ნახატს ეძახდა და ნახატს — ნანადირევს.

დაბრუნდებოდა თუ არა ნადირობიდან, ნახატს, ოთახში შეტანამდე, მზის ჩასვლის წინ, სახლის კედელზე გამოფენდა, შორიახლო მერხზე დაჯდებოდა და მაშინვე მთელი უბნის ბავშვებით აივსებოდა ეზო.

— დღეს რა მოგვიყვანე, ბაბუა? — შორიდანვე ყვიროდა ერთი.

— ჩვენებური ფრინველია თუ უცხო ქვეყნის? — ეკითხებოდა მეორე.

— ჯერ თქვენ თვითონ თუ გამოიცნობთ?.. — იტყოდა მოხუცი მონადირე და ღმილჩამდგარ თვალებს მოკუტავდა.

თუ გამოიცნობდნენ, ბავშვები სიხარულით ყვიროდნენ:

- მწყერი!
- შაშვი!
- მერცხალი!
- ბელურა!
- მტრედი!
- არწივი!
- წერო!
- ბუ!

თუ ვერ გამოიცნობდნენ, მოხუცი მონადირე ყასიდად გაწყურებოდა:

— ჰაიტ, თქვე ქალაქელო ბელურებო! მტრედი და არწივი იოლი გამოსაცნობია, ბელურასა და მერცხალს აკვნის ბავშვიც არჩევს ერთმანეთისგან. ეს თოხიტარაა, ერთი მტკაველა გაბზეკილი კული აქვს, ბოლოქანქალასა და წყლის ჩიტსაც ეძახიან. ეს გუგულია, ზარმაცი და თაღლითი ფრინველი. გაზაფხულზე სხვებს უკიჟინებს: „კაფე თესეო!“ თვითონ კი ბარტყების გაზრდა ეზარება და სხვის ბუდეში ჩუმ-ჩუმად კვერცხს დებს. მაგრამ მაინც კეთილია. ტყეში იცის ერთგვარი შხამიანი მატლი, რომელიც ხეებს ახმობს, ამ მატლს გუგულის გარდა ვერც ერთი ფრინველი ვერ ეკარება. ეს მოლადურია, იგივე გულყვითელა, „ბიჭო გოგიასაც“ ეძახიან. დედას ერთადერთი შვილი გოგია მტერთან ბრძოლაში დაედუბა, თურმე. დედამ იმდენი ეძება თავისი შვილი, რომ მოლადურად გადაიქცა და მის მერე სულ იძახის: „ბიჭო გოგია!“ „ბიჭო გოგია!“ ეს კაჭკაჭია, ქურდბაცაცა. სადაც კი რაიმეს მოახელებს, თავის ბუდეში მიაქანებს.

მოხუცმა მხატვარმა ყველა ფრინველის ზნე და ნირი იცოდა. სტვენდა კიდევ მათებურად. ხოლო მათი ფრთებისა და ბუმბულის შეფერილობა კი ისე ზუსტად გადაჰქონდა ნახატზე, ცოცხალი ფრინველისგან ვერც გამოარჩევდით. მათი შემხედვარე იფიქრებდი: ერთი რომ აუქშიო, ნახატი

ზურაბ კუხიანიძე  
მომხრობაში



ფრთხვს გამოსის და გაფრინდებო. მაგრამ მოხუცი ბავშვებს რომ გააცნობდა ფრინველს, ოთახში შეიყვანდა და ფრთხილად, სხვა დატყვევებულ ფრთოსნების გვერდით კედელზე დაკიდებდა.

ღროთა განმავლობაში მოხუცი მონადირის სახლი უზარმაზარ გალიას დაემსგავსა, სადაც ყველა ჯურის ფრინველი იყო დამწყვდეული. მაგრამ ჩიტის გალიისგან იმით განსხვავდებოდა, რომ იქიდან დატყვევებული ფრინველის ჩამიჩუმე არ ისმოდა. გალობასა და ჭიკჭიკს ვინ დაეძებს, ფრთის გაფათქუნებასაც კი ვერ გაიგონებდით.

ერთხელ მოხუცი მხატვარი შორს, ძალიან, ძალიან შორს წავიდა სანადიროდ, იქნებ რომელიმე უცხო ფრინველს გადაეყარო, რომლის მსგავსი ჩემს გალიაში არცა მყავსო. ცხრა მთა გადაიარა, ცხრა ზღვა გადალახა და ისეთ უკაცრიელ ადგილას მოხვდა, სადაც არცერთნადირი ფრინველი არ ჭაჭანებდა. მოხუც მონადირეს ძალიან, ძალიან ბნელი დამე წამოეწია, შინისკენ გზა ვედარ გაავნო. მერე იფიქრა, ისე როგორ დავბრუნდე, ქალაქელ ბელურებს ერთი პაწია უცხო ფრინველი ვერ მივუყვანოო და სამუდამოდ იქ დარჩა.

ქალაქელი ბელურები დიდხანს ელოდნენ მოხუცი მხატვრის დაბრუნებას. გავიდა ერთი თვე, ორი, სამი თვე და როცა ცხრა მთას იქით გადაკარგული მონადირე აღარ დაბრუნდა, ბავშვები მის სახლ-კარს დაუპატრონენ. ბოსტანს თოხნიდნენ, ვენახს სხლავდნენ, ხეხილს უვლიდნენ, ოთახებს ასუფთავებდნენ. ფანჯრებს ყოველდღე ალუბდნენ, ფრინველებს სუფთა პაერი უყვართ და არ მოიწყინონო. სხვა უბნის ბავშვებიც მოჰყავდათ და მოხუცი მხატვრის ნანადირევს ათვალეირებდნენ. როცა ვინმე რომელიმე ფრინველს ვერ გამოიცნობდა, იცინოდნენ, მართლა ქალაქელი ბელურ-

რა ხარ, ერთმანეთისგან დაყოსი მესკიას ვერ არჩევო.

გავიდა ხანი. ბავშვები გაიზარდნენ, დაგაჯაკდნენ. მოხუცი მონადირის სახლს მათი შვილები — ქალაქის ახალი ბელურები შეეჩვივნენ. ქალაქიც გაიზარდა, კანში აღარ ჩაეტია და გარეუბანს შევიწროება დაუწყაო.

გარეუბანში რეასართულიანი სახლები წამოჭიმეს და მოხუცი მონადირის ხის სახლი მართლაც ჩიტების გალიასავით ჩანდა მათ გვერდით.

ერთ დღეს მოხუცი მხატვრის ეზოს უცხო ხალხი მიადგა, ფრინველების დამთვალეირებლებს არ ჰგავდნენ. ეზო გაზომეს, სახლი ათვალეირ-ჩაათვლიერეს, შიგნით არც შეუხედავთ, ისე თქვეს: ახალი თორმეტსართულიანი სახლის მშენებლობა აქ უნდა დაიგეგმოსო.

იმ დღეს ფრინველებით სავსე ოთახიდან პირველად გაისმა რომელიღაც ჩიტის ნაღვლიანი კვნესა, მაგრამ ან არავის გაუგონია, ან არადა ყურადღება არ მიუქცევია. სხვა ფრინველმა დაჭრილივით გაიფათქუნა და რომ არაეინ შეამჩნია, ისევე კედელს გაეკრა ხმის ამოუღებლად.

გავიდა რამდენიმე თვე და გაზაფხულის ერთ სისხამ დილით მოხუცი მხატვრის სახლს ბეჭემოთივით პირდაპირი ექსკავატორი ბობლინითა და ღრქილით მიადგა.

ოთახში სტვენა, ჟივჯივი, წიოკობა და ფათქუნი ატყდა. ფრინველებმა კედლები მიატოვეს და აქეთ-იქით შეშინებული სტვენა-კივილით მიასკდნენ: არიქა, გალიას გვინგრევენ და ჩვენც შიგ არ მოვყვეთო. მერე ფანჯრები გამოამტკრეს, თავს უშველეს და სხვადასხვა მხარეს მოხუცი მხატვრის საქებნელად გაფრინდნენ.

იქაურობას მარტოდენ ბელურები შერჩნენ, რომლებიც ქალაქის ქუჩებში, სახლის სახურავებზე, სანაგვეებთან, ქალაქის ბაღებში დაჟივჯივებენ და სულ მუდამ რაღაცას ქეჭავენ.

**ბავშვული პატივარი**

სულ სამი დღეა,  
 ვემალები „კანონ-სამართალს“, —  
 ვის რა შევიჩვეოთ,  
 ვის რა ვთხოვოთ,  
 ვის რა წავართვა?!  
 ●

სულ სამი დღეა,  
 გავანგრე დილევის კარი,  
 სულ სამი დღეა,  
 მილამუნებს  
 სახეზე ქარი.

მზე მწვავს თავარა,  
 წვიმა მშობლტაცს გრილი შოლტებით,  
 სულ სამი დღეა,  
 სოფლის შუკას  
 ვეღარ ვშორდები.

გადაჩლუნგებულ,  
 გადაჟანგულ ნამგლის კანკალით  
 მე უნდა მოგმკა  
 ჩემი წილი  
 დარდის სამკალი.

მწვანე ბალახში  
 ფეხშიშველა ვდგები ამაყად,  
 მაგრამ ვაი რომ  
 დამიჭერენ  
 ისევე ამაღამ...  
 ვემშვიდობები  
 სუფთა წყაროს, ჭიქას, ხეობას,  
 მიხმობს, მეძახის:  
 სამსახური,  
 მოვალეობა...

თაობაე ჩემო!  
 გვიან მივხვდით თუ რამეს მივხვდით,  
 კაბინეტების  
 ტყვეობაში  
 სასჯელს რომ ვიხდით.

რა დავაშავეთ, —  
 მოვიკრიბოთ უბრალოდ ძალა,  
 ხვალაც არ მოვალთ  
 ქვეყანაზე,  
 არ მოვალთ ხვალაც!

**პიესაში გახლით**

აჩრდის სიმივით გაჭიმულ თოვზე  
 სახელდახელოდ გაკიდული  
 ბავშვის პერანგი  
 ფრიალებს, როგორც  
 სიყვარულში გამარჯვებულთა

დროშა ნათელი,  
 ცის ნამივით  
 ნაკამკამარი....  
 ეზოში დადის,  
 თავმომწონედ დადის  
 მ ა მ ა ლ ი.

ვიდრე გონება ანგარიშობს,  
 ჭერუტს,  
 ხაზღერავს,  
 აგვლევს,  
 ვიდრე გონება უსლუდველად

ზეიმობს  
 თუნდაც...  
 მოასწარ, გულთ,  
 შენ ახლავე  
 აყვირდე  
 უნდა!!!

ამქვეყნად მოსვლა,  
სხვა თუ არა,  
იმიტომ ღირდა,  
რომ ერთხელ მაინც  
მეთქვა, —  
მიყვარხარ!!!

მეხსიერების უძირო ჭიდან  
წყალს  
ყოველდღე თუ არ მოიღებ  
თანდათანობით  
აშმორდება  
სსოვნა გულისა.

### ვერლიბრი რინგზე

სიკვდილი,  
ერთადერთი მოკრივეა,  
რომელიც ყველა წონაში  
თანაბრად გამოდის.

თვითელ ჩვენგანს, ადრე თუ გვიან,  
ფინალში სწორედ ის უნდა შეხვდეს.

დროის მოსაკლავად  
იკრიბება ბრბო...  
და ვით ღვთისნიერ მსაჯულს შეჰფერის,  
ჩვენი რეფერი — დ რ ო  
საასპარეზოდ გვიხმობს.

რინგი  
ურჩხულივით კვადრატში თვლემს  
და ბუსთვალეზა პროკეჟტორი  
სინათლის ლავად ადნება რინგს, —  
რინგის ლურჯ კუთხეში — მე!  
წითელ კუთხეში — ის! —

ს  
ი  
კ  
მ  
დ  
ე  
ლ  
ო  
ი

რომელიც  
ყველა ბრძოლას  
ნოკაუტით იგებს.

გონგი. ზმუილი. ნისლი.  
წარბი. ნიკაპი. სისხლი.

ნაბიჯი უკან! წინ!  
დარტყმა!  
კვლავ დარტყმა!  
ს დ ე ქ!  
მუშტების წვიმა წვიმს...  
რეფერი ყვირის:  
ბ რ ე გ!

არავითარი ფრე!  
არავითარი რიდი! —

რინგი. ლასლასი. წრე.  
მიდი! ოდონდაც მიდი!!!

ბრბო კვლავ ასკდება რინგს.  
გონგი სულთათნას რეკს, —  
წითელ კუთხეში — ის!  
ლურჯ იატაკზე — მმმე...  
— ერთი...  
— ორი...  
— სამი...  
— ოთხი...

- ხუთი...
- ექვსი...
- შვიდი...
- რვა...

ტიტრი...  
თავბრუდამხვევი რიტმი.

წყდება რეფერის თვლა,  
რადგან მე ფეხზე ვდგები  
და დამსხვრეული ყბებით  
ბრძოლას მოვითხოვ კვლავ.

უნდა გაუძლო დარტყმებს,  
საქმე არ მიდის ცუდად,  
მაგრამ ისეა საქმე,  
თვითონაც ურტყა უნდა!

სტვენა.  
ტამტამი.

სიკვდილი ერთადერთი მოკრივეა,  
რომელიც რინგზე  
ლაჩრობას და აპატისა  
არ გაპატიებს!



არის უხილავი მდინარება  
რალაც უხილავი ძალის,  
რალაც თითებშუა იპარება,  
როგორც უდაბნოში წყალი.

ლღვება იდუმალი მყინვარება  
ფარსის, ტრაგედიის, დრამის,  
ალბათ გულიც ისე იზარება,  
როგორც გარდასახვის უამი.

რალაც ფიქრის ფერფლით იფარება,  
რალაც იქსაქსება გზებად,  
რალაც ტკივილებად კრისტალდება,  
რალაც ნიჟარებად რჩება.

ის, რაც უკვდავებად იკმარება,  
მწუხრის ვერცხლისწყალად წვეთავს, —  
ვაი, უხილავო მდინარება  
დღეთა სიცოცხლეთა ჩვენთა!

### ყურაოკრული ირონიიდან

რა სათქმელია, მაგრამ ვეფხვები,  
ჩვენს დროში  
ჩვენი ვეფხვები, ვატყობ,  
მშვენივრად გრძნობენ თავა  
გ ა ლ ი ა შ ი, —  
ისინი უკვე  
ტყვეობაშიც კი მრავლდებიან.

### გაზაარული შირფიტა

არის განმეორება  
ერთხელ თქმულის,  
ართქმულის, —  
„შემოდგომა, სამთარი,  
გაზაფხული, ზაფხული!“

არის გადამღერება  
ჩუქურთმების,  
ლექსების, —

ფიფქებიდან — ფიფქები,  
ფესვებიდან — ფესვები!

პლანეტიდან — პლანეტა  
და აფრენილ აფრებით  
ბაგეთაგან ბაგე და  
ზღაპრებიდან — ზღაპრები!

მზე ტრიალით  
ი ლ ჯ ბ ა,  
ცა თეთრდება  
კ ი რ ი ვ ი თ, —  
ტირილი და სიმღერა!  
სიმღერა და ტირილი!

### პალატა № 13

ის შემოვიდა მთრიდებით და  
მოკრძალებით, —  
თვალეები ჰქონდა ახვეული,  
მხოლოდ თვალეები...

სუნი სცემდა და მგრძნობიარე თითები  
ჰქონდა, —  
მწიერი იყო, ჩვენ გვეგონა,  
რალაცას გეტხოვდა.

იყო მოყვასი, გულგრილობას როდი იჩენდა,  
ვიცოდით, ერთ-ერთს უსათუოდ  
ამოგვიჩვენდა, —  
მას ახვეული ჰქონდა თ ვ ა ლ ე ბ ი.



# უნანი ბრღემლის და უროს ქახილით...

აოთხი

შუალხვის ჩვენი დღეების ატბიურ მზინებ-  
ლებს — შინათურად მამალაროშლებს.

## ერთი მუჟა მუჟა და მიწა

დაზრდილან ჩემი იმერეთის სერები მწვანე,  
ღრუბელი — ბროლი,  
მიწა — ლურჯი,  
ცა — ფაიფური...  
ქარს მოაქვს სუნი,  
სადღაც ალბათ ხმელ წალამს წვავენ,  
ნასაყდრალს იქით  
ბალახს წიწვნის მშვიერი ფური...

გამოაქვთ ქალებს ვენახიდან ნედლი  
ნამორჩი,

ბრძენი გლეხები  
ცელებს ლესენ ჩერთში, ჯრუჭთან...  
და მენანება,  
მათ ცხოვრებას რატომ ჩამოვრჩი,  
მეც მეყოფოდა  
მზე და მიწა აქ ერთი მუჭა!..

დაზრდილან მთები  
და შემდგარა მთებზე ჭიათურა,  
შორს, თეთრ ბურუსში,  
მოხუცივით ყვინთავს წიფორა...  
ამ შავს კლდეებში  
ჩემი ხალხი რომ დაფაცურდა,  
მთებზე სახლები ქორებივით წამოიფოფრა.

გამოიფოთლა ხე ხენეში, გაუფოთლავი,  
და მწიფს კეთილად რტოსა მწვანეს  
თვალი ვენახის...  
მე მომაქვს ცეცხლი  
ხალიბების ნაჭედ ფოლადის,  
ოთხი ათასი წელიწადი  
აქ რომ გვიძახის!

ოთხი ათასი წელიწადი  
მე მომაქვს მხრებით:  
ხითბო,  
სინათლე,  
თოვლი,  
ჭმუნვა,  
ლხინი,  
ომები...  
ოთხი ათასი წელიწადი  
ჩემს მზეს აქ ვხვდები,  
თავს დამკვიციან ბიბლიური ჟამის ქორები...

დაზრდილან ჩემი იმერეთის სერები მწვანე,  
ღრუბელი — ბროლი,  
მიწა — ლურჯი,  
ცა — ფაიფური...  
ქარს მოაქვს კვამლი,  
ხალიბები ხმელ წალამს წვავენ...  
ვინ მოთვლის,  
ღმერთებს აქ რამდენჯერ დაუკლეს ფური.

აბოლებულან ცაში თეთრად ტყემლის  
ტოტები,  
და იმერეთი  
თითქოს ქარში სადღაც მისცურავს...  
ისეთი ცაა,  
ისეთი მზე,  
აქ არ მოკვდები,  
თუ ერთი წამით დააკონე ბაგე ჩიხურას!

უნდა დაემხო მიწას მკერდით,  
ისუნთქო ხარბად  
ამ მიწის სუნი

უნდა დაემხო მიწას მკერდით,  
ისუნთქო ხარბად  
ამ მიწის სუნი



და გადგეო ბალახის ღერო,  
წელზე მკლავები  
შემოხვიო ყვირილას ლალად  
და დიდ სიცხეში შეეფართ თხმელების  
ჩეროს.

მაშინ გაიგებ,  
რა გემო აქვს ამ მზეს და მიწას,  
რა ცეცხლით ვიწვი  
მე ამ ცისქვეშ დღითა და ღამით.  
რა სიხარული  
გულმა დღემდე ვერ დაივიწყა,  
რა სინანული  
რეკავს გულში განვლილი ჟამის...

მახსოვს,  
კალმახებს აქ ჩაგუდგით ერთხელ ფაცერი  
და მთვარეც  
ჩვენთან დაეძებდა კალმახს მშიერი,  
დასრიალებდა შავ ჩქერებში,  
როგორც საცერი,

ვიდრე ყვირილამ  
არ შედგება ფერით გიშერის...

მერე მთელ დამეს  
სქელ მორგეში კალმახს კი არა,  
ჩვენი ბავშვობის  
გულუბრყვილო მთვარეს ვეძებდით...  
ვერც კი გავიგეო,  
ვარსკვლავებთან ვით გაიპარა,  
და თავზე გვადგნენ  
მთები, როგორც შავი ვერძები...

ნეტავი ისევ მენტოს ცეცხლი ფხვიერ  
სილაზე,  
სადაც ყვირილას უერთდება ჭალაში  
ჯრუჭა,

გამოჰყვებოდა,  
ვიცი,  
ლექსებს მეტი სინაზე  
და პოეტს საზრდოდ მეყოფოდა მზე  
ერთი მუჭა...

**მთებში ჩაკიდული ქალაქი**

მახსოვს,  
გამურული ჭიათურა,  
მთებში ჩაკიდული ქალაქი...  
ღამე —  
ჭრიჭინების ფიცხი ჭიანჭური  
ზემოიმურული კილო ლაპარაკის...

მახსოვს,  
გამურული ხეა ჩეროები,  
ურიცხვი ნათურებით გაჭორფლილი.  
ცაზე —  
მოწრიალე მწკრივი წეროების,  
მთები —  
წერაქვებით შუა გაპობილი.

მახსოვს,  
ნაწვიმარზე გიშრის გუბეები,  
მტვერში ჩასილული გვირილა,

მაღარო —  
კამერის თვალთა უპეები,  
და შავი ძალღვივით მყეფარე ყვირილა.

მახსოვს,  
ქარებმა სულში რომ იწივლეს,  
გულში გამიჩნდა  
ლექსი სიყვარულის,  
მას შემდეგ  
სისხლით ვზრდი ჩემს ყვითელ წიწილებს,  
ქორსა და ავსულებს არული... არული...

მახსოვს  
გამურული ჭიათურა,  
ზემოიმურული კილო ლაპარაკის,  
ღამე ჭრიჭინების ფიცხი ჭიანჭური,  
მთებში ჩაკიდული ქალაქი...

**ნავი ჭიათურა!**

ამაღამ მთვარე დაუკრავს ჭიანჭურსე,  
ფერხულს იცეკვებენ ქარში ვარსკვლავები.

წარსულზე ლაპარაკს ნუ გამიჭიანურებ, —  
ჩემს სულში აღარ ჩანს მწუხრის  
ნაკვალევი...



ფოთლებში ჩიტვივით ფათქუნობს ნათურა,  
კლდეებზე სახლები ბაგირით ჰკივია...  
ჯერ ისევ ყმაწვილს  
მეძახის ჭიათურა, —  
ბიჭები ყიჟინით გვირაბში მიდიან.

მეძახის ქვაბივით თუხთუხა ჭიათურა,  
ჭიათურას არ ძინავს ღამეშიც.  
ბაგირზე სრიალებს რონოდა — ღამურა,  
რონოდა — მაღაროს ერთგული ფარეში.

მთებიდან მთებამდე გაბმული ბაგირი  
მე შენი ნაწინავი მგონია ღამაში,  
მეძახის  
და ცეკვავს ბაგირზე დაირით

ჩემი სიყმაწვილე,  
ვით ცირკის ჯამბაზი...

მგონია,  
ქვეყანაც ბაგირზე ჰკივია,  
მარგანეც რომ მოაქვთ რონოდებს,  
ხევეთში ხან ჩაღმა,  
ხან აღმა მიდიან  
და დინოზავრივით იქნევენ ბოლოებს.

ამაღამ მთვარე დაუკრავს ჭიანურზე,  
ფოთლებში იცეკვებს ყვითელი ნათურა,  
წარსულზე საუბარს ნუ გამიჭიანურებ,  
მე დედის ძუძუსთან შევზრდილვარ  
ჭიათურას...

### რეკავს თუჯის ზარით ჩემი სიყმაწვილე...

რეკავს თუჯის ზარით ჟამი მშვენიერი,  
კორღზე დახნეილი ტოტით  
კურკანტელის...  
შენი მახსენდება სუნთქვა ნებიერი  
და მე ტანში ჩუმად მივლის ჟრუანტელი...

სად ხარ? —  
დამანახე ის დღე გაზაფხულის,  
ჩემი დროინდელი  
ხალხი ჭიათურელნი;  
მთები — წერაქვებით ნეკნებდაზარული,  
ჩემი სიჭაბუკის ჟამი სასურველი!..

რეკავს თუჯის ზარით  
ღამენათენები,  
კლდეზე დაკიდული ქალთა მონასტერი,  
კარი ვაზის ხისგან უცხოდ ნაკეთები,  
მწვანე ჭალებიდან სიო მონაბერი.

და მე მახსენდება სერი ნავარძეთის,  
ცაში ალანძული

ჩემი კაცის სვეტი.  
ჩვენი გრილი ეწო,  
ჭილის სავარძელი,  
ცოტა ცრემლები და  
სისხარული მეტი...

რეკავს თუჯის ზარით ჩემი სიყმაწვილე  
როგორც გაზაფხულის ფერთა განახლება  
ეყო სხვა მხარეში  
ჩემს სულს სიმარტვილე —  
ახლა ჭიათურაში მინდა დასახლება!

სად ხარ?  
დამანახე ქარში გაფანტული,  
სერებს შესეული წერილი ნათურები,  
მთები —  
გვირაბებით გულმკერდდაფატრული,  
ჩემი დროინდელი  
ხალხი ჭიათურელი...

### ოთხი ათასი წლის წინანდელი

ჭიათურა — ვეება ბაგირებით  
ცხრათავიანი დევივით გაკოჭილი,  
ფოლადის მდნობელი ხალიბების  
ქვაბები, კლდეებში გამოჭრილი.

ოთხი ათასი წლის წინანდელი  
ჩემი წინაპრის ნაფუძარი,

გაჩაღებული, როგორც კანდელი,  
შენი ღიმილით ცა საწუკვარი.

აქწინებული საბერველები,  
რკინის სადნობი ქურა,  
და ნიჩბისსელა ხელებით  
ყანა ნატორი მგლურად.

გული რკინაზე მაგარი,  
თვალი მახვილზე მჭრელი,  
დამკვიდრებული აქ არი  
ოთხი ათასი წელი!

ოთხი ათასი წელი  
ამ მთებს რომ ვეღარ ამოვბდნენ,

უმაღ გაჭედეს ბასრი სახნისი,  
მერე გაფერეს ავი მახვილი...  
ტყეში დასდევდნენ ნადირს ხალისით,  
ეჭვნებიანი თეთრი მარხილით.

უყვარდათ მსუყე მიწა მამულის,  
ღმერთმა უმრავლათ მადლი წვრილშვილის,  
მოყვრისთვის კარი ჰქონდათ განხმული,  
გულზე მზე ადგათ სხივებშიშლილი.

უყვარდათ შრომა,  
ლხინი,  
გართობა,  
ჭიათურის ჭალა,  
გრილი ზეგანი.  
ზამთარ და ზაფხულ წვაგდათ,  
ათბობდათ  
ადუღებული მზე დიდი რგანის.

შავ ქვას კბილებით ფშვნიდნენ,  
ნაყავდნენ,  
სატევარს სჭედდნენ  
ჰეფესტოს კვერით,  
სიბრძნეს სიმღერით ლექსად ართავდნენ,  
არას ამბობდნენ აროდეს კვეხნით.

ბრძოლაში ხმაღს და მახვილს ხარჯავდნენ,  
ბარსა და სახნისს სცვეთდნენ ყანაში,  
თუმც მათი ძვლები გაჰქრნენ,  
დანაცრდნენ,  
აქ მათ ნაფუძარს  
და კვალს  
რა წაშლის!

რაც აქ დასახლდა თურმე ზალიბი,  
დედავიწაზე სითბომ იმატა,  
ჭურებს დახურა მუხის ბადიმი,  
მტერს ჩაუსაფრდა გზებზე კვიმატად.

სერზე დაანთო ღამით არული,  
მიწაში რკინის ძებნა მადანი.

ღმერთი — ჰეფესტოს გრდემლი —  
ელოდა თავის პოეტს.

მოვედი, —  
როგორც სტრიქონებს,  
კლდეებს ვულეწავე ნეკნებს,  
და ჩემს ხალიბებს ვიგონებს,  
რკინას რომ კბილით კვეთდნენ...

### ს ა ლ ი ბ ე ზ ი

სულს სიყვარულის წვაგდა აღმური, —  
იყო ლხინის და ჭირის ამტანი.

მთებში ბჭემაგარ ცისეს აგებდა,  
ბარში ამრავლა ფესვი ვენახის,  
შორს მტრის ბუდეებს  
ლეწდა,  
ანგრევდა,  
განა მას ქვეყანად რამე ეძრახვის?!

ჭიათურას მეგრდი გადუსნა ფრთხილად,  
დალოცა მზე და  
ცა აქაური,  
მერე მიწას რომ აკოცა ფრთხილად,  
სოფელს დაარქვა ზალიბაური.

გაჩნდა დოვლათი,  
ზვაგი დალაგდა  
რკინის და ყვითელ ოქროს ზოდების.  
გარემე მტერი მოსრა,  
ალაგმა,  
ვენახით მორთო მწვანე კორდები.

გაჩნდა,  
დამშვენდა სოფელი ზოდი,  
თვალი დაადგა ზეცამ ღვთიური,  
კარავი დაწნა ბზის ნაკურთხ ტოტით,  
ღვინო დაწურა ტკბილი ქვიშხურის.

ღმერთმა დალოცოს მისი ზოფლები:  
მღვიმევიც,  
ზოდიც,  
ხალიბაურიც,  
უკედავი მუხის მწვანე ფოთლებში  
თეთრი ჩიტების აურზაურით...

ყოფდნენ ამაყ არწივთ მართვენი,  
ოფლში აწრთობდნენ რკინას ქართულად.  
მათი მადლი და  
დიდი საქმენი  
ვამაყება  
ახლაც ჭიათურას!

ჭიათურა —  
დამდნარი ფოლადით სავსე ჯამი, —  
ტორტმანებს,  
ჭეფესტომ შემოჰკრა ურო...  
კვამლი, მონაბერი ბიბლიური ჟამის,  
კლდეებზე გაფოთლილა, როგორც სურო!

ხვრიპავენ ყვირილას ხალიბები,  
ყაყაჩოსავით ანთია სამჭედური.  
დადიან სერებზე მძიმე ნაზიჯებით,  
მიწას წელში ზნიქავს დეკაცის ნაფესური.

ჩაიცვებს პერანგი ფოლადით დაწნული,  
ჭეფესტოს მუხის ქვეშ შესწირვს საკლავი,  
კოცონთან ფესშიშველა ცეკვავს  
ქალწული, —  
დიდი საქართველოს ამოდის ვარსკვლავი!

შორს გაიტოტა მუხა ტოტემი,  
აზიას ანციფრებს ხმალი ხალიბური,  
ერთ ციხედ შემტკიცდნენ ქართველთა  
ტომები,  
ფოლადით შეჭედეს კედლების ნაწიბური.

ჭალებში გამრავლდა ყანა და ბაბილო,  
ცინე-კოშკებით დაფარეს კორდები,  
ფაზისზე აშენებენ ახალ ბაბილონს,  
ჭეკატეს დაზრდილი კოლხები.

ლიხს იქით მშვენიდება იბერია,  
სჯერათ, თავს აიშვებს ამირანი,  
ვისი ცხელი სისხლიც ფოლადში ერია,  
რითაც შენდებოდა ძველი ვანი...

**შენი გრდემლის და უროს ძახილით...**

ვანის ქალაქში მამაცი ხალიბები  
სცემენ უროს და ირყევა სამყარო,  
მათი დაგეშილი ბადიშები,  
ჭიათურის მთებში თხრიან მალაროს...

მოაქვთ შავი ქვით სავსე გოდრები,  
დამდნარი ილეკრო თუბთუხებს ქურაში,  
თუ ლექსად ვერ დაწნა ფოლადის ზოდები,  
მის პოეტს შეურცხვა უღვაში...

მათ ნაწრთობ ფოლადზე გაცოფდა  
ფინიკია,  
მათ ნაჭედ ორლესულს ვერ სჭრიდა სხვა  
ხმალი,  
ჰოი, ღმერთო ჩემო,  
რა ჯადოს მიგვიგინა,  
აწ რაღას დაგვაკლებს ართვალღი.

შენ გახსოვს ურარტუ, ხეთა და მიდია,  
ქოხში რომ გენთო მთვარე სანთურად,

ბაუ, გრძელ გზაზე რა მრუმე ბინდია,  
მთებს შორის, ბურუსში, ვით ჰპოვე  
ჭიათურა?!

შენი ხმა ზარავდა გულგოროზ აზიას,  
და გიფარავდა სული — ტოტემი,  
იქნებ არ არის ეს ფანტაზია —  
ღმერთებს ტოლობდნენ ქართველთ  
ტომები!

კოლხეთში სახლი ედგა ჰეკატეს,  
პირზე ეფინა ნათელი მთვარის,  
ჩიტინი ფოთლებში მზის სხივს კენკავდნენ  
და ორფეოსის უკრავდა ქნარი.

მცხეთაში იდგა პირქუში არმაზი,  
მტერს შუა ჰკვეთდა თვალი მახვილი,  
და იღვიძებდა მსარე ლამაზი  
შენი გრდემლის და უროს ძახილით!

**შარსმანის კეზლი**

შენი გრდემლის და უროს მადლითა  
ძარღვებში ჩქეფდა სისხლი ალალი  
და ფოლადს გჭედდით დღითაც, ღამითაც,  
გამოვიარეთ შფოთი მრავალი...

არ გვაძინებდა ზარების რეკვა,  
იმ დროში მშვიდი ცხოვრება ჭირდა,  
მაგრამ ქართულ ხმალს არ ჰქონდა დრეკვა,  
მტრის მახვილს ჭყინტი ყველივით ჭირდა.



მტერს ლეწდა ჩვენნი გუნდა შავი ქვა,  
 მამულს იცავდნენ  
 და მზეს არ თმობდნენ,  
 ბევრი ქვეყანა ნისლში ჩაინთქა,  
 ისევ მწვანობდა ყვირილას კბოდე.

გაპქრა ასურთა ბევრი ქალაქი,  
 გაპქრა ურარტუ, მიდია, ხეთა,  
 მოისრა სპარსთა სპათა ბანაგი,  
 საქართველო კი კვლავ იდგა მხნელა.

მძღავერობდნენ ქართველ ხალხთა ტომები,  
 მჭრელი მახვილით მომხდურთა ზედა,

ჯვარი, შვეკრული ვაზის ტოტებით,  
 მკერდზე ესაბათ მამულის მზედა.

შვენოდათ ცხენზე ჯდომა და ფარი,  
 მათი მხნეობით გაოცდა რომი,  
 ბევრ ქალაქს რკინის ჩამოსხნეს კარი,  
 მათ ფერხთით ბევრი გართხმულა ლომი..

ჩვენს მიწა-წყალზე ავად რომ ჰყვოდნენ,  
 ბევრს თავს დავებურეთ ჩაფხუტი ეკლის.  
 თვით რომაელთა გმირ ფარსმან მეფეს  
 თავის ქალაქში დაუდგეს ძველი...

**ქვეყანა, რითაც სული მიდგია..**

შენი ფოლადის ფხით და მადლითა  
 ქვას ამოვკვეთე ანი და ბანი,  
 აზრი სიკეთის სულში განიფთდა,  
 განათდა ძველი ზოდი და რგანი.

განათლდა ქართლის ყველა სოფელი,  
 ფოლადით ქვაზე ვწერეთ ბიბლია,  
 სიტყვას თან ახლდა ცეცხლი ცხოველი,  
 რომელიც პირველ შენ მიგიგნია.

იმ ცეცხლით წერდა „ვეფხისტყაოსანს“  
 შოთა, თვითონვე ცეცხლის გამჩენი,  
 იმ ცეცხლის სითბოს ვგრძნობთა და  
 ღყნოსავთ  
 და ჩვენშიც შენი ხმაურობს გენი.

ხმაურობს შენი გვარ-ტომის სისხლი,  
 ამაყი სულის უტყეხი ნებით,  
 და ცხელ ფოლადში შერეულ მზის სხივს  
 მკერდზე იწურავს ჭიათურის მთები.

ხმაურობს თუჯი, ფოლადი, რკინა,  
 რომელიც პირველ შენ მიგიგნია,  
 და შენი ლურჯი თვალებით ბრწყინავს  
 ქვეყანა, რითაც სული მიდგია...

ქვეყანა, რითაც სული მიდგია,  
 ეს ჩემი გმირი საქართველთა,  
 დღეს თავი მისთვის მე დამიღვია, —  
 დასაბამიდან, ვიცი, მელოდია!..

**წახდა კოვტი**

გამოიძინა გლეხის ბიჭმა ყვითელ ჩალაში,  
 წამოდგა დილით,  
 მიწა თხარა  
 და იფათურა...  
 ხალხოს ცეცხლი გააჩაღა ღარიბ ფაცხაში  
 და ჭრაქის შუქზე  
 განდა თურმე დაბა ჭიათურა...

გახსნა გვირაბი, გამოზიდა გარეთ მადანი,  
 მალაროვში გადასახლდა კაცხი, ვაჭვევი...  
 შრომობდა ხალხი,  
 სიცხვის და სიცხის ამტანი,

და ჭიათურაში  
 უცხო მხარის განდნენ ვაჭრები...

ზიდავდნენ ცხენით, ურმით, გოდრებით,  
 დაჩაქჩაქებდნენ ვიწროებში ტვირთით  
 ვიდარ ძღვებოდნენ ხვეჭითა და მეტი  
 მოგებით  
 და კაცნი როგორ არ გადირივი? —

ჰყიდდნენ მარგანეცს,  
 თვითონ სულიც მიჰყიდეს ეშმაკს,

საქართველოსაც ჰყიდდნენ ჩუმად,  
სულ მუჭა-მუჭა...  
მიჰქონდა ჩვენი  
სისხლიც,  
ხორციც  
ბითუმად ვეშაპს,  
მშვიერი ბიჭი კი ისევ თხეპს  
მწყემსავდა ჯრუჭთან...  
ჰყიდდნენ მარგანეც უცხო ხალხში  
ნისიად,  
ნაღდად...  
და არ ნაღვლობდნენ,  
საქართველოს რა განძს ჰფანტავდნენ.  
მამაც ხალიბთა-საჭლავეებზე

ვაჭრობდნენ ლაღად!  
მათ ნაფუძარზე  
გრდემლის ნაცვლად  
სასწორს მართავდნენ.

\* \* \* \* \*  
ჩიზურას პირას ხალხის ბედზე სწუხდა  
პოეტი...

ჰყიდდნენ მარგანეცს,  
ხალხს კი მარტო ქვეშა რჩებოდა,  
და არ ჰკარგავდა მაინც იმედს  
ბრძენი პოეტი,  
სწამდა, ამ მთებში  
სხვა სიმდიდრე რამ განდებოდა...

### უკვდავი გენი

ოთხი ათასი წლის წინანდელი —  
ახლა სხვა არის სოფელი ზოდი,  
მისი ცა —  
თითქოს ოქროს კანდელი,  
აყვავებული ჭალა და კორდი...

ოთხი ათასი წლის წინანდელი  
ახლა სხვა არის ცა იქაური,  
ატმის რტო —  
თითქოს ცეცხლის ფანტელი,  
ვენახი ძველი ხალიბაურის...

სხვაა ჭიათურის  
და ჭიქაურის  
კლდეები უამით გამოგობილული,  
ჩემი წარმართი წინაპრის ძელები,  
გაცივებული და გაყინული.

მინდა მღვიმევის გამოქვაბულში  
ახლა ახალი ცეცხლი დავანთო,

წინაპრის ლანდი ჩავიკრა გულში  
და ჩემი ცხელი მკერდით გაფათბო.

რამეთუ მისი უკვდავი გენი  
ახლაც ჩემს სისხლში  
ჩქეფს და ხმაურობს,  
და ქვეყნად ცეცხლის პირველგამჩენი,  
ჩემს სულში გრძნეულ ენით საუბრობს.

მისი ნაჭედი ფოლადის ზუჩრით  
ქართველ კაცს  
ბრძოლით სად არ უვლია!  
მწამს,  
ძალა, რითაც წარღვნას გადგურჩით,  
მისი გენი და ცხელი გულია!...

ოთხი ათასი წლის წინანდელი —  
ახლა სხვა არის სოფელი ზოდი,  
მისი ცა —  
თითქოს ოქროს კანდელი,  
აყვავებული ჭალა და კორდი...



ჩემთვის მოწყენა დღეს გახდა უცხო! —  
ასე მგონია, ხელახლა ვიშვი! —  
სიკვდილს და კუბოს გაფიცვას ვუწყობ,  
ცრემლსა და ტირილს ვუცხადებ შიმშილს!

თხემით ტერფამდე, ტერფით თხემამდე  
ვეკუთვნი ხალხს და მის დღეს  
დღევანდელს!

„აღამიანი უნდა დაიხარჯოს!“  
უნდა იშრომოს და უნდა გაიხარჯოს,  
უნდა იბრძოლოს და უნდა გაიმარჯვოს,  
დამარცხებისათვის უნდა დაისაჯოს!

სიღურჯედ არის ასული ცაში,  
სიწითლედ არის ჩასული მზეში —  
გალაკტიონი — ღმერთი და კაცი —  
ქრისტე უკვდავი ქართული ლექსის!

ვნახე შენი საფლავი,  
უცებ ელდა მეცა:  
შენი გულამოჭრილი  
მწვანე კაბა ეცა!...

თმების თეთრი სიცივით, —  
უკვე შეურჩებელივ, —  
მითეთრდება სიცილიც,  
მითეთრდება ცრემლებიც!..

მასსოვს: ჭრაქად ენთო  
მთვარე სოფელს მძინარეს,  
სოფლის ბოლოს ეკდო  
ტბა — დამხრჩვალი მდინარე.

შეიდივე ფერი უმშვიდესად  
წვიმს ცისარტყელის!..  
გემუდარებით: გადაარქვით  
სიკვდილს სახელი!

გამონათვე, გამონათვე,  
სათქმელი ჩემი გააჩირაღდნე!  
არ მოგეშვები, სიტყვავე, მანამდე,  
არ გაფრქვევინებ სანამ სინათლეს!

ეჭვებს რომ შეგვიჭიდები,  
ამ იდუმალ ხმას ვისმენ: —  
ღმერთს რაღაცაში სჭირდები,  
არ გაგაჩენდა ისე!

სიკვდილამდე მოვასწრებ  
ლექსად ერთ აფეთქებას,  
მერე თავს არ შეგაწყვენთ, —  
საქმე ღმერთთან მექნება!

სისხლი ხორცის ცეცხლია,  
სული — ხორცის სანთელი!..  
ღმერთო, ცოტაც გეცლია, —  
კადვე მქონდა სათქმელი!





**შენად მივიღე...**

და ცისარტყელის ფერთა სისავსით  
დასხვიმფინარებს მზე მამულს ჩემსას.  
მზე — ნატვრაგრძნეულ ფიქრების ჩერო,  
მტკვრის ნატალღარზე მსხვრეულო  
ჩქერო, —

ადღეზვირთდები და მისმომ მზისკენ!  
...  
ფერფლად შეგვერთვი მე მამულს ჩემსას,  
ვისიხარულეზ, როს მსხვერპლად ვივლი,  
ოლონდაც მერქვას მამულიშვილი!

ღერწამვედრებად ამძაფრებული მთათა სილურჯე  
ლაჟვარდს ედრება.  
პორიზონტებზე მზე დაიფერავს მარჯნისფერ სხივებს  
და გათეთრდება.  
ზღვალურჯ სივრცეში მზე მზის ბილიკით  
ცადასალიერს შეუერთდება.  
უცეცხლისფერო მზედაკარგული ცა დაკენტდება,  
გაცისფერდება.  
მთათა ვედრება, ამძაფრებული, ზღვალურჯ სივრცეში  
კი არ ნელდება, —  
ლაჟვარდს ედრება  
და არ თეთრდება.

**მ ე ნ ა ტ რ ე ბ ა**

შენი წვეთი, სხივსათუთი, მენატრება,  
შენი სილვა, ანუ ფიქრი, მედარდება.  
დაღარული იმედებით გელის მუხა,  
შეიბრაღე! ტკივილებით ჩაიმუხლა.

გაუმჭვირვალ ჰაერს ნატვრა ეფარება  
და შენ იცდი — გადმოღაჰსო ნატვრა-ზღუდე.  
შენი სუნთქვა გულდანაკულუს მეპარება,  
როგორც ეღვა შიშნაკრავი ჩიტის ბუდე.

გაიგონე?! იასამანს გული სწყდება,  
და ტოტები უსასოდქმნილს ლამის სტყდება.  
ფერსავსეო! შენი სხივი ვითავისო!..  
არ მაქვს ნება? მაშინ ფიქრი შენი მანდე.  
დაგიფარავ, ვინაძლო, აღარ მისაკლისო.  
მე სულ მსურხარ. ერთხელ შენაც მომინატრე!  
სუნთქვაშეკრულ მოლოდინით ანავსები,  
მზევე, დაგიცდით, სულ დაგიცდით  
მე... და მთები.

რაა ჩვენს შორის

რაა ჩვენს შორის — გაყვითლებულ დღეთა ზღაპარი,  
რაა ჩვენს შორის — გახუნებულ ტყეთა ფაფარი  
და მოლოდინის საწვიმარი ღრუბლის ქულები,  
რაა ჩვენს შორის — გულგრილობის მკაცრი კედელი,  
რომელიც თვითონ ავაშენეთ და გამეტებით  
ვაწყდებით ახლა მაღალ კედელს დაბნეულები.

შენი მინდორი ისევ ჰყავის კედლის გადაღმა,  
ჩემი მინდორი გაითიბა, დაჭკნა, გადაზმა,  
ჭრელ კვადრატებად დაყოფილი ჩვენი მინდვრები,  
შემოსაზღვრული მოჩანს ჩემი სივრცე საფრენი,  
დაკეცილია უმოქმედოდ ფრთები-აფრები,  
მე მაგ კედელზე, ალბათ, ველარ გადმოფრინდები.

როგორ მინდოდა ვყოფილიყავ შენთან ბოლომდე,  
რომ არ შერთვოდა უსასრულო ღამის მოლოდინს  
სინათლის შუქზე გაწოლილი ჩვენი ჩრდილები,  
მაშინ ვიყავი გულუბრყვილო და უანგარო  
და სულ სხვა მხარეს ტრიალებდა თურმე სამყარო,  
ახლა სავსე ვარ მტკივნეული გამოცდილებით.

მშვიდობით, ძველ სიმღერებო და ლეგენდებო,  
მშვიდობით, რადგან დავიწყების მტვერი ედება  
ყველაფერს, რასაც ვესწრაფოდი ყმაწვილურ გზნებით,  
მე ვხედავ ქარში ხეთა კორომს სამოსელგახდილს,  
ჭალებში მეფე-შემოდგომას დაუდგამს ტახტი  
და ჩაჩუმქრულან მაღლა მთებში თოვლისგან გზები.

რაა ჩვენს შორის — გაყვითლებულ დღეთა ზღაპარი,  
რაა ჩვენს შორის — გახუნებულ ტყეთა ფაფარი  
და მოლოდინის საწვიმარი ღრუბლის ქულები,  
რაა ჩვენს შორის — გულგრილობის მკაცრი კედელი,  
რომელიც თვითონ ავაშენეთ და გამეტებით  
ვაწყდებით ახლა მაღალ კედელს დაბნეულები.

ასი ათასი ფერის ხავერდით  
თუმცა კვლავ ლექსის ღელავს სათიბი —  
ისეთი რა ვთქვა, რომ ალავერდის  
თეთრი ყელივით იყოს ნატფივი.

ისეთი რა ვთქვა, რომ მზედ აენთოს,  
მიხსალბუნოს გულზე ყოველთა  
და რაღაც მაინც ჰქონდეს საერთო  
გელათთან ანდა სვეტიცხოველთან.



განა დღეს ლექსით ვინც თავს იწონებს —  
ყველას პოეტის დაჰყვა გენები?  
წაიღეთ ჩემი ტკბილი სიცოცხლე  
სამშობლოსათვის, როცა გენებოთ!

წაიღეთ, ჩვენში რომ არასოდეს  
არ განმეორდეს მტრების თარეში,  
რომ ძველთაძველი ფიცი მახსოვდეს  
და მხნედ შევხედო შვილებს თვალებში.

ისინი მალე დაიზრდებიან  
და ცეცხლს თვალთაგან დააკვებსებენ,  
ისინი მალე დაიზრდებიან,  
გაიცინებენ ჩემს სუსტ ლექსებზე...

და იკითხავენ ჯერ მიამიტად  
საქმეებს ჩემსას გმირულს, საქველოს,

ისევ სექტემბრის  
წვიმით ვსველდები,  
უკან რჩებიან  
მწვანე მინდვრები,  
დიდი ხნის მერე  
გამახსენდები,  
გამახსენდები  
და მომინდები.

ო, დედამიწავ, —  
ბედმა ისურვა  
ქარი კვლავ წიწვდეს  
შენს აფრებს გაშლილს,

ეს თეთრი წიგნი  
მოგვიძღვნა ბელამ,  
შიგ ვითლინოს  
ოთხივე სიმზე  
რუსი პოეტი  
უკრავს და დელავს, —  
ჩემს სამშობლოზე  
ის ხედავს სიზმრებს.

რა აფუჭნე, რა შიფაშატე,  
რა გაფუკეთე დიდ საქართველოს.

თავებს ამაყად ზე აიღებენ  
და დროშებოვით მალლა ასწვევენ  
ქართულ ტაძრებს და ქართულ სიმღერებს,  
ქართულ წიგნებს და ქართულ წარწერებს;

რომ იღორძინოს ჩვენმა ჯილაგმა, —  
რომ ერი კვლავაც იყოს დღევრძელი,  
რისი სურვილიც ვერ აგვიღამებს,  
და რაც წარსულში ვეღარ შევძელით.

მერე, მერე კი თუ ამ მიწაზე  
დაიკარგება ერთი საფლავი, —  
არაფერია, სხვები იწამონ,  
მე დავრჩე მხოლოდ დაუდაფნავი.

მაგრამ ვერ გუბოვებ,  
ვეღარ აანთებს  
უღვთოდ ჩამქრალ ცეცხლს  
მზე გადახრილი  
და შეასკდება  
შიშველ ქარაფებს  
გააფთრებული  
ჩემი ძახილი.

საით მიცურავ,  
საით მიცურავ,  
საით მიცურავ  
ქამთასელის ზღვაში?!

წარწერა ბელა ახმადუღინას წიგნზე  
„სიზმრები საქართველოზე“

მეც წიგნს ხელთ ვიღებ  
სათუთად გაშლილს,  
რომ მის ლექსებზე  
ღამე ვათენო,  
ვინც ჩრდილოეთის  
ქათქათა ბაღში,  
თოვლზე ხის ტოტით  
წერს:  
„საქართველო!“

1

ახლა ქალაქში  
 შემოდგომის  
 მძაფრი წვიმაა  
 და მე ვაცვილებ  
 შენს თეთრ სომალდს  
 შორეთს მიმავალს.  
 ნაფსადგურიდან  
 ხელს გიქნევ და  
 მიცურავს გემი,  
 ზღვა არის ჩელო  
 გიგანტური,  
 ქარი კი — წვიმი  
 ის ახშიანებს,  
 ახშიანებს  
 ტალღების სიმებს  
 და გულში მინთებს  
 ისევე შენთან  
 შეხვედრის იმედს.

2

სადამოვდება.  
 ლაქვარდ ცისკენ  
 მიფრინავს ქორი  
 და უერთდება  
 სიფრცეს, როგორც  
 სიზმარი შორი.  
 და მეც მწყურია,  
 მეც მიზიდავს  
 ზუციის სიღურჯე,  
 ზუციის, რომლის ქვეშ  
 მშობლიური  
 მზით გავირუჯე.  
 მაგრამ არ მიშვებს,  
 სულზე ტკბილი  
 მიწა არსაით  
 და ებურება  
 მთებს ნელინელ  
 ბინდის ჩარსავი.

ვარსკვლავები ქალაქის თავზე

ქალაქის თავზე  
 ვარსკვლავები  
 კრთიან მოწყენით,  
 ოდესმე, ალბათ,  
 ჩვენც ოცნების  
 ზეცას მოვწყდებით  
 და გავუყვებით  
 სამუდამოდ  
 სიფრცეს ქარიანს,  
 საითაც წასვლა,  
 არასოდეს  
 არ უხარიათ.  
 და წაშლის ჟამი  
 ჩვენთვის ერთ დროს  
 ძვირფას თარიღებს  
 და ჩვენს ტკივილებს  
 ქურა-ქურა  
 ჩამოარიგებს.  
 ქალაქის თავზე  
 ვარსკვლავები

ირაკლი ბაზაძეს  
 კრთიან მოწყენით,  
 ჩვენ, საუკუნის  
 უმბობქრეს  
 დღეთა მომსწრენი,  
 გადავუქროლებთ  
 სიზმრად ხილულ  
 გრძედებს, განედებს,  
 ოდესმე, ალბათ,  
 სხვა ქარები  
 გაგვაქანებენ.  
 იქითკენ ისევ,  
 საიდანაც  
 ერთხელ მოვედით  
 და წილად გვერგო, წილად გვერგო  
 ხვედრი პოეტის.  
 ქალაქის თავზე  
 ვარსკვლავები  
 კრთიან მოწყენით.

ჩემი ცხოვრების  
 მოვარდნილ ქარებს,  
 ჩემს მოგონებებს  
 ტკბილსა და მწარეს,  
 ჩემი ფიქრების  
 ფიფქთა თოვებას,  
 ხიკეთეს, რწმენას  
 და სათნოებას,  
 რომელიც ჩემში  
 შენვე ჩასახე,  
 სიტყვებს გამხელილს,  
 თუ აწ გასამხელს, —  
 მე დაგიბრუნებ,  
 დრო მათ ვერ აზრობს,  
 ასე ხე ფოთლებს  
 უბრუნებს საყრდოლ

მიწას, რომელმაც  
 ის გამოგვება,  
 მიწა სხვა ხეს შობს  
 და არ მოკვდება  
 სიმწვანე ქვეყნად.  
 შენც გულის სითბოს  
 გადასცემ სხვას, ვით  
 ბუნება ითხოვს.  
 მერე სხვა ისევ  
 შენს გზას გააჟყვება,  
 რტო სიცოცხლისა  
 აღარ გახმება  
 და გაგრძელდება  
 კვლავ უსასრულოდ  
 მარადიული  
 ეს განახლება.

გ ა ზ ა ვ ს უ ლ ი ქ ს ა ნ ვ ა

ქარმა ღრუბლები  
 არივდარია,  
 აფეთქებულან  
 ისევ ატმები  
 და ელანდება  
 ციხეს ცარიელს,  
 ხმალი ვადაში  
 გადანამტვრევი.

შეგყურებ ამ მთებს,  
 და მიხარია,  
 რომ მხნედ ვართ!  
 ვცოცხლობთ!  
 და რომ არ ვკვდებით!  
 ქარმა ღრუბელი  
 არივდარია,  
 აფეთქებულან  
 ისევ ატმები.

ნ ი შ ა რ ა

ტალღები ნაპირს აწყდებიან —  
 თეთრი ცხენების ველური რეზა  
 მორბის მინდორზე.  
 ვწევარ საყვარელ თითებში გაცრილ  
 სილის ცხელ ბორცვზე  
 და აგვისტოს მზე შიშველ მხრებზე  
 ბრინჯაოს მადვრის.  
 ნელა ივსება ოქროსფერი  
 სიმშვიდით სული...  
 მორეული ცის ლურჯ შრეებში  
 შრიალებს ფიქრი...  
 მირაჟი ჩნდება ჰორიზონტზე.  
 უცხო საგნების კონტურები

მიბრუნებენ ხილულ სამყაროს.  
 წარმავალია წამი ყოველი,  
 მშვენიერი კი — ორჯერ სწრაფი  
 უფერულ წამზე...  
 ...დიდი ხნის მერე,  
 მოვა ზაფხული სულ სხვა ქალაქში  
 და თოვლი თეთრად გადაბენტავს  
 მოწყვნილ ქუჩებს.  
 მე კი მყუდრო და თბილ ოთახში  
 ყვითელ ნიჭარას მივაღებ  
 ყურს და...  
 ტალღები ნაპირს მოაწყდებიან, —  
 თეთრი ცხენები  
 მწვანე მინდორზე.

დიდი ხნის წინათ  
ჩვენთვისაც თოვდა  
და ცას ფიფქების  
ებურა რიდე,  
ის თოვლი თავის  
წილ სითბოს გეთხოვდა  
და, სამწუხაროდ,  
მიჰქონდა კიდეც.

გაღმთაბრუნება  
სიციფემ პარმალს  
და შეგვაჩვია  
დუმილს და ლოდინს,  
დრომ კი ისე, ვით  
მშვიერმა ხარმა  
გაღმთაბრუნება  
მინდორი ყრმთბის.

უკან ვებრუნებ  
ზღვას ოქროს თევზებს  
დაღლილი წლების  
გიჟური ქროლვით,  
რომ ერთხელ კიდეც  
შენს გაშლილ თმებზე  
კვლავ უდარდელად  
აბრწყინდეს თოვლი.

რომ ერთხელ კიდეც  
ნაძვების ზარებს  
იანვრის ქარი  
დარეკავს ოდეს, —  
კვლავ ერთად ვიდგეთ  
დილამდე გარეთ  
და უსასრულოდ  
თოვდეს და თოვდეს.



მიჭედებული ვარ თუმცა შენზე  
ჟერ სიყვარულის ძველ ლურსმნებზე,  
მაგრამ ამ ჯვარცმას —  
ტკივილგარეულ ნეტარებისას,  
დაუსრულებლად ვით გაუძლოს  
მოკვდავმა კაცმა.

თუმც ჩემი ლეჟსით ვერ გაგაოცე  
შენ, მოხიბლული უცხო ხმებით  
და უცხო ღირით,  
მანც ვერა და ვერ ვთმობ მშობლიურ  
ქარების სიცილს და წვიმების  
ხმამაღალ ტირილს.

და ვერძნობ, რომ კვარავ, გვარავ  
თანდათან  
და ყველა ფერი ქვეყანაზე  
ერთად ხუნდება,  
არ დაბრუნდება, ისე, ვით ტალღა, —  
ნაპირს რომ ტოვებს, მაგრამ კვლავ რომ  
უკან ბრუნდება.

მე კი ჯიუტად გავყვები ჩემს გზას  
თოვლიან მთაზე ამიყვანს თუ  
წამიყვანს ქვესკნელს.  
და ბედნიერი ვიქნები თუკი  
კვლავ მოგახედებ, მოგახედებ  
ოდესმე ჩემსკენ.





### ჩემი მტრები

(მეგრულ მოტივებზე)

ოუ, ნანა, მსურდა მტრები დამეჭირა,  
დავეძებდი დღით და ღამით,  
მასზე ფიქრით არ მეძინა,  
ოუ, ნანა, ნანაია.

მსურდა ჩემთან ყოფილიყო  
თოვლისფერი თეთრი მტრები,  
ო, შარავ და ო, ბილიკო,  
სად გაფრინდა ჩემი ბედი.

სად ვეძებო, სად გაფრინდა,  
საით უნდა დავუსტვინო,

მაშ სიცოცხლე რისთვის მანდა,  
თუ მის ღუღუნს არ ვუსმინო.

მას დავეძებ, რა ხანია,  
ვლოცულობ და სანთლებს ვუნთებ,  
სად ხარ ახლა, მახარია,  
როდის უნდა მომიბრუნდე.

ოუ, ნანა, ნანაია,  
ჩემს სატყევეს რა უშველის!  
დამაქვს გულით, რა ხანია,  
შენი ტრფობა წარუშლელი.

### უ რ ე უ ჯ ი

დარჩელიდან მოდის ჩელა,  
ბუსკაც მოდის დარჩელიდან,  
მათთან ერთად მეც, ჩერჩელა,  
სატანჯველად გაგჩენილვარ.

კენესის ჩემი სალამური,  
ჩაბერილი იძულებით,  
ერთ უღელში გადაბმულნი  
ორთქლის ზვითქში ვიწურებით.

ვართ ბატონის მარჩენალი,  
მისთვის დღეა, ჩვენთვის ბნელა

ჩვენ ვინ მოგცა არჩევანი,  
გასწი ბუსკა, მიდი, ჩელა!

ვსვათ მანძილი ყანწებივით,  
მზერა მიწას დავაშტეროთ,  
ჩვენი ოფლით დაწერილი  
სიმღერები ავატღეროთ.

დარჩელიდან მოდის ჩელა,  
ბუსკაც მოდის დარჩელიდან,  
მათთან ერთად მეც, ჩერჩელა,  
სატანჯველად გაგჩენილვარ.

### ტ რ ა ბ ა ს ა

ორსოკონი გადმოშობტა  
ქონგურის დღემართთან,  
მოვერცხლილი სატყევერი  
ზედ ჩემ თავთან აღმართა.

მაგრამ განა დამაბნევდა  
სიახმახე ურჩხულის,  
გაგაფუჭებ, ორსოკონო,  
ვუთხარ ყურში ჩურჩულით.

შენ კი არა, არამხუტი  
ვერ დამჩაგრავს ვაგლახად,

სატყევერი მომე, თორემ  
ჭინკასავით გაგლახავ!

ეს რომ ვუთხარ, ორსოკონი  
შეტორტმანდა შიშისგან,  
და ქამარზე დაკიდული  
ოქროს ქისა იშისგლა.

და ის ქისა არ გახსნილა  
აპა, ჩემო ბატონო,  
ვინც ბიჭია მოვიდეს და  
ძალით დაეპატრონოს!

## ვიშვილი

სარგეკლა არაკუნებს,  
ღამე არის უკუნი,  
ჭრაქი თვალებს აფახულებს,  
ღომში დნება სულგუნი.

ონისიმე ჰყვება ზღაპარს  
მეწისქვილე ბებერი,  
გაშლილი აქვს თმები მაფას,  
კივის მატარებელი

სალამურზე უკრავს ბიჭი,  
ბიჭი ოქროს ქოჩოტა,

ავსებულა თაფლით ფიჭა,  
წყაროს წრუპავს ბოჩოლა.

მოგორავენ ბაყბაყდევთა  
ხმლით წაჭრილი თავები,  
გამოიხსნეს დედისურთა  
ცირა შამათავების.

სარგეკლა არაკუნებს,  
ვიზმორები მეფურად,  
და მზეც თვალებს აფახულებს,  
აუ, გათენებულა!

## ოდიშური როვანსი

ნისლის ფარდა ჩამოეშვა  
ოდიშური ღამის,  
ფიქრი შენზე არ მომეშვა  
და ავტირდე ღამის.

მაფშალია ვარდა დაფქებს,  
ვაგვიკვირდა განა?  
საითა ხარ, თოლსინთელე,  
დილაგოი, ნანა.

დავიტანჯე შენზე ლოცვით,  
ახლაც ისე ვწვალობ,  
თავს მოვიკლავ შენი კოცნით,  
თვალგვიშერა ქალო!

დავდივარ და ჩემს სატკივარს  
ისევე ისე ვმალავ,  
საითა ხარ, გოლვაფირო?  
დილაგოი, ნანა.

## შეპოღოების შრაპენები

ქეროზე მაწევს ხარკი და ღალა  
და ყოველ დილას მოაქვს სიცილი,  
ბავშვივით ვუმწერ შურსა და ღალატს  
და სათნობებს ვედარ ვიცილებ.

ისევე ფიქრი და ისევე ლოდინი,  
ჩემია შენი დარდის აკრეფა,  
ფერბკრთალი ღამე ძველი მოტივით  
თმებჩამოშლილი სტირის სარკმელთან.

დაუხვევტია ნიავს ფოთლები  
აუწყვეტია ნავს მდინარიდან,  
შენ ჩემთან ეხლა ისევე მოხვედი,  
ბავშვობის ჩემის სიმწუსარიდან.

ფერად სიწმრებით ავსებულ კალათს  
კვლავ უბრუნდება უცხო მშვენება,  
უჯრიდან ვიდებ უთეთრეს ბარათს,  
და მე არ ვიცი, რა მემგვლება!





## თოფი ბაირაში

### ჩვენი კოვზის საღვებრქელი

ზორის ფოცხიშვილს

ამ მიწაზე ჯანის წამალს  
ექებ?

იშოვი.

თვით სამთარში თავთავს დაზრდი,  
სოსანს იშოვი.

მომდურებულს კაცსა ვისმეს  
ვერსად იშოვი.

შენ ჩემსავით გულალალო,  
ძმავო ქართველო!

ლალო,

სუფრახვაგიანო,

ძმავო ქართველო!

მე ვიგემე პურ-მარილი  
შენი, ალალი,

ვნახე შენი დედოფლისა  
სახე მწყაზარი,

და ხარის რქით მეგობრობის,  
ძმობის სადარი

ვსვით კახური,

სულმთლად ვცლიდით,

ძმავო ქართველო,

ცოტა ვიდევ „შეგჭიკჭიკდი“,

ძმავო ქართველო!

მამა-პაპათ ერთგულება

გულში გვინთია,

თქვენს რუსთავს რომ  
მხარს უმშვენებს, —  
სუმგაითია,

ვურღუნი და ლეონიძე —  
ძმობის ხილია,

მეგობრობის წმინდა გრძობას,  
ძმავო ქართველო,

იავენანის პანგი ლოცავს,  
ძმავო ქართველო!

თბილისია ჩვენი გული,

ბაქოც გულია,

სიყვარულით

ერთნაირად დაისრულია.

აზიზბეკოვს,

ჯაფარიძეს

ერთად უგლიათ,

მათ კურთხეულ გზა-კვალს მიყვებით,

ძმავო ქართველო,

მათ აზრებს და თამამ ფიქრებს,

ძმავო ქართველო!

შენ — ჩონგურით,

მე კი საზით

შეგძრათ ქვეყანა,

ძმობის სიტყვამ და სიმღერამ

ერთად შეგვყარა,

კავკასიონს ვიგულებდეთ  
ერთგულ ბექთარად,  
ჩვენ მომავლის გეწამს და გგჳერა,  
ძმავ ქართველო,  
ჩვენ ერთი გვაქვს  
აზრი,  
რწმენა,  
ძმავ ქართველო!

შენს დიდ ზეიმს მეც ვზეიმობ  
და ვარ მოვალე,  
შენი ერის დღე ნათელი  
აღმაფრთოვანებს,  
ტარიელის გული გიცემს  
მკერდში მითრთოლვარედ,

მე ბაბეკის სუნთქვა დამაქვს,  
ძმავ ქართველო,  
და ჩვენს გულებს ერთი ხმა აქვს,  
ძმავ ქართველო!

შენი დროშა ოქროსავით  
ბრწყინავს,  
ელვარებს,  
შენი ქვეყნის ზეიმიც,  
დღეა მღელვარე,  
შენი მიწა რუსთაველით  
ასცდა მწვერვალებს,  
ვეხუტები შენს ძველ ლოდებს,  
ძმავ ქართველო,  
მიხმე შენს ძმას,  
გჭირდეს ოდეს,  
ძმავ ქართველო!

## სკლილ რზა

### ქართული მიწა

აღლი მირცხულავას

საკუთარ თვალთ იხილთ უნდა  
და შეენივთო სულის ძაფებით,  
მის ყოველ ქვაში იგრძნობა მუდამ  
ქართული სული, სხვა არაფერი.

მის სიყვარულში მეც ვარ უცვლელი,  
იგია ჩემთვის სახლი კეთილი,  
მისი ცხოვრების ყოველ ფურცელში.  
სიმამაცა გამოკვეთილი.

ვხედავ, აყვავდა ირგვლივ შთა-ჭელი,  
ტყემ შემოიკრა მწვანე ქამარი,  
ქართული მიწის თითო მტკაველბრ  
მზის სხივებშია ნათამამარი.

აგერ, ბოლნისი,  
აგერ, სიონი, —  
ძველი ტაძრები,  
დგანან ზვიადად,

გზა ურთულესი,  
არა იოლი  
ტანზე აჩნიათ, როგორც იარა.

სულ ახლოს მოჩანს მცხეთის ტაძარი,  
მცხეთა — დიდება ძველი ქართლისა,  
თვალში უნთია,  
როგორც ზღაპარი  
დრო რუსთაველისა და  
თამარისა.

შენთან მოვედი.  
მიწავ, ქართულო,  
ფრთები გავშალე მე არწივივით,  
მხარვე, ამყად წელგამართულო,  
მოგშუშებია ძველი ტკივილი.

ყარადლიდან მოცისფრო ალად  
გზას წამოგყევი,  
აღმა ვიარე,





და ვეუბნები ჩემს გულწრფელ სალამს  
შენს მუხლჩაუხრელ ადამიანებს.

მე შენს სიყვარულს ვინახავ წმინდად,  
გულს გადაგიხსნი,  
თუკი შევძელი,  
მე ქართველივით მოგმართო მინდა,  
მშობელო მიწავ,  
იყავ დღევგრძელი!

აზერბაიჯანულიდან თარგმნა **ლელია პრაქია**

და ჩვენი გული გრძნობას რომ ამხელს,  
ძმობას ბოლომდე ძმურად გაიტანს,  
ქართულ ცაო, შენა ხარ სარკვე,  
შიგ ვხედავ მოძმე აზერბაიჯანს.

**ალიმ ქაშოკოვი**  
ყაზარღოელი პოეტი

# ს ა მ ი ლ ე ჭ ს ი

დ ა მ ჯ ა

თავდაპირველად გვარ-ნიშანს ჰქმნიდნენ,  
და რომ ეცოცხლა დიდხანს მათ გვარსა,  
მოედებოდნენ საჯოგე მინდვრებს,  
კარავს დასცემდნენ სადმე ძველ გზასთან.

ანდობდნენ... მართლაც დამღის  
მფლობეღენი  
იმოსებოდნენ დიდების შუქით;  
ჰქონდათ წუთები დამატორიზებული  
და არ იცოდნენ, რა იყო მწუხრი...

მერე ჯიშთან, უმუცლო ცხენებს  
გავარვარებულს დაჰკარავდნენ დამლას;  
არად აგდებდნენ ცხენთა ცხელ ცრემლებს,  
დააქროლებდნენ აღმა და დაღმა.

მათ სახელს მწუხრი არ ახლავს ახლაც,  
ეს პოეტებმა იციან უკეთ,  
რადგან პოეტის დაკრული დამლაც  
სახელს იმავე საკმეველს უკმევს...

დააქროლებდნენ... ბოლავარდნილებს  
ჟინს უღვიძებდნენ გულში ქარიშხლად, —  
და ცხენთა მოდგმის ონავარ გმირებს  
ანდობდნენ დოღში გვარს და გვარ-ნიშანს.

გწერ, ვითანგები გჭვების თოშით,  
ვაპთუ ბედს შებმა ვერ გაკუბედო;  
მარქვით, ჟამს როგორ გაჰყვებით დოღში,  
თქვენ, ჩემი დამღის ბელაურებო!..

ს ა ნ ჯ ა ლ ი

ორი პირი აქვს ყოველთვის ხანჯალს,  
ზურგმექცევულად უელავს ორივე;  
ერთს რომ გამჭოლი ხირცხვილი სტანჯავს,  
მეორეც მასვე განიცდის მგონი.

ამ ბასრი ხანჯლის გამომჭედს, იცით? —  
ბადებს მარტოდუნ მაღალი დმერთი!  
იღუმალების ხერხები მისი  
მცირედის გარდა არავის ეთქმის...

ორი პირი აქვს ყოველთვის ხანჯალს,  
ზურგმექცევულად უელავს ორივე;  
ერთს რომ ახარებს გმირული გარჯა,  
იმითა ხარობს მეორეც მგონი...

ასე ყოფილა დიდი ხნის წინათ,  
დღევანდელ დღესაც ასეა მგონი;  
მის დიდ ნახელავს, ნახელავს წმინდას,  
სული როდი აქვს მოღლილი მონის...



ორსახოვანი მახვილი იგი  
შეკრულა ერთი მაგარი ფიცით, —  
და ღირსეული დღის თადარიგიც  
მან ერთნაირი წადილით იცის...

ბრწყინავს ორპირი ფოლადი ბასტი,  
და წვერში ერთ მწველ სხივად ინთება.  
ო, როგორ მინდა მეც მისი მსგავსი  
სიტყვა, ლექსი და ჭეშმარიტება!..

**შვიდფეროვნება**

მრგვალია, მრგვალი პლანეტა ჩვენი...  
არც დასაწყისი... არც დასასრული...  
მაგრამ მას მაინც სიმაღლე შეენის  
ოქროს ზოლებით გადათასმული.

თვით დედამიწის დასაბამიდან  
შვიდივე ფერი მას აბარია...

ბედნიერება მქონია ბევრჯერ —  
მჭეროდა ხელში მე ცისარტყელაც;  
მისი ფერები მფრქვევოდა მხრებზე,  
მეგეშნა ფიქრი მერცხლის ბარტყებად...

მიდიან ასე საუკუნენი,  
არ ხუნდებიან ფერები მისი;  
მისგან ოდესმე განუკურნელი  
არ დარჩენილა ძეკაცის ჯიში...

ვით ფარშავანგის მოქნილი ბოლო,  
მიზილავს ამ დროს გუმბათიც ცისა, —  
და იმ წუთებში მხოლოდ და მხოლოდ  
მეც დალოცვილი ვყოფილვარ ღვთისგან.

ალბათ განგებაც გადაირევა,  
რომ ერთი ფერიც მოაკლდეს შვიდფერს!  
მეშვიდე ცა ხომ მთლად დაინგრევა,  
ჩვენც დასამხოზი გავხდებით პირქვე.

დალოცვილია ცის ეს თაღედიც —  
მზისა და წვიმის ხელით ნაკები...

ჩიტია ჩიტია, ისიც მას ეტრფის,  
ჩვენს შორი ისე გასძლოს რომელმა?!  
ფერები ფერებს, ო, რა რიგ ერთვის,  
დიდება ციურ შვიდფეროვნებას!..

თარგმნა **ზალვა ამისულაშვილი**



# ინტერვიუ

სკკ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებასა და პლენუმის დადგენილებებში მოცემული ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების მკაფიო, კონკრეტული და მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა. ამ ისტორიული პლენუმის გადაწყვეტილებებში მოცემულია ჩვენი პარტიის აგრარული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე.

ჩვენს სახელმწიფო გერბზე ხორბლის ოქროს თავთავებია. ეს სრულიადაც არ არის შემთხვევითი — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ივლისის პლენუმზე — ჩვენი პური გლეხის, მეშის და ინტელიგენციის გაერთიანებული შრომის ნაყოფია. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა მთელი ქვეყნის ყოველმხრივი ეკონომიკური პროგრესის განუყოფელი ნაწილია“.

ივლისში ჩატარდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმი, რომელიც მიეძღვნა სკკ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგებს და რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის ამოცანებს, რომლებიც გამოქმდინარეობს სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“.

გათავაზობთ ჩვენი კორესპონდენტის, საქართველოს ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატ თენგიზ ურუშაძის ინტერვიუს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრთან ამხანაგ ნოდარ ჭითანავასთან.

## ახალი აღმაშენების გზით

— პატივცემულო ნოდარ! რა მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში უკანასკნელი წლების მანძილზე?

— კომუნისტური პარტია აგრარულ პოლიტიკაში გამოდის იქიდან, რომ საყოლმეურნეო და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ერთი მხრივ, უნდა დააკმაყოფილოს ქვეყნის მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება კვების პროდუქტებზე, ხოლო მრეწველობისა—

ნელდელეულზე, მეორე მხრივ, უზრუნველყოს საბჭოთა სოფლის თანდათანობით გადასვლა კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე.

ამ პოლიტიკის გამარჯვება სოფლად თანამედროვე პირობებში შეუძლებელია წარმოების კომპლექსური მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის, ენერგოაქტუივილობის, წარმოების ავტომატიზაციის გადიდების, ქიმიზაციის, მცენარეთა ქიმიური დაცვის, მეღორაობის



ვაჯართობის, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოკვლევების დანერგვის, წარმოების მართვის სრულყოფის, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის, სოფლად სოციალური ხასიათის დონის-ძიებებს გატარების გარეშე. ამ გრანდიოზული პროგრამის უზრუნველყოფა შესაძლებელია დიდი კაპიტალური დახანდეების საშუალებით.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ტემპი გამოხატულია ასეთი ციფრებით: მე-8 ხუთწლეულს კაპიტალდაბანდებათა საშუალო-წლიური მოცულობა 6-ჯერ მეტი იყო, ვიდრე 1965 წლამდე საბჭოთა საქართველოს მთელ ისტორიაში. მე-9 ხუთწლეულში ეს მოცულობა გაიზარდა თითქმის 2,3-ჯერ, ხოლო მეათე ხუთწლეულში იზარდება 3-ჯერ და მეტად. ამავე პერიოდში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ენერგეტიკული სიმძლავრენი გაიზარდა 88 პროცენტით, ხოლო შრომის ენერგოაღებურეობა — 1,6-ჯერ.

არც თუ ისე დიდი ხანა, რაც სიმცირის გამო რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეტად ცოტა რაოდენობით ვუყოფდით ან საერთოდ ვერ ვაწვდიდით მინერალურ სასუქებს. დღეს არ არის რესპუბლიკის არც ერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სადაც ქიმიკაცია ფართოდ არ იყოს დანერგვილი. 1965 წლიდან დღემდე მინერალური სასუქების მიწოდება საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის მანათასი ტონიდან 88მ ათას ტონამდე გაიზარდა. უკვეწლიურად მატულობდა და მატულობს კაპიტალური დახანდეების მიწების მელორაციაში. გასულ წლებში ინტენსიურად ვაწარმოებდით აღმოსავლეთ საქართველოს მიწების რწყას, ბიცობი და მლაშე ნიადაგების გაუფლტურებას, დასავლეთ საქართველოში კოლხეთის დაბლობის დაქობებულ მიწების ამოშრობას. ამ დიდ შრომას უკავალიდ როდღე ჩაუვლია. იგი დიდ შედეგებს ახლო მომავალში მოიტანს.

უკანასკნელი წლების დამახასიათებელი ტენდენცია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვნად ზრდა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდება.

ავიღო ჩვენი რესპუბლიკისათვის ისეთი დი-მნიშვნელოვანი დარგი, როგორცია ჩაის კულტურა. ტემპები, რომლითაც სასიათდება ამ დარგის განვითარება, მნიშვნელოვნად სპარობის სხვა დარგების ტემპს. 1978 წელს რესპუბლიკის მეჩაიებმა მეტად მაღალ მიჯნას მი-აღწიეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 430 ათასი ტონა ხარისოვანი ჩაის ფოთლი. საშუალო სპექტაროს მოსავლიანობამ 76,1 ცენტნერს მი-აღწია, ეს სარეკორდო მაჩვენებელია. 1978 წელს 1973 წელთან შედარებით ჩაის წარმოე-ბა გაიზარდა 140,7 ათასი ტონით, ანუ 148,6

პროცენტით. ასეთი ტემპი დარგის განვითარე-ბაში სხვა დროს არ გვექნია.

მეჩაიეობის მნიშვნელოვანი ადგილი უკავა რესპუბლიკის ეკონომიკაში, იგი იძლევა კულ-მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საერთო პროდუქციის 37,2 პროცენტს, რაც 20 პროცენტით აღემატება 1965 წლის დონეს. საფულისმთა, რომ 1978 წელს მეჩაიეობიდან მიღებულ იქნა 77,2 მილიონი მანეთის მოგება, 1977 წელს კი 128,5 მილიონი მანეთი. გასულ წელს თვითეული ჰექტარი ჩაის პლანტაციიდან მიღებულია 2.400 მანეთი მოგება მაშინ, როცა იგი 1965 წელს 865, ხოლო 1978 წელს 1476 მანეთს შეადგენდა. დღეს საქართველო იძლევა ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ჩაის 95 პრო-ცენტს.

მეჩაიეობაში უკანასკნელ წლებში გამოიკვე-თა მექანიზაციის დონის ამაღლების ტენდენცია. ჩაის საკრეფი მანქანებით „საქართველო“ და „ჩა-900“ გასულ წელს მოკრივა 37000 ტონა ფოთლი. 1974 წლიდან საქართველოში ინერ-გება ჩაის საკრეფი აპარატი, რომელიც შემო-ტანილ იქნა იაპონიიდან. მისი მწარმოებლურო-ბა 7,5 ტონას შეადგენს და ცვლის 3,5-4 მეჩაი-ეს. სულ მიმდინარე წელს მექანიზებული წვნი მოკრივა 66.900 ტონა ფოთლი, ანუ მოკრე-ფილის 15,5% - ამ ტონის ჩაის აპარატების წარ-მოებას საფუძველი ჩაეყარა საქართველოში. სპეციალიზებული ქარხანა 1979-1980 წლებში გამოუშვებს 18 ათას აპარატს.

ცნობილია, რომ რესპუბლიკა ციტრუსების ძირითადი მწარმოებელია. მისი ზვედრითი წონა ქვეყნის საერთო მოსავალში დაახლოებით 99 პროცენტს შეადგენს. გასულ წელს ჩვენ მივაღწიეთ 1980 წლისათვის დასახულ მიჯნას და მოვიწიეთ სარეკორდო მოსავალი — 200 ათასზე მეტი ტონა ციტრუსი. მოკრივა და სა-ხელმწიფოს ჩაბარდა 11 მილიონ 297 ათასი ცალი ლიმონი. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქ-ტია, რადგან ამ კულტურების წარმოება სა-ხელმწიფო სექტორში წლების განმავლობაში უწყურადღებოდ იყო მიტოვებული. სამწუხა-როდ, გვეწადა პერიოდში, როცა სპეუულან-ტებმა და მომხვეჭელებმა არა მარტო ჩვენს ციტრუსებს გაუტებეს სახელი, არამედ პატი-ოსან მშრომელ ქართველ ვლესხაცაც, რო-მელიც უკვედთვის ერთგულად შრომობდა. მითხველებმა იცან, თუ რაოდენ დიდი პო-ლიტიკური, ორგანიზაციული და სამეურნეო ხასიათის დონისძიებანი ხორციელდება ამ სა-ქმეში სრული წესრიგის დასამყარებლად. ასეთ მოსაცემებს დავასახელებ: 1972 წელს მეციტ-რუსეობის რაიონებში კერძო სექტორში სულ დაწადა 29,3 ათასი ტონა ციტრუსი, 1977 წელს დაწადა უკვე 176,3 ათას ტონას მი-აღწია და მომხმარებელმა პროდუქციის ეს რა-



ოდენობა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ხაზით მიიღო.

ქართველმა კაცმა ჭერ კიდევ უხსოვარ დროში ვაჭო კულტად აქცია. მცენარის ამგვარ დაფარებას იშვიათად იცნობს მოსოფლიო ხალხების ისტორია. საუკუნეთა მიღმა ნამდერი „შენ ხარ ვენახი“ დღესაც გვიხილავს ღრმა შინაარსობრივი დატვირთვით და მუსიკალური სიმდიდრით.

ჩვენი ხალხი მევენახეობას უხსოვარი დროიდან მისდევდა, მაგრამ ამ დარგმა მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში პაოვა სამრეწველო განვითარება. ს.დ.დვისოდ კახეთში, იმერეთსა და ქართლში გვაქვს მევენახეობის მსხვილი მეურნეობები, სადაც მოჰყავთ ისეთი ენდემური ჯიშები, როგორცაა რქაწითელი, კახური მწვანე, ცოლდოკორი, ციცქა, ჩხავერი, საფერავი, კრახუნა, ალექსანდროული, ხიხვი, ოჯალეში და სხვ. ვენახს დღეს 92,4 ათასი ჰექტარი უკავია. ბოლო წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა მოვლა-დაუშვავების აგროტექნიკური ღონისძიებების უკეთესად მოწყობისათვის, რამაც უკეთესად ააშაფადა ყურძნის მოსავლიანობა. მუხე მოსავლიანობა მიღებული მიმდინარე წელს. ყურძნის დამზადებამ 570 ათას ტონას გადააჭარბა. საქართველოს მიწათმოქმედების ისტორიაში ასეთი მაღალი მიჯნა პირველად არის აღებული.

მევენახეობაში დიდ წარმატებად ვაჭის სარგავი მასალის წარმოების გადიდება მიგვაჩინა. სამწუხაროდ, მევენახეობის რესპუბლიკას ვაჭის ნერგი გარედან შემოჰქონდა, დიდი იყო მერხერიანობა. უკანასკნელ წლებში საბოთრების მიწებმოლობით, სადღევ პლანსაციების გადიდება, წარმოების ორგანიზაციის მოკვარებით მიღწეულია დიდი გარდატეხა ნერვის წარმოებაში. გასულ წელს დამზადდა 37 მილიონი ცალი ნერვი, რაც 21 მლნ. ალმატება 1972 წლის დონის. შეიქმნა იმის საშუალება, რომ დიდ ფართობებზე გავაშენოთ ვენახი. უკანასკნელ წლებში ზვრებს 9-9,5 ათასს ვაშენებთ, მაშინ, როცა 1970-71-72 წლებში საშუალოდ 8611 მა შენდებოდა. დღეს სარგავი მასალის წარმოების ამოცანა მთლიანად გადაწყვეტილია. აშამად დიდი მუშაობა წარმოებს ჯიშობრივი სიწმინდის შენარჩუნებისათვის. ეს ჩვენთვის №1 ამოცანაა. საქართველოში ხომ 520-ზე მეტი სხვადასხვა სახის ვაჭის ჯიშია გავრცელებული.

აშამად რესპუბლიკაში გავაჩინა ნაყოფის მოცემები 94 ათასი ჰექტარი ხეხილის ხაღებში, სადაცაც ვასულ, 1977 წელს დამზადდა 314 ათასი ტონა ყველა სახის ხილი. მიუხედავად ამისა, ჭერ კიდევ ვერ ვიყენებთ ხილის მოსავლიანობის ზრდის რეზერვებს, ბევრი ძვირფასი ჯიში დაუმსახურებლად არის დავიწყებული. მესხილდობის განვითარების დღევანდელი ეტაპის თავისებურება ის არის, რომ რესპუბ-

ლიკაში მასობრივად დავიწყეთ სამრეწველო ხაღების (კომპლექსების) გაშენება. შეიქმნა გაშენების ტექნოლოგია. კომპლექსურად წყდება ტექნოლოგიის, აგროტექნიკის, სამრეწველო გადაამუშავების, შენახვის საკითხები.

ამ უკანასკნელ წლებში საქართველოს კ კენტრალურმა კომიტეტმა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღება მკვეთრად შეოპობრუნა მარცვლეულის მეურნეობისაკენ, რამაც დადებითი შედეგები მოგვცა. მნიშვნელოვნად იმატა ხორბლის საქმეტარო მოსავლიანობამ, თუ 1972 წელს თვითეული ჰექტარიდან მივიღეთ 16,8 ცენტნერი, 1978 წელს მიღებული იქნა 22,6 ცენტნერი. გადაჭარბებით შესრულდა გასულ წელს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა. 185 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიყვდა 155 ათას ტონა.

უკანასკნელი წლების პრაქტიკამ მთლიანად დავარწმუნა იმაში, რომ რესპუბლიკაში გვაქვს მარცვლეულისა და საყვები კულტურების გადილების მნიშვნელოვანი რეზერვები.

საქართველოში რომ სუფრა არ გაიშლება მწვანეობის ვარშე, ჩვენი ხალხისათვის საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. თუ ალექსანდრე დიუმასათვის, რომელმაც თავისი შობაბედილები საქართველოში მოგზაურობის შესახებ დამოსცა წიგნში „კავკასია“, ჩვენდერი წიშმატი, ტარსაყა, ქონდარი, რემალი, ქინძი, კამა ბალახი იყო, ჩვენთვის ეს ვიტამინებით სავსე პროდუქტებია, რომელთა მოვლა-მოყვანას ამ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მწვანეობის წარმოება დიდხანს ვერ გასცდა სუკარმიდამო მეურნეობას. შეიქმნა შეუწყურბედი მდგომარეობა კარტოფილის, ხახვის, პამიდორის, კიტრის, ბადრიჯანის, ნიორის და სხვა ბოსტნეული კულტურების დაბალი მოსავლის გამო, მათ, დიდი მოთხოვნილების მიუხედავად, მეტად მცირე რაოდენობით აწარმოებდნენ საზოგადოებრივი მეურნეობები.

ბოსტნეულის წარმოებაში გარდატეხა მოხდა 1978 წლის შემდეგ, როცა საქართველოს კომპარტიის ენტრალურმა კომიტეტმა პრინციპულად დააუენა საკითხი ბოსტნეულის წარმოების მკვეთრი გადილების შესახებ. ნათეს-სარგავი ფართობების მკვეთრად გადიდება და მოსავლიანობის ზრდამ სახელმწიფო ვაჭრობა ხილ-ბოსტნეულსა და კარტოფილზე მოსახლეობის მომარაგების ძირითად წყაროდ აქცია. სახელმწიფო სექტორში ბოსტნეულით ვაჭრობის ზედერთი წილი 61,8 პროცენტამდე გაზარდა. 1977 წელს 1972 წელთან შედარებით ბოსტნეულის დამზადება 84 პროცენტით გადიდა, ხილია — 59 პროცენტით, კარტოფი-

**ახალი აღმავლობის ვაჭი  
ინტერესი**





ლიხა — ერთიორად. შარშან რესპუბლიკაში გეგმიით ვათავალისწინებულთ 270 ათასი ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიყვება 285 ათას ტონამდე ბოსტნეული, რაც 100 ათასი ტონით ჭარბობს მეცხრე ხუთწლედის საშუალო წლიურ მაჩვენებელს. დიდი გარდატეხა მოხდა მეკარტოფილეობაში. საადრეო კარტოფილი 1978 წელს დაწვდა 14 ათასი ტონა, 1978 წელს კი 78 ათასი ტონა. მარტო მიმდინარე წელს კ. მოსკოვსა და ლენინგრადს მივაწოდეთ 48 ათასი ტონა კარტოფილი. გაუმჯობესდა ბოსტნეულითა და კარტოფილით ვაჭრობის ორგანიზაცია, ზამთრის მარაგის შენახვის საქმე. დღეს ყველა სახის ბოსტნეულიც, მწვანილზე, ხაჭურთვედ ხილზე რესპუბლიკა ხაყუთარი წარმოებით აკმაყოფილებს მოსახლეობას.

ალბათ საინტერესო იქნება ცნობა იმის შესახებ, რომ შაქრის ჭარხალს, რომელიც სულ 8.500 ჰექტარზე ითესება, მოსავლიანობით ერთობ პირველი ადგილი უკავია ჩვენს ქვეყანაში, ხოლო მწესუმწივრის მოსავლიანობა უთანაბრდება საშუალო საკვშირო მაჩვენებლებს. „საქართველოს შეუძლია გახდეს, უნდა გახდეს და კიდევაც გახდება მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა“, — ეს ამოცანა დგას რესპუბლიკის წინაშე 1975 წლიდან, როცა მეცხოველეობის დარგში არსებული მდგომარეობასა და პერსპექტივებს მივძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმი. უკანასკნელ წლებში აშენდა საკომპლექსური ნაბიჯების და სახელმწიფო სახუქებელი პუნქტები, მოედნები და მთელი კომპლექსები, საშუალო ჩასაბარებელი წონა 22 კილოგრამით გაიზარდა, ხოლო ერთი ძროხის საშუალო წველალობა კომპლექსურებასა და საბჭოთა მეურნეობებში — 594 კილოგრამით.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო მეურნეობებში ხორცის წარმოების 1977 წლის გეგმა შესრულდა 108 პროცენტით, რაც წინა წელს წარმოებულ ხორცის 4,5 ათასი ტონით აღემატება. რძის წარმოების გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით, ანუ წინა წელთან შედარებით მიღებულია 21,5 ათასი ტონით მეტი.

ასევე წინა წელთან შედარებით 19,3 მილიონი ცალი მეტი კვერცხია წარმოებული.

აღმავლობის გზით მიდის მეფრინველეობა. გაიზარდა მისი მასშტაბები. ტექნოლოგია სამრეწველო საფუძველზე გადადის. მოხდა შიდადარგობრივი სპეციალიზაცია. მაგალითად, შექმნილია მეხორცეული მიმართულების ორი ფაბრიკა, რომლებიც წელს 6 ათასამდე ტონა ფრინველის ხორცს ჩააბარებენ. მიმდინარე ხუთწლედში დაიწყება 8 მილიონ ბროილერზე მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობა კასპსა და ოჩამჩირეში, 8 მლნ-ზე ასაღვიძებში,

შეუდგინდა და შეათურა შინაგანი მეცხოველეობის მექანიზაციური, ასევე მეხორცეული მიმართულების რეპარატორები.

1975 წლის შემდეგ დიდი ნაბიჯი გადაიდგა საკვები ბაზის განმტკიცებისათვის. მეცხოველეობის კომპლექსები და მსხვილი ფერმები საკვები ბაზით უზრუნველყოფილი არიან. დიდი ღონისძიებები განხორციელდა საკვები კულტურების ნათესავთა გაფართოებისა და წარმოების გადიდებისათვის. ფართოდ დაიწარმა საკვები კულტურების ორი მოსავლის მიღების პრაქტიკა. სიმინდის მოსავლის აღების შემდეგ დასავლეთ საქართველოს რაიონებში თესვენ შერაას, როგორც შუადღურ კულტურას. ადრე გაზაფხულზე მწვანე მისის აღების შემდეგ მთავრად ფართობზე ხვდა კულტურები ითესება. ამ პრაქტიკამ დიდად შეუწყო ხელი მოსავლიანობის გადიდებას. ამ გზით უკანასკნელ წლებში ხენაჟის დამზადება თითქმის მ-ჭერ გადაიდგა. ამჟამად ფართო მასშტაბით დაიწყო სათიბ-სამოვრების ათვისების ღონისძიებთა განხორციელება.

საქართველოს მთის ზონაში ადგილობრივი ჭიშის პირუტყვის პროდუქტიულობა დაბალია. მაღალინტენსიური ჭიშები კი, რომლებიც შეეგუბოდა ადგილობრივ პირობებს. ჭერ კიდევ არ გვყავს. სანაშენო საქმის გაუმჯობესების მიზნით მეტისი, დუშეთის, თანეთის, ჭავჭავის რაიონებში შეყვანილ იქნა პოლივეის ჭიშის ბულაშჩარეობები. მათი ადგილობრივი ჭიშის პირუტყვთან შეჭარბებით მიღებული ხორცი ინტენსიური ჭიშის თვისებებს ახლავდნენ. ეს იმდენსომცემი ღონისძიებებია.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის ტემპები და წარმატებანი, უპირველეს ყოვლისა, მიღწეულია მანქანური წარმოების ხვედრითა წილის გადიდებით, მეცნიერების მიღწევებითა და მოწინავე გამოცდილების დაწერვით და იმ ორგანიზაციულ-პროგრესული ღონისძიებების ეფექტური გატარებით, რაშიც გადაწყვეტ როლს ასრულებენ კადრები. კარჩაკეტილი სოფლის მეურნეობის შემყურე დიდი ილია ჭავჭავაძე საქართველო-სათვის ოცნებოდა 30 აგრონომს, რომლებსაც შეეძლოთ ქართული სოფელი ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოეყვანათ. დღეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 34 ათასზე მეტი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტი.

სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დღის წესრიგში დგება მისი თვისობრივი გარდაქმნის აუცილებლობა. ამ მხრივ რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდა და ვითარდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე. მწყობრში შევიდა მეცხოველეობის (თელეთი, გარეჯი, გა-



გრა, წნობი, გიორგიწმინდა და სხვ.), მსხვილი კომპლექსები, მეტორინფელოზის (კრდის, გამარჯვების, ცხაკაიას, ცხინვალის და სხვ.) ფაბრიკები, აგრეთვე მეხილეობის კომპლექსები.

კარგი საქმე გაკეთდა რესპუბლიკაში აგრაულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანების შექმნით, რომლის ხელშია ძირითადად ბოსტნეულის წარმოება, ვაკრობა, გადამამუშავება. შესამჩნევად გაუმჯობესდა ქალაქების თბილისისა და რუსთავის, აგრეთვე საკურორტო ქალაქების ბოსტნეულით მომარაგება-გაერთიანებაში წარმოების კონცენტრაციისა და სანეციალოზაციის განხორციელების შედეგად.

ხასლდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ორგანიზაციაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 თებერვლის დადგენილებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო სავაჭროებს გადაეცათ მოსახლეობის საკარმიდამო მეურნეობებიდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაგორც შესყიდვის, ისე სასოფლოებრივი მეურნეობების მიერ წარმოებული პროდუქციის მომხმარებლისათვის უშუალო მიწოდების ფუნქციები. ეს ექსპერიმენტი პირველად საბჭოთა კავშირში ჩვენს რესპუბლიკაში ხორციელდება.

სასოფლოებრივი მეურნეობებისათვის დამზადების ფუნქციების გადაცემით შეიცვალა დამზადების ორგანიზებული ფორმა. მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, დამზადება, მათი მომხმარებელამდე მიტანა ამჟამად ერთ ხელშია თავმოყრილი.

დამზადების ეს წესი სასოფლოებრივ მეურნეობებს დიდ შესაძლებლობებს უქმნის მიწის სავარგულების (როგორც სასოფლოებრივი, ისე საკარმიდამო) რაციონალურად გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სწორად გაადგილების, შრომის რესურსების ეფექტურად გამოყენების, მოსახლეობისა და მრეწველობის მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების საქმეში.

დამზადების ფუნქციების სასოფლოებრივ მეურნეობებზე გადაცემა ახლებურად მიათხოვა მთელი რაგი ორგანიზაციული და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტა. საქირო გახდა დამზადების დარგი სასოფლოებრივი მეურნეობების კოოპერაციის მორგებული ფორმის გამოჩენვა. ამ მიზნით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების წილობრივი მონაწილეობით შეიქმნა რაიონული გაერთიანებანი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის რესპუბლიკური გაერთიანება „სასოფლოდამზადება“.

დამზადების ახალი სისტემით მუშაობის დროს 1977 წელს დამზადდა ერთ მილიონ ტონაზე მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია (გეგმის 114,8 პროცენტი). რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა — 5,2 მილიონი და საბჭოთა მეურნეობებმა — 2,8 მილიონი მანეთი მოგება მიიღეს. ეს განსაკუთრებით აღსანიშნავია, რადგან დამზადების ფუნქციების შესრულება ხელს უწყობს სასოფლოებრივი მეურნეობების განმტკიცებას.

დამზადების რაიონულმა გაერთიანებებმა 1977 წელს 11 მილიონი მანეთი მოგება მიიღეს. აქედან მეზობი მეურნეობების გაუნაწილად 7 მილიონ 341 ათასი მანეთი. დადგენილი წესით დამამზადებელი ორგანიზაციები დამამზადებულ პროდუქციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის არიცხავენ 3-პროცენტთან ანარიცხებს. ამჟამად ხდება მისი ცენტრალიზაცია დამამზადების რაიონულ გაერთიანებებში და მილიანად მოხმარდება დამამზადების სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას.

დიდი ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობის მართვის ორგანიზაციაში. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გატარდა ორგანიზაციული დონისებნად მართვის რაიონული რგოლის განმტკიცებისათვის. საბჭოთა მეურნეობების დიდი ნაწილი (გარდა მეტესლეობის, სანაწენო და სარგავი მხალის წარმოების მიმართულების) დაექვემდებარა მართვის რაიონულ რგოლს. ამან შექმნა სპეციალიზაციის, კონცენტრაციის, მიწის, შრომითი და მატერიალურ-ფინანსური რესურსების რაციონალურად გამოყენების დიდი შესაძლებლობანი.

გარდა ამისა, ექსპერიმენტის სახით (პირველად საბჭოთა კავშირში) 10 რაიონში მართვის რგოლთა (ორგანო) სასოფლო-სამეურნეო სავაჭრო გაერთიანება. იგი არა მარტო ორგანიზაციული სტრუქტურით განსხვავდება სოფლის მეურნეობის სამმართველოსაგან, არამედ წარმოადგენს სრულიად ახალ ფორმას, მინიჭებული აქვს სათანადო უფლებები დაგვიგვის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ყველა სახის რესურსების დარგში. იგი გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე. ეს ფორმა ქმნის მართვაში მშრომელთა უაღრთოდ ნაბმის დიდ შესაძლებლობებს. პირდაპირ ვიტყვი, მართვის ამ ფორმას წოგაერთი სრულყოფის შემდეგ დიდი პერსპექტივა ექნება.

გაუაროთოვდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს (მართვის უმაღლესი რგოლის) ფუნქციები. ამადლდა მისი პასუხისმგებლობა სა-

ახალი პლემპლუმის გზით  
ინტარმით

სოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასათვის სხვა უწყებების, ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობის კოორდინაციის დარგში. უნდა ითქვას, რომ სამინისტროს სტრუქტურაში, მუშაობის ფორმებში სერიოზული ცვლილებები მოხდება. ამ მიმართულებით ჩვენთან დიდი მუშაობა მიმდინარეობს. თუ მოკლედ ვიტყვით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო (მასში სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ერთად მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი ვაჭრობა, დამზადება, მეცნიერება, განათლება, პროდუქციის ვადამუშავება და სხვა დარგები) დღეს უნდა გამოხატავდეს რესპუბლიკის აგრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებს. ამიტომ იგი ინტენსიფიკაციის, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგრო-სამრეწველო ინტეგრაციის პროცესებს უნაჩიანად, რესპუბლიკის თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა მართავდეს. ეს ჩვენნი მთავარი ამოცანაა.

— რა ამოცანებია დღეს დასმული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე სკკ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დანიშნულად? — მთავარი ამოცანა, — აღნიშნა ლ. ი. ბრეუნემა, — რომელსაც სოფლის მეურნეობას ვუსახავთ, ის არის, რომ მივაღწიოთ უკვე მისი დარგის ყოველმხრივ დინამიურ განვითარებას. სურსათითა და სოფლის მეურნეობის ნედლეულით ქვეყნის საიმედო მომარაგებას იმ ანგარიშით, რომ მათი წარმოების ზრდა უზრუნველყოფდეს ხალხის ცხოვრების დონის შემდგომ მნიშვნელოვან ამაღლებას.

სკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები დიდ ამოცანებს უსახავს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მომარაგების. ჩვენ დაუცხრომელი ზრუნვა გვმართებს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის შემდგომი განვითარებისათვის, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფართობებისა და მოსავლიანობის ზრდისა და მეტოვრელობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის. ეს არის ჩვენი მუშაობის მთავარი მიმართულება.

შეჩაივება დგას საბჭოური წარმოების მათ ქვეყნის სრული უზრუნველყოფის ამოცანის წინაშე. ამ ამოცანას გადასაწყვეტად ჩვენ დღეს არსებული პლანტაციები 67,5 ათასი ჰექტარის რაოდენობით, აყვანილი იქნება 70 ათას ჰექტარამდე. მეათე ხუთწლეულში რესპუბლიკამ უნდა აწარმოოს 1 მილიონ 678 ათასი ტონა ზარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მეჩაიეობის შემდგომი განვითარების გზა ფართობის გადიდება. ამ მხრივ დიდი რეზერვა კოლხეთის დაბლობი. პერსპექტივაში შეიძლება 25-30 ათას ჰექტარზე ჩაის პლანტაციების გაშენება იმ ვარაუდით, რომ 1955 წლისათვის

ჩაის ფოთლის წარმოება რესპუბლიკაში გაიზარდოს 500 ათას, ხოლო 1990 წლამდე 600 ათას ტონამდე.

1950 წლისათვის უნდა მივიღოთ 650 ათასი ტონა, ხოლო 1990 წლისათვის მიღებული იქნება 1 მილიონ 350 ათას ტონამდე ყურძენი.

დასახულია ყოველწლიურად დავამზადოთ 500 მილიონი ცალი ლიმონი. ციტრუსოვანთა პლანტაციები მეათე ხუთწლეულში გაშენდება 2.500 ჰექტარზე და საერთოდ მოსავალი აყვანილი იქნება 600 ათას ტონამდე.

სკკ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით დასახულია 1976-1990 წლებში ზეხილის ახალი ბაღების გაშენება 22 ათას ჰექტარზე.

სკკ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ამირკავკასიის რესპუბლიკებთან ერთად ჩვენი რესპუბლიკა გააკრიტიკეს იმისათვის, რომ ვერ მივაღწიეთ არსებით გაუმჯობესებას მეცხოველეობის დარგში. ეს კრიტიკა სავსებით სწორია. მიღებულია კონკრეტული პროგრამა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების, მეღორეობის, მეცხვარეობის, ნებოცვრეობის, მეფრინველეობის შემდგომი განვითარებისათვის. რესპუბლიკაში ამაჟამად მიმდინარეობს მუშაობა გაუქმებული მეღორეობის ფერმების აღსადგენად. თბილისის მაშალკოვად სოფელ კუმისში ვაშენებთ მეზოცვრეობის მსხვილ კომპლექსს (10 ათას დედა კურდღელზე). მეზოცვრეობის კომპლექსები შენდება ქარელში, თეთრიწყაროში, ზესტაფონში, ხელვაჩაურში. შემუშავებული პროგრამის შესაბამისად 1952 წელს ზოცვის ხორცის წარმოება აყვანილი იქნება 3,5-4 ათას ტონამდე. გაგრძელდება მუშაობა მერძეული მიმართულების, დეკლუის გამოსაზრდელი, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და მეღორეობის კომპლექსების ახადებად. აშენდება 16 მწყობრში ჩადგება მეფრინველეობის ახალი ფაბრიკები. საერთოდ, მეათე ხუთწლეულში კაპიტალური დანახდება სამინისტროს ხაზით მიადევს 1 მილიარდ 500 მილიონ მანეთს.

საქარმო დანიშნულების ობიექტების გვერდით ფართო მასშტაბით შენდება განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის კერები, ზღები და წყალხადენები, მიმდინარე ხუთწლეულში სოციალური ხაზით საქართველოს სოფლის კაპიტალდამადენი გათვალისწინებულია 182,4 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც კიდევ უფრო გაიზრდება XI ხუთწლეულში. სოფლის მეურნეობის სამინისტრო 1975 წლიდან შეუდგა დასახვედელი სახლების, სანატორიუმებისა და პანორთა ბანაკების ფართო მშენებლობას.

ჩვენი პირველი კონკრეტული ნაბიჯი სკკ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებზე ის არის, რომ დროულად და უდნაკარგოდ ავიღოთ მიმდინარე წლის მთელი მოსავალი, გამოვზარდოთ მეტი პირუ-





ტვი და ფრინველი, რათა წარმატებით შევს-  
რულოთ აღებული გეგმა-ვალდებულება. ჩვენი  
სოფლის მშრომელთა აღვანდელი შემართება  
და ენთუზიაზმი, მეტი წილი სასოფლო-სამეურ-  
ნეო კულტურების მდგომარეობა იმის გარა-  
ნტიან ვვაძლევს, რომ ქვეყნისათვის მიცემული  
პირობა შესრულდება.

— რა ამოცანებია დღეს დასმული რესპუბ-  
ლიკის ახალგაზრდობის წინაშე თანამედროვე  
მრავალღარგოვანი სოფლის მეურნეობის ინტე-  
ნსიფიკაციის საქმეში?

— ძირითადი ძალა, ვინც დღეს სოფლად  
სახალხო დოვლათს ქმნის, ეს ჩვენი ახალგაზ-  
რდობაა. თანამედროვე განათლებულ ახალგაზ-  
რდობას შეუძლია სასოფლო-სამეურნეო წარმო-  
ების ყველა პრობლემის გადაწყვეტა, თუ გუ-  
ლთან მიიტანს ქვეყნის საზრუნავს. მაგრამ  
რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში სადღეი-  
სოდ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. შეიძ-  
ლება რეალურად წარმოვიდგინოთ უმოკლეს  
დროში ახალგაზრდული დაბები მათათუთხასა  
თუ ხევსურეთში, სადაც მეცხოველეობის შემ-  
დგომი განვითარების არნახული რეზერვებია,  
მათი ხელით აღდგენილი მესხეთ-ჭავჭავთის  
ხეილის უძველესი ისტორიული ტერასებმ,  
ახალი შეტევა კოლხეთის დაბლობზე.

მაღალმწარმოებლური და რთული სასოფ-  
ლო-სამეურნეო ტექნიკა, რომლის გარეშეც  
წარმოუდგენელია სოფლის მეურნეობის სამრე-  
წველო რელიეფზე გადაყვანა, განსაკუთრებულ  
ამოცანებს გვიყენებს ტექნიკური კადრების მო-  
მზადების საქმეში. არ არის დასაძალი, რომ  
ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექა-  
ნიზაციის და ავტომატიზაციის დონე მნიშვნე-  
ლოვნად ჩამორჩება მოწინავე რესპუბლიკების  
მაჩვენებლებს, დაბალია ტექნიკის გამოყენების  
ეფექტიანობაც. ეს გარემოება, სხვა ობიექტურ  
მიზეზებთან ერთად, გამოწვეულია იმით, რომ  
სოფლად საქმარისი რაოდენობით არ გვყავს  
მაღალკვალიფიციური ტექნიკური კადრები, მე-  
ქანიზატორები, დაბალია სასოფლო-სამეურნეო  
მუშაკთა კვალიფიკაციის დონე.

უკანანკენლ წლებში საქართველოს პარტიუ-  
ლი, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავში-  
რული ორგანიზაციები, სასოფლო-სამეურნეო  
ორგანოები სერიოზულ მუშაობას ეწყვიან სო-  
ფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციურ მუ-  
შათა კადრებით უზრუნველყოფასათვის. მიუ-

ხედავდ ამისა, სასოფლო-სამეურნეო საწარმო-  
ებში, განსაკუთრებით მეცხოველეობის მექანი-  
ზატორები ჯერ კიდევ განიცდიან კვალიფიცი-  
ური მუშათა კადრების, განსაკუთრებით მექა-  
ნიზატორების ნაკლებობას. ეს მდგომარეობა  
გამოწვეულია არა იმდენად იმით, რომ ჩვენ  
ცოტა რაოდენობით ვამზადებთ მექანიზატორ-  
თა კადრებს, არამედ უმთავრესად იმით, რომ  
სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ხელმძღვა-  
ნელები ჯერ კიდევ არაადაამკაყოფილებლად  
მუშაობენ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლე-  
ბელდაამათვრებული ახალგაზრდა კვალი-  
ფიციურ მუშათა კადრების წარმოებაში დამა-  
გრებისათვის, საკმაო გულისხმიერებით არ ეკი-  
დებიან მათ, ახალგაზრდა მექანიზატორებს  
ვერ უქმნიან ნაყოფიერი შრომისა და კულტუ-  
რული დახვეწების საჭირო პირობებს. ამას ისიც  
ემატება, რომ ბევრგან ადგილობრივი პროფ-  
კავშირული და კომკავშირული ორგანიზაციე-  
ბი, სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და სა-  
ხალხო განათლების მუშაკები კვლავ ფორმა-  
ლურად ეკიდებიან მოსწავლე ახალგაზრდობის  
პროფესიული ორიენტაციის საქმეს.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამრეწვე-  
ლო საწესიებზე გადაყვანისა და სასოფლო-  
სამეურნეო შრომის სამრეწველო შრომის ნაირ-  
სახეობად გადაქცევის ამოცანები, რთული და  
მაღალი წარმადობის სასოფლო-სამეურნეო ტე-  
ქნიკის ეფექტიანად გამოყენების საჭიროება,  
დაჩქარებული ტემპით მიმდინარე მეცნიერულ-  
ტექნიკური რევოლუცია, როგორც ამას სკკპ  
ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდი-  
ვანი ამხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეტენევი აღნიშ-  
ნავდა საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური  
კომუნისტური კავშირის XVIII ყრილობაზე,  
დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენი სოფლის ახა-  
ლგაზრდობის — ჰაბუკებისა და ქალიშვილე-  
ბის შემობრუნებას ტექნიკური განათლებისა-  
კენ.

დღეს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა  
და კომკავშირული ორგანიზაციების სასოფლო-  
სამეურნეო ორგანოების ერთ-ერთი მთავარი  
ამოცანაა იმის უზრუნველყოფა, რომ სოფლად  
მცხოვრები ყოველი ჰაბუკი და ქალიშვილი  
ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის,  
მისი ეფექტიანად გამოყენების მეთოდებს, სა-

ახალი აღმავლობის გზით  
ინტენსივით

სოფლო-სამეურნეო კულტურებისა და პირუტყვის მოვლა-პატრონობის თანამედროვე, პროგრესულ ტექნოლოგიას.

ვფიქრობთ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად გავაფართოოთ სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მექანიზატორთა და სხვა მასობრივი პროფესიების მუშათა კადრების მომზადება, რადგან, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დღეს ეს სასწავლებლებია წამყვანი ძალა სოფლის მეურნეობის მაღალკვალიფიციურ მექანიზატორთა და სხვა მასობრივ პროფესიათა კადრებით უზრუნველყოფის საქმეში. მნიშვნელოვნად გავზარდოთ მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან, აგრეთვე „საქსახკომ-სოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებებთან

არსებულ საკურსო ქსელში მექანიზატორთა და სხვა მასობრივ პროფესიათა კადრების მომზადება. ასევე მნიშვნელოვნად გავზარდოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებში ტექნიკოს-მექანიკოსების, ტექნიკოს-ელექტრიკოსების, ზოოტექნიკოსების, ვეტფერმლების მომზადებას, შემოვიღებთ თბო-ტექნიკოსებისა და სხვა ახალ სპეციალობებს, რაც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის, ინტენსიფიკაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამრეწველო საწყისებზე გადაყვანის დაჩქარებას. ამ ღონისძიებათა გატარება გვას გაუხსნის რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობას უმაღლეს სასწავლებლებში ტექნიკურ მეცნიერებათა დაუფლებიხაკენ, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას მოახდენს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე.





## ბორის მირცხულკვი

# მწერლის ზნეობრივი იდეალი

ჯოკონდა... მხოლოდ მედიოონადე, ქართულის მასწავლებელი. სავსებით არაორაზროვანი, სვედიანი ღიმილი რომ სჩვევია. პედაგოგის მაგიდასთან მდგარი. საპირისპირო მხარეს მერვე კლასის გათოშილი მოსწავლეები, წედლი შეშით აპუჟუნებულ ბუხარს მისეულნი. სურათის ჩარჩო — 1948 წელი. უჭირს ქვეყანას, უჭირს გურულ სოფელს, სუფსის ჭალაში გაფანტულ მოსახლეობას. მაგრამ ნოდარ დუმბაძის მოთხრობაში, რომლის სახელია „ნუ ვადვიძებ“, არ იგრძნობა მარილიანი სიტყვების ნაკლებობა, მწერლური ფანტაზიის სიღარიბე, სოლო მწერლისეული ზნეობრივი იდეალი, მისი ენერგიული, დაჟინებული მოწოდება კიდევ გვჩიბლავს, გვაღვლეებს და გვარწმუნებს: მწერლის შემოქმედებითი დვრიტა, მისი ჰუმანიზმი სწორედ ამ ძიებთა ხასიათში ვლინდება, მუღავნდება და თანდათან ვეზიდავს, გვათბობს ისე, როგორც ტოლენის მთიდან წამომდგარი ბარჩხალა მზე.

იცის, ზედმიწევნით კარგად იცის ნ. დუმბაძის მასწავლებელმა, რომ გაჭირვება ადამიანური ცხოვრების განუყრელი თანამგზავრია. ამიტომაცაა, ადამიანურად, თანატოლივით, გულთბილად, სათუთად და ალერსიანად რომ ეპყრობა პატარა ადამიანებს. „არც გამარჯობა უთ. ქვამს ჭოკონდა მასწავლებელს, არც დაქვითო, არც სია ამოუკითხავს. მივიდა მაგიდასთან, ზედ ურნალი დაადლო, სკამი აიღო, ბუხარითან მივიდა, მიგვეწ-მოგვეწია, დაქდა და გათოშილი ხელები ცეცხლს მიუშვირა.

„— რას შეგბით, ბავშვებო, გვივათ? — გვიტობა, ცოტა რომ მოთბა, მერე.

- გვეცვა, მასწ!
- რამდენი ხართ?
- თექვსმეტიდან რვა ვიყავით.
- ნახევარი, მასწ!
- ცოტაა! — გაიქნია თავი“.

და მასწავლებელიც თავისებურ შედეგათს აძლევს მათ. წაუკითხავს ეგ. ნინოშვილის „განკარგულებას“, ღრმად ჩაახედებს მოსწავლეებს გმირის უბედურებაში და ნაწარმოების ამ მრუშე ფონზე ადვილად მოაჩვენებს მოსწავლეებს თავიანთ მდგომარეობას, სწორედ ამიტომაც არის, ერთ-ერთი შეგირდი რომ აცხადებს: „ცოტა იმედი მომეცა, თურმე ჩვენზე გაჭირვებული ხალხიც ყოფილა ქვეყანაზე“.

რაზეც არ უნდა წერდეს ნ. დუმბაძე, თხზულების რომელ დეტალსაც არ უნდა ამუშავებდეს, სულ ერთთავად განიცდის საძიებელი ზნეობრივი იდეალის დაწვევას, მაგრამ ეს ძიება, ეს თვისება მისი გონებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ სულში, სხეულში, მთელს არსებაში აქვს გაბრჭნილი და განსხეულებული. ამის გამოა, გამუდმებით და ყოველთვის რომ ახსენებს თავს, კიდევ ერთი დამახასიათებელი მომენტი: 1942 წლის ვაჟაფშაველას დამშეული სოფლის უბადრუკი ბაზარი. „კვირა დღე იყო. მარჩინალი ძროხა გამოეყვანა კუკურას ბაზარზე და ყიდდა. გვერდით, გაცრეცილ, ღურჯ კაბაში გამოწყობილი თავისი ფეხშიშველა დაიწყო ედგა. კი არ ედგა, ორთავე ჭადრის ძირში დაგორებულ ქვეშე იხსდნენ, დიდზე — კუკურა, უფრო მომცროზე — ნათელა“. მყიდველი არ ჩანს, ბინდდება, სიცივე მძალე-

რობს. ბოლოს ანანია გამოჩნდა. ძროხა კი არა, მთელი ბაზრის ყიდვა რომ შეეძლო. ფეხზე წამოუდგა კუკურა, ფასი გააგებინა — სამი ათასი. ორი ათას რვაასზე მორიდდნენ. „ანანი- ამ ძროხა ახსნა და იქვე მღვარ გლტვს გამო- ელასპარკა.

— რამდენ კაცს ჩამოიარს, თუ იცო, აკაია?  
— კაცს გაჩნია, ანანია ბატონო.

— დღეს 10 კაცი ნადი მყავს და ხვალ 40

— სახლის გადახურვაზე.

— გაუჭირდება, ბატონო.

— ვოკს და ინდაურს მივახმარ.

— მაშინ, იცოცხლე, გეყოფა.

კუკურას ნესტოები დაებერა. ტუჩები გაუ- ფითრდა:

— რას ბრძანებ, ბატონო, ამის დაკვლა ვინ გააგონა? ა, ბატონო, თქვენი ფული, მიჭირს თვარა?..

— გაგიჟდი, ბიჭო, რაღა დროს პირის შეშლდა!

კუკურამ ფრთხილად გამოართვა ბაწარა ანანიას, ჭიბუში ფული ჩაუკუჭა და ნათელას მოუბრუნდა:

— წაიყვანე, გოგო, სახლში ავი ძროხა!

— სამი ათასი მანეთი! — თქვა ანანიამ.

— წაიყვანე, გოგო!

— სამი ათას ორასი...

— რას ამბობ, ანანი! ბატონო! — გაიღიმა კუკურამ.

— სამი ათას ხუთასი, ბიჭო! — გაიმეორა ანანიამ, ნათელა გაჩერდა და მძას შეხედა თვალბეში. კუკურა გამარა. ჭერ ნათელას შე- ხედა შიშველ ფეხებზე, მერე — ფულს, მე- რე — ანანიას და მერე ძროხას. ერთხანს ასე იდგა. ხალხი გატრუნული უცქერდა საოცარ სანახაობას.

— წადი, ძროხა, შინ! — ახლა ძროხას გა- უჭაფარდა კუკურა და საქონელს უკან გაჰყვა.

1942 წლის გაზაფხულზე მოხდა ეს ამბავი.

— ასევენი ავტორი და აქ ყველაფერია ნათქვა- მი. დამშეული, გატანჭული სულის საცოდაო- ბაც და დიდი ადამიანურობის გამარჯვებაც. ფაქიზად არის ერთმანეთთან შედარებული სი- მიდრისხა და სიღარიბის მარადიული ქიშკო- ბა, ზნეობრივი ქვევის აღებობა, მუშაურობის მერყეობა ბოროტებისა და სიკეთის ნაწვდა- რზე. და რაც ფრიალ მნიშვნელოვანია, ნ. დუმ- ბაძის მოთხრობებში საბოლოოდ ყველაფერი სიკეთის სასარგებლოდ მთავრდება. ეს არის მწერლისხეული პოზიცია, მკვლარი ესთეტიკური და იდეოლოგიური კრედი. ეს არის დამკვიდ- რების პათოსი.

მებრძოლი ლიტერატურა, განსაკუთრებით კი პროზა, უსათუოდ გულისხმობს არსებულ სინამდვილისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებ- ბას. როცა ვიტყვით მებრძოლი, იქვე იფი- ლისმებმა, რომ იგი იბრძვის, ებრძვის რამიე ის-

ეს, რომ არსებობს, მგვრამ სასურველია არ არსებობდეს. ამ გაგებით, მებრძოლი, მძაღ- როულად თანამედროვეც არის და აქტუალურ- რიც. ამგვარი ლიტერატურა ქართულ პროზას განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში შემოე- ძალა. უფრო თვალსაჩინოდ და აშკარად ჩვენს რესპუბლიკაში უკანასკნელი ხანების ნეგატი- ვური მოვლენების განვითარების პერიოდში და შემდგომ.

საზოგადოებრივი ორგანიზმის დასწებოვნე- ბა ჩვეულებრივი მოვლენაა. მას ათასგვარი მკურნალი მყავს. მგვრამ სულ სხვაგვარი და შესაძლოა ფრიალ აქტიური ექიმი გამოუჩნდეს მწერლის სახით. იმ მწერლის სახით, ვინც ორ- განიზმის სულიერ პროცესებს შეისწავლის და საზოგადოების სულს უმკურნალებს. ბუნებ- რივია, ყველას და ყოველთვის როდი სიამო- ვნებას ამგვარ მკურნალთა შრომა და კირთება, ამიტომაც ზნობრივ უპირთ მწერლებს საზო- გადოებრივ მოვლენებში ჩარევა, ჩართვა. მა- გრამ ერთგულნი და ქვეყნის სიყვარულით ვა- დახაფრული მწერლები მანაც არ ეპუებთან ბარიერებს და ახერხებენ გამოსცენ თხულებ- ები, სადაც მოყვრულად არის მითითებული არსებულ ნაღვზე, გაქაქებულ-განადგურებუ- ლია უმსგავსო და ანტისაზოგადოებრივი, ამგ- ვარ მწერალთა რიგს განეკუთვნება ნოდარ დუ- მბაძეც.

ჭერ კიდევ 80-იან წლებში დაიბედა „მწა- თობში“ ლ. ავალიანის „ახალი პროზოზნიტა“ — ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა კოტხე-კუნ- ტულის ნათლადგამომჩინი ეს უფრო მხატვრ- ული პანორამა. ამ ნაწარმოებში არის ასახული თითქმის ყველა ის მანეი და ნაკლოვანება, რაც შემდგომში ასე ცხადად და თვალჩინარად გა- მოაჩნდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ხეს. იგივე თქმის ელ. მისურაძის „დაჯარ- ვულ ოცნებებზე“. ამ თვალსაზრისით არც ნო- დარ დუმბაძე უნდა დავივიწყოთ. ისეთი ვა- მაურებული მოთხრობები, როგორცაა „მე- ბებია, ილიკო და ილიაონი“, აგრეთვე „მე- ვხელდავ მუხეს“, რომლებიც სამაშულო ომისდ- როინდელ და ცოტა უფრო გვიანდელ ვითარე- ბას ასახავენ, როდი ხუჭავენ თვალს უარყო- ფით საზოგადოებრივ გამოვლინებებზე. მარ- თალია, აქ ეს საკითხები პრინციპულ სიმაღ- ლეზე არ არის აუჯანელი, მგვრამ ჩანასახო- ბრედად სახეებით ნათლად არის მოცემული, რი- თაც ავტორისეულ ზნეობრივ ძიებებს უფრო კოლორიტული და ნამდვილი, მართალი ფო- ნი ეძენება. ზურციკელას ზნეობრივი სახის მხატვრულ ჩამოყალიბებაში ნაკლები როლი როდი მიუძღვის ამგვარ არადაუინებულ, მაგ- რამ საქმოდ ცხად, უარყოფით „გაიღებებს“, მავალითად, აი, როგორ საუფროს გაუმბას სა- ნდომართველი დომენტი ჩაუწერლად მცხოვ- რებ სტუდენტს: „ორ დღეში ისე ჩაგწერ,

ვერაფერმა ამოვშალოს. — მითხრა დომენტში და მედიკოსების ქურაზე რომ სასადილოა, იმის წინ ვაჩერდა. მიხვდი რას ვეუბნები? მე, დომენტი ხაქაპურიძე, პატარა კაცი ვარ, პატარა იყო ნაპოლეონიც და იმაზე პატარა იყო მამაჩემი, მაგრამ ქვეყანას ატრიალებდა. მე ხალხმართველი ვარ და ჩვილი გული მაქვს. ჩემზეა დამოკიდებული, იცხოვროს კაცმა სახლში, თუ იცხოვროს ქურაში. ქურაში გიცხოვრავა?

— ქურაში რა, უპატრონო კი არ ვარ! — მეწყინდა მე.

— მე შემძლია ვაგაგლო ქურაში, იმიტომ რომ ჩაუწერელი ხარ.

— მერე რა უნდა მაგას. აიღე და ჩამწერე.

— კი ავიღებ, მაგრამ მამლევე?.. ზურკო, მართას ცალკე მოველპარაკები. ახლა საქმე შენთან მაქვს. 200 მანეთი, მეტი არ დასჭირდება. ოღონდ კრინტი“..

მავალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

ზნეობრივი იდეალის ძიება კიდევ მეტად მკვეთრდება ნ. დუმბაძის მომდევნო ნაწარმოებებში. თავისებური კუთხით არის იგი დავითრევიანული მოთხრობაში „ნუ ვეშინია, დედა!“ და „თეთრი ბაირაღები“. პირველი მათგანისათვის სპეციალურია ალტერნატივა: ადამიანის მორალურ-ზნეობრივი სახის ჩამოყალიბებაში, მის ადამიანურობაში გადაწყვეტი არ არის ცალკეული უარყოფითი მხარეები, ზოგადი გირთი ნაკლი, ზედოვანება. მთავარია, მასში საერთოდ და პრინციპულად იღოს ის ხელუხლებელი და მოუხელთებელი ოქროს ზოდი, რასაც ადამიანობა ჰქვია. ეს საწყისი კი მოთხრობის მთავარ გმირს ავთანდილ ქაყულს საბოლოოდ საზოგადოებისათვის სახარგებლო პიროვნებად აყალიბებს. „ნუ ვეშინია, დედა!“ ამბობს ნ. დუმბაძის გმირი. ჩემი უარყოფითი მხარეები საშიში არაა, ისინი ვერ გადასძალავენ ჩემში არსებულ ზნეობრივ სტატუსსა და ცხოვრების ფათერაკებს, მორალია და ანტიმორალის სცილანა და ქარიბდა მშვიდობიანად დავუხსლტები და ნამდვილად ადამიანად მოვევლინები ქვეყანას.

„თეთრი ბაირაღებიც“ სიკეთის, ზნეობისა და მორალის სფეროში ტრიალებს. აქაც ძირითადი საკითხი ახალგაზრდა კაცის სულიერი ჩამოყალიბება ვახლავთ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ნ. დუმბაძის თითქმის ყველა ნაწარმოების გმირი — ეს პრტი და იბივი პირივენება, მხოლოდ სხვადასხვა სიტუაციაში, ცხოვრების სხვადასხვა განაწესში მოხვედრალი, ავტორის საბოლოოდ მიიწვ აჩვენებს ქართული კაცის, ქართველი ადამიანის საბოლოოდ ჩამოყალიბებული სიკეთის არსს, მაღალზნეობრივ იდეალებს, რაც ერთი სიტყვით — ადამიანობით გამოიხატება და რითაც ასე გამოირჩევა ქართველი კაცი.

„თეთრი ბაირაღები“ ნ. დუმბაძის ყველაზე მწვავე მოთხრობაა. ყველაზე მწვავე კონფლიქტით, იმიტომ არის, რომ დაწერილია წერტილზე იმ დროს, როცა ვადაგვარებულ ადონივევებს, ნეგატიურ მოვლენებს, ანტისაზოგადოებრივ ნებებს სასტიკი ბრძოლა გამოქცხლდა. მაგრამ, აქაც, მიუხედავად გარეგნული აქტუალური პასუხებისა, ვფიქრობთ, ნ. დუმბაძის მთავარი საზი იგივე დარჩა — ნამდვილი, ადამიანური ადამიანის ძიება. აქაც იმავე კონკრეტულ ხერხებს იყენებს მწერალი — ერთმანეთს უპირისპირებს შეცდომით დაპატიმრებულ, სპეტაკ პირებს და ციხის საკნებში ჩამწყვდილულ გარეწრებს. მათი მოქმედების, საუბრების ვითარებაში საშუალება ეძლევა ავტორს სხვადასხვა კუთხით აჩვენოს კეთილი და ჰუმანური, ზნეობრივი გმირის სულის წახსაგები. მკითხველი კი ხედავს: ეს წახსაგები ყოველი შემოპრუნებისას მაღალი ზნეობრივი მუქით ბრწყინავს.

ნ. დუმბაძეც მკაცრად უდგება „უძღები შვილების“ — კომინატორების, მუქთახორების, ქურდების, პარაზიტების განკიცხვას. მაგრამ, კი არ დასცანის დავარდნილს, არ ასამარებს დაცემულს, დამარცხებულსაც და გამარჯვებულსაც საკეთილო საქმეში თანამდგომად გამოუჩნდება, რადგან მტკიცედ სწამს: „ყველას სული მოითხოვს გამოწვილო ხელს... უბედურცი, ბედნიერიც, პატიოსანიც, უპატიოსნიც...“

ნ. დუმბაძის მოთხრობებში გაცილებით მეტია ზნეობის, პატივის რქვეთი, აქ დაშვებების პათოსი უფრო ძლიერია, ვიდრე გაკიცხვისა. ნ. დუმბაძე სამართლიანად ფიქრობს, როცა ჰგონია, რომ ვერაფერითი სასტიკი ისე ვერ დაამაჩმებს მოკვდავის სულს, როგორც განაჩენი, თვითონ რომ გამოუტანა საკუთარ თავს. ამას გვიჩვენებს ავტორი ისილორეს დრამის გათამაშებისას, როცა იმპროვიზებული სასამართლოს შემდეგ სულიერად განადგურებული ისილორე თვითმკვლელობამდე მიდის.

ნ. დუმბაძე ნიჭიერად არჩევს ერთმანეთისაგან წყრილმან და მსხვილმან ბოროტებებს. და თან მომხდარი ბოროტებანი კი არ მიაჩნია მთავარ საშიშროებად, არამედ ერის დამღუპველად წარმოუდგება მათი ძირები. იგი კიდევ ეძიებს ამ ფესვებს. ეს კი უფრო მნიშვნელოვანია, რადგან თუ გსურს სიმართლედ დადგინო, უნდა მიაკვლიო სათავესა და წყაროს. ამის გამოა, რომ „თეთრი ბაირაღების“ მიხედვით კაცისმკვლელები, ქურდი, კომინატორი კი არ არის საშიში, არამედ ის ფესვები, რაც ამ მოვლენებს იწვევს.

ბორის მირცხუაშაპა  
მწერლის ზნეობრივი იდეალი

ადამიანობის დაუნივრებელი ძიება ეტყობა ნ. დუმბაძის ყოველ დიდსა თუ პატარა თხზულებას. საკმაოდ პარადოქსულიც არის, მაგრამ ფაქტია. ისეთი სათაურის მოთხრობა, როგორცაა „მზე“, „ძაღლი“, „უშადაური“, „კორიდა“, „სისხლი“ და სხვ, სადაც ცხოვრების ათასნაირად მოჩითული-მოხატული, ზოგჯერ მრუმი და ბნელ საკითხებზეა საუბარი, ერთთავად შეინიშნება დაუნივრელი ძიება ზეგობრივი იდეალისა, ადამიანობისა.


საერთოდ ავტორის კრებულს, რომლის ხანგრძლივობაც არის „ათი მოთხრობა“, საქარო მივუღებთ განსხვავებულად, ვიდრე მის ადრინდელ ნაწარმოებებს, ვინაიდან ახალ მოთხრობებში მწერალი ცდილობს შეიჭრეს მისთვის მანამდე უცნობ, ან ყოველ შემთხვევაში, ისეთ სფეროებში, რაც აქამდე არ გამოუკვლევია. კერძოდ, ეს არის ფსიქოლოგიური წიადსვლები ადამიანის სულის მეტად რთულ ღამბირანთებში — სისხლის ყვილის გრძნობა, ნათესაობის გრძნობის ქვეცნობიერი იმპულსების მხატვრული ახსნა და ა. შ. თუ ადრინდელ თხზულებებში მწერალი მოძალბებული, შუშუნა იუმორის, სიტყვათა შებერისპირების მეშვეობით ხსნიდა გმირთა ხასიათებს, აქ უკვე მთელი სიმძიმე და პასუხისმგებლობა საკუთარ შინაგან შესაძლებლობაზეა პროექტირებული. მწერალი უკვე მისთვის დამახასიათებელ და მომგებიან ხერხს — იუმორს დროებით ივიწყებს და სხვაგვარი ხანით გვევლინება. მაგ. „დიდრო“, განსაკუთრებით მისი ფინალური ნაწილი, აქ ტრაგიკული დასას-

რული არ არის გაზაწული კომიშის შეწყობით.

მოთხრობაში „მზე“ ასტრალური ბუტაფორია სმირად ერთვის ადამიანურ ცხოვრებას და ავტორი ეძიებს საზოგადოების, ადამიანის წუხილი და სიხარული გააზიარების მწესა და ზღვას, მთვარესა და ვარსკვლავებს. ადამიანურ წუხილთა გამგები და შემეცნებელი მზე წარმოადგენილია კაცთმოყვარე არხებად, რომელიც ბოლოს აცხადებს: ადამიანად ყოფნა უფრო ძნელია, ვიდრე ღმერთად ყოფნაო.

თანამედროვე ქართული პროზის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევად უნდა ჩაითვალოს „დიდრო“, სადაც აგრეთვე დიდი ჯაფა და ნიჭი დაუნარჯავს ავტორს, რათა ეჩვენებია ტრაგედია სიცოცხლით გალაღებული ჭკუანაკულლობისა და სიკვდილისპირას მდგარი სიჭკვიანისა.

კრებულში ავტორი წერს ქრთი საწყალი უპატრონო ძაღლისა („ძაღლი“). მიტოვებული, ძებორციელისაგან დავიწყებული ღოთი მათხოვარისა („ღელა“), თუ შვილებისაგან უპატრონოდ მიტოვებული 100 წლის მოხუცი კაცის შესახებ („უშადაური“). ნ. დუმბაძე ყველგან და ყველად ფერში ხედავს, არ ივიწყებს და რომც სურდეს, ვერც დავიწყებს კაცთმოყვარეობას, იმას, რაც თავში კი არა, გულში, სისხლში გასჭდომია და რასაც ერთი სიტყვით, ჩვეულებრივ, ძნელად გამოხატავ. ამის გამოა, რომ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებს როცა კითხულობ, გჭერა: ვერავითარი ბოროტება მზის სინათლეს ვერსად წაუვა.



# კათილი, სლასი იუპორი

ბასულ წელს „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა არლი თაყაიშვილის „იუმორისტული მოთხრობები“, რამდენადმე სრული კრებული, რაც მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნის ავტორის ნიჭის თავისებურებებზე, ზნობრივ მრწამსსა თუ მწერლურ ოსტატობაზე. ამ წიგნზე ჭრჭერობით, მგონი, რეცენზია არ გამოქვეყნებულა და კიდევ რომ დაბეჭდილიყო, მე მაინც უნდა მეთქვა ზოგი რამ მის უღროოდ დაღუპულ ავტორზე.

ჩემი ახლანდელი მიზანი არ ვახლავთ ხელებული მოთხრობებისა თუ ესკიზების გარჩევა. მინდა მხოლოდ მივიანშნო იმ საოცარ და უწყინარ მახვილგონიერებაზე, ასე უხვად რომ არის გაბნეული ამ მოთხრობებში. ერთგან არლი თაყაიშვილი „ნიანგის“ ბიბლიოთეკის სავალდებულო მოკლე წინათქმაში ხუმრობით წერდა თავის თავზე: „მისასაღმებელია, რომ ავტორი ორგანულად აზავებს ეგროპული იუმორის არტისტიზმისა და ქართული მხვდლობის იტყვობის მაღლს“. სულ რამდენიმე გვერდის გადაკითხვაც საქმარისია, რომ ამ სალაღობოდ ნათქვამის სიმართლე ვირწმუნოთ. ამავე წინათქმაში თავისი ოცწლიანი იუმორისტული მოღვაწეობის შედეგს ასე აჭამებს: „მან ხომ ამ მცირე ხნის მანძილზე ხუთი იუმორისტული კრებულის გამოცხადება შეხდლო. ეს უკვე ხუმრობა აღარაა!“ რა ზუსტად გამოხატავს ეს ერთი, თითქოსდა სასხვათაშორისოდ ჩაგდებული სიტყვა „გამოსივება“ არლი თაყაიშვილის სპეტაკ სულს, მის ნათელ ბუნებას.

ვნახოთ, როგორი სასიამოვნოდ საკითხავი და ელეგანტურია გერმანიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე დაწერილი „მხიარული ჩანაწერები“. სახელდახელოდ ამოვიწეროთ თუნდაც ერთი მინიატურა — „საოჯახო თადარიგი“:

„გერმანელებს ძალიან უყვართ ხელოვნური ნაწარმი. აი, რიგითი გავფიქვნი: ფესხადმლის ლანჩებად ხელოვნური კაუჩუკი აქვს. ჭემბრედ ხელოვნური შალი. ქუჩაში შეგვხვდებით

გოგონა: ლოყაზე ხელოვნური ხალით. ხელოვნური ფერის თმაზე ხელს გადახვამს და ხელოვნურად დაგრძელებულ წამწამებს დაგიხამხამებს. პროტეზების განყოფილებაში თავზე საყრდელად ახელოვნური ხელ-ფეხი.

აფთიაქში წავაწყდი შესანიშნავ ხელოვნურ თვალებს. მეც ავდექი და ვიყიდე. რა ვიცო, ცოლი სულ თვალების დათხარას მეშუქრება“.

არსად არაბუნებრივი ხლართები, ყველაფერი ღლაღ, თავისთავად მივიდინება, ყოველი ფრაზა ბროლივით გამჭვირავდება, პოეზიით სუნთქავს:

„ველოსიპედი გერმანიაში პუნქტუალობის გამოვლინების ფორმა ჩანს. ველოსიპედზე ნახავთ ხუთი წლის შვილიშვილსაც და სამოცი წლის ბაბუასაც. ხშირად ერთ ველოსიპედზე მთელი ოჯახია შებილული.“

ველოსიპედით მიდიან საშხაპურსა და კინოში. ველოსიპედით ცხადდება შეყვარებული გოგონა პაემანზე.

ველოსიპედი გადაადგილების ძალიან ნაწი საშუალებაა: რომც დაგეჭაბოს, თვითონ წაიქცევა.

იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მთელი გერმანია ამ პატარა ბორბლებზე უხმოდ მისარილებს“.

ერთ იუმორისტკაში („იდიოტკა“ რა ქნა“) დასახულია მომხვეჭელის, ამჟამად საქაოდ ფეხმოდგეული ტიპი, წიგნი ავეჯის დამატება რომ ჰგონია და სატრანსპორტს აქვს ძვირფას თაროებზე ჩამწკრივებული კლასიკოსთა ტომეულები, თუნდ ზრდილობის ვულისთვის ერხელაც რომ არ გადაუფურცლავს. ორიოდ შეტრინი და ხელთა გვაქვს ბრავის, ვითომდა ცოდნის მამიებელის ტიპიური პორტრეტის: „როდესაც მის კოლეგებს დანაწო გიხამხამებს რომ ოქროს სამარილებებსა და საშაქრებზე გადააყვადათ, წიგნად წიგნის მადღაში იდგა და სათავგადასავლო რომანების სერიაზე აწერდა ხელს“. მომავლინებელია ფრჩხილებში მოქცეული შენიშვნა, ვითომც გმირის აღრინდელი გვარის დაუსტებას რომ ისახავს მიზ-

ნად: „...უზომოდ უყვარდა წიგნი (სხვათა შორის, ამ სიყვარულმა გადააკეთებინა გვარი წიგნად, თორემ წარმოშობით ციგანძე გახლდათ).“

მალე გაუთავალისწინებელი და უცნაური ამბავი ხდება: უყურადღებობით შეურაცხყოფილი კლასიკოსები აჯანყდებიან, თარო შექანდება და დოსტოვესკის ტომი („ილიოტა“) ზედ შუბლზე ეცემა ჩათვლემილ კომბინატორს.

„სამოცი ნომერი თავი უცებ კინოდარბანს ვით განათდა.“

ოპერატორულად გამოძახებული „სახწრაფოს“ ექიმიც არ აუყენებს „ზუსტ“ დიაგნოზს: „ტვიზის შერყევა ზედმეტი კითხვისაგან“.

თუ რა მოხდენილად იყენებს არაღი თაყაიშვილი რემარკას, სეირის მსურველები უსაქმურების წამოძახებულნიდანაც ჩანს:

— დოსტოვესკის დაურტყამს, „ილიოტს“.  
— თქვა ერთმა.

— შინც რა მორფივით მოქმედებს ეგ მამაცუნებელი. — თქვა მეორემ.

— იხე, ნამეტანი კითხვაც არ ვარგა. — შენიშნა მესამემ. — ზოგი წიგნი კინოდ უნდა ნახოს კაცმა“.

ბოლო ფრაზაში ბრწყინვალედ და სახეცვლილი და გამოყენებული ერთი გონებაშეხვედური ხალხური თქმა. ვისაც სახმელის მონღლები უჭირს და შფოთს ტხავს, ეტყვიან ხოლმე: სავალდებულო არ არის ყველამ დავით დავითოს, ზოგმა ყურძნად უნდა ქამოსო. აქ ავტორი მარჯვდელ დასცინის იმ თავცარიელ ტიპებს, რომელთა ინფორმაციის ერთადერთი წყარო ეკრანია და სტენდალი და ტოლსტოი მხოლოდ კინოფილმებიდან იციან.

არაღი თაყაიშვილის შესანიშნავად ჰქონდა შეთვისებული ძველისძველი ჭეშმარიტება, რომ ნამდვილი იუმორი შეუსაბამობას უნდა ემყარებოდეს; ამიტომაც აქცევდა იგი თავის გმირებს აბსურდულ გარემოში, რათა ადამიანებს თავიანთი ნაკლოვანებები უფრო თვალნათლივ დაენახათ და უკეთესად ცხოვრების სურვილი გაჩნეოდათ.

ოსტატურადაა დაწერილი „ყოფნა-არყოფნის“ ბალადა“, მლიქვნელთაგან გაღმერთებული, თანამედრობის მპურობელი ვაჟ-მწერლის განცდებს რომ გადმოგვცემს. ობიექტივად იმ ავტორის ირონიული დამოკიდებულება სათაურიდანვე ჩანს და ჩვენც ასევე განვაცუქობს.

ორიოდე აბსცია ჩვენს თვალწინ აცოცხლებს ამ გაფუჭული ლიტერატურული ამორდაბს სულიერ სიღატაკესა და ბუტაფორიულ დიდებებს:

„სამგზისი ზეიმა იუმბიღე. თავზე ჭუდის დახურვას ვერ ეღირსა — მუდამ დაფნის გვირგვინს ადგამდნენ. ტურისხად მოვლო ყოველი ქვეყანა. იმხელა ჰონორარს უწერდნენ, პროფკავშირის საწევროს გადახდას ვერ აუდიოდა.

მოზერდა დიდება, პატივი, მოსწყინდა, სულ ცოცხალ კლასიკოსს რომ ეძახდნენ. ერფრესტული ჰქონდა გაეგო, როგორ მოისვენებდნენ სიკვდილის შემდეგ. ეს იქნებოდა ჭეშმარიტი აღიარება, ეს გაუმძღებდა დროს.

მაგრამ რეინსტრუირი ჯანსივლითა არ უწყობდა ხელს. „სამ-ჰამა დიდად შესარგი“ საუკუნეს დაამრგვალებინებდა, იგი კი ჯერ სამოციხაც არ გახლდათ.

და ცდუნებას აუოლიმა მწერალმა თავი მოიკლა. ფიქრში, ის თქმა უნდა, თორემ ისე ხომ უკვდავი იყო!

მაგრამ ხომ იცით, რა მამაძალია ფიქრი?!“ სწორედ ეს მისგანვე მოხმობილი ფიქრი აწამებს ახლა მას. თავიდანვე არ ექანსიკა, რომ მუხის ძვირფასი სახალისი ნაცვლად ფიჭვის კუბოშია გაშოკალი. პანაშვიდებზე მოსულეობა რაღაც სხვაწარად ქირქილებდნენ. ისმის გამკვლევი სიტყვები. ვისაც გუშინ ცაში აჰყავდა და ეპითეტებს ვეღარ პოულობდა საქებრად, დღეს მის უნიკობაზე უტიფრად დააპარაკობს.

სიტუაცია თანდათან იძაბება, დრამატული ხდება: „რეცენზიების წერით არავის უტბნია ღამე. გაზეთში კინკლა მშრალი ნეკროლოგი დაიბეჭდა, პერსონალურ პენსიონერს რომ ეძღვნება, ისეთი.

ვარუბნის მიგდებული ჩიხიც კი არ მოუნათლავთ მისი სახელით.

იგი არც მთაწმინდიცენ წაულიათ ციმიც, არც დიდუბის პანიფონისკენ უქნევინებიათ პირი. დასვენებს დიდმის ახალ სასაფლაოზე, უდროოდ წასულ მკითხველთა გვერდით“.

ხედავს ყველა ამ უმსგავსობას სუდარაგად-ფარებული „მიცვალეზული“, ხედავს და ისმენს. „შენ ხარ ვენახი — უჭველეს საფალობელს უტრში სევიანად ჩასძახის მანკოფონი, მაგრამ ასე აბუჩად აგდებული, იგი ვერ შეურიგდება საუყუნო სასუფეველს.

ამდენი დამცირების ატანა ვეღარ შესძლო უკვდავად შერაცხილმა, ფიცხლავ წამოიჭრა ზეზე, ისევ ცოცხლად ხიცოცხლეს დაუბრუნდა, ასე ჯობს, მის ნაწერებს აუგად ხსენებას ვერავინ გაუბედავს.

არღი თაყაიშვილის იუმორისტული მოთხრობებიდან მასალის ცოდნითა და დინამიურობით აშკარად გამოირჩევა „სიტყვა ეძლევა დღისტანტს“, სადაც თავიდან ბოლომდე მხილებული და გამაშვილებული ხარისხის მაძიებელი ცრუმეცნიერთა მთელი კასტა. დისერტაცია პედაგოგიის სფეროს განეკუთვნება — „უზნეო ბავშვები და მათთან ბრძოლის მეთოდები“ და ერთ-ერთი ოფიციალური ოპონენტის გამოხვლიდან ვებულობთ, რომ მასში გაანალიზებულია მოზარდთან „მიდგომის ორი გზა: პირველი — გაწერომითი, გაჯავრებითი და მეორე, შედარებით პროგრესული — მოფერებით-დაუყვებითი“. აშკარაა, რა შრო-



მასთან და რა დონის მეცნიერულ პაექრობა.  
სთან გვექნება საქმე.

მოთხრობაში არაერთი დასამახსოვრებელი  
სახე და მახვილგონივრულად მიგნებული დე-  
ტალია. გავიხსენოთ თუნდაც დიკვაზე მოგვიან-  
ებით შემოსული მოხუცი სწავლულის პორ-  
ტრეტი:

„კარი ფართოდ გაიღო და აუდიტორიაში შე-  
მონაათა თერთწვერა, უფრო აპარატჩადგმულ-  
და პროფესორმა. ხელში ჩემოდნისხელა პორტ-  
ფელი უჭირავს. ერთი ბოლოდან წიგნებს ამო-  
უყვით თავი, მეორედან კი — მწვანე ხაზვის  
ფურცებს. ეტყობა, სპარო ბიბლიოთეკაში იყო  
და იქიდან ბაზარში გაიყარა. სიარულის დროს  
ეს უკვე ნაღდად პორტფელის სიმძიმის და  
არა მეცნიერული „ხაზვების“ გამო ცალი მხა-  
რი შეტალა აქვს ჩამოვადებული. ჭერ დაბნეუ-  
ლად გაიხედ-ვაშიონება, მერე პრეზიდენტის-  
კენ დაძირა.“

დისერტანტ დიმიდ (იგივე ვაუ) სოკრა-  
ტეს ძე მესუჟლას საცოდობას და ჯახის რამე  
ფუფურებთ, სიცილთან ერთად შეუძლებელია  
არ დავღონდე, ზოგჯერ იმდენად მომაბე-  
ზრებელია სამეცნიერო ხარისხის მოპოვების  
სურვილი და მასთან დაკავშირებული ორომტ-  
რიალი.

გაუთავებელი ღოთობის წინააღმდეგაც  
ეფექტური ხერხი გამოუძენია მწერალს. ხი-  
ტყვას, როგორც უმარადეს შემთხვევაში, ორ-  
მაგი აზრით ტვირთავს, რათა მისი ზემოქმედე-  
ბა საწინააღმდეგო იყოს. ეს ამბივალენტურობა  
ფელეტონის სათაურშივე ჩანს — „რა ხი-  
ტყეთ მოაქვს ღვინო“. ლაპარაკობს სულრა-  
შეჯიბრზე ნამყოფი და აუღამაჟალში მოხვედ-  
რილი, თავიარდასიებული ადამიანი, რომელიც  
ომგადახდილს უფრო ვაჟს, ვიდრე ღვინის მო-  
ნაწილს.

იგი ღვინოს ასახელებს ამ უბედურების მი-  
ზეზად (თუმცა ქვეტექსტიდან იგრძნობა და  
თვით ნაწარმოებიდანაც ჩანს, რომ სასმელი კი  
არა, ადამიანთა გაპირუტყვება და ღორმუცე-  
ლობაა თავი და თავი ბოროტება), ლაკონიუ-  
რადაც აკამბოს თავის დაკვირვებებს, რომელ-  
თაც გულუბრყვილო შეკითხვის ფორმა აქვს:

„გეკითხებით: რატომ ვიკლავთ თავს? რატომ  
ვიხრჩობით ღვინოში? დახრჩობის შესანიშნავი  
საშუალებაა წყალი. ღვინოა, რომ მეგობრის  
ბეზობის ქელებზე მრავალჯამიერს ვაძვირებებს.  
ღვინოა, რომ ღამით კაცია მუნჯაძეხვით ტრა-  
ვის რელსზე თავს დაგვადებინებს... ღვინო  
ფაუქტებს მაგიდის საფარს და თიშავს ცოლ-  
ქმარს. ღვინო გვირეცს გულს, გვახვევს თა-  
ბრუს, გვიშრობს ენას, გვართმევს ტვინს, გვი-  
მღვრევს თვალებს და გვიწილთებს ცხვირს.  
მეტი რა ქნას ღვინოში?“.“

როგორც მოტანილი ნაწვეტებიდანაც აშკა-  
რაა, არლი თაყაიშვილი საუცხოოდ ფლობს

მოკლედ თქმის ხელოვნებას. მან ზედმიწევნი-  
ოდის თავისი გმირების ფსიქოლოგია, გონებ-  
რივი შორიონტი თუ მისწრაფებანი. კალმის  
ერთი მოსმა და ჩვენს თვალწინ იხატება წვრი-  
ლმანი კარიერისტი, რომელსაც დაწინაურებაზე  
ფიქრი ძილს და მოხვეწებას უპარავს:

„დირექტორი შევებულებაში წავიდა და მე,  
როგორც მისი შემცველი, ცხადია, ადრე წა-  
მოვიდა შინ. იმაზე ფიქრით, როგორ მომიხედ-  
ბოდა დირექტორობა, თავი გასკდომავ შე-  
ნდა“. („უკავის ვალეტი“).

ასევე ეიოლება მწერალს მლიქვნელის ტი-  
პის გამოყვანა, შიშის კანკალით რომ აღებ  
უფროსის კარს, ენა ებმება და სიცოცხლეს  
ათავებს, ვიდრე შეეს ცოლის დღეობაზე და-  
პატყებდეს.

მიშვიდეველად, ლაღად იკითხება ფსევდო-  
ხეროზული კამათი ენის დანიშნულებაზე  
(„ენა როგორც ასეთი“), სადაც ავტორი სხვა-  
დასხვა გვერცხულულ თვალსაზრის ჩამოთვ-  
ლის და შიგადაშიგ საკუთარ „შეხედულებებ-  
საც“ ვთავაზობს:

ცხადია, ქრონოლოგიურად, ჭერ ადამიანი გა-  
ნდა და მერე ენა, ე.ი. ადამიანი უსწრებს  
ენას, მაგრამ იმის მტკიცებაზე შეიძლება, რომ  
ენა უსწრებს ადამიანს...

„...უცვლას ჯობია (მაგრამ სადა), როცა ენა  
არც წინ გამოიბრის და არც მუცელშია ჩაგარ-  
დნილი, როცა იგი პირშია დატყული და ზედ  
კბილები აქვს დაჭერილი“.

ისე მოჩვენებითი დინჯი კილო, ვითომდა  
თავსატყის პრობლემის გადასაწყვეტად; სინამ-  
ღვილეში კი ავტორი არცხვენს ადამიანთა ერთ  
კატეგორიას, ღანძღვა-გინების მეტი არაფერი  
რომ არ ამოსდით პირიდან:

„ჩვენ ვასაბუთებთ: ენა გაჩნდა, რათა ად-  
მიანებს გულთანად გამოეღონათ ერთმანეთი.  
მუნჯები მოკლებულნი არიან ამ საიოგენებას  
(ამაზე მეტყულებს მათი წერილობითი დოკუმ-  
ენტები).“

ცხადია, ჩვენს წინაპრებს არ ჰქონდათ ღან-  
ძღვის ისეთი შესაძლებლობანი, როგორც  
დღესაა. დროთა განმავლობაში ეს ფორმები  
ისვენებოდა და ფართოვდებოდა (ზოგიერთ  
ენაში უკვე შეიმჩნევა სამართულიანი გინე-  
ბის ნიშნები).“

ერთ მოთხრობაში („დაკარგული კბილი“)   
კომიზმთან შეზავებული სიმძაფრითაა გაღმო-  
ცემული სტომატოლოგიურ პოლიკლინიკაში  
სავარძელზე გადასვენებული და ხახაში ბო-  
მანქანადატრიალებული პაციენტის განცდები.  
სხვა საქმით გართული მკურნალი, ბურღვა-ბუ-  
რღვაში სცოდავ ავადმყოფს დასალომბ  
კბილს ჩაუშხვრევს და მერე ქირურგის კაბი-

მეზარ კამიტაშვილი  
კამილი, ხალასი იშვორო



ნებისკენ გაისტუმრებს. ყველაზე დრამატული სწორედ ეს ფინალური ნაწილია:

„ნაჩაღდა ხელმართული ბრძოლა ჩემსა და ქვირტის შორის. სული კბილით მეჭირა და ექიმედ სწორედ ამ კბილს მამრბობდა. როგორც ექნა, ამ უკანასკნელმა დამოკ საშვილიშვილო პოზიცია და საფურსთებელში მოადინა ტყაპანი. თვალეში კვლავ ბუდეებში ჩამიღვდა და მეც უკანმოუხუდებდავ გამოვვარდი გარეთ.“

მოვლილი და თან ვანგარიშობდი, რამდენჯერ დასწირდებოდა მოსვლა აქ კაცს, რომ გავბრუნებულ გულზე გასაკრეუნებელი კბილებიც აღარ შერჩეს.“

ახეთი ფინალის შემდეგ უფრო ხარწმუნო და გასაგები ხდება ის ორივე ფრაზა, რითაც აღნიშნული მოთხრობა იწყება:

„ადამიანს მშ კბილი აქვს. სხვათა შორის, ეს არც ისე ბევრია, განსაკუთრებით კი დაუღვევარი პატრონისა და ექიმის ხელში“.

არლი თაყაიშვილის მოქმედი, ზუსტად ნიშნულში მოხვედრილი სიტყვა არავითარ ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს; ჩვენც იმიტომ მოგვქვს შედარებით მოზრდილი ამონაწერები, რომ მკითხველმა ერთხელ კიდევ შეიგრძნოს მისი გამორჩეული ნიჭის მადლი და ღირსება.

ამ წიგნის თითქმის ყველა მოთხრობა თუ ფელეტონი შეტად ეფექტურად და საქმიანად, პირდაპირ მთავარი სათქმელიდან იწყება; პირველივე ფრაზებში გაშლენს გასაღებს, თუმცა ადვილად ამოსაცნობი და გატკეპნილი გზით არასოდეს მიდის მათი ავტორი.

ბუნებრივია, აქ ვერ შევიტებით ყველა იმ ქარგ ნაწარმებს, რაც ამ რჩეულშია თავმოყრილი, მაგრამ უბრალოდ ჩამოცთვითი რამდენიმე მთავანს, სადაც მწერლურ ოსტატობასთან ერთად გამოვლენილია არლი თაყაიშვილის ნათელი და ცინცხალი თუმორი. აი, მათი არასრული სია: „ადამიანის სხეულებანი“, „ბტრფი, რომელიც მღერის“, „ჩემი ეზო“, „ბავშვებს — მალაიდეურები სათამაშოები“, „ლაპარაკობენ ზოოპარკის ცხოველები“, „დღე იყო საამური“, „იპონური ვირუსი“, „რევა ატომის ეპოქაში“, „ბავშვს ტირილი უნდა“, „ღიღი შემოქმედებითი გამარჯება“, „უცნობი მისამართები“...

მოდას აყოლილ წამედღურებს რომელი იუმორისტის ყურადღება არ მიუტყვევიათ, მაგრამ არლი თაყაიშვილი სხვა კუთხით, თავისებურად უღვება ამ ვადაღებულ თემასაც, მისთვის ჩანდა პიროვნების განამჟღერება, ცინიზმი.

უცნობილი, თუ რა ადამიანური ძალით იზიდავს ზოგიერთ ახლგაზრდას კინოგადაღება. მითუმეტეს, როცა მთავარ როლს შესთავაზებენ და რომელიმე კინოვარსკვლავსაც შეადარებენ. ლია ბექაური ერთი სიცოცხლით აღსავსე გოგონა იყო, როცა სკოლისაკენ მიმჭროლავს ვიღაც უნაწილი, რეჟისორის ასისტენტი გადაუღდა, ერთი წუთით, გოგონიკა შესძახა და ფილმში მონაწილეობა შესთავაზა.

ფილმის მთავარ რეჟისორს, ხანში შესულ ხელოვანს, ბატონ შალვას მოეწონა ლია, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ გათვალისწინებული როლისთვის იგი ცოცხა მსუქანი იყო და საჭიროდ ჩანთავალა ათი კილოგრამის დაკლება; მაშინ კი იგი ახმდეილად დამსხვავებოდა ოდრი მენაქრის, რაც ფილმისათვის დიდად სასურველი იყო.

სწორედ ამ დღიდან იწყება ფერხორციანი ქალიშვილის წამება. იგი თავის შეყვარებულ კახასაც არ უმხელებს უმეცარესი გასახდომი რეჟიმის საიდუმლოებას. მისავთებულ ლიას უკვე მალეუწინაობები მოსდის; ეჩვენება, რომ მისი მონაწილეობით გადაღებულ სურათზე, კინოთეატრების წინ ხალხი თავპირს ამტარებს ერთმანეთს, კილომეტრიანი რიგებია გაქიმული. ორ თვეში სახბრალი გოგონა მ კილოგრამს იკლებს, დასუსტებულს ხველება უვარდება. ტიპური ქლექიანის იერი აქვს, ლიას მარგარიტა გოტეის ხვედრი გაიზიაროს. სასოწარკვეთამდეა მისული (ამაზე პირდაპირ არაა ნათქვამი მოთხრობაში) ლიას შეყვარებული — კახა. ბოლოს იგი იპოვის ხსნის გზას; საერთო წინას გამოწახავს ფილმის რეჟისორთან, ბატონ შალვასთან, რომელიც ღვისისიერი კაცი აღმოჩნდება და ლიას უახილად, მავრს სტრიალული სახით განუცხადებს, რომ იგი ახალა როლისთვის ესპიროება, სადაც მთავარი გმირი ლოუტეწითელია; სიცოცხლით სავსე ქალიშვილი უნდა იყოს (ისეთი, როგორადაც გამოუყურებოდა ლია სტუდიაში მისვლამდე). იწყება ბევრად უფრო კომიკური უკუპროცენი — გოგონამ ორ თვეში დაკარგული მ თუ 10 კილოგრამი ამავე დროში უნდა აღიდგინოს.

მართალია, მისი დებოუტი კინოში აღარ შედგება (ლიამ სჭერ კიდევ არ იცის), მაგრამ ახალგაზრდა სიცოცხლეს საფრთხე აღარ ეშუქრება. რაც მთავარია, მალე შეიქმნება ბედნიერი და ლამაზი ოჯახი.

ნაწარმოები ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი და ასედაც იკითხება.

მიუხედავად იმისა, რომ საკმარისად უჭირდა ენადა და კალამიც, არლი თაყაიშვილს პირადი ანგარიში არასოდეს გაუსწორებია, თვითმზნურად არავისთვის უტკენია გული. ფელეტონებშიც ერთდებოდა იგი ვინმეს ხსენებას. როგორც წესი, უზნო ტენდენციებს, ზოგადად გამოვლენილ ნაკლს, ებრძოდა და აქედანაც ჩანდა, რომ მისი უმთავრესი სურვილი საერთო კეთილდღეობა იყო და არა კონკრეტული პიროვნებების ნიშანში ამოღება.

არლი თაყაიშვილის ყოველი სტრქონი ადამიანების, ყოველი სულიერი არსებისადამი უსაზღვრო სიყვარულითაა გამთხარი და სწორედ ეს ანებებს მის ნაწერს სიცოცხლისა და არ-



სებობის უფლებას. თუ რა უანგარო და სუფთა ეს სიყვარული, საამისოდ ერთი მცირე იუმორისტის — „გრილი უბის“ — გადაკითხვაც კმარა. აქ აღწერილია კიროვის ბაღის გარემო, სადაც, დასასვენებლად თუ გასართობად, ყოველდღიურად თავს იყრის სხვადასხვა ინტერესების, ასაკისა და პროფესიის მრავალი ადამიანი. ყველას თავისი საქმე აქვს, საგამოცდო კონსპექტებით შეიარაღებული სტუდენტობის გვერდით თავს ლაღად გრძნობენ კრიალოხანის მარცვლასა და დომინოს თამაშში გართული პენსიონერები, ზურგი რომ მწიხთვის მიუფიცებიათ...

„მზე კი ცხონებაა — მოხუცებს ხომ გრილი სელისგული აქვთ და სხეულიც ნახმარი ელექტრონის უთოსავით გვიან უთბებათ...“

„სხვა ჭკულს მაღალ მატერიებზე გაუჩაღებია კამათი. აქვე ნახავთ „სათვალთან ფილოსოფოსს, ხედებს რომ შლის და ეყვანა დაუწერელ დაფასავით უბნინავს. იგი ისე შინაურულად ახსენებს არისტოტელეს, როგორც ღირსეულ კოლეგას ეკადრება. გავა დრო და ჰაერზე უბრტენიოდ ნასროლი ფრაზა რომელიმე მონოგრაფიის თავფურცელს დაამშვენებს“.

რა თქმა უნდა, აქვე არიან შეგუფებული ფეხბურთის ფანატკოსები, სიყვარულ სპორტზე დავაში ღამიებს რომ ტეხენ.. „გრილი უბის“ ავტორმა გულთმისანივით იცის ყველა მათგანის ზნე და ხასიათი; რა მომენტში აუწევინ ხმას, რომელ რეპლიკაზე როგორი რეაქცია

ექნებათ, ისიც მათანაა, მათ ტკივილს სინარულს იზიარებს და ცდილობს თავისი კითხილი თვლით დაგვანახოს დიდი ხნის ნაცნობები:

„უუუურებ ამ ხალისიან სახეებს, გესმის კიროვის ბაღის მძლავრი მაქისცემა და არ გჭირა, რომ ეს ადგილი ათეული წლების წინ სასაფლაო იყო...“

... გვიან, როდესაც მთვარე ამოცურდება, სწრაფად მიმავალი ღრუბლების ფონზე კიროვის ბაღი მოგავს ხომალდს, რომელიც მათთან ერთად მიცურავს და ზღაპრულ მხარეში მიჰყავს ოცნებაში წასულ ადამიანთა მთელი ეს დასი“.

ხდება ხოლმე, სურმოებით წამოსროლილი სიტყვა, დრო რომ გავა, სულ სხვა, ნამდვილ მნიშვნელობას იძენს, სხვანაირად გახშიანდება, დაგვაფიქრებს. ამას, უმეტესად, მაშინ ვგრძნობთ, როცა ამ სიტყვის მთქმელი ჩვენ შორის აღარაა. აღრე დამოწმებულ მოკლე წინათქმაში ავტორი მისებური იუმორით დასძენს: „ამბობენ: არაბული ცხენის გული ექვს კილოს იწონისო. გული, რომელსაც არლი თაყაიშვილი ამ კრებულში გეთავაზობს, აუწონელია“.

მულამ სანანებლად დარჩებათ მეგობრებსა და აზლობლებს, რომ ამ მართლაც „აუწონელი გულის“ ფეთქვა ასე უაზროდ შეწყდა და ეს ნათელი პიროვნება ჩვენ შორის აღარ დაღის.



## ტორიკლეი კი პაინც გელოგენ

პოეტურ სარბიელზე ეთერ სახვადის გამოჩენას ზარ-ზეიმით არავინ შეხვედრია; იგი ჩუმად, მოკრძალებულად შემოვიდა ქართული პოეზიის ომახიან დარბაზში, არც თვითონ მოუღერებია ყელი და არც ქართულ კრიტიკას გამოუღვია თავი პოეტის შემოქმედების განსახილველად. ამის მიზეზი თვით ე. სახვადის ლექსების, თუ შეიძლება ითქვას, „უხმაურო“ ბუნებაშიც განაპირობა.

ახალს არაფერს ვიტყვი: პოეტი იმითაა სინტერესო, რითაც სხვათაგან განსხვავდება. იგი ჩვეულებრივი სიტყვებიდან, ანუ ვულგარული შედარება რომ ვისმაროთ, საშენი მასალიდან ჰქმნის ახალსა და განუმეორებელს, შეიძლება ვეებერთელა სასახლეები არ წამოჭიმოს, შეიძლება პატარა ბაღია გააშენოს მხოლოდ, მაგრამ თუ იმ ბაღიაში მარტო მისეული ყვავილების სურნელზეა ტრიალებს, პოეტის მიზანი უკვე მიღწეულია. არ მინდა ე. სახვადის პოეზია ვინმეს დაეუპირისპირო, მისი ლექსის მხატვრული ღირსებების დასაბუთება უამისოდაც იოლია, მაგრამ ჩემის აზრით, ძირითადი, რითაც პოეტის სამყარო სხვათაგან გამოირჩევა, სწორედ ეს ჩუმი, მანერულობაა და პომპეურობას დაშორებული სტილია. იგი ყოველთვის ცდილობს და ახერხებს კიდევ, მხოლოდ იმაზე გველაპარაკოს, რაც ნამდვილად განუცდია, შეუგრძენია და რასაც გულაღალად ესათუება.

აზროვნების სტრუქტურით ე. სახვადე თანამედროვე პოეტია, დღევანდელიობის სულიერი პრობლემატიკითაა დატვირთული ერთი შეხედვით წყნარი, უპრეტენზიო ლექსება. ხშირად იგრძნობა იმ შინაგანი ჭიდილის კვალი, რომელსაც ავტორი შეგნებულად ნიღბავს, მაგრამ პოეზიის ღირებულება ხომ მაინც ტკივილითა „გაღამაღვის“ ფონზე ამოაზრდება ხოლმე: „მე ვტი შიგანში გველემშაისა და დანახავით ელავენ მხოლოდ ჩემი ფიქრები“.. ღამის სურათია ლექსში აღწერილი, აღ-

წერილი კი არა—დახატულია მხატვრის თამამი ფუნჯით. ეს სახე ზღაპრის ჯაღოსნურ სამყაროსაც ეხმიანება, გველემშაის შიგანში დანთქმული ამირანის მითოსური სახე ამოტივტავდება ცნობიერებაში და დანახავით მოვლვარ ფიქრები კი მეოცე საუკუნის ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის ხატად წარმოგვიდგება. პოეტის იარაღი, მისი დანა თუ დაშნა ფიქრი ყოფილა მუდამ, ფიქრი და სიტყვა. ფიქრებით და გრძნობებითაა მთლიანად ნაქსოვი ეთერ სახვადის როგორც ადრინდელი, ასევე ახალი ლექსების კრებული „ცის სიახლოვე“.

მთელს წიგნში დავანებულა რაღაცნაირი მყუდრო ნეტარება, ვგრძნობთ, რომ მისი პოეზიის შინაგანი იმპულსი პოეტის სულიერი ცხოვრებიდან იწყება. იგი იუველირის სიფრთხილით არჩევს მხოლოდ თავისეულ, მაგრამ თავისთავადაც პოეტურად ფასეულ და სინტერესო მხატვრულ სამკაულებს. წერს მოკლედ, ლაკონურად, რაც ერთ სტრიქონში დაეცემა, იმაზე მთელ სტროფს აღარ წაიმღერებს; გრძნობს ლექსის კომპოზიციას თითქმის ყოველთვის უფთომლად. პოეტური აზრი მოკლე, ხსარტულა ფორმის ლექსებით კრისტალდება, მართლაც ბაღიაში დილით ათასფრად აბრწყინებული ნაშის ციმციმსა შავს ეს ლექსები, ოღონდ შზის სხივი დაეცეს და მაშინვე თვალისსაამოდ იწყებენ ბრწყინვას. ეს შზის სხივი პოეტისთვის მეთხველის კეთილი თვალი და მგრძობელი გულია. სხვათა შორის, ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს, მეოცე საუკუნის ათასჯვარ ძრავათა გუგუნით გამოქედილი ჩვენი სმენა მთელი სისრულით ვეღარც კი აღიქვამს ლირიკის უნაწეს სუნთქვას. აჩქარებული დროის რიტმი ხაღვაც შეუჩერებლად მიაქანებს ჩვენს გულისსურს და ტორიკლეების გალობა მღვრიე ხმაურითაა გადაფარული... ტორიკლეები კი მაინც გალობენ, გალობენ თავდავიწყებით, მთელი გულითა და არსებით; მათთვის მზე ისევე მზეა ხაღვცნობ და



მიწა — მყუდრო, მშობლიური დასაყრენი. ამ  
მზისკენ, ამ ცისკენა მიმართული პოეტის  
მზერა:

საფეთქლებს ქვისას ცხელ თითებს ვავლებ,  
ავახელ თვალებს დაბინდულს ცრემლით,  
იმგვარ ტკივილით ავახელ თვალებს,  
რომ ზეცამ იგრძნოს შეხედვა ჩემი.

ეს არ არის ცისათვის თავისმოწონების,  
სხვათა თვალში ამაღლების პატივმოყვარული  
სურვილი, ეს არ არის ცერებზე შემდგარი,  
მოყუდულადვე აღამიანის პოზა. ეს არის მხო-  
ლოდ წამიერი გაელვება იმ აღამიანურა  
გრძნობისა, როცა საკუთარი სულის სიწრფელე  
გინდა მთელ სამყაროს გაუზიარო... ნამდვი-  
ლად კი ე. სახვადის, როგორც პოეტისა და პი-  
როვნების ავტობიოგრაფიულად ეს სტრიქონები  
უფროა არსებითი:

აწ იგი მინდა,  
გავიფანტო, ვიქნე ურიცხვი,  
უხილავობით გამოტერჩე  
უხილავთ შორის...

ეს „უხილავობით გამორჩევა“ ალბათ უკე-  
ლადე უწმინდესი ვალია პოეტისა და პიროვ-  
ნებისა. ამ „უხილავობითა“ სახილველი თუნ-  
დაც ეს „პატარა“ ლექსი:

მე თუ შენს წინა  
სიტყვა ვთქვა მცდარი,  
განმაძე ქვეყნით, ცოცხალიც, მკვდარიც,  
და მომიხურე შავი ზღვის კარი,  
და მომიხურე კავკასის კარი.  
თუ საქმით გცოდო,  
შენ, შენი ღმერთი,  
მომწყვდიტე მიწას,  
დამკარგე ცაში...  
მაგრამ თუ ბრალი ვერ დამდო ერთიც,  
მაშინ, მაშელო,  
რას იტყვი მაშინ?

ამ საკმაოდ თამამ და მწარე კითხვანე პა-  
სუხის გაცემის სურვილით არ დაწერა, რა  
თქმა უნდა, ეს ორიოდ გვერდი. მამული უც-

თომელია და მხოლოდ დროებით თუ <sup>გერეგა</sup>  
შავი თეთრში. დროის მღვრიე მდინარე თან-  
დათანობით იწმინდება და ამ მდინარის ფსკერ-  
ზე გარკვევით მოჩანს ხოლმე შლამიცა და ფე-  
რადი კენჭებიც. ვისი ცხოვრებაც სულიერი  
სიწრფელითა და ზნეობრივი სისხეტაკითაა დამ-  
შვენებული, მხოლოდ მას შეუძლია შინაგანა  
უღრტკინეველობით შეხედვს „ტიალი წუთი-  
სოფლის“ განუკითხავ სრბოლას და მისი საზ-  
ღაური ალბათ ისევ და ისევ ერთხელ არჩე-  
ული გზის ერთგულებაშია. ამ გზაზე ტკივილი-  
ცა და სიხარულიც ორ მოუშორებელ ლანდელ  
მიხვეება პოეტს: „ჩემო ტკივილო, შენი მძიმე,  
მუქი ხაზებით, ვერ წარმოიდგენ, რაწინარად  
მეძვრფასები: როგორც ზღვა ხმელეთს, ჩემს  
სიხარულს უვლი გარშემო და უღვენ სახეს,  
უღვენ ნაპირს, საზღვარს, არშიას. არის ჰილნი  
თქვენ ორ შორის და გული ღელავს, შენ  
რომ არ მყავდე, უსახურად მექნება ღხენაც...  
ხან სიხარულის წითელ ხართან შეწყველებუ-  
ლი ხარ შავი ხარი და ეწვეით ტვირთს დიდუ-  
ბულად... მოკვდები ორთავ აბღვალდებით  
ლომთავებ მაშინ, წახვალთ-წამოხვალთ: ერთი  
ქვესქენელს, მეორე — ცაში“.

ისევ მთლიანად გაღმოვიწერე, რადგან ძნე-  
ლია ე. სახვადის ლექსებიდან ციტატების გამო-  
ყოფა. შეკრულ-შემომტიცულობა მათი საზ-  
ღვრები. კომპოზიციის ლაკონურობით ისინი  
იამონურ ტანას მოგვაგონებენ, ხოლო ოდნავ  
არქაული ელფერი ამ ლექსების პოეტისა  
ქართული კლასიკური პოეზიის სათავეებისაკენ  
მიგვანიშნებს.

ამ წიგნში არაფერია შემთხვევითი, და ცხა-  
ლია, არც წიგნის სახელწოდება „ცის სიხლო-  
ვეა“ ნებისად მოსული. ცა ლექსიდან ლექსში  
სხვადასხვა ვარიაციებით მეორდება ამ კრებუ-  
ლში. მაშინაც კი, როცა პოეტი მიწაზე ფიქ-  
რობს, იმგვარი სტრიქონები დასცდება: „შენზე  
რომ ვფიქრობ, ცას გავყურებ, იქ მყავდე თი-  
თქოს“.. გამართლებულია ეს ცისკენ დაუინე-  
ბული ცქერა, რადგან ციდან ხან მზის უშრეტე  
ელვარება იღვრება, ხან ვარსკვლავთა იღუმა-  
ლი ციმციმი ჩამოდის და ხანაც შთაგონების  
მაღლიანი ნაპერწკლები ცვივა...



# „გაუა-ფშაველს თსჯულაგათს ტაქსის ღადგენისათვის“

ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმაზე, რომ ქართველ კლასიკოსთა ლიტერატურული მემკვიდრეობის დადგენა-გამოცემის საქმეს დიდი უპრადღება, მძიმე მუშაობა და რუღუნება სჭირდება, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ამ მხრივ ხშირად მრავალი ხარვეზი იჩენს თავს, რისი მიზეზიც უწყრადღებობა, საქმისაღმდეგ უგულოდ მოპყრობა ნამდვილად არ არის, არამედ, პირველ რიგში, ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების მცნებურული, ტექსტოლოგიური კვლევის არასაკმარისი დონე. ამიტომაც, ამ მხრივ გაწეული უფრედგვარი შრომა, თუნდაც ერთი ხიტყვის თავის უფრედებში აღსაღდენად, უთუოდ მისახალმებელია.

კერძოდ, დღევანდელი მსჯელობის ხაგანი, ალ. შინნარაშვილის ხასლი ნაწროში — „გაუა-ფშაველს თსჯულაგათს ტექსტის დადგენისათვის“ — ნამდვილად ფასეული შენაძენია ვაუა-ფშაველს ტექსტოლოგიური თუ ენობრივი კვლევის საქმეში. წიგნის მნიშვნელობას იმიტაც კი გაუწვადებულად ვიგრძნობთ, უბრალოდ, რადენობრივი თვალსაზრისით რომ შევხედოთ ბოლოში დართულ წიგნში გახსნილ (ე. ი. მცდარ და შესაბამის ხწორ) ხიტყვა-ფორმათა ხაძიებელს, რომელიც 1800-ზე მეტ ერთეულს შეიცავს.

ნაწროში არა მდღიარი ფართო ენობრივი თუ სხვა ზოგადი ხასიათის მსჯელობებით — იგი ფაქტების ენით ლაპარაკობს და თავისი ხასიათით, პირველ რიგში, ტექსტოლოგიური, რაზეც თავებად დაუფრის პრინციპიც მიუთითებს (გრაფიკული, კორექტურული, მექანიკური, პუნქტუაციური-ორთოგრაფიული და სხვა ხასიათის შეცდომების გამოყოფით), მაგრამ ვაუა შემოქმედების მეცდევარა, ჭერჭერილობით, ხანამ ახალი აკადემიური გამოცემა არ გაკეთებულა, ამ ნაწროში ვერ ვახსცდებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გარკვეული უზუსტობებისა და შეცდომებისაგან არ იქნება დახვდებული.

ავტორისა თუ გამოცემისმერი შეცდომები მწერლის მემკვიდრეობას ორმხრივ ზიანს აყენებს, ჭერ ერთი, აზრს აბულდონებს, ხაძიქმელს ამრუდებს, შინარსს ჩრდილავს, მეორეც, ნაწარმოებთა ენობრივ ქსოვილს რყვნის, მდი-

დარ დაღექტურ მახალს აღარბებს; მცდარ წაკითხვათა თუ განზრახ უარყოფილ ფორმათა ერთიანობა ქმნის ვაუა-ფშაველს ენის თავისებურებებს და მათი აღდგენა თავის უფრედებში, მართლაც რომ, საშური საქმეა.

მთის დაღექტებიდან მომდინარე მრავალი ხაინტერესო წარმოება და გრამატიკული ფორმა დარჩილილთა ვაუა ნაწერებში გაუგებრობისა თუ გამოცემელთა ენობრივი „მეურვეობის“ გამო. მაგალითად, გამოცემებში: თრგზნ ლბ შარი IV, 140, 15; ალდე I, 66, A, 21; რაც ასე ხწორდება: თრგზნ-ლ, ნაბარი, ალდე-ლ, ასეთი დაწერილობა მთის დაღექტებისათვის დამახასიათებელ ენკლიტიკას (და კვერის წინა ხიტყვასთან მიკვრას) ახახავს. სხვა შემთხვევაში ორმაგთანდებულისა ლოკატივის ნაცვლად: სხსშიტი, ცხენში-ნიტი, ჯარშიტი... დაბედილია: სხსშიტი V, 158, 34; ცხენ ზიტი V, 87, 11; ჯარ-შიტი III, 46, 2; ასევე უნდა იყოს: უნდარის, ვეზდარის (ვევადე-ა), მიმბობდით... არის კი: უნდარ, რის V, 388, ვეზდარ II, 15, A, 17; მიმბობდით III, 420, 18; და მრავალი მისთ.

წიგნიდან მრავალი მაგალითის მოყვანა შემოძება გონებაშავილური მიგნებისა და უარრესი ლაკონიზმის ნიმუშად, მაგრამ ეს, ცხადია, შორს წავიყვანს. ერთი გახწორება მინც საგანგებოდ უნდა გამოვყოთ: პოემა „აღუდა ქეთელაური“ თემი ეუბნება აღუდას: „გაუა-რჯულაგათს არჯულუმ, შენ ეგ არ შავადებისა“ (II, 36, წ, 12). მუცალი რომ ურჯულა, ცხადია, მაგრამ ციტატიდან ის გამოდის, რომ იგი რწმენაშეცვილი — ურჯულილ ქვეული — ყოფილა; ეს, რა თქმა უნდა, ასე არაა; და მეცდევარი ხამართლიანად აღადგინს აქ დაღექტურ „გაუა-რჯულაგათს“ ფორმას, ე. ი. აღუდას ეუბნებინ: რისი „გარჯულაგათს“ (რჯულად, წესად მიღება) არ შეიძლება, იმას „არჯულუმ“, დაახლოებით, მხატვრულად რომ ვთარგმნოთ, დაუშტკიცებულა ამტიცებ, უკანონოს აკანონებ, გაუგონარს ლაპარაკობ. როგორც ვნდავთ, აზრი სულ სხვა და მუცალის „მორჯულაგათს“ სულაც არ ებება.

მახალისაღმდეგ კრატაკული მიდგომის მეტყველი ნიმუშა ერთი თავი (კვტორისეული



ლაფსუნები ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ტექსტში“), სადაც 46 მუხლად თვით ვაჟას ზედიდან გამოხული შეტყობება განხილული. ეს მაგალითები იმიტოვან საგულისხმო, რომ მწერლის სახელსახელოში გვახედებენ, შემოქმედებით პროცესს გვანუგებენ, მის ფსიქოლოგიას გვიხსნიან. უცვლელად მოვიყვანო ერთ ნიმუშს: „ციხელი შუაფხოში იყო მკითხველან (ჩარგლიდან წავიდა ზემოთ). იქიდან დაბრუნებული ჩარგალში ბავშვებს უყვება ამბავს, თუ როგორ მიდიოდა ზევით: „წამომკმდე იქით, ნაწვეთაში რო მოკმდე, პური მოშვივდა (III, 422, 86). შემდეგ კი განაგრძობს: „გავთავე პურის ჭამა, ავდექ, წავიდი.“ უნდა: „წავედ“, „მივიედ“. როგორც ჩანს, ვაჟამ (resp. ციხელმა) წინა თხრობისას თავი შუაფხოში დააყენა ქვედნობიერად, შერე კი რეალურ ფიქსირებას დაუბრუნდა“ (გვ. 28, მუხ. 37).

გამოცემებში დამახინჯებულია უამრავი საგულისხმო ლექსიკური ერთეული. საერთო სურათის წარმოსადგენად უფრო დამახინჯებულ ნიმუშებს ჩამოვთვლით (პირველად მართებული ფორმა და სახელმწიფო, შემდეგ — მცდარი):

წინანაბაშკოხელი (წინანი-ჭამს, საყვედურის სიტყვაა, ნიშნავს „ლატაკს“) — წინან ბაშკოხელი IV, 264; 26; ქვედნობიერი — ქვედნობიერი I; 231 B, 14; შხითათანი V, 105, 87; ზღაპრები (სიბი ქვა) — წყავებე IV, 582, 21; ზრე (ისრის ბუნი) — წრო; ყუნჯე (ყუნჯე); ყუნჯე; ბვრინვა — ფრინვა; უშხარმა (ბრმა) — უხარმა; ნანონა — ნანონა — ნანონაზე და სხვა მრავალი.

ცალკე უნდა აღინიშნოს ფორმათა მართებულიობის მტკიცების გზა: სრულიად აშკარა შეტყობათა სწორებისასაც კი მკვლევარი საარგუმენტაციოდ ყველა შესაძლებელ შემთხვევაში იყრდნობა ხელნაწერებსა და (თუ იხიანი არ არის) პირველნაბეჭდებს; წიგნი გამოცემებსა, პირველნაბეჭდებსა და ხელნაწერებზე დიდი ხნის სავანებო მუშაობის შედეგია (ეს შედეგი უფრო ადრე „ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში“ (1988 წ.) აისახა). მხოლოდ ასეთი საიმედო მასალის ნაკლებობის შემთხვევაში ხდება სწორება დალექტების ან მწერლის ენობრივ მონაცემებთან მიმართებით.

უძველესია, ჩვენს ხელთა მნიშვნელოვანი ნაშრომი, მიღებულია საგულისხმო შედეგები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

როცა ასეთი მოცულობის სამუშაოები უნდა იქნება, ცხადია, შეუძლებელია ყველა მუხლსა და სტრიქონს საბოლოოდ გადაიჭრას, ზოგჯერ მიდგომა შეიძლება სუბიექტურად აღმოჩნდეს, მონალოდნელია სადავო საკითხების წამოჭრა; თვითონ ავტორი ნაშრომის დასაწყისში წერს: „წინამდებარე ნაშრომს ვაჟა-ფშაველას თხზულებათა ტექსტის საბოლოო დადგენის პრეტენზია. ცხადია, არ აქვს...“ და „ჩვენ არ ვთვლით, რომ ყველა ჩვენი გასწორება უდავოა“ (გვ. 6).

ამის მცირე ილუსტრაცია თვით ნაშრომის ახლავს:

წიგნის ბოლოში მოყვანილია ისეთი ციტატები, რომლებშიც საეჭვო, მაგრამ ახსნადი უძებნელი ფორმები შეჩნდებილი, „იმიტომ, რომ შეიძლება ვინმე მათი ახსნა მოახერხოს, რომელზე სიტყვა ვინმესთვის ნაცნობი გამოდგება“ — (გვ. 170).

ამათგან ერთმა მიიქცია ყურადღება: „ბნისშირბ როზგები და შეიკრა ახალი, მაგრამ არ იქნა, საქმე წორმა (წრეზე?) მაინც არ წავიდა (III, 246, 11). არ აღმოიფხვრა ბოროტმოქმედება“. ვაჟს ენაში გვხვდება სიტყვა „წარმა“, რაც „მცირე ლექსიკონში“ ასეა განმარტებული: წარმა — „ლიწაბა“ (ვაჟა); წწწწწწ; წწწწწწ. წწწწწწ და წწწწწწ... ამბავი ბნისშირბ (ბნისშირის ილბალი). ზემოთ შეიძლება სწორედ „წარმა“ იყო, და „წორე“ გრაფიკული აღრევის შედეგია, მნიშვნელობით: წწწწწწ; უფრო ფართოდ: როგორ, რიგანად, წაღწადად. ჩანს ფორმა წარ-მნიშვნელობა ნაწარმოები. იმავე წინადადებაში მეორე საყურადღებო ფორმა „ბნისშირბ“, რაც ლექსიკონში კითხვის ნიშნითაა განმარტებული ამ ერთი მაგალითის საფუძველზე — გაცვება (?). თუ აქ „გამოწირვა“ სიტყვასთან საერთო ფუძე არა გვაქვს, შეიძლება იყოს: ბნისშირბ (შდრ. ქვედნობიერი), ანდა: გაიხობა (?).

ნაშრომი დასრულებულია მოკლე და მკაცრი დასკვნით, რომ „ჩვენი დიდი პოეტის თხზულებათა ტექსტი ძალიან არის შერყენილი“, რომ ახალი კადემიური გამოცემა დიდ შრომას საჭიროებს და „დროა ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეს ბასუსის-მგებლობით მოვკაცოთ“.

ეს წიგნი დიდ ვაჟასაც უთუოდ გულს მოუფრებდა.



## შრომისა და სიყვარულის მგალობელი

როცა აღამიანი ძალიან გიყვარს, მასზე წერა გიძნელებს, მღელვარება გიპყრობს, ვაი თუ ისე ვერ სთქვა, როგორც მას შეეშენის, მას ეკადრება.

სწორედ ასეთი გრძნობა დამეუფლა, როცა ჩვენს სახელოვან პოეტზე, დრამატურგსა და საზოგადო მოღვაწეზე მარია ბარათაშვილზე პატარა წერილის დაწერა გადაწყვიტეთ.

მოგესხენებოთ, სულ ახლახან სამშობლოსა და ხალხის წინაშე დავწამოხილ პოეტ ქალს დაბადებიდან სამოცდაათი წელი შეუსრულდა. ეს რაღაც დაუჭერებლად გვეჩვენება, ქალბატონი მარია სომ კვლავ გვხიბლავს თავისი მშვენიერი გარეგნობით, მუდამ მომღიმარი სახით, კეთილი გულით, და რაც მთავარია, ახალგაზრდული სიხალისით. ასე რომ გვათბობს და გვიზიდავს მის მეგობრებს.

ახლა მისი ცხოვრების დიდ გზას გავხედოთ, რა ნაყოფიერი იყო იგი, რა სახელოვნად განვლო წელთა სიმრავლე! თავისი მოღვაწეობით, რა დიდი კვალი დააჩინა თანამედროვე ქართულ საბჭოთა მწერლობას. რამდენი კარგი ლექსი შეისმინა ჩვენს სიტყვაკაშმულ ლიტერატურას, რამდენი პიესა ახშიანდა თეატრის სცენაზე და ამეტყველდა კინემატოგრაფიაში.

განა შეიძლება ოდესმე, რომელი თაობის აღამიანიც არ უნდა იყოს იგი, აღტაცებაში არ მოვიდეს ხალასი იუმორითა და დიდი აღამიანური სიყვარულით აღსავსე პიესა „ქრიკინათი“, რომელიც საბჭოთა კავშირის 170 და საზღვარგარეთის 20 თეატრში დაიდგა, ახლა რამდენ უცხოურ ენაზე ითარგმნა იგი, რა დიდი მოწონება ზედა ამ პიესის მიხედვით დადგმულ კინოფილმ „ქრიკინას“.

მარია ბარათაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელია დიდი აღამიანური სითბო, გულწრფელობა, სულიერი სიუფაქიზე, გრძნობათა სიწმინდე, სისადავე. პოეტი ელტვის ყოველივე

მისი თვლით დანახული, განცდილი ჩვენს გულეზამდე მოიტანოს, შეგვისისხსლობრცოს. თავისი ცხოვრების კრელო პოეტმა კარგად გამოხატა ლექსში „მე გულის კარი გავხსენი ფართოდ“, „მე სიყვარულით დამდინდა ცრემლი და მისი ძალით დავდექე გალობად, კეთილ ბუნებას, მაღლობა ჩემი, ასეთი ჭილდო რომ მიწყალობას“ და პოეტი ელტვის, ბუნებით მომადლებული ეს ნიჭი ხალხის სამსახურს შეაღიოს. „უნდა მოვასწრო, უნდა ვინჭარო, ბევრი რამ ავხსნა, ბევრი გავიგო, რომ ქვეყნად ჩემმა ნერგმაც იხაროს და მწყობრში ჩადგეს სათადარიგოდ“ („დღე დღევანდელი“).

არ შეიძლება არ მოიხიბლოთ პოეტის მიერ დანახული ფერადოვანი სამყაროთი, ასე ხატოვნად რომ წარმოგვიდგენს სამშობლო ქვეყნის ველ-მინდვრებს, მის ყვავილეთს, „საპოვნელა“ — ქართული ლექსის ეს მშვენება დიდი ხანა შეიყვარა ჩვენმა ხალხმა და იგი სიმღერადაც აქცია. მაგრამ რამდენი ასეთი მარგალიტია პოეტის ლირიკული ლექსების კრებულში „მე და ის“, აი თუნდაც იმავე 1948 წელს დაწერილი ლექსი „მინდა მას ვკითხო“ „წუთით შეჩერდით, მეგობარო, აგერ, ამ კვალთან იცი? ამ ყვავილს ეწოდება „ღამის ლაშაი“. მას ბნელში უყვარს გამოხელა მომხიბლავ თვალთა და მათრობელი სურნელებით შაერს ანაზებს“. აი კიდევ „ერთი ფოთოლი“, „რა ვარ? ვინ ვარ? — ერთი ფოთოლი უმშვენიერეს სიცოცხლის ხისა... დედაბუნებამ ჩამთვალა ღირსად, მის მცირე ტრატზე მეცხოვრა თრთოლივით“.

პოეტის ლირიკაში დიდი ადგილი უყავია სამშობლო ქვეყნის სიყვარულს. ამ თემას ეძღვნება მისი საუკეთესო ლექსები: „საგალობელი“, „ხალხო, მშობლიურო“, „საფარა“ და მრავალი სხვა.

მ. ბარათაშვილი დიდ გულისტიკვილს განიცდის ნასახლარების, ნასოფლარების მომრავლე-





ბით „მიუტჩებულა ბედელ-მარანი, ოჩოფებებზე თვდელს სასიძინდე... დაღის სიჩუმე გულმეშა-რაჯო და ძნელ საფეკრალს ჩამოგვირიგებს, ვინ გვიპატრონოს, ვინ გვიქვიმოს, შეგვიპყრო სენმა დავიწყებისა“...

მიტოვებული სოფლებით გამოხატული სევ-და მარცხ ბარათაშვილმა უფრო ადრე, 80-იან წლებში გამოხატა თავის პიესაში „ჩემი ყვავი-ლეთი“, რომელიც მარჯანიშვილის თეატრში და-იდგა.

მარცხა ბარათაშვილი ათი პიესის ავტორია,

რომლებიც დაიდგა და იდგება ჩვენი ზეპირ-ლიკის თეატრების სცენაზე. ამ პიესებში მწე-რალს საზოგადოების სამსჯავროზე გამოაქვს ცხოვრების ყოფაში ჩაძირკული მესწინაობა, მომხვეჭელობა, უნიათობა, პარაზიტობა. ამჯე-რად ნიჭიერი დრამატურგი მუშაობს ახალ პიე-საზე, „ოთხნი კაფეში“, რომელიც ქორწინებისა და ოჯახის პრობლემას ეძღვნება.

„ციცკრის“ დავალებით ვესაუბრე მარცხა ბა-რათაშვილს, გთავაზობთ ამ საუბარს:

— ქალბატონო მარცხა, როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები პოეზიაში, როდის დაწე-რეთ პირველი ლექსი, იქნებ გვიამბოთ თქვენს ოჯახზე, თქვენს ბავშვობაზე?

— გავიზარდე ჭიათურაში, პედაგოგების ოჯახში. ჩემმა მშობლებმა საზოგადოების დახმა-რებით, სოფელ მერევეში სკოლა გახსნეს, ამ სკოლას დედაჩემი ხელმძღვანელობდა. შემდეგ მისი ავადმყოფობის გამო, ჭიათურაში ვადმოსახლდით და აქ მივიღე საშუალო განათლება.

ჩვენს ოჯახში იკრიბებოდნენ მამის მეგობრები: იროლიონ ევლოშვილი, კიტა აბაშიძე, გი-ორგი ზღანდევანი, არჩილ ჭორაჭაძე, შიო მღვიმელი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. იმართე-ბოდა ლიტერატურული დისკუსიები, საუბრები. მე ამ საღამოებს ვესწრებოდი, ხარბად ვისმენ-დი მათ მსჯელობას. ამან ბევრი შემიძინა. პოეზია კი ჩემმა ბებიამ — სალომე ლაშხმა შემაყვარა.

ბებიამ შემაყვარა სოფელი და ამიტომ ისე ღრმად შემოვიღა ჩემს სულში, მახსოვს, იტყო-და ხოლმე: — როცა აღარ ვიქნები, ჩემი ბუხრიდან კვამლი აღარ ამოვა და ჩემს ეზოს უჯან-გარი გადაუვლისო.

მე ვამშვიდდები, — სანამ ცოცხალი ვარ, შენი ბუხარი არ გაცივდება-მეთქი. ამ ფიციანთ-ვის დღესაც არ მიღალატნია, მის ნაფუძვარზე პატარა სახლი ავაგე და შევბუღებას იქ ვატა-რებ. ჩემი შვილები და შვილშვილებიც ხომ სოფლის ხშირი სტუმრები არიან.

ბავშვობის წლებში ლექსებსაც ვწერდი, შემომჩნა კიდევ ლირიკული ლექსების ერთი რვეული, მაგრამ მისი გამოქვეყნება მაშინ არც მიფიქრია.

— მაშ, პირველი ლექსი როდის დასტამბეთ, როდის ეზიარეთ დიდ მწერლობას?

— პირველი პოემა „ნანული“, ჩემს გოგონას მივეძღვენი, ეს პოემა ფეხბედნიერი აღმოჩნ-და, ის რუსულად, უკრაინულად, თურქმენულ ენებზე ითარგმნა.

პირველი ლექსები 1935 წელს გამოაქვეყნე „ჭიათურის მაღაროელის“ ფურცლებზე, და რა გასაოცარი იყო ჩემთვის, როცა ეს ლექსები გაზეთ „კომუნისტმა“ გადაბეჭდა.

შემდეგ მას მოჰყვა პირველი წიგნი „ყაჩაღანა“. საბავშვო პოეზიიდან გადავედი ლირიკულ ლექსებზე, ვებუღადე ეურნალ „ჩვენს თაობაში“, რომელიც „ციცკრის“ წინამორბედი იყო.

მახსოვს ომის წლებში დიდი მოწონება ზედა ჩემს ლექსს „მომიხვალ, მკერა“. იგი საფ-რონტო გაზეთებშიც გამოქვეყნდა და არა ერთი მაღლობის წერალი მივიღე ჩვენი მეომრე-ბისიდან.

— როგორი იყო დრამატურგიაში თქვენი პირველი ნაბიჯები?

— მივატყვისებოთ, თეატრი რა დიდ ზემოქმედებით გავლენას ახდენს ადამიანებზე. აქ მწე-რალი უფრო ფართო აუდიტორიის ესაუბრება და გადააწყვეტებ, ჩემი გულის სატკივარი, რაც ცხოვრებისეული სიავით იყო გამოწვეული, უფრო გაბედულად მეთქვა ხალხისათვის.

1948 წელს პირველი პიესა „მადლი ოცნება“ დავწერე, მას მოჰყვა „რატიომ“, „ჩემი ყვავი-ლეთი“, „სიყვარულის წისქვილი“, „სართულები“, „ჩაბერი მატარებელი“, „ცეკვა-სიმღერის მას-წავლებელი“.

— როგორც „საქართველოს ქალის“ რედაქტორი, რას გვეტყვით თქვენი მოღვაწეობის შე-სახებ ამ ურნალში?

— ეურნალის წინაშე დაყენებული პრობლემების გარშემო საუბარი შორს წიგვიყვანდა. მოგვხსენებოთ, რა დიდი ამოცანები დგას დღეს ჩვენი რესპუბლიკის წინაშე და რა როლი ეკის-რება ქალს ამ დიდი საქმის გადაწყვეტაში.

მე, როგორც შემოქმედს, ეურნალში მუშაობამ ბევრი მომცა. აქ თითქოს უფრო ახლოს ვარ ხალხთან. ვიღებთ უამრავ წერილს, გამოხმაურებებს ჩვენი ეურნალის ფურცლებზე გამოქვეყ-ნებულ სტატიებზე, გვებადება უამრავი თემა.

დანგრეული ოჯახების პრობლემა და ამ ნიადაგზე უმამო ბავშვების აღზრდა ჩემი მთავარი საკითხია.  
„ფრთხილად, სასიკვდილოდ“ თეზად იქცა.

ასეთი ცხოვრებისეული პრობლემები ბევრი ისახება ჩვენს მკითხველებთან ურთიერთობაში.

— რას უსურვებდით ჩვენს ახალგაზრდობას?

— უპირველეს ყოვლისა, ბედნიერებას, ჯანმრთელობას, მშვიდობას ამ ქვეყანაზე, შრომისადმი სიყვარულს, ყოველივე კეთილს.

მე სიამოვნებით ვკითხულობ „ცისკარს“, ინტერესით ვადევნებ თვალს — ვინ მოდის, ვინ გვეზრდება. უზომოდ მახარებს ნიჟიერი ახალგაზრდის გამოჩენა. საშინლად მაწუხებს იმათი ბედი, ვინც თავის გზას ვერ მიაგნო ცხოვრებაში.

ჩემი ფიქრით, მომაკვდინებელი ცოდვია, როცა რომელიმე ახალგაზრდის წიგნი გამოვა და იგი სათანადო შეფასებას არ ჰპოვებს. მსჯელობა ახალ წიგნზე აუცილებელია, ეს ავტორს ახალისებს, ესმარება მას შემდგომ მუშაობაში.

მარცხ ბარათაშვილის დეაწლი ხამშობლოსა და ხალხის წინაშე ღირსეულად აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოთი — წითელი დროშის ორდენით. „ცისკარის“ მრავალრიცხოვან მკითხველებთან ერთად ჩვენს საყვარელ პოეტ ქალს ვულოცავთ ამ სახელოვან ჯილდოს, ვუსურვებთ დღეგრძელობას, ახალ შემოქმედებით სიხარულს.



# ზურჩილება

სულხან შორაქანიძე

## სიფხვის ესთაფიკა და ესთაფიკის კანონები ჰაჟა-შაჰვედას პოეზიაში

მასხს პოეტური ენა, რომლის თაობაზე მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი გამოთქმულია, მხატვრული აზროვნების ისეთ ნიმუშებს წარმოგვიდგენს, რომლებიც, საერთო ჯამში, ვერ თავსდებიან ვერავითარი ესთეტიკური „კანონების“ ფარგლებში. აღმათ მათ შემქმნელსაც კი გაუჭირდებოდა იმის ახსნა, თუ რა გლემენტები დაედო საფუძვლად ამა თუ იმ ენობრივ ხატს, რა პროცესების შედეგია ესა თუ ის პოეტური მარგალიტი — გენიოსი ხომ იმავე კანონებით მოქმედებს, რომლებითაც თვით ბუნება ხელმძღვანელობს... მის ენას იმდენი ღირსება გააჩნია, რომ შეუძლებელი უნდა იყოს მათი ერთობლივად გაგება და სათანადო შეფასება. მხოლოდ ცალკე აღებული, ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ თუ გავიხსენის რომელიმე მათგანი თავის საიდუმლოს.

ეს აზრი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოსდა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ფასი მხატვრულად კარგად ნაპოვნი ფორმით განისაზღვრება და მხოლოდ მშვენიერების ცნებას პასუხობს — მის სიღრმეში უზადოდ დამუშავებული ლოგიკური სქემა ძევს. ღრმა აზრისა და ბრწყინვალე ფორმის მარმონიული ერთიანობა განსაზღვრავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მეგვიადრეობის ღირებულებას. ენობრივი სტილისა და ლოგიკური შინაარსის ამგვარი სიმბიოზი ხავესებით ბუნებრივადია.

ვაჟა-ფშაველას პოეტური მეტყველების ანალიზის პროცესში მკაფიოდ გამოიხატება ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი დეტალი: მისი ტროპები

და შედარებები გამოირჩევიან განსაკუთრებული ორიგინალობით. ორიგინალობის არსი, იმ რაკურსიდან, საიდანაც ჩვენ ამ შემთხვევაში ვჭვრეტთ ტროპსა და შედარებას, იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის შეუძლებელია ხოლმე მათი წინასწარმეტყველება ტექსტში. ტექსტში ენობრივი ფენომენის წინასწარმეტყველების პრობლემით ბევრი ენათმეცნიერი არის დაინტერესებული. მეტნაკლები სიღრმით ამ საკითხის გაშუქებას ვხვდებით ისეთი მეცნიერების შრომებში, როგორიც არიან შენონი, ლაიონზი, მილერი, გალბერინი და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას ამ საკითხს უთმობს შენონი ყველაზე უფრო მარტივი ინტერპრეტაციით, რაც უფრო მოულოდნელია ესა თუ ის ენობრივი ფაქტი ტექსტში, მით მეტ ინფორმაციას გვაწვდის ის და, პირიქით, რაც უფრო მოსალოდნელია, მით ნაკლებს. ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას ენა უადრესად ინფორმაციულია. მოულოდნელია, მაგალითად, შემდეგი შედარებები:

მთის წვერებს მოსდევს ნიავი  
ნადირის სუნსულივითა.

(„მოლოდინი“)

მთის შუბლი მოუქმუნენია,  
უფრო გულგრილად დამდგარა.  
ნამძინარეცს ჰგავს ამირას,  
თითქოს ამ წუთას ამდგარა.

(„ბუნების სურათი“)

უადრესად ძნელი უნდა იყოს შემდეგი ტროპების წინასწარმეტყველება ტექსტში. პო-

ტი ასე ხელდას, მაგალითად, არაგვისა და მთების ურთიერთკავშირის:

გულიც იქ იწევს, თვალიცა,  
იქ რო მალაღი მეგობა.  
ვინც რომ გიქმევი ვაგზარდა,  
ვის ძუძუც პირში გღებია.

(„არაგვს“)

შეადარეთ ამას ასეთი ტროპიც:

მთებმა ახარონ ყვავილნი,  
კისრით ატარონ ნისლები,

(„ისევ შენ, ისევ, ქალაო“)

ჩვენ გასაკუთრებულად გვსურს გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ინფორმაციულობა ენობრივი ფენომენისა და მისი ესთეტიკური ღირებულება არ წარმოადგენენ იდენტურ ცნებებს. მათი ურთიერთკავშირი ასე წარმოგვიადგება. ნებისმიერი ენობრივი ფენომენის მოულოდნელობა ტექსტში უნივერსალური კატეგორიაა იმდენად, რამდენადაც მისი დაქვეითება უშუალოდაა დაკავშირებული ნებისმიერი ტროპისა და შედარების მხატვრული ღირებულებების, გამომხატველობითი ძალის დაქვეითებასთან. რაგინდ შთაბეჭდილება არ უნდა იყოს რაიმე მეტაფორა, თუკი მისი ხმარების სიხშირე და დისტრიბუციის არეალი იმდენად ვაზრდება, რომ იგი მოულოდნელი აღარ იქნება ტექსტში მოცემული ენის მატარებელთა უმრავლესობისათვის, ის დაკარგავს მხატვრულ ღირებულებას. ასეთი ბედი ეწია იმ ტროპებს, რომლებიც წარმოდგენილი არიან ლექსიკონებში როგორც პოლისემანტიური სიტყვის სტილისტიკად „ნიტიტალიტი“ მნიშვნელობები. იგივე შეიძლება ითქვას ისეთ შედარებებზე, რომლებიც ოდესღაც ორიგინალურები იყვნენ, დღეს კი გაღაქციულან ე. წ. ენობრივ კლიშეებ, მაგალითად, ლომივით ვაჟკაცი, კურღელივით მშინიშარა და ა. შ. მაგრამ ესხა შევხებით ამ კატეგორიას სხვა ასპექტიდან. არის თუ არა ინფორმაციულობა (მოულოდნელობა) უნივერსალური კატეგორია ენობრივი ფენომენის ესთეტიკური ღირებულების, ან, უფრო ფართოდ, გამომხატველობითი ძალის კონსტრუირებისას? რასაკვირველია, არა. კანტი პირდაპირ ამბობს ამასთან დაკავშირებით, რომ ორიგინალური (ე. ი. იშვიათად ხმარებული და ამიტომ მოულოდნელი, ინფორმაციული) შეიძლება იყოს არა მარტო მშვენიერება, არამედ უაზრობაც. იმპლიციერებულია ეს ფორმულირება ჰენრი მალუსის გამოკვლევაში „კრიტიკის ელემენტები“ და ჰეგელის შრომაში „ლექციები ესთეტიკის შესახებ“. კერძოდ, მოულოდნეობა ნიშნავს ვხვდებით მთელი რიგი ტროპების კრიტიკას, რომლებიც ავტორს მიაჩნია უფარგისად, როგორც ესთეტიკური, ისევე საერთოდ ყოველგვარი ექსპრესიულობის თვალსაზრისით.

თავ. მოუშს შექსპირის „რიჩარდ მორედალანა“  
კი მოპყავს მაგალითი (ეს მაგალითი გმომსწრე  
ბულია ჰეგელის შრომაშიც, სადაც ავტორი  
ცდილობს მეტაფორის ბუნების ახსნას), რომელშიც მეფის უბედურებით გულმოკლული შეუა იცრემლება ბუხარში. ამგვარი მოულოდნელობა, რასაკვირველია, ვერ აღძრავს მკითხველში მშვენიერებასთან დაკავშირებულ განცდებსა და ემოციებს. ინფორმაციულობის ამგვარი ინტერპრეტაცია არ არის შეზღუდული მხოლოდ სემანტიკის დონით — იგი რელევანტურია პროზოდის დონეზეც. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია არ დავეთანხმეთ პროფ. ა. გაწერელიას მის მიერ რომან იაკობსონის გაცრეხებული მოლოდინის კრიტიკაში. როგორც ჩანს, ენობრივი ფაქტის მოულოდნელობა ტექსტში არ შეიძლება ჩითვალოს მხატვრული ღირებულების მაკონსტრუირებელ უნივერსალურ კატეგორიად. თუმცა კი ის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტი უნდა იყოს ამ მხრივ.

საკმაოდ ცნობილი ფაქტი გახლავთ ის, რომ შედარებაში ან ტროპში მონაწილე საგნებისათვის თავისთავად დამახასიათებელი მშვენიერება უშუალოდ იღებს მონაწილეობას მოცემული ხატის მშვენიერების შექმნაში. ვაჟას მშვენიერება, ვულკანური ლტოლვა ბუნების სილამაზისაკენ, ბევრის მიქმელია მისი საკუთარი სულიერი საშუაროს არსსა და მნიშვნელობაზე. მაგრამ ვაჟა მხოლოდ მხატვარი არ არის. ის ფილოსოფოსის თვლით ხელდას ბუნებას. გაოცებას იწვევს ის სტრიქონები, სადაც მეტი აზრი და სილამაზა ჩაქსოვილი, ვიდრე ბევრ სქელტანთან წიწხეა. გვაგონდება არტურ შოპენაუერის მსჯელობა ბუნების მშვენიერების მრავალმხრივობაზე, სადაც იგი ამბობს, რომ, თუკი ჩვენს წინაშე უცრად მთების პანორამა გადაიშლება, ჩვენ აღვალად გვეუფლება ამაღლებული ემოციები; ეს, ერთი მხრივ, შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ მთის ფორმა და მისგან გამომდინარე მთავრებილის კონტური წარმოადგენს ლანდშაფტის ერთადერთ მარადიულად უცვლელ ხაზს, რადგანაც მხოლოდ მთელი უძღებენ დროს ყოვლისმომხმობ დინებას, რომელიც უმალ წარბეჭდვს კველთაფერს, ჩვენ საკუთარ ეფემერულ მესაც. იგივე აზრი, გაციხკრავებული პოეტის გენიით, უფრო მომხიზველელი გვეჩვენება გრძნობებისა და ემოციების ღრუბელში:

მე წავალ, იქვე დარჩება  
ქედი მაღლისა მთისაო;  
სხვა ყველა ცვალებადია,

1 იხ., ამასთან დაკავშირებით ა. გაწერელიას სიანტიკურსა გამოკვლევა: ვაჟა-ფშაველა. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. 4, თბილისი, 1974.

უცვალებია ისაო  
ცოცხალთ თვალთ სალალბელო  
როგორ ამყავდ ზისაო!

(„გამამერია ქალარა“)

ვჟჟას სამყაროში ყველაფერი სუნთქავს ხი-  
ლიადლით, სიმშვილითა და სინათლით. მისი ხილა-  
მაზე გულს თრთოლვით ავსებს და მისი შექმ-  
ნის წამებისადმი მიღუპარ მოკრძალებას გვიწერ-  
გავს. ტროპებისა და შედარებების მაკონსტრუ-  
ირებელი საგნები შეიძლება მეტ-ნაკლები ეს-  
თეტკურთი ღირებულებისა იყუნენ სხვადასხვა  
კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ ძნელია ისე-  
თი მაგალითის პოვნა ვჟჟას ნაწარმოებებში სა-  
დაც ზელოვნურობა, ან პოეტური გემოვნების  
ნაკლებობა იგრძნობოდეს. მის ენობრივ ხა-  
ტებში მოულოდნელობისა და საგნების ესთეტი-  
კური ღირებულების კრიტიკიუმები ისეა შეზა-  
ღებული, რომ თითქმის ნებისმიერი პოეტური  
ხტო მკითხველს სიამოვნებას ანიჭებს. მისი ხა-  
ტების ყველაზე ხშირი და მშვენიერი ელემენ-  
ტია პოეტის სამშობლოს ბუნება, რომლის სი-  
ლამაზით გაპიროვნებული არაცოცხალი საგნე-  
ბიც კი სტკებიაან:

გაღმა სჩანს ქისტის სოფელი  
არწივის ბუდესავითა,  
საამო არის საცქერალად  
ღიაციის უბესავითა.

სოფლის თავს სძინავს შვე ნისლსა  
დაფიქრებულის სახითა,  
ყურს უგდებს არემარესა,  
გულთალაობს სანახავითა. [.]

(„სტუმარ-მასპინძელი“)

ქისტის სოფელს ქალის გულმკერდთან შედა-  
რების შედეგად კიდეც უფრო ემატება ესთეტი-  
კური ღირებულება. ძნელი არ არის იმის შემ-  
ჩნევა, რომ ეს შედარება უფრო ექსპრესიულია,  
ვიდრე პირველი, რადგანაც იგი ჭერ ერთი, უფ-  
რო რთულია პოეტური „ტექნიკის“ მხრივ —  
შედარების საფუძველს წარმოადგენს არა რაიმე  
ფიზიკური მსგავსება დახასიათებულსა (სო-  
ფელი) და დამახასიათებელ (გულ-მკერდი) საგ-  
ნებს შორის, არამედ შედეგ ან: ქალის გულ-  
მკერდის ხილვით აღძრული ემოციები თითქოს-  
და დაიყვანება მთას შეყუყუული სოფლის ხილ-  
ვისაგან მიღებულ სიამოვნებაში. გარდა ამისა,  
პირველი შედარება შესამჩნევად უფრო მოსა-  
ლოდნელია ტექსტში, ვიდრე მეორე, პოეტური  
აზროვნების მარგალიტს წარმოადგენს ასეთი  
დისკურსიც, წარმოდგენილი პერსონიფიცირე-  
ბული ბუნების მკაცრი სილამაზით:

ალარსადა სჩანს, გამქრალა  
თეთრი თმა შავის მთისაო,  
ნალვლით ნაქარგი, ნაქსოვი  
სახე იმ საღის კლდისაო,

რო მუდამ მგლოვიარეა,  
ცრემლი ანკარა სდისაო.

(„სტუმარ-მასპინძელი“)



კითხულობ ამ სტრიქონებს და გებალება კით-  
ხვა — არსებობს სადმე მიწა, ასეთი სუფთა და  
ხელუხლებელი, ასეთი უმანკო სიწმინდისა, რომ  
მხოლოდ აქ და არსად სხვაგან აიგო ვჟჟას  
სულმა მარადიული ტაძარი? ვჟჟა-ფშაველას  
ენობრივი ხატების პოზიტიური დახასიათება მა-  
თი მაკონსტრუირებელი საგნების ესთეტიკური  
ღირებულების თვალსაზრისით არ შეიძლება  
დამაკმაყოფილებელი იყოს ამ საკითხის ორი-  
ოდე მაგალითით ილუსტრირებისას, მაგრამ  
ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი ადვილად შეამ-  
ჩნევს ამ ფენომენს მაშინაც, როდესაც ჩვენი  
ანალიზის ფოკუსში იქნება რომელიმე ხატის  
ნებისმიერი სხვა ასპექტიც. ეხლა კი კიდეც  
გვიწოდ გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ვჟ-  
ჟას ხატებში მოპირდაპირე საგნები მხოლოდ  
ღიდი შემოქმედის ზღწერისათვის დამახასია-  
თებელ ბუნებრივ მარმონიაში იმყოფებიან:

ქარი დამბერავს,  
ქარი ჰგრიალებს,  
ჩემი თეთრი თმა.  
ცაში ბრიალებს.

(„პასუხი“), —

ამბობს მთა და ჩვენ ერთი წამითაც არ  
ვგრძნობთ რაიმე ლოგიკურ შეუსაბამობას იმა-  
ში, რომ, ჭერ ერთი, მთა აქვეს თმა და  
რომ თმა ბრიალებს ცაში. ცნობილია,  
რომ გაპიროვნება და ჰიპერბოლა  
ისეთი პოეტური ხერხებია, რომელთაც ძალაან  
ფრთხილად უნდა მოპყრობა, რამეთუ პოე-  
ტის სტილს არ დაეტყოს პრეტენციულო-  
ბის იერი. მაგრამ ვჟჟასთან სიტყვები ისეა ვან-  
ლაგებული, რომ მათი ამგვარი არანაირება  
ერთადერთი და საუკეთესო ვარიანტია. ბუნე-  
რივობა, დამაჭერებლობა, პოეტური ლოგიკე-  
რობა დამახასიათებელია ვჟჟას ნებისმიერი ხა-  
ტისათვის. თვით, ყველაზე უფრო უცნაური-  
სათვისაც კი. ამერიკელი მწერლის მაროლდ  
რობინსის სტილის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იგი  
ზედმიწვევით კარგად ფლობს პოეტური შედა-  
რების ტექნიკას. მის რომანებში ვხვდებით შე-  
სანიშნავი შედარებების თემელ სისტემას. მაგ-  
რამ ზოგჯერ, თუმცა ძალიან იშვიათად, ავტორს  
ისე გაიტაცებს ხოლმე ადგუნებული ფანტაზია,  
რომ აღარებს ერთმანეთს ისეთ საგნებს, რომ-  
ლებიც არდევენ ხატში მთავარს, გამოჰყოფენ  
რა უფრო რელიეფურად შედარებით მეორეხა-

სულხან შოროღანიძე

სიტყვის ესთეტიკა და ესთეტიკის კანონები  
ვაჟა-ფშაველას პოეზიაში



რისხვანს. ამგვარ მოვლენებს ვაჟას შემოქმედებაში ადგილი არა აქვს. თვალსაჩინოებისათვის გავარჩიოთ შემდეგი მაგალითები:

რობინს უნდა, რომ ხაზი გაუსვას მშვენიერი ქალის მოქნილობას, სისუსტეებს, სისხარტებს, ვნების მოწვავებებს მასში და იგი მას მიამუნს ადარებს:

„მონიას თვალები ჭერ ისევ მიღუღული ჰქონდა, როცა ქოქოსის ხეზე მცოცავი მიამუნით შემომანბნა“. რაგინდ ორიგინალური არ უნდა იყოს ეს შედარება — მწერალმა ზუსტად დანახა მსგავსება ორ სხვადასხვა საგანს შორის, რომელიც მოძრაობის სიმსუსტეებით ერთ-ერთს უფრო უწყნარებს შედარებაშიც კი, მაგალითად, როცა ვაჟას გონებაში ქალის ქლომის მანერა თაფლის დაღვრასთანაა ასოცირებული, ჩვენ ვერავითარ დიხონანს ვერა ვგრძობთ, რის ხემანტიკურ სტრუქტურაში. ერთადერთი, რაც ამგვარ ხატებზე გვეთქმის არის ის, რომ ჩვენ ისინი უდიდეს ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებენ.

ვაჟა-ფშაველას მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ბუნების პერსონიფიკირება შემოქმედლის ერთ-ერთ უძლიერესი და ხშირადხმარებული ხერხია. სწორედ აქ აღწევს ხოლმე იგი ექსპრესიული უმადლეს გამოვლინებას. აღსანიშნავია, რომ მის მიერ გაპიროვნებული ბუნება წარმოგვიდგება რა განსაცვიფრებელ მხატვრულ ფერებში, არაჩვეულებრივი სიხანძით, ერთდროულად გვახსიათებს ადამიანის ბუნებასაც და ძნელია იმის გადაჭრით თქმა, თუ რომელ ასპექტს ეძლევა ამა თუ იმ ხატში პრიორიტეტი. ერთი კი ცხადია, რომ მიუხედავად არაჩვეულებრივი დამაჯერებლობისა, რომლითაც პოეტს ბუნებას ადამიანის ნიშანთვისებებით წარმოგვიდგენს, არც ვაჟას და არც მის მკითხველს არ სჭერათ სინამდვილეში ის, რომ მთას, ნილსს, მთვარეს მართლა შეუძლიათ მსგავსება, გაჩნიათ განცდები. ჩვენ ვგვიბლავს პერსონიფიკირებული ბუნების უხადლო სურათები, რადგანაც ადვილვით ამგვარ ხატებს როგორც პოეტური ფანტაზიის შედეგებს. ძნელია, ამიტომ, იმ აზრის გახიარება ამ მხატვრულ ხერხთან დაკავშირებით, რომელიც ეკუთვნის ჰენრი ჰოუსს. როგორც ცნობილია, ძველ ხალხებს ჩვეულება ჰქონდათ, შორეულ მოგზაურობიდან დაბრუნებისას მისაღმებოდნენ მშობლიურ მიწას. იმ დროს მოგზაურობა გაცილებით უფრო სახიფათო იყო და ბუნებრივია, რომ ისინი სამშობლოს მიწას დროებით ცოცხალ არსებად წარმოადგენდნენ ზოლმე, რათა გაეზიარებინათ მისთვის თავისი ვრძნობები. ხშირად,

ამხიზს ჰოუსი, გაპიროვნებას საღუმელად მიიღობდა რედ ამგვარი რწმენა აქვს. ჰოუსი ფიქრობდა, რომ ამგვარი გაპიროვნება უმადლესი სახის გაპიროვნებაა და არქმევს მას ქრისტიანულ გაპიროვნებას. ამ სახის გაპიროვნებას იგი უპირისპირებს ადწერით გაპიროვნებას, რომელიც, მისი აზრით, გაცილებით ნაკლებად ამაღლებულია და ამიტომ უფრო დაბალი ხელოვნების ტიპს წარმოადგენს. აღწერითი გაპიროვნების არის იმაში მდგომარეობს, რომ ის თუცა კი ანიჭებს არაცოცხალ საგნებს ადამიანის ნიშანთვისებებს, ვერ გვარწმუნებს იმაში, რომ ისინი მართლაც არიან ამ ნიშანთვისებებით დაჯილდოებული. ამგვარი მსგავსების ლოგიკური დასასრული, ჩვენი აზრით, შინაგან წინააღმდეგობაში უნდა გამოვლინდეს. მართლაც, ჰოუსი ერთის მხრივ, არ უარყოფს, რომ ფანტაზიის ქმნილებებს შეუძლიათ ემოციების გამოწვევა და, მეორე მხრივ, მის მიერ შემოტანილი ტერმინის სინონიმად ხმარობს შემსიტყვებას. ემოციური გაპიროვნება. მაგრამ ეს არ არის მთავარი ჰოუსის არალოგიკურობაში გაპიროვნების ამგვარი ინტერპრეტაციისას. საქმე იმაშია, რომ თუკი ადამიანს მართლა სჭერა, რომ მთას, მთვარე, მთავალიადა, სინამდვილეში შეუძლია აზროვნება, მაშინ გაპიროვნებას, როგორც მხატვრულ ხერხს, საერთოდ არა აქვს ადგილი. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა ენობრივ ხატთან (ტროპთან), არამედ სიტყვის ხმარებთან თავისი პირდაპირი მნიშვნელობით, ამგვარი გამოწვევაში კი, არისტოტელეს განმარტებით ნათელია, მაგრამ დაბალი; სადაც დაბალი არაემოციური სინონიმია. არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ჰოუსს იმაშიც, რომ თუკი ემოციური ე. ი. ქრისტიანული გაპიროვნება შეიძლება გაპიროვნებულ იქნეს ემოციის ძალით, აღწერითი გაპიროვნება მით უკეთესია, რაც უფრო მოკლეა. ჩვენი მოსაზრება ეყრდნობა არჩ. ბუგაშვილის მიერ ჩამოყალიბებულ დებულებას იმის შესახებ, რომ უდიდეს გამომხატველობით ძალას აღწევენ ის პოეტური ხატები, რომლებშიაც შეუძლებელს მსოფლმხედველობა გამოჰქვივის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძნელი უნდა იყოს, ერთსიტყვიანი (გაუცვრობელ ტროპში) რაიმე მოვლენმხედველობის გამოხატვა. ამიტომ არის, რომ ვაჟა-ფშაველასთან არაერთხელ ვხვდებით გავრცობილ ტროპის უბრწინავალეს ნიმუშებს. ჰოუსის ამგვარი დამოკიდებულება პერსონიფიკაციისადმი განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ სიმბოლური მეტყველება ხშირად მხოლოდ ვარაუდობს იქ, სადა ჩვეულებრივი მეტყველება პირდაპირ ასახელებს საგნებსა და მოვლენებს. ჰოუსს თითქოსდა ავიწყდება, რომ პოეზიის მშვენიერება მითითაც განისაზღვრება, რომ იგი აძლევს მკითხველს საშუალებას თვითონაც მიიღოს მონაწილეობა შემოქმედებით აქტში, განაგრძოს და თავისებური ინტერპრეტაცია გა-



უკეთოს პოეტის იმ აზრს, რომელიც თითქოსდა დასრულებული არ უნდა იყოს მოცემულ მიკროსტრუქტურაში. ვოლტერს კარგად აქვს ნათქვამი ამასთან დაკავშირებით: „თუ გინდა რომ მოსაწყენი გახდე, ყველაფერი თქვი“. იმდენად ნეტატიურად არის პოეზია განწყობილი ყველაფერისადმი, რაც ხელს უშლის ტექსტის ადვილად გაგებას, რომ მთელი რიგ „კანონებში“ გვაფრთხილებს არ დავეუვათ რამოდენიმე მეტაფორის ერთ პერიოდში მოთავსება; ერთ წინადადებაში რამოდენიმე მეტაფორის გაერთიანება; ერთი მეტაფორის გავრცობის სიტყვების გადატანითი მნიშვნელობით ხმარება; და ბოლოს, მეტაფორული მნიშვნელობების აღრევა პირდაპირ მნიშვნელობებში, რადგანაც ასეთ შემთხვევაში წინადადება ნაწილობრივ პირდაპირი მნიშვნელობით დაიასრება და ნაწილობრივ გადატანითი. მკითხველის ფანტაზია კი „ვერ მიჰყვება ხაზარის სიმსუბუქით მგვარ სწრაფ ცვლილებებს; დაწყებული და დაუშთაურებელი მეტაფორა მოკლებულია ყოველგვარ სიღამაზე; სიტხადის ნაცვლად სიმბოლო და გაურკვევლობა მყარდება“. იმისათვის, რომ ჩვენ პოლემიკას მ. ჰოლმან შის ზოგიერთ მოსაზრებასთან დაკავშირებით არ მივცებ ტენდენციურობის ეფექტს, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ჰოლმს რამოდენიმეჯერ აქვს გავტოვი გამოთქმული სწორი აზრი გენიოსისა და „სტილი სტრიკტივის“ ურთიერთდამოკიდებულების შესახებ — გენიოსი ამ კანონებს არ ემორჩილება. მაგრამ, ხაშუხაროდ ეს თეზისი არ არის თანამედვერულად დატული მის გამოკვლევაში და საბოლოოდ აღარ არის ნათელი უნივერსალურია მის მიერ ჩამოყალიბებული კანონები, თუ ისინი გამორიცხავენ გენიოსთა შემოქმედებას. ერთდროულად საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ მისი გამოკვლევა უდავოდ ყურადღებები და მრავალი სიმბოლურული დაკვირვების შემცველი წიგნია რომელშიც მოყვანილია ძალიან მდიდარი ენობრივი მასალა სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ლიტერატურიდან. მაგრამ დაუბრუნდეთ მთავარს — მეტაფორული მეტყველების არსს. განისაზღვრება თუ არა იგი იმ კრიტიკიუმებით, რომლებიც პოეზის აქვს ხაზარის გარკვეულობით გამოყოფილი? კონკრეტული მაგალითის ანალიზიდან მიღებული დასკვნა ყველაზე უფრო ობიექტური პასუხი უნდა იყოს დასმულ კითხვებზე. ვაჟა-ფშაველას პოემაში „ბახტრიონი“ ვხვდებით ასეთ ხაზვირველებას:

ნამძინარევი დევები  
 ისევ ბურანში არიან,  
 ერთს ადგილს დგომით ტანჯულნი  
 შეკირვებულნი ძალიან;  
 მზე რო მოვალის, მაშინის  
 შავს ნისლეტს გიდაიყრიან,  
 თუნდ მთლად ქვეყანა დაეცეს,

აბჯართ არ ჩამაიყრიან;  
 გულ-მეგრდს ერთმანეთს აბჯენენ  
 წარბშეუბრელად მდგარიან,  
 წვეანან ხმაიოლებლად,  
 როგორც საულავში მკედარნია.  
 ნეტავ ბუნების ქმნილება  
 სხვა მათ რა შეედარება,  
 მალ-მალე შავი ჯანლები  
 თავზე რომ დაეფარება!  
 ნისლი ფიქრია მთების,  
 იმათ კაცობის გვირგვინი  
 მიყვარს შეუდრეკს მათს მკერდზე  
 ხშირის ბალახის ბიბინი.

ამ სტრიქონების კითხვისას ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოსდა, — გოეთეს გრანდიოზული ენით თუ ვინარგებლებთ — ხაშუხარს შექმნის თანდამსწრები ვიყოთ. მაგრამ დავივიწყოთ დროებით ჩვენს ემოციებს და შევეცადოთ გავტარებოთ, რამდენადაც ეს ჩვენს შესაძლებლობებზეა დამოკიდებული, იმ ელემენტებში, რომელთა ერთობლიობა ჩვენზე ასეთი ძალის ზეგავლენას ახდენს. დავიწყოთ იქიდან, რომ ვაჟს ექსკურსი ბუნების წიაღში ერთდროულად მოულოდნელიცაა და დროულად ცოტირებული დისკურსის დაწყებამდე ვაჟს ენა გარკვეული დროის განმავლობაში სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით ნახმარი გამონათქვამით იყო წარმოდგენილი. მას დაჰყოლია არაჩვეულობრივი გრძნობა იმისა, თუ რა დროს არის საჭირო ერთფეროვნების, მონოტონური მეტყველების დარღვევა კონტრასტის საშუალებით. ეს ვაჟს ისევე ბუნებრივად გამოუდის, როგორც თვით ბუნებას სჩვევია. ბუნების მოწვევა ვაჟა, ბუნებისა, რომელიც თავის უმშვენიერეს ღანდშავტებს ხშირად შეანაცვლებს ხოლმე პირქუშ ფრიალო კლდეებს, სევდიან ქაობებს და ქვიანსა და ვერან ადგილებს. დახვეწილი ხტილის პირველი წინაპირობა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი სიტყვა, ყოველი აზრი უნდა იყოს შესაფერის გარემოცვაში. არ შეიძლება პოეზიის მკითხველმა არ შენიშნოს, რომ ვაჟს ეს მეტაფორული მეტყველების ფერიერეკი იფრქვევა იმ დროს, როცა იგი ყველაზე უფრო დროული და აუცილებელი არის. ისეთი შიამბეჭდილება გვექმნება, თითქოს პოეტი ამზადებდა მკითხველს ამ ურთულეს სიმბოლურ აზროვნების ნიმუშთან შესახვედრად. ეს გასაგებიც არის. ნებისმიერი მატერული ნაწარმოები უნდა შეიცავდეს ემოციებისა და განცდების ხაზან თავისუფალი სიტყვების ნაკადს. ამგვარი მეტყველება აუცილებელია იმისათვის, რომ დიდმა გრძნობამ და ღრმა აზრმა დაქნისმალურად გამოამუღავნოს თავისი დირებულება. თუ

სულხან შოქრადანი  
 სიტყვის მსთებრიკა და მსთებრიკის კანონები  
 გაბა-ფშაველას პოემაში



ხელი გაიკრა ფრანგულსა,  
შუქი ამოხდა მზისაო.

(ალულა ქეთელაური)

ბრწყინვალე გამოთქმები განუწყვეტლივ მისდევნენ ერთმანეთს, ეს იწვევს დაღლილობას და ზინღასაც კი. აღამიანს მხოლოდ გარკვეული რაოდენობის ინფორმაციის აღქმა სიამოვნებს გარკვეული დროის განმავლობაში. ეს არის ზომიერების გრძნობის ქონა-არქონის საკითხი. ვაჟა-ფშაველა ისეთ კონტექსტში ათავსებს ენობრივ ხატს, რომ იგი გაცილებით უფრო მეტ ექსპრესიულობას ამჟღავნებს ხოლმე, ვიდრე უფრო რთული და იშვიათი ტროპი სხვა მწერალთა და მგოსანთა ნაწარმოებებში. ამ შემთხვევაში მე შედეგელობაში არა მაქვს ჩვენს მიერ არჩეული დისკურსი. სხვა მაგალითი უფრო კარგად წარმოგვიადგენს ამ სიტყვების ტექნიკურ ტემას. თავისთავად აღებული ხატი მთის გაშტერება არ არის ორიგინალობისა და მშვენიერების უმაღლესი გრადაცია, პირიქით ამგვარი გაპროვინება არცოცხალი საგნისა ყოველთვის შეიცავს საშიშროებას იმისა, რომ სტალს ხელოვნურობისა და პრეტენციულობის დაღი დაეხვას, მაგრამ შეხედეთ როგორ კაშკაშებს იგი პოემში „ალულა ქეთელაურის“ ტრაგიკული დასასრულის კონტექსტში:

გაწირეს მგზავრთა სიმძღობო  
წყალი და მიწა თავისა.  
შტერად დადგარან მთის წვერნი,  
ისმის ხევილი ქარისა.

კიდევ ვიმეორებთ, რომ ვაჟასათვის დამახასიათებელია კონტექსტის არარეულებრივი გრძნობა, ნებისმიერი, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ნებისმიერი ხატი საუკეთესო გარემოში პოეზებს რეალიზაციას. ვაჟას ბუნება ყოველთვის ადრევეს და იგი ხშირად მიმართავს ტროპს, როცა მისი მზერა მიჯაჭვულია ბუნების რომელიმე კონკრეტულ ფენომენზე:

მზემ აიწია ცაზედა,  
ნისლებმ დაწირეს ხევები,  
მისჯარებიან ცის კიდეს  
კაკვასიონის დევები.

(ალულა ქეთელაური)

იქ, სადაც ვაჟა ტროპს ან პოეტურ შედარებას ხმარობს კონტექსტი ყოველთვის ემოციურად დამუხტულია. იმასთან დაკავშირებით გვახსენდება ჰ. პოლმის სრულიად სამართლიანი შენიშვნა იმის თაობაზე, რომ თუკი ვინმე სრული სულიერი სიმშვიდის მდგომარეობაში გააპროვინებს არცოცხალ საგანს, ამან შეიძლება კომიკური ეფექტი გამოიწვიოს. იგივე ენება შედარებას და ნებისმიერ ტროპს. მაგრამ ვაჟასთან ენობრივი ხატი და კონტექსტი, როგორც უკვე აღინიშნა, სრულ პარმონიაში იმყოფებან. აი კიდევ ერთი მაგალითი ამის დამამტკიცებელი:

გაჯავრდა ქეთელაური,  
ფერი დაიდვა მგლისაო,

ამგვარად, ვაჟა-ფშაველასათვის სიმბოლური მტკიცებულების დროული შემოყვანა ტექსტში ბედნიერი შემთხვევითობა კი არ არის, არამედ კანონზომიერებაა. ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად იმისა, რომ ჩვენი ინტერესის ფოკუსში მოხვედრილი დისკუსი წარმოადგენს სიმბოლური აზროვნების საუკეთესო ეტალონს. ამით შეიძლება დასრულდეს მოცემული ხატისა და მისი გარემოცველი კონტექსტის ურთიერთკავშირის ინტერპრეტაცია. ესლა კი გადავიდეთ თვით პერსონიფიცირებული მთის ანალიზზე. წინამდებელი კონტექსტიდან გამომდინარე მკითხველს არა აქვს სამარისი იმპლიკაცია იმისა, რომ დევები პერსონიფიცირებულ მთებად აღიქმას, თუმცა გადასვლა ერთი ტიპის აზროვნებიდან მეორეზე აშკარად შეიმჩნევა. ამიტომ პირველი ოთხი სტრიქონი,

ნამძინარევი დევები  
ისევ ბურანში არიან,  
ერთს აღგილს ღვამით ტანჯულნი  
შეჭირვებულან ძალიან.

იაზრება მათში შემავალი სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობებით. მაგრამ უკვე მომდევნო ორი სტრიქონის რეტორიკულად შეგავლენით, ამ ოთხ სტრიქონს მსუბუქი სიმბოლიკის ელფერი გადაპკრავს, ვინაიდან მზის ამოსვლასთან დაკავშირებით ნისლებს გადაყარა უკვე მიგვანიშნებს იმაზე, რომ დევებში მგოსანი შესაძლებელია მთებს გულისხმობს:

მზე რო მოვალოს, მაშინის  
შავს ნისლებს ვადაიყრიან.

მაგრამ ეს ჭერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მკითხველი საბოლოოდ დაარწმუნდა ამგვარ სიმბოლიკაში — ამ მომენტისათვის სიმბოლო უფრო ნავარაუდევია, ვიდრე ექსპლიციტული. შემდგომ ექვს სტრიქონში თითოეული სიტყვა თავისი საკუთარი სიცოცხლით ცხოვრობს და ერთიანობაში წარმოგვიადგენს პოეტური მტკიცებულების მშვენიერ ეტალონს, მთელ დისკურსს რომ ერთგვარ მისტიკურ სურნელებას აფრქვევს:

თუნდ მთლად ქვეყანა დავცემთ,  
აბჯართ არ ჩამიყრიან;  
გულ-მეკრღს ერთმანეთს აბჯენენ  
წარბშუქრღლად მდგარნია,  
წვანან ხმაამოულებლად,  
როგორც საფლავში მკვდარნია.

ამ სტრიქონებს მკითხველი ერთგვარ ფსიქოლოგიურ დაძაბულობაში ჰყავს, რადგანაც მისი



ფანტაზია ისევ უბრუნდება დევე ბს, ნებ-  
ლობისა და აზრის მატარებელ ცოცხალ არსე-  
ბებს. და აი, შემდეგი ოთხი სტრიქონიდან კი  
უკვე მკაფიოდ გამოიხატება პერსონიფიკაცი-  
ბული მათ, რადაცაა აქ მგოსანი უკვე ახასია-  
თებს მას რეალური მოხსარვის დამახასიათებ-  
ლი სტრიქონით. აღიქვამს რა ამ სტრიქონებს  
პირდაპირი მნიშვნელობით, იგი რეტროსპექტი-  
ულ ინტერპრეტაციას უყურებს მთელ წინამავალ  
სტრიქონებსაც. დევები უკვე მთებია, მათი ჭავ-  
შანი კი ყინულია და თოვლის საფარი, ვერაკი-  
თარი მზის სიმბურვალე რომ ვერ აღმოვს. ამ  
სტრიქონებიდან გამომდინარე, მას შეუძლია  
პერსპექტიული ინტერპრეტაცია მომავალი  
სტრიქონებისა, სადაც ძალიან მოსალოდნელია  
რეალური მთის გამოჩენა. მისი მოლოდინი  
მართლდება:

ნეტავ ბუნების ქმნილება  
სხვა მათ რა შეედარება,  
მალ-მალე შევი წანდები  
თავზე რომ დაეფარება!  
ნისლი ფიქრია მთებისა,  
იმათ კაცობის გვირგვინი,  
მიყვარს შეუღრეს მათს მკერდზე  
ხმირის ბალახის ბიზინი.

მაგრამ ამის შემდეგაც კი პოეტური ფანტაზი-  
ის ქროლვა არ წყდება პროზაული მეტყველ-  
ებისათვის დამახასიათებელი მარტივი, ერთმნი-  
შვნელობიანი ლოგიკური დასკვნით, პირიქით,  
ბოლო სტრიქონებში ხატი-სიმბოლო თავისი  
გამომხატველობით ძალისა და აზრის კულმი-  
ნაციას აღწევს დისკურსში გადმოცემული ლო-  
გიკურ-ემოციური შინაარსის არჩევულდებრივი  
განზრევების მეოხებით. სემანტიკის წედლაპირულ  
დონეზე წარმოდგენილია ამაღლებული, მკაცრი,  
გრანდიოზული მშვენიერება კავკასიონის მთე-  
ბისა, მის სიღრმეში კი ადამიანი, რომლი-  
სთვისაც ფიქრი, გონება, მის შიგნით არსებუ-  
ლი მორალური კანონი უფრო ძვირფასია, ვიდრე  
მის თავზე დაკიდებული ვარსკვლავიანი  
ცა — სიმბოლო სამყაროსი. რა გვიჩვენა ამ დის-  
კურსის ანალიზმა მოცემული კუთხით? უპირ-  
ველეს ყოვლისა ის, რომ მისი ლოგიკურ-ემო-  
ციური ღირებულებების უშუალო შემადგენელი  
ელემენტები სწორედ ის ფაქტორია, რომელსაც  
ბენრი მკოუმი ცუდი სტილის დამახასიათებელ  
ნიშანთვისებად წარმოგვიდგენს. როგორც და-  
ვინახეთ, მასში სიმბოლიური და ჩვეულებრივი  
მეტყველება აღრეულია ერთმანეთში, რაც  
ყოველად დაუშვებელია მოუმიის მიხედვით, აღ-  
წერითი პერსონიფიკაცია მოკლე კი არა, პირი-  
ქით, საკმაოდ გავრცობილია, მკითხველი ვერ  
აღიქვამს „უშალ“ სიმბოლიური მეტყველების  
შინაგან ლოგიკას. ის, რისი გამოყენებაც, რო-  
გორც წესი, ვნებს სტილს, ვაჟა-ფშაველასთან

სტილს ამდიდრებს. მკითხველის ინტელექტი და-  
ძაბულია, ის მიჰყვება მგოსნის მშფოთვარე ფან-  
ტაზიას, მის მიერ სხვადასხვა საგნებსა და მოქ-  
ილენებს შორის აღმოჩენილი ასოციაციების  
კვალს და შემეცნების სიხარულით გამოწვეულ  
უდიდეს ენთუზიას სიამოვნებას განიცდის.  
მკითხველი ვუყავს ამ ხატის უბრალო მჭკრეტე-  
ლად კი არა ჰყავს წარმოდგენილი, არამედ იგი  
მას უშუალოდ ახამს მის ახსნა-ინტერპრეტაცი-  
აში, რაც უკვე ერთგვარ შემოქმედით აქტს  
უტოლდება.

ჩვენ უკვე შევხებთ მოულოდნელობისა და  
ინფორმატიულობის საკითხს და კონკრეტული  
მაგალითებიც მოვიყვანეთ ამასთან დაკავშირ-  
ებით. მოულოდნელი იყო არასიმბოლიური და  
სიმბოლიური მეტყველების დაპირისპირება რო-  
გორც დისკურსის შიგნით, ისევე მის გარე-  
თაც, როცა ის მის გვერდით მოცულობებს  
დაუპირისპირდა. მაგრამ ტერმინი — მოულოდ-  
ნელობა უფრო ზუსტი მნიშვნელობით ნახმარი,  
უფრო ხშირად დაკავშირებულია ხოლმე კონკ-  
რეტული ენობრივი ხატის შინაგანი სემანტი-  
კური არსის პრობლემასთან. სწორედ აქ ავლენს  
ხოლმე ის თავის უდიდეს გამოხატულებას. ამ  
შემთხვევაში ჩვენ გვინდა ანალიტიკურ-ლინგ-  
ვისტიური ანალიზის საშუალებით ავხსნათ კი-  
დედ ერთი მოულოდნელობა, ანუ სხვა სიტყვე-  
ბით რომ ვთქვათ, ორიგინალობის უმაღლესი  
გრადული ვაჟა-ფშაველას ხატების სამყაროში.  
ჩვენ გამოვთქვით აზრი, რომ მოცემული დის-  
კურსის სიღრმისეულ სემანტიკაში ადამიანი  
წარმოდგენილი. რა კონკრეტულ ენობრივ მასა-  
ლას ეყრდნობა ასეთი დებულება? შევეცადოთ  
გავცეთ პასუხი ამ კითხვას. დისკურსი კულმი-  
ნაციას აღწევს ორ სტრიქონში:

ნისლი ფიქრია მთებისა,  
იმათ კაცობის გვირგვინი.

ერთი შეხედვით (ამგვარ ერთ შეხედვაზე  
აგებს ხოლმე ზოგიერთი მკვლევარი თავის კრი-  
ტიკულ მოსაზრებებს ამა თუ იმ პოეტისა ან  
მწერლის ენობრივ ხატთან დაკავშირებით), პოე-  
ტის მიერ ნისლის ფიქრთან გაიკვირება  
ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს მოკლებული  
თვინებობაა, ფაქრი ურთულესი და უსოგა-  
დესი აბსტრაქცილია, ნისლი კი უმარტივესი,  
კონკრეტული, ხაგანი. ხომ არა გვაქვს ამ შემთ-  
ხვევაში სიტყვებით უაზრო ფონელოგორების  
ფაქტთან საქმე? რატომ არის ნისლი მთე-  
ბის ფიქრი? ფრიად მნიშვნელოვანია ის გა-  
რემოება, რომ ექვსი სიტყვით წარმოდგენილ  
ორ სტრიქონში ორი სიტყვა ფიქრი და კა-  
ცობა ადამიანის სიახლოვეზე მიგვიანიშნებს; ამ

სწულზან შორღანია

სიტყვის მსთმობიკა და მსთმობიკის კანონები  
ვაჟა-ფშაველას პოეზიაში



მიკროკონტექსტში წინა პლანზე მთავარი, მის უკან კი ადამიანი. ებლა წარმოვიდგინოთ ნისლით და ბურული მთა და ადამიანი მედიტაციის პროცესში. რითი შვავს ეს ორი, თითქოსდა აბსოლუტურად განსხვავებული ფენომენი ერთმანეთს? უდალო, რომ ნისლით შებურული მთა ამაღლებებელი და დიადი სანახავია. მაგრამ ვანა მშვენიერი და ამაღლებული არ არის ფიქრებში გართული ადამიანი? (როდენის მოაზროვნე?). განსაკუთრებით, როდესაც მისი მორალური კანონისა და ინტექტის სილიადე მთის სიმაღლეების ასოციაციებს იწვევს? რასაკვირველია ფიზიკური მსგავსება მათ შორის არ შეიძინება, მაგრამ ორივეს ხილვამ შეიძლება ჩვენში მსგავსი ემოციები გამოიწვიოს. ამგვარად მსგავსება საგნებით გამოწვეულ შედეგშია და არა თვით საგნებში. ვაჟა ამ სტრიქონებში ამბობს, რომ ადამიანს ისევე ამშვენებს აზრი, როგორც მთას ჭანლი. ამას გვეუბნება ჩვენ ვაჟა-ფშაველა, შემოქმედი, რომელმაც შექმნა ახალი დამოკიდებულება ადამიანისა ბუნებისადმი პოეზიის შუამავლობით. ამავე დროს ვაჟა დიალექტიკურ ურთიერთდამოკიდებულებაში წარმოგვიდგენს მოაზროვნე ადამიანსა და ნისლით შებურულ მთას. გადააქვს რა მთაზე ადამიანის მთავარი დამახასიათებელი ნიშან-თვისება, ის კიდევ უფრო ამაღლებს მას, მაგრამ აქვე იმპლიცირებულია პოლარული დასასაბუთებაც — მოაზროვნე ადამიანი მთასავით მაღალი და შეუღრეკელია. ასე წარმოგვიდგება ჩვენ ეს უნიკალური ხატი. უაღრესად რთულია იგი. როგორ მიავსო მას მგოსანმა, როგორია მისკენ მიმავალი პოეტური ასოციაციების ლაბირინთები? აი ის შეტად სინტერესო საკითხი, რომელიც დიპრონულმა სტილისტიკამ უნდა გამოიკვლიოს ჩვენ კი ისევ დავუბრუნდეთ პოეტისა და სტილისტურ

რი კანონების ურთიერთკავშირის საკონტრასტულს გენია და მოუშის მიერ დადგენილი კანონები ურთიერთწინააღმდეგობრივი ფენომენებია ეს განაგებია. ვაჟა-ფშაველას ხომ ჭერ კიდევ დაბადებამდე ჩაუდგა შვის სხივი გონებაში. მუღამ მოძრა, ცვალებად, უთვალავი ელფერი შეფერადებულ აზრს იგი აიძულებს დემორჩილს მშობლიურ ენას. მის ბელში ქართულს ექსპრესიულობის დემონური ძალა ეძლევა — თითქოსდა მას შეეხისხლხორცა ყველაფერი საუკეთესო, რაც ადამიანთა ენებს გააჩნით. ვაჟა თვითონ ქმნის პოეტური სტილის კანონებს. მას შეუძლია სიტყვას ასე:

სიცოცხლე სცოცხლობს ყოველგან,  
სიყვადლი არ სჩანს, მოშვედარა.  
(ვახაფხული)

ის, რაც სხვათაან პარადოქსი იქნებოდა, მის ლექსში ისეთ ინტუიტიურ დამაჩერებლობას იწვევს, გეგონება ამ აზრის სხვაწარად გამოთქმა ხერხოდ გამოიცხულია.

რა შეიძლება იყოს უფრო ზუსტი და მეტყველი, ვიდრე, მგოსნის ცრემლიდან შექმნილი შემოდგომის ერთი წამი:

იცრემლებიან ღრუბლები,  
ზაფხულის წასვლას გლოვობენ,  
(შემოდგომის სურათი)

ამ ორ სტრიქონში მეტია ნათქვამი შემოდგომის სურათზე, ვიდრე ბევრი პოეტის დასრულებულ ლექსში. ეს წამი კი ვაჟას ღიმილიდან წარმოიშვა:

და როცა ვამბობთ:  
„აი მოსულა!“  
თითქოს აქ ღმერთი  
ცით ჩამოსულა!



# ქართული მედიის ცენტრი

## „მზაუნს საოჯახო პოეზია“

მასტანბ რაზიკაზშილი — „მზაუნს საო-  
ჯახო პოეზია,“ გარეგანიკა „საბ-  
მოთა საბარტიკალო“, რედაქტორი  
დ. ცაბარბიზშილი, 1978 წელი.

თსუთმბტირდა წლის წინ გამოვიდა ვახტანგ  
რაზიკაზვილის მოგონებათა წიგნი „მამჩრემი —  
ვაჟა-ფშაველა“. იმ შესანიშნავ წიგნს მამინ  
დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგნი აღფრთო-  
ვანებით შეხვდნენ ვაჟა-ფშაველას ცხოვრების  
შეუღლაშაზემელ აღწერას, ზოგნი კი — ისინი,  
ვისაც ვაჟას ცხოვრება ღამაშ რომანტიკულ სი-  
ზმრად წარმოდგინა, — გაცხარდნენ... მაგრამ  
წიგნის ავტორმა ყველაზე უკეთ იცოდა, რომ  
დიდი პოეტი უბრალო მოკვადვის ცხოვრებით  
ცხოვრობდა — ხნავდა, თესავდა, მკიდა... გარე-  
ული იყო ცხოვრების ავ-კარგში, იბრძოდა ლუ-  
კმა პურისათვის... ამ ამბების შეუღლაშაზემლად  
გადმოცემა სწორედ პოეტის შვილმა ითავა და  
ამით ზღვარი დაუღო ვაჟა-ფშაველას სახელის  
ირველიც ყალბი ლეგენდების შექმნას...

სწორედ იმ მოგონებების წიგნის გამარქვებბაა  
ვახტანგ რაზიკაზვილის ახალი წიგნი — „ვაჟას  
საოჯახო პოეზია“. ეს წიგნიც მოგონებაა —  
გახსენებბაა ვაჟა-ფშაველას ოჯახში გავონილი  
ხალხური გადმოცემებისა და ლექსებისა, რომ-  
ლებიც ყველაზე უფრო მოსწონდა დიდ პოეტს  
და რომელთაც ზმირად იმეორებდა თურქმე.

„თილისძის ღამქრობა“, „ფშაველების გა-  
ლაშქრება ქისტეთში“, „შურაბის ღამქრობა  
ფშავ-ბეგსურეთში“, „თორღვას ამბავი“, „თა-  
ღიაური“, „ღამქაური“, „ხევსური ივანეურის  
ბრძოლა ფშავლებთან“, „სულა და კურდღე-  
ლა“, — აი, ის ძველი გადმოცემებბა და ლეგენ-  
დები, რაც ავტორს ვაჟას სიცოცხლეში და მი-  
სი გარდაცვალების შემდეგ გაუგონია მამიხე-  
ულ კერაზე და რომლებიც მის მესხიერებას  
დღემდე შემორჩენია. ამე ყველაზე პატარა ვი-  
ყავი ჩემს და-ძმებში და ყველაფერი, რასაც

ქვემოთ გავისენებ, უშუალოდ მამისგან რო-  
დი გამოგონია, მაგრამ ვაჟა-ფშაველას დროინ-  
დელი ტრადიცია ჩვენს ოჯახში მისი გარდა-  
ცვალების შემდეგაც გრქმელდებოდა და ქირში  
თუ ღბინში, მკაში თუ თიბვაში, ხვნაში თუ  
მწყემსობაში მე კვლავ მესმოდა ის ხალხური  
ლექსები თუ ლეგენდები, რომლებიც თავის  
დროზე ვაჟა-ფშაველას უფრო სმენოდა“.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვა-  
ჟას თანამედროვე ფშაველ მეღექსეებს — პა-  
რასკვეას, მერცხალას, ღვერათ ჩონქარას, სო-  
ხას, ყორანას, ფეტვიათ ყულკას, ჭბანას, ტოკას  
და სხვებს. „ვაჟას საოჯახო პოეზიაში“ ყველა-  
ზე ფართოდ მერცხალას ლექსებბა მოხმობილი.  
ეს ამბავი შემთხვევითი არაა. ცნობილია, რომ  
ვაჟა-ფშაველა აღტაცებული იყო მერცხალას  
შემოქმედებით და ამის გამო წერდა კიდევაც  
„ივერიაში“ 1886 წელს: „ფშავში მოღექსეები  
ბევრნი არიან, მაგრამ მათში პირველი ადგილი  
უჭირავს მერცხალასა და ჭბანას. მერცხალას  
გამიხარდი ჰქვიან, მაგრამ ამ სახელს არა სჯე-  
რდება და მერცხალას ეძახის თავის თავს...“

ცნობილია, რომ ვაჟას მამა — მღვდელი პა-  
ველე რაზიკაზვილი ნიჭიერი მეღექსე იყო. ამ  
წიგნში შესულია მისი ერთი ლექსი, სადაც თავის  
მეზობელ არქალა მთიბელაშვილი დასცი-  
ნის: „არქალა გაღამეკიდა, კაცი ავზნე და უშ-  
რდელი; ათასი ცილი დამწამა, აღარა დაბრჩა  
უთქმელი. ახლა კი თმნა გამიწყდა, მსურს გა-  
ვუსწორო უღელი. სუყველა მაგათ გვარშია:  
მგელი, დათვი და კურდღელი. სურსათი შამამ-  
ღვეთა, ვედარ გაუღდავ მუცელი, სუყველა  
ცარიელა აქვ — ქვევრი, გოდორი, კურბკელი.  
მამინის დამემდუროდი, თუ რა ვთქვა შენი  
უთქმელი“.

წიგნში წარმოდგენილ თითქმის ყველა ლექსს  
ახლავს კომენტარები, რაც გაადვილებს ამ  
სატრულო-ირონიული ქვეტექსტებით მდიდარი  
ლექსების აღქმას.

ცხადია, ვაჟას საოჯახო პოეზია მხოლოდ



ფეაური ლექსებით ვერ შემოიფარგლებოდა. ვაჟა და მისი ძმები კვალში ედგნენ იმდროინდელი მსოფლიოს ლიტერატურულ სიახლეებს. ამის გამო ვახტანგ რაზიკაშვილი წერს: „მახსოვს, როგორი ქება-დიდებათ ისხენიებდნენ ხოლმე ვაჟა და მისი ძმები ბაირონსა და გოეთეს, პუშკინს, ლერმონტოვს... საუბრების შინაარსზე ვერაფერს ვიტყვი, რადგანაც ჯერ ერთი, ბაილი ვიყავი და მეორეც, ისინი ამ მწერლებზე სანახევროდ რუსულად ლაპარაკობდნენ. ერთი რამ კი თვალნათლივ მაგონდება: მამა-

ჩემს ერთხანობას მაგიაზე ელო წითელყდანი წიგნი — ლევ ტოლსტოის თხზულებები... მისი სოფს მამაჩემის ნათქვამიც: „რა დიდი კაცი ჰყავს რუსეთს, რა დიდი მასწავლებელიო!“

„ვუფას საოჯახო პოეზია“ მხატვრულად გაუფორმებია აწ განსვენებულ შესანიშნავ გრაფიკოსს ვლ. გრიგოლიას.

გამოცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ ამ წიგნის გამოცემით უდავოდ კარგი საქმე გააკეთა.

ჯარჯი ფსონველი

## სახეში იმითიო ფრთა მოახვდა მარცხლის

ვენერა ჯაფარიძე — „არ მიმტობა დასასვიწუხებლად“, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, რედაქტორი თ. აბულაძე, 1977 წელი.

...წიგნი იმერეთის გორაკებს ჩამავალი მზის მცხრალი სხივები ელამუნებოდა. ფერდობზე საწყლად შეუენილი სოფლის სასაფლაოს ბილიკები ბალახებს დაეფარა. საფლავები ალაგ-ალაგ დასვრტილი კირქვებით შემოერავათ...

...მშობლიური ჩიხორის მიწაში წყნარად ჩაუშვეს ვიწრო კუბო, რომელშიც მძიმე სენით დაკეცილი ვენერა ჯაფარიძის გაღუული სხეული ესვენა“ — წერს ამ წიგნის წინასიტყვაობის ავტორი ზ. კუხიანიძე.

და მართლაც ამ ორი ათეული წლის წინათ ქუთაისის ქუჩებში პოეზიის მოყვარულებს ახსოვთ ერთი ფერმკრთალი ქალი, ანთებული თვალბით, შუბლთან შეკრული თმითა და მიმწიდევი ჩურჩულით. თითქო ლექსი კი არა, თვითონ შემოდიოდა შენს არსებაში, შემოდიოდა და შემოჰქონდა ქალური სიბო.

...ზურგზე ცისფერი — ტვირთი მოუღვეთ ლამის ვაბურონ ცისფრად ქვეყანა, მე მთელი რამე ფიქრებს მოვუღნი, რომ ეს დღე ლექსში გადამეტანა!

ან:

გული სარკეა თუ ლექსის რითმა: შენი ლამაზი სიცოცხლის გზაზე, იქნებ ოდესმე დაგვირდეს, გიცდი, ეს ჩემი გული ოცნებით საესე.

ხან ტყეში შეპყვება მოხეტიალე ქარს, რომეღმაც ნისლის საბანი მთებს გადააძრო, ხანაც უფრო უდავლად როგორ გორაობს ქუთისთავებზე ხასხასით და ხანაც მაჭრის სუნით გაბრუნებულა, როგორ დარბის აივანზე ძაღლივით.

უშუალოა პოეტი ქალის საუბარი საგნებთან, მისი ლირიკული გმირიც მართალია და წრფელი; მისი ფიქრი გამთბარია მშობლიური ბარდუბნისა თუ ქუთაისის სანახებთ; მისი ლირიკული სტრიქონები თბილ აღსარებასავით ებგერტკბილება სასმენელს. „ახლა მარტო ვარ და მენატრები, უკვე დამღალეს მძიმე განცდებმა, ვინ მორწყას შენი ეზოს ვარდები, მეზობლებმა თუ სახლიკაცებმა ...რას ჩურჩულებენ შენი იფნები, ახლა იმედი ჩემთვის ჰკრია, მე შეშლილი ვარ შენზე ფიქრებით, ოღონდ ძონძები ვერ მიშოვნია“.

ვენერა ჯაფარიძე არ ცდილობს ხელოვნურად დაამბიოს სათქმელი და შექმნას მარტო ლამაზი სახისთვის ან მეტაფორისთვის ლექსი, ის ყოველთვის მისი გაუბრალოებისაკენ, ზოგჯერ გამატიკვებისაკენაც კი მიიღტვის. გაუძლო ხელოვნურად ვართულების ცდუნებას — გამარჯვების საწინდარია, მხოლოდ ერთ რამეში გარკვევაა აუცილებელი — უბრალოება პრიმიტიულობაში არ უნდა ავეერიოს!

წინამდებარე კრებულში უშუალოებით გამთბარი ლექსების გვერდით ზოგჯერ გვხვდება გასუნებული სტრიქონებიც:

შევალ ზვარში და ასე მგონია ზღვაში შევდივარ, ოცნების ზღვაში...

ან:

ჩემი ქვეყანა მზე არი თითქო...

ეს უწინაშენლო შენიშვნები წვეთია იმ თრთოლვით ნაწერ კრებულში, რისი დაწერაც მოასწრო ქალმა, რომელიც უკურნებელი სენით დაავადებული, მაგრამ მაინც ლამაზ ჩვენებასავით დადიოდა ამ ქვეყანაზე, დადიოდა და ფიქრობდა. დადიოდა და განიცდიდა, განიცდიდა და ჩურჩულებდა: „სახეში თითქო ფრთა მომხვდა მერცხლისო“.

ირაკლი ბაზაძე



პრანტ მათავოსიანი—„აგვისტო“. სო-  
მხურიღან თარგმან ზეზუა მძღულა-  
ფვილმან. გამომცემლობა „საბავთა  
საპარტეზლო“, რედაქტორი ლ. მამ-  
ღლიშვილი, გამომცემლობის რედა-  
ქტორი ე. გოგოლაშვილი, 1977 წელი.

„პრანტ მათავოსიანი თანამედროვე სომეხუ-  
რი მწერლობის ერთ-ერთი უფელაზე თვალსაჩი-  
ნო წარმომადგენელია...“ — ვკითხულობთ წი-  
გნის ანოტაციაში.

„ჩვენი ღრმა რწმენით, მთარგმნელის, ამ  
ულარესად პერსპექტიული შემოქმედის ზეზუა  
მედულაშვილის ნამუშევარი, როგორც ქართუ-  
ლი მთარგმნელობითი ოსტატობის შესანიშნავი  
ნიმუში, სპეციალური განხილვის საგანია“, —  
წერს ო. ნოდია ბოლო სიტყვაში. ამ ორ ილუ-  
სტრირებულ ფრაზას თუ ენდობა მკითხველი  
და წიგნს წაიკითხავს, ირწმუნებს, რომ მწერ-  
ლისა და მთარგმნელის, ორი ოსტატის შეხვე-  
დრამ მას ნამდვილი ლიტერატურული ნიმუში  
გააცნო.

„აგვისტო“ მოზრდილი წიგნია და ორი ციკ-  
ლისაგან („ჩვენა ვართ და ჩვენი მთები“, „მუშა  
ცხენები“) შედგება, კრებულში მ მოთხრობაა  
დასტამბული. „პირველ შთაბეჭდილებებში“ და  
თან მცირე მოცულობის წერილში წარმოუ-  
დგენელია ამ ნაწარმოებთა საფუძვლიანი გან-  
ხილვა. უპირველეს ყოვლისა, ისაა აღსანიშნავი,  
რომ მათევოსიანი დავკვირვებელი, ღრმად მო-  
აზროვნე მხატვარია. ფრაზა ზუსტია და ხატო-  
ვანი, პასუხი — ზუსტი და დასრულებული,  
პორტრეტი ოსტატურად გამოქრწილი; მხატვ-  
რული სიზუსტის კრიტერიუმს ცხოვრების იმ-  
გვარი ასახვა წარმოადგენს, როგორცაა ადა-  
მიანთა ურთიერთობები. იგი ბელეტრისტის მა-  
ხვილი თვალით, ლიტერატურული კეთილსინ-  
დისიერებით გვიხატავს ღრმად ეროვნულ ხა-  
სიათებს, დასრულებულ ტილოებს, მწერალი  
მარტალნი და ამ შემთხვევაში „ზუსტი თხრო-  
ბა“ მხატვრული სიმართლის ადეკვატია. ლი-  
ტერატურულ კეთილსინდისიერებაში, როგორც  
ყოველთვის, მწერლის პოზიცია და მისი ლიტე-  
რატურისადმი დამოკიდებულება ივლინდება.

პერსონაჟთა ცხოვრებისა და ფსიქოლოგიის

დონა, მათ სულიერ სამყაროში წვდომის ნი-  
ჭი, გემოვნება, იმ ათასი საიდუმლოს ფლობა,  
რასაც მწერლური ინტუიცია ჰქვია, და ნამდვილ  
შემოქმედთა ერთ-ერთი უმთავრესი თვისება —  
ლიტერატურის სიყვარული, მას ჭეშმარიტ ოს-  
ტატთა რიგებში აყენებს.

ნამდვილი ლიტერატურული ნაწარმოები თა-  
ვისი მნიშვნელობით იმ მკვიდრად ნაგებ სახლს  
ჰგავს, სადაც ყოველი ქვა თავის ადგილზეა ჩა-  
დებული. კედლიდან ერთი ქვის გამოვარდნაც  
კი ნაწარმოებს ხუხულასავით მიანგრ-მონაგრევს.  
მ. მათევოსიანი თითოეულ მოთხრობას, ეს ორ-  
გვერდიანი იქნება („სევდა“) თუ ვრცელი მო-  
თხრობა („ჩვენა ვართ და ჩვენი მთები“), უმტ-  
კიცეს საპირკველსა და კედლებს უშენებს.

მ. მათევოსიანის სოფელი ენერგიული ადა-  
მიანებითაა დასახლებული. დინჯ, ალაღსა და  
ვულისსმირ ქალ-კაცთა ურთიერთდამოკიდე-  
ბულებაში თითქოს საგანგებოდაა შენელებული  
დინამიკა. გმირები უფრო მეტს ფიქრობენ და  
განიცდიან, ვიდრე მოქმედებენ და ამგვარ  
„იდილიურ ყოფაში“ ხაზგასმითაა ნაჩვენები  
პრობლემათა სიმწვავე; დიდი სევდა, ექსპრესი-  
ული განცდები, კეთილშობილური ზენ-ჩვეულებ-  
ბანი — ეს თვისებები მთიანი ანტარამეჯის მკვი-  
დრთა ცხოვრების განმსაზღვრელია.

არანაკლები პასუხისმგებლობითა და კეთილ-  
სინდისიერებით, სიტყვის, ფრაზის, ენის სიყვა-  
რულით უმუშავია ზეზუა მედულაშვილს. იგი  
თითოეულ ნიუანსს, სიტყვათშეთანხმებას ძალ-  
ზე დიდ ყურადღებას აქცევს, განსაკუთრებული  
სიფრთხილით უდგება ქართულ ზმნასა და  
ზმნური ფორმების წარმოებას. „აგვისტოს“  
მთარგმნელის ხელოვნება უდავოდ დასაფასე-  
ბელია, ზ. მედულაშვილი მარჯვედ იყენებს ქა-  
რთული სატყვის უდიდეს სიმდიდრეს, აშკარად  
გვავრძობონებს დედნისადმი პატივისცემას და  
სიყვარულს, ცხადი გადმოცემითა და სტილუ-  
რი ერთიანობით ორიგინალის რანგში ატყავს  
თარგმანი ნაწარმოებები.

„ლიტერატურა მწერლის საკუთარი „მეხ“  
დედუქციაა“, — ამბობს მ. მათევოსიანი. „აგვი-  
სტო“ ქართული მთარგმნელობითი ლიტერატუ-  
რის შენაძენია და მას უდავოდ შეიყვარებს  
მკითხველი.

თამარ აბულაშვილი



აბთაწადილ ჩხიპიშვილი — „დრო“.
გამომცემლობა „მერანი“, რედაქტორი:
ლ. არაბიძე, 1978 წილი.

აბთაწადილ ჩხიპიშვილის მოთხრობებს
მკითხველი პერიოდული პრესის ფურცლებიდან
ეცნობოდა. ამჟერად მკითხველს იგი პირველი
წიგნით წარუდგა და ერთგვარი ანგარიში ჩაა-
ბარა თავის მწერლურ შესაძლებლობასა და
შემოქმედებაზე.

საერთოდ, პირველი წიგნის განხილვისას ზე-
დმეტ სიფრთხილეს იჩინენ ხოლმე, ზოგჯერ ამ
სიფრთხილეს „სიმკაცრით“ ცვლიან. ლიტერატურაში
რაიმე შედევითზე ლაპარაკი დანაშაულის ტოლფარად
მიგვაჩნია, თუნდაც პირველ წიგნზე...

მხატვრული სიმართლე, ფსიქოლოგიური სი-
უსტეტე, მორალურ-ზნობრივი სიწმინდე — ეს
ის კომპონენტებია, რასაც მხატვრული ქმნილები-
ბისაგან მოვითხოვთ. ეს იცის ყველამ, მაგრამ
ერთია იცოდე და მეორეა მისი შესრულება,
ხორცშესხმა. ე. ი. ერთია ის, რაც უნდა შექმ-
ნას მწერალმა და მეორეა იმიტეტურად შექმნი-
ლი ფაქტა, რომელიც უპასუხებს ან ვერ პასუ-
ხობს თავდაპირველ ჩანაფიქრს. ამდენად ხში-
რად ხდება ამ ფაქტორთა დამორიშორება, რაც
საბოლოოდ დაღს ასვამს ნაწარმოებს. ამ ხარ-
ვეუბისაგან ა. ჩხიკვიშვილის წინამდებარე კრე-
ბული დაზღვეულია, თუმცა ამა თუ იმ მოთხ-
რობის პერსონაჟთა მოქმედებაზე შეგვიძლია
შევედავთ ავტორს, მაგრამ ეს არაა მთავარი.
მთავარია თემის მხატვრული ხორცშესხმა და
ამის ფსიქოლოგიური განვითარება, რაც წინა-
მდებარე კრებულში კარგად არის გადამუშავტი-
ლი.

რადგანაც ცალკეული მოთხრობების ანალი-
ზისათვის ადგილი არ გვრჩება, მოკლედ შეე-
ჩერდებით მწერლის შემოქმედებაში გამოხევა-
ვებულ პრინციპზე. მისასაღმებელია, რომ
ა. ჩხიკვიშვილი საზოგადოებრივი განვითარების
მოვლენებს, რომლის ძირითადი მამოძრავებე-
ლიც ადამიანია, განხევაებული კუთხით უდგე-
ბდა და ცდილობს მკითხველს უტყუარი სურათი
შესთავაზოს.

ავტორს კონფლიქტი ძირითადად გვირის ბუ-
ნებაში გადაქევა, რომელიც პასუხს თავის-თავ-
ში ეძებს. ცდილობს გაერკვეს შექმნილ სიტუა-
ციაში. გვირის დახასიათება და წამოჭრილი
საკითხი ადექვატურია მისი ბუნებისა და მორა-

ლურ-ზნობრივ პრინციპისა. მისი გვირები
ცხოვრებისეული პრობლემებისა და ვარე მო-
ვლენებისადმი ზოგჯერ სექტატურ დამოკიდე-
ბულებში გვევლინებიან, ხანაც კი უსამნო სე-
ვდასა და მშფოთვარე ბედთან შეურთავლნი
არიან. უნდა ვთქვათ, რომ ეს ავტორისათვის
ფონი და საშუალება კი არ არის, არამედ ერთ-
გვარი ხერხია პერსონაჟის ხასიათის დინამიკის
წარმოსახენად, მისი დაუდგრომელი და მძიე-
ბელი ხასიათის დასახატად.

ა. ჩხიკვიშვილის ყველა მოთხრობა ფსიქო-
ლოგიურ პლანში ისხნება. აქ სიუჟეტური გან-
ვითარება ერთგვარად დარღვეულია. მათში —
ცხადი და მოგონება გადანასკვეულია, რომელითა
მონაცვლეობის ფონზე ნერვიული, ფსიქოლო-
გიურად დაძაბული დრო ფიქსირდება. საზოგა-
დოებრივ დანაშრევებში ხედვის საშუალება
ეძლევა მკითხველს. აქვე ჩანს მკაცრი სინამდ-
ვილიც. მსგავსი მსგავსი შობსო, — ამბობენ
ხოლმე და კონკრეტული სიტუაცია მის მოთხ-
რობებში შთვედმარე ბურუსიდან გამოხსნობს
იდენტურ ასოციაციას. მოთხრობის ასეთი ორ-
პლანინაობა, ასე ვთქვათ, „ქვემდინარება“ ძი-
რითადის პარალელურად, ყურადღებას მოით-
ხოვს მკითხველისგან.

მოთხრობის სიმძიმის გადატანა ძირითადად
ფსიქოლოგიურ საყრდენზე დიდ დავირვებასა
და სიფრთხილეს მოითხოვს. ვაკვირდება იმის
თქმა, რომ ავტორი ყოველთვის ზომიერებასა და
მხატვრულ ტაქტს იცავდეს, ანდა ამ მხრივ
ყამირს ტეხდეს, მაგრამ მხატვრობა ყოველთვის
აზრთა ვაცვლა-გამოცვლას იწვევს და ეს აცია
განაკვირი (მოთხრობა „გვალა“).

საინტერესო ფსიქოლოგიური გააზრება უდ-
ვეს საფუძვლად ერთ-ერთ მოთხრობას, სადაც
გვაძრწუნებს ფინალის დრამატულობა („ლან-
ქერი“). ამ მოთხრობის ლიტმოტივია „აჟ თქუ-
ენცა აღავტო საწყაული მამათა თქუენთა“...
ძალზე დაძაბული მორალური ასპექტის ფონზე
მხატვარი ქალის შემოყვანა, მართლაც რომ
ღრუბლიან დღეში მზის გამოშუქებას ჰგავს.
მისი სახე სრულყოფილია. ასევეა დახატულნი
დანარჩენი პერსონაჟებიც.

ა. ჩხიკვიშვილის მოთხრობები შინაგანი შუ-
ქით, ექსპრესიულობითა და ორპლანინაობით
ხასიათდებიან, ამიტომ ყურადღებასაც მეტს
მოითხოვენ. შინაგანი კულტურა, ხატოვანი ენა
და მაღალი ინტელექტი თან ხდევს წინამდებარე
კრებულს.

სოსო ვინაბარაული



ბურამ შარბამ — მიხაი ზირი და  
ბარბოული ბულბულა, გამომცემლო.  
ბა „ნელწმინდა“, რედაქტორი აბაღ.  
ალმასანდრი ბარბამი, 1978 წელი.

იმ უამრავ უტსოელ თაყვანისმცემელთაგან  
რომელიც კი ოღითაგანვე მყოლია ქართველ  
ხალხს, ერთ-ერთი პირველი უთუოდ იყო უნ-  
გრელი ხალხის სახელგანთი შვილი მიხაი ზირი.  
მიხაი ზირი იყო საუკეთესო მეგობარი გასული  
საუკუნის 80-იანი წლების ყველა ქართველი  
საზოგადო მოღვაწისა თუ მწერლისა, მაგრამ  
მიხაი ზირისა და ქართველ მოღვაწეთა პირად-  
მა მეგობრობამ იმთავითვე მიიღო ფართო მნი-  
შვნელობა და ორი ქვეყნის — საქართველოსა  
და უნგრეთის მეგობრობის სიმბოლოდ იქცა.  
მიხაი ზირი გულწრფელად შეიყვარა ქართველმა  
ხალხმა, შეიყვარა არა მარტო როგორც დიდი  
მხატვარი, „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავი  
ილუსტრატორი, არამედ როგორც უაღრესად  
კეთილშობილი პიროვნება, „ვეფხისტყაოსნის“  
ილუსტრაციების უსასყიდლოდ შემსრულებე-  
ლი. ქართველი ხალხი ამ კეთილშობილური სა-  
ქციელისათვის კიდევ უფრო მეტად აფასებდა  
გამორჩინლ მხატვარს და სამაგიერო სიყვარულს  
ორკედად მიაგებდა. ამ სიყვარულს, ეტყობა,  
თვითონ მხატვარიც აშკარად გრძნობდა, რის  
გამოც იგი თავმდაბლად, მაგრამ აღტაცებით  
წერდა: „თავს არ ვიქებ, მაგრამ მაგონა, რომ  
იქ, კავკასიაში დავტოვე კეთილი ხსოვნა ჩემს  
სახელზე, ჩემს ერზე“.

მიხაი ზირისადმი ქართველი ხალხის, მისი  
მოწინავე საზოგადოების ინტერესი იმთავითვე  
განუწოხმელი იყო, მაგრამ აშკარაა, რომ ეს ინ-  
ტერესი კიდევ უფრო გაიზარდა ჩვენს დროში,  
რომლის გამოძახილი გასული წლის ოქტომბე-  
რი იყო, როცა ფართოდ აღინიშნა მიხაი ზირის  
დაბადების 150 წლისთავი. მიხაი ზირის ცხოვ-  
რებითა და მრავალფეროვანი შემოქმედებით  
არაერთი საბჭოთა მკვლევარი დაინტერესებუ-  
ლა. მათ შორის განსაკუთრებულად უნდა გა-  
მოვყუთ ქართველ მკვლევართა ის ნაწილი,  
რომელიც საგანგებო კვლევა-ძიებას დღესაც  
დაუცხრომლად განაგრძობს სახელგანთქმულ  
მხატვარზე.

ასეთი დაუცხრომელი ძიებისა და მუშაობის  
ნაყოფიერი შედეგი უთუოდ ვახლავთ გურამ  
შარბამის მეცნიერული ნაშრომი „მიხაი ზირი  
და ქართველი კულტურა“. ამ ნაშრომის მეც-  
ნიერული ღირსება, ამთავითვე უნდა აღვნიშნო,  
პირველ რიგში ის ვახლავთ, რომ გარდა ავტო-  
რის მიერ მოქმული, შესწავლილი და გაანალი-

ზებული ახალი მასალები, წიგნში თავისი ად-  
გილი კეთილსინდისიერად ეთმობა ყველა იმით,  
ვისაც კი რაიმე სერიოზული სიტყვა დასტუდ-  
ნია მხატვარზე. ასეთივე მეცნიერული კეთილ-  
სინდისიერებით აღნიშნავს გ. შარბამ რმ მასალების  
პირველწყაროს ავტორს, ვისგანაც განიოყენა  
იგი. მაგ. წიგნის 55-56 გვერდებზე მოტანილი  
ერთი საინტერესო დოკუმენტი გ. შარბამს გა-  
მოუყენებია აკად. აღ. ბარამიძის პირადი ბიბ-  
ლიოთეკიდან. წიგნის ავტორი ასევე ფართოდ  
მიმოიხილავს უნგრელი მხატვრისა და ქართვე-  
ლ საზოგადოების იმ ურთიერთობას, რაც გან-  
საზღვრავდა აღნიშნული პერიოდის ქართული  
კულტურის დონეს.

ნაშრომის ერთ-ერთ ღირსებად მიმაჩნია აგ-  
რეთვე მისი სტრუქტურა, საერთოდ, წიგნის  
არქიტექტონიკა. ვიდრე დეტალურად მიმოიხი-  
ლავდა მიხაი ზირისა და ქართველი საზოგადოე-  
ბის ურთიერთობის კონკრეტულ ფორმებს, ავ-  
ტორი სრულიად ლოგიკურად შეეხო მეგობ-  
რობის იმ ისტორიულ ფეხვებს, რომელიც სა-  
ქართველოსა და უნგრეთის ურთიერთობაში  
შეიპოვებოდა. ასეთივე ლოგიკურ დასასრულად  
მიმაჩნია ნაშრომის ბოლო თავი „მეგობრობა  
გრძნობისა“, სადაც მეტად აშაღელვებლად  
აჩნის მოთხრობილი ივანე მანაბლის ქალიშვი-  
ლის ელენე მარბელი-ჩერქეზოვილისა და  
მიხაი ზირის შვილიშვილის მარია ალექსანდრა  
როსოის წერილობით მეგობრობაზე, როგორც  
კეთილი ვაგრძელება სახელგანთი მამისა და პა-  
პის ვაუხუნარი მეგობრობისა.

წიგნის სრული მეცნიერულ-კრიტიკული ანა-  
ლიზი, ცხადია, ამ წერილში არ დავგისახავს  
მიზნად. არ გვიცდია აგრეთვე უურადლება  
ვავემასვილებინა იმ სადღო საკითხებზე, რომ-  
ლებიც უდასალოა გააჩნდეს აღნიშნულ ნაშ-  
რომს. უელოა, რომ გურამ შარბამის წინამდ-  
ებარე წიგნი კიდევ ერთი ნათელი ფურცელია  
როგორც მიხაი ზირის შესანიშნავი პიროვნეტი-  
სა და მხატვრის წარმოჩენის საქმეში, ისე ქარ-  
თველი და უნგრელი ხალხის მეგობრობის  
ისტორიაში.

მოწონებას იმსახურებს აგრეთვე გამოცემ-  
ლობის გადაწყვეტილება, რომ წიგნში თავისი  
ადგილი დაუთმო მიხაი ზირის ნახატებს. ამით  
კიდევ უფრო გაიზარდა ქართველი მკითხველ-  
ლის (და არა მარტო ქართველი მკითხველის  
— წიგნს თან ერთვის რეზიუმეები რუსულ და  
უნგრულ ენებზე) ინტერესი აღნიშნული წიგ-  
ნისადმი, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ  
მისი შექმნა მეტისმეტად ძნელი ვახდა წაგ-  
ნის ბაზარზე. ეტყობა, 5 000 ტირაჟი მცირე აღ-  
მოჩნდა ამ წიგნისათვის.

# კულტურული ცხოვრების ქრონიკა

## ამერიკა

### ელექტრონული მთარბმენელი

ამერიკული ჟურნალის „ნიუს უიკის“ ცნობით, „დექსიკონ კორპორეიშნის“ ფირმამ მაიამში შექმნა ელექტრონული ჭიბის ლექსიკონი საგანგებოდ იმ ტურისტებისათვის, ვინც უცხოეთში აპირებს მოგზაურობას.

ელექტრონული ლექსიკონი ზომით ჭიბის კალუულატორზე დიდი არ არის, მხოლოდ მის საკონტროლო პანელზე ციფრებიანი კლავიშების ნაცვლად ასობიანი ღვას. ელექტრონული ლექსიკონის დახმარებით შეიძლება ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის ათას ხუთასამდე ყველაზე სწორად ხმარებული სიტყვა. ამისთვის საქმარისია საკუთარ ენაზე აკურაფთო საჭირო სიტყვა ან წინადადება მართვის პანელზე, რომ მივიღოთ მზა თარგმანი. აპარატს თორმეტი შესაცვლელი ბლოკი აქვს და თორმეტ ენაზე მუშაობს. აპარატს ვალუტის გადაანგარიშებაც შეუძლია.

### შახვედრბ კოსმოსურ სტუმარბმთბ

სამი წლის წინათ ზვიგენებით დაწინებული ამერიკელები ახლოსაც არ ევარბოდნენ პლბეებს. ახლა ისინი შიშნამდგარი თვბლებით შესცქერბინ ცბს, იქნებ გამოუცნობი მჭრბნავი ობიექტი დავინახოლო. აქ „მოდბზიბ“ სხვბ სბმუბრობიბდბნ სტუმბრბთა ლოდინი. ამის თბობბზე არბგობთ

წიგნი დაიწერბ. მოყვბრულელებს სბმზეოზე გბმბბკეთ ნბ-ბინი წლებბის გბზეთებბ, რომლებიც იტუბბბინებოდნენ ამერიკის შერბთებული შტბტების სბმხედრო-სბბერო ძბლბთბ თვბთ-მჭრბნავებბთ „მჭრბნავი თფუშების“ დეგნბს.

ახლბ სბყოველბთბ მდეღვბრების მიზეზი იხვევ, როგორც სბმი წლის წინბთ, როცბ უზბრმბზბრბ რეკლბმბ შეუქმნეს კინოფილმს „უბებბი“. კინორეჟისორბ სტბვენ სბოლბბერგბ ვახლბვთ. ეს ახლგვზრბდბ, ფბბინბ სბქმბსბნი, მბყორბებელს თბზბრბ სცემს მეცნიერულ-ფბნტბსტიკური კინოსურბთბთ.

...ინდბინის შტბტბს ერთი პბტბრბ ქბლბქბ. მბლიბრულ ცბზე კბფობენ ვბრსკვლბვებბ. უცებ ელიფსბსდბრბ რბდაც ცბბვი გბკრბთბბ ქბლბქბს თბვზე. დბ იწყებბ სბსწბული. გბცობზლდნენ, აცეკვდნენ ელექტროსბთბმბშობებბ ოთბი წლის ბბრბ უბიღერბს ოთბსში, გბჯბხუნდბ კბრებბ, გბიფთბ ფბნჭრბებბ, რბინბს ჭბბბვივთ დბსცვივდბ კედლებს სქვბლღებბ. რბდაც სბშინელმბ ძბლმბ გბვბრვბრბული თვბლით შემბობხედბ სხლში დბ პბტბრბ ბბმუშბ ბბრბ დედბს ხელიდბნ გბმბსტბცბ. ელექტრომბნტიორბ რბი წბრბსბც არ დბსდგბმბბ ნბკლებბ დეღ; როცბ იგი ელექტროქსელბს შეეკებბბს შეუდგბ, ნბსბ, რომ მბთელ უბბნში ერთი მბილის მბნბილზე მბვთულეობ სბდლაც გბმჭრბდიკო. დბმბთ, მბნქბნბს რომ მბბკროლღებდბ, იგი ლბმბს დეფბბბ გზბს ზემბთ მჭრბნავ აპბრბტბს. ფილმბს აბთვოზბ კოსმბსბ-

დბნ მოსულეებთბნ ადბმბინების შეხვედრბ გბხლბვთ ვბობმბნვის შტბტბს დევილბ-ტბურბის მბთბს პლბტოზე. ამერიკბმ მობსწრო, რბც შეიძლებბ კბრგბდ შეხვედროდბ სტუმრებს. დბსბფრენბ მოედბნი. დბსბვდღურბთბ შორბს არბ მბრტო ამერიკბის არმბბს ნბწილებბ, არბმედ გბმბბბებბს ფედერბლური ბბუროს აგენტბბბც არბბნ. დბ ბბ, ეშვებბ გბჩბჩბსხებული გბგბნტური მჭრბნავი პლბტფორმბ. მბწბზე გბდმბლიბნ ადბმბინბს მსბვცბი არსებებბ, დბ დედბსკენ გბმბრბბს მბწბზე დბბრბუნებული სბლბლბმბბთი პბტბრბ ბბრბ.

სურბთბს გბდბღებბ ოცბმბლიონი დოლბრბ რომ დბბბბრბტბს დბ კბდევ რვბ მბლიონი რეკლბმბში „ჩბუშევს“, ფბლბნბს დბმდგმელებბ ეცბდნენ უკბღურბსბდ დეფბბბთ მბყორბებლის ნერვებბ. ფილმში მბრბვბლი ეტექტურბდ გბდბღებული სცენბ, დბნბმბკურბდ უხერულეებული ებზოდიბ. შემბსბვბლის მბხედვბთ სურბთბმბ მბწუნენლოენდ გბდბბკბრბბ უკბნბსკნელ წლებში გბდბღებულ სუბერფილმებს. მბდგბმ რბცბ სურბთბ მბთვრბდბბ დბ გბრბთ გბმბდბბბრ, სულში სბცბრბელებს გრძნობ.

ახლბთ, ამბს თბობბზე თქვბ სბხელგბნტბმულმბმბ ამერიკელმბ კბნომსბსბობბბ რბდ სტბბგერმბ:

— ახლბ გბცობზლებული კომბქსებბს სბუტუნენბ... სბგბნგებო ეტექტბბთ უფრო მბწმენლოგბნბბ, ვბდრბ ადბმბინებს შორბს ურბთბერბთდბმბკბდებულიებბ დბ კონფილქტბბბ. მბნქბნბ-ბბრბლებბ სულ უფრო



და უფრო სრულყოფილი ხდება, მაგრამ თანდათან ღარიბდება აჭრი, რომელიც ამ მანქანა-იარაღებს ამოძრავებს.

### იუმორისტულ ნაწარმოებთა კოლექცია

აღამიანებს უყვართ იუმორი, ფრანგები, მაგალითად, ასე ამბობენ, დაკარგულა ის დღე, როცა არც ერთხელ არ გაგვიცინიაო, და რაკი ასეთი დღეები ძალიან იშვიათია, ამქვეყნად არსებული ყველა იუმორისტული და სატირული ნაწარმოების ჩამოთვლა რომ მოაწადინო, ეს იგივეა, შეუძლებელია შექვიდო.

მაგალითად, ცნობილია დიდი კოლექცია, რომელიც ერთმა ამერიკელმა ვექილმა შეადგინა და სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტს გადასცა. ეს კატალოგი მოიცავს თერთმეტი ათას წიგნს — ოცდაათი ხალხის იუმორს ოთხასი წლის განმავლობაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ კოლექციაში არ შესულა ცალკეული კარიკატურები და კარიკატურათა კრებულები, არ შესულა იუმორისტული თურნალები, აგრეთვე თურნალები, რომლებშიც წარმოდგენილია იუმორის განყოფილება. კოლექციაში ვერ ნახავთ აღმოსავლეთ ევროპის, სამხრეთ ამერიკის, ინდოეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების იუმორს. მაგალითად, ჩხუბრი იუმორის განყოფილებაში ვერ ნახავთ ჰამეტს, რუსულ განყოფილებაში ტუოლიად დაუწყებთ ძებნას ჩხუბრს, ზოშიჩეკოს, ილუხა და პეტროვს და სხვა ამდაგვარ წიგნებს. ამერიკელმა ვექილმა მიგვანიშნა იუმორის მთავარ მიმართულებებზე ოთხასი წლის მანძილზე ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ესპანურ და იტალიურ ენებში. უნდა ვიფიქროთ, რომ მან მხოლოდ სცადა შეეკრიბა ნაწარმოებები, კაცობრიობის ერთი ნაწილის სიცილის კულტურას რომ ასახავს.

## ბრაზილია

### უძველესი ასტრონომები

ბრაზილიაში მცხოვრებნი ტუპის ტომის ინდიელთა წინაარები დიდ ცოდნას ფლობდნენ ასტრონომიის დარგში. როგორც ბრაზილიელი მეცნიერების გამოკვლევებიდან ჩანს, ბრაზილიაში პირველი ევროპელების გამოჩენამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ინდიელები ზუსტად უოფდნენ წიელიწადს 12 „მუნზად“, რომლებიც ზუსტად შეესაბამებოდნენ თვეს, ზამთარსა და ზაფხულს (მზრალი და ნესტიანი პერიოდები). მთვარის დაბნელებას ისინი მთვარის ღამეს უწოდებდნენ და დედამიწის თანამგზავრის მდგომარეობის ცვლას უყავშირებდნენ ოკეანის მოქცევასა და მიქცევას. ინდიელები ჩინებულად ერქვეოდნენ აგრეთვე ვარსკვლავებში.

## იაკონია

### „მთათა მუფისი“ რეპორტი

უჩვეულო რეპორტი დაამყარა კოტოს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა კიმი იმანოსიმ. ამჯერად ცნობილია პროფესორმა წარმატებას მცდინიერებაში როდი მიაღწია, იგი თავის რამდენიმე ათეულ ამხანაგთან ერთად ავიდა ნაპას პრეფექტურაში აღმართულ 1800 მეტრიან მთის მწვერვალზე. ეს უკვე მე-1000 მთაა, რომელიც იაპონიის აღმოსავლეთ კლუბის ყოფილია პრეზიდენტმა დალაშქრა. მთათა ნეთუფს წლეულს 75 წელი შეუღებულა.

## ინგლისი

### აღამიანის ტვინი

ცნობილი ინგლისელი ნეიროფიზიოლოგების, პროფესორების ჯ. კორსლისისა და ა. მილერის განცხადების თანახმად აღამიანის თავის ტვინის

მოცულობა თანდათანობით იზრდება.

ასეთი დასკვნა გამოიტანეს მეცნიერებმა უკანასკნელი 80 წლის სტატისტიკური მონაცემების გულმოდგინე ანალიზის შედეგად. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ამ ხნის განმავლობაში მამაკაცების თავის ტვინის საშუალო წონა 52 გრამით გაიზარდა, ქალებისა კი — 28 გრამით. ისიც აღინიშნა, რომ პირველი 40 წლის მანძილზე ქალების თავის ტვინის მოცულობა თითქმის არ ვაზრდილა, შემდეგ კი ზრდის ტემპი კაცებისას გაუტოლდა. როგორც უფრანლი „ნიუ საიენტიტიკი“ (ინგლისი) იტყობინება, მეცნიერების აჭრით, ინგლისელი სწავლულების მიერ მიღებულ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს აღამიანის ორგანიზმისა და მისი ევოლუციის შემდგომი შესწავლისათვის.

## საფრანგეთი

### როგორ დაიღუპა სანტ-მეზიუპარი

ფრანგი კ. შუფერი იქნებ უკანასკნელი აღამიანი იყო, ვინც სულ ბოლოს დაინახა ცნობილი ფრანგი მწერლისა და მფრინავის ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის თვითმფრინავი. 1944 წლის 31 ივლისს ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი უკველოდ დაიკარგა დაზვერვითი გაზრუნის დროს პიტლერელების მიერ ოკუპირებული საფრანგეთის ტერიტორიაზე. მისი დღეუპის თაობაზე დღემდე არაფერი იყო ცნობილი.

ფრანგულ გაზეთის „სიუდეუესტიხანდმი“ მიცემულ ინტერვიუში კ. შუფერმა თქვა, რომ იმ დღეს ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ქალაქ ანტიბის რაიონში მან დაინახა მსუერავი თვითმფრინავი, რომელიც გერმანის საუნეიტო არტილერიის ცეცხლით დევნილი ზღვისკენ მიემართებოდა. თვითმფრინავის ფრთებზე



ეწერა იმ ესკადრილის ამო-  
საცნობი ნიშნები, სადაც სა-  
ხელაანთქმული მწერალი მსა-  
ხურობდა. ზუსტი თარიღის  
დადგენას ხელი შეუწყო დღი-  
ურმა, რომელსაც კ. შვეერი  
წერდა ომის წლებში. იმდრო-  
ინდელი საბუთები ადასტუ-  
რებენ, რომ ანტუან დე სენტ-  
ეგზიუპერის თვითმფრინავი  
ერთადერთი იყო, რომელსაც  
შეიძლება იფრინა ანტიბის  
რაიონში 1944 წლის 31 ივ-  
ლისს. იგი, ალბათ, გერმანე-  
ლების საჟენიტო არტილერ-  
იაში დაჯიანა და ზღვაში ჩა-  
ვარდა.

**პრეზერვის უკანასკნელი  
წიგნი**

**თანამედროვე** საფრან-  
გეთის დიდ პოეტს ფაკ პრე-  
ვერს ერთხელ მისმა მეგობარ-  
მა მხატვარმა ფორს რიბემონ-

დენეიამ ნახატების სერია  
აჩუქა ხეთა გამოსახულებე-  
ბით. თითოეულ ნახატს პრე-  
ვერმა ლექსი მიუძღვნა. ასე  
დაიბადა წიგნი „ხეები“, სა-  
დაც ერთ-ერთი საუკეთესო  
ფრანგი პოეტის ლექსები და  
რიბემონ-დენეიას ნახატები  
ხელოვნების ერთი მთლიანი  
ნაწარმოებია. ბედმა იწება და  
წიგნი-ალბომი „ხეები“ ფაკ  
პრევერის ლექსთა უკანასკნელი  
წიგნი აღმოჩნდა. მალე მისი  
გამოქვეყნების შემდეგ პოეტი  
გარდაიცვალა; იგი 77 წლისა  
იყო.

ერთი შეხედვით „შემთხვე-  
ვას ვაშო“ დაწერილ ამ ლექ-  
სებში პოეტი ლაპარაკობს  
ცხოვრებისეულ და ხელოვნე-  
ბისეულ პრობლემებზე.

პრევერის უკანასკნელ წიგნს  
ჯეთისხილის ხის, კორპის მუხახ  
ზღვისპირა ფიჭვის, კვი-

პაროსის, აგრეთვე პარიზის ტონში ჩაჭედო ხეთა, ხე-  
რით გადასრუტულ ხეთა სადი-  
დებელი შეიძლება ეწოდოს,  
ვინაიდან ზუნება და ადამიანი  
პრევერის ხათვის განუყრელია;  
„ხეებში“ იგი ლაპარაკობს შეყ-  
ვარებულზე და ზავზე.  
ზეც, რომლებიც ქააქების  
უღანსოვში იტანებთან, ლა-  
პარაკობს დავრდომილთა სას-  
ლღებში გამოკეტალ მოხუცებ-  
ზე. ასალ წიგნი ჟღერს ფან-  
ტასტიკის მოტივებიც; მაგალი-  
თად, პოეტი გვიამბობს ხეთა  
აქანყებაზე, რომელთაც აღარ  
უნდათ დემორჩილონ ტყის  
ამომარკვავ ადამიანს და უსი-  
ერი ტყეებით შემოარკალები-  
ან.

„ხეებში“ ისმის დიდი პოე-  
ტის ირონიანარევი ინტონა-  
ციები, იუმორი, ყოველდღიუ-  
რი ჭმუნვა და ვარანი.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მახალბებს მიიღებს არა უმეტეს ერთი ხავტორო  
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 30-85-81, მთ. რედაქტორის მოადგილე —  
72-26-82, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პაროზის — 72-26-80,  
ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკარის“ დამატება — 72-17-81, ხაკორეკ-  
ტორო — 72-43-75.

გადაცა ასაწყობად 25. 9. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 11. 78 წ., ქაალდის ზომა  
70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საჯ.  
თაბახი 15.35. შეკვ. № 2609. უგ 00967. ტირაჟი 30.050.

საქართველოს კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14  
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



საბავშვო ლიტერატურის დღეებში თბილისში, მფობროვის გაფირზე, გაიხსნა კომედი-ტრიუუნის ვლადიმერ მაიაკოვსკის ძეგლი (მომანდაკე ვერამ კორეხია).

6180/29



ფან 60 კკკ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236